

საქართველოს წითელი წიგნი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს წითელი წიგნი

ცხოველთა და მცენარეთა
იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობები

არაორგანული ბუნების ზოგიერთი ძეგლი

„საქართველოს წითელი წიგნი“ ნაწილობრივ გადამუშავდა და ხელმეორედ გამოიცა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ, პროექტის — „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ — ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელშეწყობით. წიგნში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობების შესახებ. მასში აგრეთვე შეტანილია მაღალი ესთეტიკური და მეცნიერული ღირებულების ცოცხალი და არაცოცხალი (არაორგანული) ბუნების ძეგლები – დიდხნოვანი ხეები, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგრაფიული წარმონაქმნები, რაც „საქართველოს წითელ წიგნს“ განასხვავებს იმავე პერიოდის სხვა ქვეყნების გამოცემებისაგან. XX საუკუნის 70-იანი წლების ფაქტობრივი მასალა დროში ბიომრავალფეროვნების ბუნებრივ-ანთროპოგენური ცვალებადობის დადგენის საშუალებას იძლევა.

„საქართველოს წითელი წიგნი“ 1982 წელს გამოიცა და ამჟამად ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. განახლებულ ვერსიაში ტექსტი უმნიშვნელოდ არის შეცვლილი, საბჭოური პერიოდისათვის დამახასიათებელი ნომენკლატურული და სტილისტური ტენდენციების გათვალისწინებით. გარდა ამისა, დამატებულია სახეობების კონსერვაციული სტატუსი „საქართველოს წითელი ნუსხისა” და „საერთაშორისო წითელი ნუსხის“ შესაბამისად.

რევაზ გეთიაშვილი

მთავარი სარედაქციო კოლეგია
ვილი კაჭარავა (მთავარი რედაქტორი)
ნიკო კეცხოველი
ლევან მარუაშვილი
ბორის ყურაშვილი

CHIEF EDITORIAL BOARD
WILLY KACHARAVA (Editor-in-Chief)
NIKO KETSKHOVELI
LEVAN MARUASHVILI
BORIS KURASHVILI

©გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982

შინაარსი

ცხოველები 7

ძუძუმწოვრები 11

ნიამორი
ქურციკი
ზოლებიანი აფთარი
ჯიქი
ჭრელტყავა
თეთრმუცელა სელაპი
წავი
კავკასიური წაულა
კავკასიური ფოცხვერი
კავკასიური ირემი
ამიერკავკასიური ზაზუნა
რადეს ბიგა
ფუღუ
მცირე კბილთეთრა
მეჰელის ცხვირნალა
ყურგრძელი მღამიობი
სამფეროვანი მღამიობი
გრძელფრთიანი ღამურა
გიგანტური მეღამურა
მცირე მეღამურა
მაჩქათელა

ფრინველები 28

იშხვარი (ყარყატი)
თეთრკუდა არწივი (ფსოვი)
კრავიჭამია (ბატკანძერი)
ბეგობის არწივი
დურაჯი
კასპიური შურთხი
ხონთქრის ქათამი
წითელთავა ნარჩიტა
შავარდენი
მთის არწივი
ველის არწივი
შაკი
გველიჭამია არწივი (ძერაბოტი)
გნოლი
რუხი წერო
სავათი
სარსარაკი
ბარი (გავაზი)
კავკასიური როჭო
სვავი
ორბი
დიდი ოყარი (დიდი თეთრი ყანჩა)
პატარა ოყარი (პატარა თეთრი ყანჩა)
მყივანი (ყვითელნისკარტა) გედი
სისინა (წითელნისკარტა) გედი
სირიული ხეკოდა (სირიული კოდალა)
დიდი კოჭობა
წითელმუცელა ბოლოცეცხლა
წითელფრთიანი კოჭობურა
წითელთავა ღაჟო
წითური ასპუჭაკა
მოკლეთითა მგლინავა
ულვაშა წიწკანა

ქვეწარმავლები (რეპტილიები) 54

გძელფეხა სცინკი
დასავლური მახრჩობელა
გრძელი მცურავი
კავკასიური გველგესლა
ცხვირრქოსანი გველგესლა
ხმელთაშუა ზღვის კუ

ამფიბიები
(წყალხმელეთა ცხოველები) 59

სირიული მყვარი
მცირეაზიური ტრიტონი
კავკასიური ჯვრიანა
კავკასიური სალამანდრა

თევზები 63

ატლანტური ზუთხი

მცენარეები 65

გვიმრები 69

ანოგრამა
ჰიმენოფილუმი
სამეფო გვიმრა

შიშველთესლიანები 71

მყრალი ღვია
აღმოსავლეთის ბრტყელტოტა
ელდარის ფიჭვი
ბიჭვინთის ფიჭვი
ურთხელი, უთხოვარი

ფარულთესლიანები 75

ქართული ნეკერჩხალი
კევის ხე, საღსალაჯი
პასტუხოვის სურო
ქართული კოწახური
ოქროსფერი ბონგარდია
მრგვალი წამალი
მედვედევის არყი
მეგრული არყი
შავი არყი, რადეს არყი
ბზა, კოლხური ბზა
არმაზის მაჩიტა
ხუჭუჭა მაჩიტა
ძაკუს მაჩიტა
ძიშრას მაჩიტა
ენგურის მაჩიტა
საოცარი მაჩიტა
განსაკუთრებული მაჩიტა
სვანეთის მაჩიტა
თავდახრილი სიმფიანდრა
პონტური პირთეთრა
აკინფიევის ხარეზია
კეცხოველის მიხაკი
კუზნეცოვის მიხაკი
მარკოვიჩის ქოთანა
ქონდარა ქოთანა
კავკასიის აკაკი
შიშველი აკაკი
ამფორიკარპოსი
სპეტაკი კლადოხეტა
გრიგორაშვილის პოდოსპერმუმი
წვრილფოთოლა ფსევდოპოდოსპერმუმი
ჯავახეთის ფამფარულა
კეცხოველის ფამფარულა
კოზლოვსკის ფამფარულა
მასაგეტოვის თავყვითელა
ხარისშუბლა
მესხეთის ფამფარა
არმაზის შინდანწლა
კოლხური თხილი
ქართული თხილი
უხრავი
ანხონიუმი
ოლღას ფოლიო
ინგლისური დროზერა
შუალედური დროზერა
მრგვალფოთოლა დროზერა
ჩვეულებრივი ხურმა
ქაცვი
ხემარწყვა, ხეშიშველი
ეპიგეა
სმირნოვის შქერი
უნგერნის შქერი
კოლხეთის ლეპტოპუსი, კოლხეთის არახნე
წაბლი
ჭოროხის მუხა
ჰართვისის მუხა
იმერული მუხა
მაღალმთის მუხა (აღმოსავლური მუხა)
ჭალის მუხა (გრძელყუნწიანი მუხა)
პონტოს მუხა
ერდელის ბუჩქისძირა
ბეწვყვავილა გლობულარია
კოლხური წყლის კაკალი
ჰირკანული წყლის კაკალი
მალეევის წყლის კაკალი
თეთრობის კრაზანა
კაკალი, კაკლის ხე
ლაფანი, ფრთიანნაყოფა ლაფანი
გარეჯული სალბი
ბზიფის ქონდარი
კეთილშობილი დაფნა
კავკასიის ასტრაგალი, გლერძი
მტკვრის ასტრაგალი
შიშკინის ასტრაგალი
სომიეს ასტრაგალი
ტანას ასტრაგალი
მუხუდო
ნახევრადეკლიანი ევერსმანია
აფხაზეთის კურდღლისცოცხა
აჭარის კურდღლისცოცხა
მლაშობის ჩინგილი
ტუხტი, სამკურნალო ტუხტი
თეთრი დუმფარა
ყვითელი დუმფარა
წყავმაზა
ქართლის იორდასალამი
ლაგოდეხის იორდასალამი
მაიკოს იორდასალამი
მლოკოსევიჩის იორდასალამი
ვიტმანის იორდასალამი
ცრუაღმოსავლური ყაყაჩო
კოლხური ყოჩივარდა
იულიას ფურისულა
ფურისულა
ბროწეული
წითელი ქვებლანდისა
ქართული ნუში
ყამბრო
დიმიტრის ბერყენა
სახოკიას ბერყენა
თურანულა, ტურანგი, ვერხვი
კოლხური ჯონჯოლი
ჩვეულებრივი ჯონჯოლი, ფრთისებრფოთოლა ჯონჯოლი

თელადუმა, ელიფსური თელადუმა
ქართული თელა
თელადუმა, შიშველი თელადუმა
თელადუმა, პატარა თელადუმა
თელადუმა, კორპის თელა
ძელქვა
აჭარის ანგელოზა
რიშავას ქვაპურა
ტილჭირფოთოლა, დიყი
სომიეს დიყი
არაფის ლიგუსტიკუმი
პანიუტინის პოლილოფიუმი
კრიკინა, ტყის ვაზი, უსურვაზი
შობერის ნიტრარია
ზღვის შროშანი
კავკასიის დიოსკორეაო
ოქროწვერა
ისლი
კუპრიანოვის ჭვავი
დოლის პური, რბილი ხორბალი
დიკა, ქართლის ხორბალი
ჩაგვერა პური, ნამგალა პური
ნამდვილი ასლი
თავთუხი, მაგარი ხორბალი
გვაწამახა
გვაწა-ზანდური
ჩელტა-ზანდური
ძველი კოლხური ასლი
ჩელტა-ზანდური
ჯავახეთის ხმალა
მინდვრის ყვითელი ზამბახი, ვინოგრადოვის ზამბახი
ქართული ზამბახი
ყირიმის ასფოდელო
კავკასიის კაბაჭრელა
კავკასიის მთის შროშანა
ქართული შროშანი
ალპანის ყაზახა
ბიბერშტეინის ტიტა
ეიხლერის ტიტა, წითელი ტიტა

ცოცხალი გუნებების ძეგლები 167

დიდხნოვანი ხეები 170

უთხოვარი
კავკასიური სოჭი
ჭალის ვერხვი, ხვალო
ოფი
ჩვეულებრივი კაკალი
კავკასიური რცხილა
ჩვეულებრივი წაბლი
ქართული მუხა
ჭალის მუხა
რცხილისებრი ძელქვა
ჩვეულებრივი თუთა
აღმოსავლეთის ჭადარი
მანდარინი უნშიუ
ქართული ფორთოხალი
კავკასიური ცაცხვი

არაორგანული გუნებების ძეგლები 177

გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური ძეგლები 182

მღვიმეები 182

აბრსკილის მღვიმე
ახალი ათონის მღვიმე
ახიბოხის „ფანჯარა“
გარახის მღვიმე
თეკენთერის ჭა
თოვლიანი უფსკრული
კორცხელის მღვიმე
კუდაროს მღვიმოვანი
ნაზოდელავოს მღვიმე
სავეკუოს მღვიმე
სათაფლია: მღვიმე და დინოზავრის ნაკვალევი
სამსრის ქარიანი ხვრელი
სხვავის საყინულე
ურთის მღვიმოვანი
ყალიჩონის მღვიმე
ცუცხვათის მღვიმოვანი
წონის მღვიმე
ხორხები: საყინულე და მეგალითური ნაგებობა
ჯრუჭულის მღვიმე

გადაადგილებული და მოქანავე ლოდები 192

გლოლის ლოდები
დურუჯის ლოდი
ზემო ერმანის ლოდი
ლაჰილაჭალის ლოდი
მგლისსარბიელის ლოდი
როშკის ლოდები
საკენის ლოდი
ფერხულის ქვა: ლოდი
ქუაქანცალია: მოქანავე ლოდი
ჩეგოლის ლოდები
წებელდის ლოდები
ჯონოულის ლოდები

კლდის სვეტები და კოშკები 198

ბეთლემისებრი სვეტი
ბოდორნის სვეტი
კაცხის სვეტი
საირმის ეროზიული მოწმე
საირმის მეწყერი
უდაბნოს სვეტი
ქვაკაცა: სვეტი

კანიონები და ხეობები 202

ახაცხის კლუზი
ოკაცეს კანიონი და პლეისტოცენური ტბური ნალექები
დაშბაშის კანიონი
ხდის ხეობა

ვულკანური ფორმები 205

ბედენის „ბუმბერაზთა ქვაფენილი“
ილმაზლოს ლავური მოწმე
ტყარშეთი: ლავური ღვარი და დამარხული ტყე
ჩხიკვთის სამება
ღამურა: გამოქვაბული „ლავური ორღანის“ ქვეშ
ხორისარის ლავური ღვარი

გუნებრივი ხიდები 208

სემის ბუნებრივი ხიდი

პერიგლაციალური ფორმები 208

ყელის პერიგლაციალური წარმონაქმნები

ტრავერტინები 209

ბრითათის ტრავერტინები
თრუსოს ტრავერტინები

ფსევდოკარსტი 210

ჭერმის კლდეები

კვარცის კრისტალები 211

სამშვილდის ინტრუზივი

ნამარხი ტყეები და ფაუნა 212

ბენარის ნამარხი ფაუნა
გოდერძის ნამარხი ტყე
იაღლუჯის ნამარხი ფაუნა
ქვაბების ნამარხი ფაუნა

ოგსიდიანის საბადო 213

ჭიქიანის მთა

არეულშრეებრიობა 214

მეტეხის არეული შრეები

ტალახის ვულკანები 215

მეორე ახტალა („ქილაკუპრა“)
ფორფოტები

კარული ველები 215

გელგელუკის კარული ველი

ჰიდროგრაფიული ძეგლები 217

ტბები 217

აბანოს მინერალური ტბა
ბატეთის ტბა
ერწოს ტბა
რიწის ტბა
ტაბისყურის ტბა
ყვარაშის (გორაფის) ტბა

ვოკლუზები 221

მჭიშთის ვოკლუზი
ოლიანგის ვოკლუზი
ქეთერისის მინერალური ვოკლუზი

ჩანჩქერები 222

აბაშის ჩანჩქერი
გეგის ჩანჩქერი
ერეთოს ჩანჩქერი
ოჩხომურის ჩანჩქერი
ტობის ჩანჩქერები

საძიებელი 231

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შემუშავებული სახეობის კონსერვაციული სტატუსის კატეგორიები

Extinct (EX) — გადაშენებული
Critically Endangered (CR) — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი
Endangered (EN) — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი
Vulnerable (VU) — მოწყვლადი
Near Threatened (NT) — საფრთხესთან ახლოს მყოფი
Least Concern (LC) — საჭიროებს ზრუნვას
Regionally Extinct (RE) — გადაშენებულია ეროვნულ დონეზე

შესავალი

ყველა ეპოქაში თავისებურად იდგა ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების საკითხი, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა იგი უფრო აქტუალურ და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გლობალურ პრობლემად აქცია.

გაფართოვდა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების შესაძლებლობები, მისი ჩარევის სფერო, რამაც შეკვეცა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს საარსებო სივრცეები, დაირღვა მილიონი წლობით შეკრული და ნადუღაბები ეკოლოგიური თანაფარდობა.

ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს რიგი სახეობების გადაშენების საფრთხემ ადამიანები მათი დაცვისა და გადარჩენის საკითხებზე ჩააფიქრა. ცხადია, დღეს ისინი ვერ გაიმეორებენ იმ სავალალო შეცდომებს, რასაც ადგილი ჰქონდა ადამიანისა და ბუნების წარსულ ურთიერთობაში. მათ ღრმად სწამთ, რომ ველური ბუნების ყოველი დაკარგული და გადაშენებული წარმომადგენელი აუნაზღაურებელი დანაკლისია როგორც ახლანდელ, ისე მომავალ თაობათა ეკონომიკური ინტერესებისთვის.

„საქართველოს წითელ წიგნში“ მოცემულია ცნობები ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის ბუნება უნიკალურია. რელიეფისა და კლიმატის მრავალფეროვნება განაპირობებს ბუნებრივ კონტრასტებს; მის არცთუ ისე დიდ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ყველა ვერტიკალური ლანდშაფტური სარტყელი — ტენიანი სუბტროპიკებით დაწყებული და მარადიული მყინვარებით დამთავრებული. საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 25 ათასზე მეტი დიდი და მცირე მდინარე, რომელთა ჯამური სიგრძე დაახლოებით 55 ათას კილომეტრს შეადგენს, აქ არის ათასამდე ტბა, 1400 მინერალური წყარო; ტყეებში, რომელთა საერთო ფართობი ქვეყნის ტერიტორიის 38.5 პროცენტს შეადგენს, გვხვდება 6 ათასზე მეტი სახესხვაობის მცენარე, ასევე მდიდარია ცხოველთა სამყარო.

მაგრამ საქართველოს ბუნება ლამაზი კი არა, მკაცრიც არის. მნიშვნელოვანია ზარალი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობა განიცდის სტიქიურ მოვლენათა გამო და რომლის მასშტაბების შემცირება ან გაზრდა ადამიანის სამეურნეო მოქმედებითაა განპირობებული.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ბუნებას სათუთი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. „საქართველოს წითელი წიგნის“ მიზანიც ნათელია — საყოველთაო ყურადღება მიაქციოს ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულ ცხოველთა და მცენარეთა იმ იშვიათ სახეობებს, რომელთაც გადაშენების საფრთხე მოელით და რომელთა გადარჩენისათვის განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო.

წიგნის ერთ ნაწილში მოცემულია ცნობები ცხოველთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული 65 სახეობის შესახებ. ეს სახეობები დაყოფილია სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს განეკუთვნება თითქმის გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები; მეორეს — გადაშენების პირას მისული, ხოლო მესამეს — იშვიათი სახეობები. მოცემულია ცხოველთა თითოეული სახეობის სტატუსი, გავრცელება, საბინადრო არეალი, რიცხოვნობა ბუნებაში, გამრავლება, კონტურები, მტრები, დაავადებები, რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები, დასაცავად მიღებული ზომები, დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებები, ინფორმაციის წყაროები.

წიგნის მეორე ნაწილში შესულია ასევე მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული 161 სახეობა. მცენარეთა თითოეული სახეობისათვის მოყვანილია სასიცოცხლო ფორმა, მნიშვნელობა, გავრცელება, ადგილსამყოფელი, მდგომარეობა, გამრავლება, შემცირების მიზეზი, დაცულია თუ არა, დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებები, ინფორმაციის წყაროები.

საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივი ფაქტორების მრავალფეროვნება და ინტენსიური გეომორფოლოგიური პროცესები თავისებურ პრობლემებს აყენებს ქვეყნის წინაშე. ამიტომაც, სხვადასხვა ენაზე დღემდე გამოცემული „წითელი წიგნებისაგან“ განსხვავებით, „საქართველოს წითელ წიგნში“ შევიდა ცოცხალი და არაორგანული ბუნების ძეგლებიც, რომლებიც მნიშვნელოვანი ესთეტიკური და სამეცნიერო ღირებულებისაა.

ჩვენი ბუნების უნიკალურ ძეგლებს, ფლორასა და ფაუნასთან ერთად, დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ამის გამო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ „წითელ წიგნში“ ყურადღება გაგვემახვილებინა დიდხნოვან ხეებსა და არაორგანული ბუნების ძეგლებზე (სულ 77 ძეგლი). არაორგანული ბუნების ძეგლები ორ ძირითად ჯგუფად არის დაყოფილი: ა) გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და ბ) ჰიდროგრაფიული ძეგლები.

თითოული ჯგუფი, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპებისაგან შედგება. პირველ ჯგუფშია მღვიმეები, გადაადგილებული ლოდები, ბუნებრივი სვეტები და სხვ. მეორეში — ტბები, ჩანჩქერები, ვოკლუზები. მითითებულია თითოეული ძეგლის მდებარეობა, მისასვლელი გზები, ინფორმაციის წყაროები.

„წითელ წიგნში“ შეტანილი სახეობების მოპოვება და ხელყოფა დაუშვებელია. თუმცა, ქვეყანა ლამაზი, ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი რომ იყოს, მარტო იმის დაცვა, რაც „წითელ წიგნშია“ მოცემული, როდი კმარა. საქართველოს მოქალაქეები მოვალენი არიან, თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ბუნების ყველა სახეობას, იცავდნენ და ამრავლებდნენ მის სიმდიდრეს.
მცენარეთა და ცხოველთა სამყარო აღდგენადი რესურსებია. ადამიანთა გონივრულ და ფრთხილ მოქმედებას, ბუნების უნიკალური და ტიპური ნაკვეთების, გენეტიკური რესურსების დაცვას მათი გამდიდრება და გაჯანსაღება შეუძლია, რაც, ცხადია, დიდ სიკეთეს მოუტანს თვით ადამიანს.

„წითელი წიგნი“ ჩვენს საზოგადოებას გონივრული მოქმედებისაკენ მოუწოდებს. იგი მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი და გადაშენების პირას მისულ სახეობათა არა მხოლოდ შენარჩუნებას, არამედ მომრავლებასაც გვავალებს, ისეთ მომრავლებას, რომელმაც უახლოეს წლებში მათი „წითელი წიგნიდან“ ამოღება უნდა განაპირობოს.
„საქართველოს წითელი წიგნის“ შემდგენელებს კარგად ესმით, რომ ნაშრომი არ შეიძლება უნივერსალური იყოს. ეს განპირობებულია პრობლემის გლობალურობით. წიგნის სრულყოფა მომავლის საქმეა და მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, ვისაც უყვარს ჩვენი მადლიანი ბუნება, იქნება ეს დაწესებულება, ორგანიზაცია თუ თითოეული მოქალაქე.

INTRODUCTION

The aim of this book is to attract general attention to the rare and endangered species of animals and plants existing in the territory of the Georgia and requiring special measures of protection.
In the book is given information about 65 species of rare and endangered animals. In accordance with the rate of rarity and extinction these species were subdivided into 3 groups: to the first group belong species almost extincted or survived in inaccessible places, to the second — endangered species, to the first group belong species almost extincted or survived in inaccessible places, to the second — endangered species, to the third — rare species that are not at present endangered, but because of small population are at risk.
For each species of animals are given status, distribution, character oh habitat, their state at present, ribution, character of habitat, their state at present, number in nature, reproduction, rivals (EN)emis, diseases, reasons of decrease in number, number of shut up animals, reproduction in shut up conditions, conservation measures, necessary protection measures, sources of information.
In the book are also given 161 rare and endangered species of plants.
For plants are given life form, importance, distribution, place of habitat, status, reproduction, reasons of decrease, protected or not and necessary reservation measures, sources of information.
In this book are also presented some monuments of organic nature and some inorganic nature monuments existing in the territory of Georgia (77 monuments in all), divided into two main groups: a) geological and geomorphological and b) hydrographical monuments. Each group consists of different types of monuments. The situation of each monument, characteristics, the ways to the monuments, sources of information are given.



ცხოველები



ANIMALS



შემდგენლები:
ალექსი არაბული, ზაქარია ჩლაიძე, გალინა ენუქიძე, არჩილ ჯანაშვილი, ალექსანდრე კაპანაძე, სევერიან კოხია, გივი მაცაბერიძე, თეიმურაზ მუსხელიშვილი, ნარგიზა ნინუა, ბორის ყურაშვილი (შემდგენელი და რედაქტორი), თამარ როდონია, რევაზ ჟორდანია.

COMPILERS:
Aleksi Arabuli, Zakaria Chlaidze, Galina Enukidze, Archil Janashvili, Alexander Kapanadze, Severian Kokhia, Givi Matsaberidze, Teimuraz Muskhelishvili, Nargiza Ninua, Boris Kurashvili (compiler and editor) Tamar Rodonia, Revaz Zhordania.

მხატვარი: ვიქტორ ბერძენიშვილი
Designed by: Viktor Berdzenishvili

ძ უ ძ უ მ წ ო ვ რ ე ბ ი

გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

ნიამორი
ქურციკი
ზოლებიანი აფთარი
ჯიქი
ჭრელტყავა
თეთრმუცელა სელაპი

გადაშენების პირას მისული სახეობები

წავი
კავკასიური წაულა
კავკასიური ფოცხვერი

იშვიათი სახეობები

კავკასიური ირემი
ამიერკავკასიური ზაზუნა
რადეს ბიგა
ფუღუ
მცირე კბილთეთრა
მეჰელის ცხვირნალა
ყურგრძელი მღამიობი
სამფეროვანი მღამიობი
გრძელფრთიანი ღამურა
გიგანტური მეღამურა
მცირე მეღამურა
მაჩქათელა

ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი

გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

იშხვარი (ყარყატი)
თეთრკუდა არწივი (ფსოვი)
კრავიჭამია (ბატკანძერი)
ბეგობის არწივი
დურაჯი
კასპიური შურთხი
ხონთქრის ქათამი (პორფირიონი)
წითელთავა ნარჩიტა

გადაშენების პირას მისული სახეობები

შავარდენი
მთის არწივი
ველის არწივი
შაკი
გველიჭამია არწივი (ძერაბოტი)

MAMMALIA

Extincted species or those survived in incacessible places

Capra aegagrus Erxleben, 1777
Gazella subgutturosa Güld., 1780
Hyaena hyaena L., 1758
Felis pardus L., 1758
Vormela peregusna Güld., 1770
Monachus monachus Hermann, 1779

Endangeres species

Lutra lutra meridionalis Ogn., 1931
Lutreola lutreola turovi kuznez. Et Novik., 1939
Felis Lynx orientalis Sat., 1905

Rare species

Cervus elaphus maral ogilby, 1850
Mesocricetus brandti Nehring, 1894
Sorex raddei Sat., 1895
Suncus etruscus Savi, 1882
Crocidura suaveolens Pallas, 1811
Rhynolophus mehelyi Matschie, 1901
Myotis bechsteini kuhl, 1818
Myotis emarginatus Geoffroy, 1806
Miniopterus schreibersi Kuhl, 1818
Nyctalus lasiopterus Schreber, 1780
Nyctalus leisleri Kuhl, 1819
Barbastella barbastellus Schreber, 1774

A V E S

Extincted species or those survived in incacessible places

Ciconia nigra L., 1758
Haliaeetus albicilla L., 1758
Gypaëtus barbatus l., 1758
Aquila heliaca Savigny, 1809
Francolinus francolinus L., 1776
Tetraogallus caspius Gmelin, 1784
Porphyrio porphyrio Latham, 1801
Regulus ignicapillus Temminck, 1820

Endangeres species

Falco peregrinus Gmelin, 1788
Aquila chrysaëtus l., 1758
Aquila rapax Temminck, 1828
Pandion haliaëtus L., 1758
Circaëtus gallicus Gmelin, 1788

გნოლი	Perdix perdix L., 1758
რუხი წერო	Grus grus L., 1758
სავათი	Otis tarda L., 1758
სარსარა	Otis tetrax L., 1758
იშვიათი სახეობები	**Rare species**
ბარი (გავაზი)	Falco cherrug Gray, 1834
კავკასიური როჭო	Lyrurus mlokosiewiczi Taczanowski, 1875
სვავი	Aegypius monachus L., 1766
ორბი	Gyps fulvus Hablizl, 1783
დიდი ოყარი (დიდი თეთრი ყანჩა)	Egretta alba L., 1758
პატარა ოყარი (პატარა თეთრი ყანჩა)	Egretta garzetta L., 1766
მყივანი (ყვითელნისკარტა) გედი	Cygnus Cygnus L., 1758
სისინა (წითელნისკარტა) გედი	Cygnus olor Gmelin, 1783
სირიული ხეკოდა (სირიული კოდალა)	Dendrocopos syriacus Hemprich et Ehrenberg, 1838
დიდი კოჭობა	Carpodacus rubicilla Güld., 1775
წითელმუცელა ბოლოცეცხლა	Phoenicurus erythrogaster Güld., 1775
წითელფრთიანი კოჭობურა	Rhodopechys sanguinea Güld., 1897
წითელთავა ღაჟო	Lanius senator L., 1758
წითური ასპუჭაკა	Cercotrichas (Erythropygia) galactotes Temminck, 1820
მოკლეთითა მგლინავა	Certhia brachydactyla Brehm, 1820
ულვაშა წიწკანა	Panurus biarmicus L., 1758
ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ლ ე ბ ი	**R E P T I L I A**
გამქრალი და მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები	**Extincted species or those survived in incacessible places**
გრძელფეხა სცინკი	Eumeces schneideri Daud, 1802
დასავლური მახრჩობელა	Eryx jaculus L., 1758
იშვიათი სახეობები	**Rare species**
გრძელი მცურავი	Elaphe longissima Laurenti, 1768
კავკასიური გველგესლა	Vipera kaznakovi Nikolsky, 1910
ცხვირრქოსანი გველგესლა	Vipera ammodytes L., 1758
ხმელთაშუა ზღვის კუ	Testudo graeca L., 1758
ა მ ფ ი ბ ი ე ბ ი	**A M P H I B I A**
გამქრალი და მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები	**Extincted species or those survived in incacessible places**
სირიული მყვარი	Pelobates syriacus Boett., 1889
იშვიათი სახეობები	**Rare species**
მცირეაზიური ტრიტონი	Triturus vittatus (Jenyns, 1835)
კავკასიური ჯვრიანა	Pelodytes caucasicus Boulenger, 1896
კავკასიური სალამანდრა	Martensiella caucasica (Waga, 1876)
თ ე ვ ზ ე ბ ი	**P I S C E S**
გამქრალი და მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები	**Extincted species or those survived in incacessible places**
ატლანტური ზუთხი	Acipenser sturio L., 1758

გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

ნიამორი
Capra aegagrus Erxleben, 1777

რიგი — წყვილჩლიქოსნები — Artiodactyla
ოჯახი — ძროხისებრნი (ღრურქიანები) — Bovidae





სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

გავრცელება. გავრცელებულია თურქეთის, ირანის, ერაყის, ლიბანის, დასავლეთ ავღანეთის, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნისა და თურქმენეთის მთებში. საქართველოში — თუშეთისა და პირიქითა ხევსურეთის ტერიტორიაზე.

საბინადრო არეალი. ძირითადი ადგილსამყოფელია მთის ზედა სუბალპური მეჩხერი ტყით დაფარული მიუდგომელი კლდეები. ვერტიკალური გავრცელება ზღვის დონიდან 1500-დან 3200 მეტრამდე.

რიცხოვნობა ბუნებაში. თუშეთსა და პირიქითა ხევსურეთში მეტისმეტად შემცირებულია ნიამორის რიცხოვნობა. ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი მისი ბიოეკოლოგია. იშვიათია, რომ არვეში 5-6 სულზე მეტი ნიამორი იყოს გაერთიანებული.

გამრავლება. ახურება ეწყებათ ნოემბერში და გრძელდება დეკემბრამდე. აპრილის ბოლოდან ივნისის დასაწყისამდე შობს 1-2 ციკანს მეტად მიუვალ ადგილებში და აქვე რჩება, სანამ ციკნები კარგად მომაგრდებიან. სქესობრივ სიმწიფეს ნეზვები 1 წლის ასაკში აღწევენ, ხოლო ვაცები გამრავლებაში მონაწილეობენ 3-4 წლიდან.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ბუნებაში ნიამორის კონკურენტებიდან აღსანიშნავია ჯიხვი და იშვიათად არჩვი, ხოლო მისი მტრებიდან ძირითადად მგელი, ფოცხვერი და მთის არწივი. ნიამორის დაავადებებზე ცნობები არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ნიამორის არეალისა და მისი რიცხოვნობის უკიდურესად შემცირების მთავარ მიზეზად ანთროპოგენური ფაქტორი უნდა ჩაითვალოს.

დასაცავად მიღებული ზომები. აკრძალულია მასზე ყოველგვარი ნადირობა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ნიამორის, როგორც ჩვენი ფაუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, დაცვისა და კვლავწარმოებისათვის აუცილებლად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ნიამორის მკაცრი დაცვა ახლანდელი გავრცელების ადგილები (თუშეთში და პირიქითა ხევსურეთში).

2. ნიამორის გარკვეული რაოდენობის შეყვანა წინანდელი გავრცელების ადგილებში (სამხრეთ კავკასიონზე).

ინფორმაციის წყაროები: ექვთიმიშვილი, 1954; ჯანაშვილი, 1963; Соколов, 1958; Жизнь животных, 1971.

ქურციკი (ჯეირანი)
Gazella subgutturosa Güld., 1780

რიგი — წყვილჩლიქოსნები — Artiodactyla
ოჯახი — ძროხისებრნი (ღრურქიანები) — Bovidae

სტატუსი. ამჟამად საქართველოში რეინტოდუცირებულია აზერბაიჯანიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე.

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენებულია ეროვნულ დონეზე (RE)

გავრცელება. ქურციკი ფართოდაა გავრცელებული პალეარქტიკის უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ზონაში, ამჟამად მისი გავრცელება მოიცავს წინა, ცენტრალურ და შუა აზიას, ჯუნგარიას და ტიბეტის ჩრდილო ნაწილს, სადაც სპორადულად გვხვდება.

ქურციკის საკმაოდ ჯანსაღი პოპულაცია გვხვდება აზერბაიჯანში.

საქართველოში ქურციკი მთლიანად გაქრა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქურციკი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში: სამგორის, ყარაიას, შირაქისა და ელდარის ველებზე.

საბინადრო არეალი. საქართველოში ქურციკის ადგილსამყოფელს წარმოადგენს ღია ველები უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ავშნიანი მლაშე ნიადაგებით.

განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ქურციკის გავრცელების ადგილები მეოცე საუკუნის 20-40-იან წლებში, ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო მიზნით ათვისების გამო.

გამრავლება. დედალი ქურციკი გამრავლებაში მონაწილეობს 18-19 თვის ასაკიდან, მამალი — 2,5 წლიდან. ქერშილობა ნოემბრის მეორე ნახევრიდან ეწყებათ და დეკემბრის ბოლომდე გრძელდება. ციკნიანობა მაისის მეორე ნახევრიდან იწყება, შობს 1-2, იშვიათად 3 ნაშიერს. პოლიგამური ცხოველია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ქურციკის რაოდენობის შემცირებას განაპირობებს ის, რომ მის ადგილსამყოფელზე ცხვრის ფარები ძოვენ. ბუნებრივი მტრებია: მგელი, ტურა და მელა. გარკვეულ ზიანს აყენებს მეცხვარის და მაწანწალა ძაღლები, მოზარდი ქურციკისათვის ზიანი არწივებსაც მოაქვთ. ამ ცხოველში დარეგისტრირებულია ჰელმინთური დაავადებები (დიკროცელიოზი, ხაბერციოზი, ტრიქოსტრონგილიდოზი).

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ქურციკი ტყვეობაში კარგად მრავლდება და ადვილად შინაურდება.





დასაცავად მიღებული ზომები. ქურციკზე ნადირობა აკრძალულია.

დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებები. ქურციკის რეინტროდუქცია, რომელიც ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ხორციელდება, კომპლექსური და ხანგრძლივი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს; მნიშვნელოვანია მწყემსებს შორის პროპაგანდის გაძლიერება, რათა მათ თვითონ დაიცვან ქურციკი თავიანთ სამოქმედო რაიონებში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Соколов, 1958; როდონაია, 1972.

ზოლებიანი აფთარი
Hyaena hyaena L., 1758

რიგი — მტაცებლები — Carnivora
ოჯახი — აფთრისებრნი — Hyaenidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)





საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

გავრცელება. ზოლებიანი აფთარი გავრცელებულია: აფრიკაში, არაბეთში, ირანში, ავღანეთში, ინდოეთში, მცირე აზიასა და შუა აზიის სამხრეთ რაიონებში. ამიერკავკასიაში: სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში (ივრის ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში). ადრე ზოლებიანი აფთარი გვხვდებოდა თბილისის მიდამოებამდე. ამჟამად, ერთეულების სახით, შემორჩენილია მხოლოდ ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

საბინადრო არეალი. აფთარი უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების ტყე-ბუჩქნარიანი ადგილების მობინადრეა. უპირატესობას აძლევს დაუსახლებელ მყუდრო კლდიან ღელეებს „ალესილებს“, სადაც ტყე-ბუჩქნარი, ხრამი ერთმანეთშია არეული და გამოქვაბულებს ქმნის, რასაც აფთარი თავშესაფრად იყენებს. სწორედ ასეთი გაუვალი მყუდრო ადგილების წყალობით გადარჩა აფთარი ვაშლოვანის ნაკრძალში.

ამ ბოლო დროს აფთრის ადგილსამყოფლის ინტენსიური ათვისება ხდება. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ტყე-ბუჩქნარიან ადგილებს კი საზამთრო საძოვრებად იყენებენ. მაგრამ აფთრის საიმედო თავშესაფარს, გაუვალ კლდეებსა და ხრამებს, ვაშლოვანის ნაკრძალსა და მის მოსაზღვრე ადგილებში საკმაოდ დიდი ფართობი უკავია და ამ ცხოველის გადარჩენის პერსპექტივას იძლევა.

რიცხოვნობა ბუნებაში. აფთრის რიცხოვნობა ბუნებაში უკიდურესად შემცირებულია.

გამრავლება. აფთარი სქესობრივ სიმწიფეს 3 წლის ასაკში აღწევს. მძუნაობა გვიან შემოდგომასა და ზამთარში (უფრო დეკემბერ-თებერვალში) მიმდინარეობს. მაკეობის ხანგრძლივობა 90-94 დღემდე გრძელდება. შობს 2-4 თვალაუხელელსა და უსუსურ ლეკვს, რომლებიც თვალებს 10-15 დღის შემდეგ ახელენ. ლაქტაცია სამ თვემდე გრძელდება.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. აფთრის კონკურენტები არიან მის ადგილსამყოფელში ფართოდ გავრცელებული მგელი, მელა, ტურა, გარეული კატა, მოხეტიალე ძაღლი, ორბი და სვავი. ბუნებრივ მტრად შეიძლება ჩაითვალოს მგელი. დაავადებები შეუსწავლელია.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. აფთრის რიცხოვნობის შემცირების ძირითადი მიზეზია მისი ადგილსამყოფლის ინტენსიური ათვისება, საძოვრად გამოყენება, ამ ადგილებში ღამით მანქანებით ბრაკონიერობა, როდესაც საშოვარზე გამოსული აფთარიც მონადირეების მსხვერპლი ხდება. ამავე დროს თვით ცხოველის გამრავლების დაბალი ტემპი და მოსახლეობაში არასწორი წარმოდგენა, თითქოს აფთარი საშიში მტაცებელია: იტაცებს ბავშვებს, საფლავიდან იღებს მკვდრებს და სხვ.

დასაცავად მიღებული ზომები. აფთარი შეტანილი იყო მტაცებელ ცხოველთა სიაში და მასზე ნებადართული იყო ნადირობა წლის ყველა დროს. ნადირობა აიკრძალა 1965 წლიდან.

დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებები. ზოლებიანი აფთრის გადარჩენისა და დაცვის ღონისძიებები: ზოოპარკში მოშენება და ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში დაცვის ღონისძიებათა გაძლიერება. აფთრის საბინადრო არეალში ყულფებისა და ხაფანგების დაგების აკრძლვა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963, არაბული 1978, Сатунин, 1915.

ჯიქი

Panthera pardus, 1758

რიგი — მტაცებლები — Carnivora
ოჯახი — კატისებრნი — Felidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

გავრცელება. ჯიქი გვხვდება აფრიკაში, შუა, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, კავკასიაში.

საქართველოში ჯიქი წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული. გვხვდებოდა მთავარი კავკასიონის ქედის ტყეებში, ბორჯომის ხეობაში, ქართლ-იმერეთისა და გურია-აჭარის მთებში. იყო ნადირობის ობიექტი. ამჟამად მისი გავრცელება საქართველოში მეტად შემცირებულია. ერთეულების სახით (თოვლზე ნაკვალევის მიხედვით) შემორჩენილია კავკასიონის ქედისა და მისი განშტოებების მიუწვდომელ ადგილებში, აფხაზეთისა და





ლაგოდეხის რაიონის უღრან ტყეებში. 1950 წელს ჯიქი მოკლეს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სოფ. განთიადის მახლობლად. მეორე ეგზემპლარი მოკლულია 1954 წელს ზედაზენის ტყეში. წარსულში კოდორისა და ბზიფის ხეობაშიც გვხვდებოდა 3500 მ-მდე ზღვის დონიდან.1948-1955 წლებში მისი კვალი ახალ თოვლზე აღინიშნებოდა ლაგოდეხის ნაკრძალის სუბალპურ და ალპურ ზონაში, 1970 წელს — მთათუშეთში (უკანა ფშავის მთა), 1977 წელს — სპეროზის მთაზე (ალაზნის სათავეში).

საბინადრო არეალი. ძირითადად დასახლებულია მაღალი მთის ტყის მასივებში და სუბალპურ ბალახნარებში. ამჟამად ჯიქის საცხოვრებელი გარემოს ბუნებრივი პირობები შეიცვალა, შეცვლა გამოწვეულია ტყის მასივებისა და სუბალპურ-ალპური საძოვრების სამეურნეო მიზნით გამოყენების გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოში ჯიქის საერთო რიცხოვნობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ვიზუალური შეფასებით (თოვლზე ნაკვალევის მიხედვით) ჩვენში უკვე იშვიათი ცხოველია.

გამრავლება. სქესობრივად მწიფდება 2-3 წლის ასაკში, მძუნაობს ზამთარში. მაკეობის ხანგრძლივობა უდრის 3 თვეს. შობს 1-2 ნაშიერს. ცოცხლობს 25 წელს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ბუნებაში მისი კონკურენტებია ყველა სახის დიდი ზომის მტაცებელი ნადირი: მგელი, ფოცხვერი, დათვი. დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. წარსულში ინტენსიური ნადირობა, ამჟამად კი ბუნებრივი ადგილსამყოფლის სამეურნეო მიზნით გამოყენება, შემცირებული საკვები ბაზა, შემაწუხებელ ფაქტორთა ზრდა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. თბილისის ზოოპარკში თითქმის ყოველთვის არის თითო ჯიქი. აქ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა (შემოყვანიდან) აღწევს 15 წლამდე.

თბილისის ზოოპარკში არის 2 ინდივიდი.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. საერთოდ ცნობილია ტყვეობის პირობებში გამრავლების შემთხვევა. თბილისის ზოოპარკის პირობებში კი ჯიქის გამრავლების შემთხვევა ჯერ არ ყოფილა.

დასაცავად მიღებული ზომები. საქართველოში კანონით აკრძალულია ჯიქზე ნადირობა, მიღებულია ზომები ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

დაცვის აუცილებელი პირობები. ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Новиков, 1956; არაბული, 1978.

ჭრელტყავა

Vormela peregusna Güld., 1770

რიგი — მტაცებლები — Carnivora
ოჯახი — კვერნისებრნი — Mustelidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

გავრცელება. ჭრელტყავა გავრცელებულია რუმინეთში, ბულგარეთში, წინა და მცირე აზიაში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში, ჩინეთში, უკრაინის სამხრეთ ოლქებსა და შავი ზღვის სანაპირო ველებზე, ყაზახეთში, ამიერკავკასიაში. საქართველოში ბინადრობს ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გორის, კასპის, მცხეთის, თელავის, ბოლნისის რაიონებში, სამგორში.

საბინადრო არეალი. ჭრელტყავა სიმშრალის მოყვარული ცხოველია. ვერტიკალურად ვრცელდება 2100 მ-მდე ზღვის დონიდან (სომხეთი). მისი ადგილსამყოფელი ღია, მშრალი ლანდშაფტებია. ძირითადად სოროს ბინადარი ცხოველია, სოროს თვითონ თხრის, უმეტესად კი სხვის (მექვიშიების, ზაზუნების, ბრუცების და სხვ.) სოროში ბინადრობს. ხშირად სახლდება ქუჩიან ზეგნებზე, აგრეთვე სარწყავ მიწებზეც — ბაღებსა და ბოსტნებში. ამ ბოლო წლებში ხდება ჭრელტყავას ტიპურ ადგილსამყოფელთა სასოფლო-სამეურნეო მიზნით ათვისება.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოში ჭრელტყავას დასახლების სიმჭიდროვის შესახებ ციფრობრივი მასალები არ მოიპოვება, მაგრამ, შეხვედრის მიხედვით, მათი გავრცელების ადგილებში ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება (ათეულ კვ. კმ.-ზე თითო-ოროლა).

გამრავლება. ჭრელტყავას გამრავლების შესახებ ლიტერატურაში განსხვავებული ცნობები მოიპოვება. მაგალითად, ა. ჯანაშვილის მონაცემებით, ჭრელტყავა მძუნაობას გაზაფხულზე, აპრილ-მაისში იწყებს, ხოლო მაკეობის ხანგრძლივობა ორ თვემდე გრძელდება, შობს 4-8 ნაშიერს. გრომოვი და სხვები მიუთითებენ, რომ ჭრელტყავას მძუნაობა აგვისტო-სექტემბერში მიმდინარეობს, ხოლო მაკეობის ხანგრძლივობა ხუთ თვემდე





გრძელდება, აგრეთვე ახასიათებს ლატენტური სტადია. ასევე განსხვავებულ მონაცემებს იძლევიან ჭრელტყავას გამრავლების შესახებ ბობრინსკი და სხვ.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. საქართველოს პირობებში ჭრელტყავას ბიოლოგია სრულიად შეუსწავლელია, ამიტომ მისი კონკურენტების, მტრებისა და დაავადებების შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ჭრელტყავას რიცხობრივი ცვლილების (უარყოფითი ან დადებითი მიმართულებით) მიზეზი შესწავლილი არ არის; შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს მისი ტიპური ადგილსამყოფლის სასოფლო-სამეურნეო მიზნით ათვისება.

დასაცავად მიღებული ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე ჭრელტყავას დასაცავად ზომები მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ჭრელტყავაზე ნადირობის სრული აკრძალვა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965.

თეთრმუცელა სელაპი

Monachus monachus Hermann, 1779

რიგი — ფარფლფეხიანები — Pinnipedia
ოჯახი — სელაპისებრნი — Phocidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენებულია ეროვნულ დონეზე (RE)

გავრცელება. თეთრმუცელა სელაპი არის ატლანტის ოკეანეში აფრიკის ნაპირებთან, ხმელთაშუა ზღვაში; შავ ზღვაში იშვიათად გვხვდება ანატოლიის, ბულგარეთისა და რუმინეთის ნაპირებთან, უფრო იშვიათად — ყირიმთან.

საქართველოში გვხვდება გამონაკლისის სახით: 1939 წელს ამ ცხოველის ერთადერთი ეგზემპლარი აღნიშნულია ბათუმის მახლობლად.

საბინადრო არეალი. თეთრმუცელა სელაპის ადგილსამყოფელია ზღვა, სანაპირო ზონა. სანოლარები გვხვდება სანაპიროზე: კლდეთა ნაპრალებში, ქვაღორღიან ადგილებში. ადგილსამყოფელის უმეტესობა განიცდის ადამიანის სამეურნეო ზეგავლენას.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. თეთრმუცელა სელაპი მრავლდება ზაფხულის დამლევს — შემოდგომის დასაწყისში. მაკეობა გრძელდება 11 თვემდე. ახალშობილის სხეულის სიგრძე აღწევს 120 სმ, წონა — 20 კგ. დედის რძით იკვებება 8 კვირის განმავლობაში. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 4 წლის ასაკში.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ცნობები არ გაგვაჩნია.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ არის.

გადაშენების მიზეზები. რეწვა, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, ზღვის გაჭუჭყიანება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и соавт., 1963; Бобринский и соавт., 1965.





ბადაშენების ჰიჰას მისული სახეობები

წავი
Lutra lutra meridionalis Ogn., 1931

რიგი — მტაცებლები — Carnivora
ოჯახი — კვერნისებნი — Mustelidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. წავი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო ამერიკასა და ჩრდილო აფრიკაში. საქართველოში მრავალ ადგილას გვხვდება ერთეულების სახით. შედარებით უფრო მეტია მდინარე მტკვრის ხეობაში (ასპინძისა და ახალციხის რეგიონების ფარგლებში), ჩაქვისწყლისა და აჭარისწყლის ხეობებში, სუფსის, რიონის, ალაზნის და ივრის ჭალებში. ზღვის დონიდან ვერტიკალურად 2800 მ-მდე ვრცელდება.

საბინადრო არეალი. წავი ცხოვრების ნირით წყალთანაა დაკავშირებული. იქ პოულობს საკვებსა და თავშესაფარს. მას შორ მანძილზე არ სცილდება. ამიტომ ირჩევს ისეთ მდინარეებს, სადაც წყალი ჩქარი, წმინდა, გამჭვირვალეა და მისი საყვარელი საკვები — თევზი, ბაყაყი მრავლად მოიპოვება. მდორე და მღვრიე მდინარეებს ერიდება. თავს აფარებს იქ, სადაც მდინარეს ჩახერგილი, მიუდგომელი ქვაკლდიანი ნაპირი აქვს და თავისებურ ჩიხებსა და მორევებს ქმნის. ასეთ ადგილებში მეტი სიმყუდროვეა და წავიც სოროს იქ იკეთებს, აწყობს დასასვენებელ ბაქნებს. თუ მდინარე არ იყინება, ის საუკეთესო პირობებს ქმნის წავის გამრავლებისა და არსებობისათვის. როცა მდინარე იყინება, წავი ადგილს ინაცვლებს ერთი წყალსატევიდან მეორეში. ამ დროს მდინარის მოშორებითაც გვხვდება, ზოგჯერ კი ტყეში არსებულ ფშების გუბეებთან გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ იქ დიდხანს არ ჩერდება.

წავის ადგილსამყოფელი ჭალებში ბევრგან განიცდის ადამიანის უარყოფით ზეგავლენას, მაგრამ მისი საიმედო თავშესაფარი, მთის მდინარეების სანაპირო ადგილები ბევრგან ისევ ხელშეუხებელი და სრულყოფილი სახით არსებობს.

რიცხოვნობა ბუნებაში. წავის რაოდენობრივი აღრიცხვა არ ჩატარებულა. წარსულში უფრო მრავლად იჭერდნენ. ამჟამად ყველგან ერთეულების სახით გვხვდება. უფრო მეტია ასპინძის რაიონში.

გამრავლება. წავი სქესობრივად 3 წლის ასაკში მწიფდება, მძუნაობს სხვადასხვა დროს, უფრო თებერვალ-აპრილში. ამის მიხედვით პატარებიც სხვადასხვა დროს (აპრილ-მაისში, ივნის-აგვისტოში, ხშირად დეკემბერ-თებერვალშიც) იბადებიან. მაკეობის ხანგრძლივობა აღწევს 63-70 დღემდე, შობს 2-5 თვალაუხელელ და უსუსურ ნაშიერს, რომლებსაც თვალები 12-15 დღის შემდეგ ეხილებათ. პატარები ნახევარ წლამდე დედასთან არიან; წავი ცოცხლობს 20 წლამდე.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. წავს საქართველოს ბუნებაში კონკურენტები თითქმის არ ჰყავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ევროპულ წაულას და ალაზნის ჭალაში ახლად შემოჭრილ ენოტს, ანკარებსა და წყლის ვირთაგვებს, რომლებიც ხშირად ბაყაყებით, თევზებითა და კიბორჩხალებით იკვებებიან. ასევე ნაკლებად ჰყავს ბუნებრივი მტრებიც. პატარა წავს თავს ესხმის: ფოცხვერი, გარეული კატა, კვერნა, ზარნაშო, ქორი, არწივი. ავადდება კოქციდიოზით, ფილტვების ტუბერკულოზით, ენდოკარდიტით. ჰელმინთური დაავადება შესწავლილი არ არის.





რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. წავის რიცხოვნობის შემცირების ძირითადი მიზეზებია ძვირფასი ბეწვის გამო მასზე ნადირობა; ხაფანგშიც ადვილად ებმება; ამავე დროს მაკეობა და მშობიარობა ხშირად ზამთარში უწევს, როცა მდინარეები გაყინულია, რის გამოც შთამომავლობა იღუპება; ხშირია ბერწიანობაც.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. წავი ადვილად ეჩვევა ადამიანს. სათანადო ხელშეწყობით ტყვეობაში მრავლდება, მაგრამ დიდხანს ვერ ცოცხლობს.

დასაცავად მიღებული ზომები. საქართველოში წავზე ნადირობა კანონით აკრძალულია განუსაზღვრელი დროით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა შეიქმნას სპეციალური წავსაშენი, სადაც ხელოვნურ და ნახევრადბუნებრივ პირობებში მოხდება წავის მოშენება (ზამთარში შთამომავლობის შენარჩუნებით). ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოვიყენოთ ჭალიანი ადგილები, სადაც ფშის წყლები ხშირად გამოდის, გუბეებს ქმნის, არ იყინება და მდიდარია ბუნებრივი საკვებით. ამავე დროს, წავის ნაკრძალად შეიძლება გამოცხადდეს მტკვრის ხეობა — ასპინძა-ვარძიის ფარგლებში, სადაც წავი ამჟამად ყველაზე მრავლადაა, მაგრამ მის დასაცავად უნდა აიკრძალოს ბრაკონიერობა. მდინარის შესაფერის ადგილებში შეიძლება მოეწყოს წავის ლეკვებისათვის საზამთრო თავშესაფარი და საკვებურები.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Верещагин, 1947, Гептнер и др., 1967 Громов и др., 1963.

კავკასიური წაულა

Lutreola lutreola turovi Kuznez. et Novik., 1939

რიგი — მტაცებლები — carnivora
ოჯახი — კვერნისებრნი — Mustelidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელ ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. გავრცელებულია ბზიფის ხეობაში, ფსხუსთან. მისი ბიოეკოლოგია ჩვენში შესწავლილი არ არის.

ადგილსამყოფელი, მისი ახლანდელი მდგომარეობა. კავკასიური წაულა ცხოვრობს თევზით მდიდარი წყალსაცავების სანაპიროებში, რომლებიც შემოსილია ტყით ან ბუჩქნარით. ზოგჯერ გვხვდება ჭაობიან ადგილებშიც. ბუნაგს იკეთებს სოროში, ხის ან ფიჩხის ქვეშ; სოროს ერთი ხვრელი დაკავშირებულია წყალთან, მეორე — მიწის ზედაპირთან, ბუჩქით ან ქვანაყარით დაფარულ ადგილებში. ძირითადად იკვებება მღრღნელებით, ამფიბიებით, ქვეწარმავლებით, თევზებით, უხერხემლო ცხოველებით, იშვიათად — ფრინველებით და მცენარეული ნაყოფით.

თევზის სატბორო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში კავკასიური წაულას ადგილსამყოფელიც გაიზრდება.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობები არ არის.

გამრავლება. მძუნაობს მარტ-აპრილში. მაკეობის ხანგრძლივობა — 42-45 დღემდე. შობს 2-7 უსუსურ ნაშიერს, რომლებიც თვალებს ახელენ 30-35 დღის შემდეგ. სქესობრივად მწიფდება ერთი წლის ასაკში.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. მისი კონკურენტებია ყველა ცხოველი, რომლებიც თევზით და მღრღნელებით საზრდოობენ — წავი და სხვ. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის.





რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები.უკანონო ნადირობა ამცირებს რიცხოვნობას. ძვირფასი ბეწვის მომცემი ცხოველია. რიცხოვნობის სიმცირის გამო ჩვენში მას სარეწაო მნიშვნელობა არ აქვს.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობილი არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. ნადირობის აკრძალვა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ. ცხოველის ბიოეკოლოგიის შესწავლა საქართველოს პირობებში და ამის საფუძველზე გამრავლების ხელშემწყობ ღონისძიებათა დასახვა მისი გავრცელების კონკრეტულ ადგილებში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963.

კავკასიური ფოცხვერი

Lynx Lynx (Felis Lynx orientalis Sat., 1905)

რიგი — მტაცებლები — Carnivora
ოჯახი — კატისებრნი -Felidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)





საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

გავრცელება. ფოცხვერი გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში. გვხვდება კარპატებში, ციმბირში, ალტაიში, შუა აზიის მთებში, კავკასიაში. საქართველოს ტყეებში ფოცხვერი თითო-ოროლა ყველგან მოიპოვება, უმეტესად იქ, სადაც შველი, ირემი, არჩვი ბინადრობს. უფრო ხშირია ბორჯომის, კინტრიშის, ბაწარისა და ლაგოდეხის ნაკრძალებში, ზეკარის სამონადირეო მეურნეობაში, აბასთუმნის ტყეში, ალაზნის, ივრის, არაგვის, ქსნის, ლიახვის ხეობათა სათავეებში. აფხაზეთში: გუმისთის, ბზიფისა და კოდორის ხეობებში. ვერტიკალურად ზღვის დონიდან 3000 მ-დე ვრცელდება.

საბინადრო არეალი.ფოცხვერი ტყის ტიპური ცხოველია. კარგად დაძვრება და იმალება ხეებზე; უტყეო ადგილას და ბუჩქნარებში დიდხანს არ ჩერდება, უფრო უღრან ტყეებში ან ტყის ზედა სარტყელში ბინადრობს. დღისით წევს კლდის ნაპრალში, წაქცეული ხეების ქვეშ, ზოგჯერ ხშირტოტიან ხეზე აფარებს თავს. გარემოსთან ყოველთვის შეხამებული და ჩასაფრებულია. ამიტომ ადამიანი მას იშვიათად ხედავს.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველში გასული საუკუნის 80— იან წლებში 570-მდე ფოცხვერს ითვლიდნენ. 1974-1975 წწ. ბორჯომის ხეობაში მგელთან ბრძოლის დროს 13 ფოცხვერი მოინადირეს.

გამრავლება. ფოცხვერი სქესობრივად 2 წლის ასაკში მწიფდება. მძუნაობს თებერვალ-მარტში. მაკეობის ხანგრძლივობა გრძელდება 64-67 დღემდე. შობს 2-6 უსუსურ ნაშიერს, რომელთაც თვალები 10-12 დღის შემდეგ ეხილებათ. შთამომავლობის გაზრდაში ორივე მშობელი მონაწილეობს, ცოცხლობს 20 წლამდე.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ფოცხვერის ბუნებრივი მტრებია: ჯიქი, მგელი, მოხეტიალე ძაღლები. პატარებს თავს ესხმის ზარნაშო. კონკურენტებია: მგელი, მელა, ტურა, კვერნა, ტყის კატა, ჯიქი. ავადდება ცოფით, ქეცით, კოკციდიოზით. რეგისტრირებულია ცესტოდები (2 სახეობა), ნემატოდები (11 სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ფოცხვერის რიცხობრივი ცვლილებების მიზეზია საკვების უკმარისობა და მიგრაციები, ამავე დროს მასზე ინტენსიური ნადირობა; ხშირად ებმება მგლისა და ტურისათვის დაგებულ მახეში.

გამრავლება ტყევეობის პირობებში. ფოცხვერი ადვილად ეჩვევა ადამიანს, მაგრამ დიდხანს ვერ ძლებს. ტყეობის პირობებში იშვიათად მრავლდება.

დასაცავად მიღებული ზომები. 1975 წლამდე ფოცხვერი ირიცხებოდა სამონადირეო და სოფლის მეურნეობისათვის მავნე მტაცებელ ცხოველთა სიაში. მისი მოკვლისათვის ჯილდო იყო დაწესებული.

დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებები. ფოცხვერზე ნადირობის მკაცრად აკრძალვა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; არაბული, 1978; როდონაია, 1972; Арабули, 1970; Громов, и др., 1963.

იშვიათი სახეობები, რომლებსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა რაოდენობით, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რომ შესაძლებელია სწრაფად გადაშენდნენ

კავკასიური ირემი
Cervus elaphus maral Ogilby, 1850

რიგი — წვრილჩლიქოსნები — Artiodactyla
ოჯახი — ირმისებრნი — Cervidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

გავრცელება. ირემი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო აფრიკაში და ჩრდილო ამერიკაში. საქართველში ბინადრობს კავკასიური ირემი, რომელიც წარსულში არსებობდა როგორც მთის, ისე ჭალის ტყეებში. ამჟამად კი მხოლოდ მთის ტყეების ზოგიერთ უბანში გვხვდება და იქაც მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი (900-2500 მ ზღვის დონიდან). ჭალის ტყეებში, გარდა გარდაბნის სატყეო სამონადირეო მეურნეობისა, აღარსად მოიპოვება. მისი არეალი მნიშვნელოვნადაა შევიწროვებული. გვხვდება მხოლოდ ბორჯომის, ლაგოდეხისა და საგურამოს ნაკრძალებში. ერთეულებია ყვარლის, დუშეთის, ახალგორის, კასპის, ცხინვალის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის რაიონებში და აფხაზეთში — ბზიფის ხეობაში, რიწის ნაკრძალში.

საბინადრო არეალი. ირემი ისეთ ტყეებშიბინადრობს, სადაც ფართო ბალახიანი ველობები სუბალპურ და ალპურ მდელოებში გადადის და თან წყლიანი ხევები და ბუნებრივი სამარილეები ახლავს. ირემს უწყლოდ არსებობა არ შეუძლია, მას იყენებს როგორც სასმელად, ისე საბანაოდ. წყლისა და მარილისათვის საკმაოდ დიდ მანძილზე დაიარება.

საქართველოს ტყეებში ირმის ადგილსამყოფლების ფართობი ტყეების ჩეხვისა და გამეჩხერების გამო გაიზარდა, სამაგიეროდ, სუბალპურ და ალპურ ზონებში საძოვრების ინტენსიური გამოყენების გამო შემცირდა.

რიცხოვნობა ბუნებაში. ირმის რიცხოვნობა საქართველოში ამჟამად 700-800 სულს არ აღემატება.

გამრავლება. ირემი სქესობრივად მწიფდება 2,5 წლის ასაკში, ხურაობა სექტემბრის მეორე ნახევრიდან იწყება და ნოემბრამდე გრძელდება. მაკეობის ხანგრძლივობა — 8,5 თვე. მაის-ივნისში შობს ერთ ნუკრს. დედა პირველად თან არ ატარებს, ბალახებში მალავს, ერთი თვის შემდეგ კი თან დასდევს. ძუძუს 6 თვემდე აწოვებს. ცოცხლობს 20 წლამდე, ტყვეობაში კი 6-8 წლამდე.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ირმის ძირითადი კონკურენტი შველი და გარეული ღორია, უფრო მეტად კი შინაური პირუტყვი. მტრებიდან აღსანიშნავია მგელი, ფოცხვერი და მაწანწალა ძაღლები. ავადდება თურქულით, ცოფით, ემართება ჰიპერკერატოზი. რეგისტრირებულია ტრემატოდები (2 სახეობა), ცესტოდები (8 სახეობა) და ნემატოდები (10 სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ირმის რიცხოვნობის შემცირების ძირითადი მიზეზებია ბრაკონიერობა, ირმის ნაკრძალებში მგლის სიმრავლე. ამავე დროს ადამიანის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით ირმის ადგილმონაცვლეობისა და გავრცელების შეზღუდვა; შევიწროებულ ადგილებში თავმოყრა, ხშირი ნათესაური შეჯვარებები იწვევს ამ ცხოველის დაკნინება-გადაგვარებასა და მოსპობას.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ირემი ად-





ვილად ეჩვევა ადამიანს, კარგად იტანს ტყვეობას და მრავლდება.

დასაცავად მიღებული ზომები. ირემზე ნადირობა სამეცნიერო მიზნებითაც კი აკრძალულია. 1964-1965 წლებში ირემზე დაშვებული იყო სალიცენზიო ნადირობა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. კავკასიური ირმის ზოოპარკში მოშენება ჯერჯერობით არ ხერხდება და ეს არცაა მიზანშეწონილი. საჭიროა დაცულ ტერიტორიებში სამეცნიერო მუშაობის გაფართოება; ირმის ადგილსამყოფელში ტყის ჩეხვის, გზების გაყვანის, პირუტყვის ძოვებისა და ბრაკონიერობის აღკვეთა. ნაკრძალებიდან სამონადირეო მეურნეობაში ირმის ხელოვნურად გავრცელება. ირმის გავრცელების შეზღუდულ ადგილებში, სისხლის განახლების მიზნით, კავკასიური ირმის მწარმოებლების შეყვანა.

ინფორმაციის წყაროები: არაბული, 1977; 1978; როდონაია, 1972; ყურაშვილი, 1964.



ამიერკავკასიური ზაზუნა

Mesocricetus brandti Nehring, 1894

რიგი — მღრღნელები — Glires
ოჯახი — ზაზუნისებრნი — Cricetidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. ამიერკავკასიური ზაზუნა გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, რუმინეთში, ბულგარეთში, მცირე აზიაში, სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ამიერკავკასიასა და დაღესტანში. არეალის ამიერკავკასიის ნაწილში ამ სახეობის ზაზუნა გვხვდება აზერბაიჯანსა და სომხეთის ღია ლანდშაფტებში, თალიშში; საქართველოში — ჯავახეთის, ქართლისა და კახეთის ველების ზონაში. ვერტიკალურად ვრცელდება 2800 მ-მდე ზღვის დონიდან.



საბინადრო არეალი. ამიერკავკასიური ზაზუნას ადგილსამყოფელი წარმოდგენილია ქსეროფილური მცენარეულობის ლანდშაფტებით, რომლისათვის დამახასიათებელია მშრალი კლიმატი ამიერკავკასიური ზაზუნას გავრცელების (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში) ადგილებს ამ ბოლო წლებში ინტენსიურად ითვისებენ სასოფლო-სამეურნეო მიზნით.

რიცხოვნობა ბუნებაში. ამჟამად ამიერკავკასიური ზაზუნას რაოდენობა ტიპურ (კეროობრივ) ადგილსამყოფლებშიც კი საგრძნობლად შემცირებულია.

გამრავლება. ამიერკავკასიური ზაზუნა წელიწადში ორჯერ მრავლდება, ზოგან ოთხჯერ ასწრებს, რაც დამოკიდებულია გავრცელების სიმაღლეზე (ზღვის დონიდან) და კლიმატზე. შობს 4-20-მდე ნაშიერს. ზამთრის ძილქუშს ეძლევა ოქტომბრიდან, იღვიძებს ადრე გაზაფხულზე.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ამიერკავკასიური ზაზუნას კონკურენტები არიან მასთან მობინადრე მღრღნელები; განსაკუთრებით საზოგადოებრივი და ჩვეულებრივი მემინდვრიები, რომლებიც კონკურენციას უწევენ საკვების მოპოვებაში. ამიერკავკასიური ზაზუნას მტრებიდან შეიძლება დავასახელოთ — მელა, დედაოფალა, გარეული კატა, გიურზა, ველის გველგესლა, მცურავები, მტაცებელი ფრინველები და სხვ., რეგისტრირებული ცესტოდები (6 სახეობა) და ტრემატოდები (6 სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ამიერკავკასიური ზაზუნას რიცხოვნობის შემცირების მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს ზაზუნას გავრცელების ადგილების ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო ათვისება; მემინდვრიების წინააღმდეგ გამოყენებული შხამქიმიკატებით მოწამვლა; აგროტექნიკურ ღონისძიებათა მაღალი დონე.

გამრავლება ტყევეობის პირობებში. ამიერკავკასიური ზაზუნა ტყვეობას ადვილად ეგუება და მრავლდება, ამის ფაქტები ძალიან ბევრია (თუნდაც მოყვარულთა ოჯახებში).

დასაცავად მიღებული ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე ამიერკავკასიური ზაზუნას დაცვის მიზნით დღემდე არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ამიერკავკასიური ზაზუნას — საქართველოს ფაუნის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლის — დასაცავად საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: 1. მღრღნელების (განსაკუთრებით მემინდვრიების) წინააღმდეგ შხამქიმიკატების გამოყენებისას გათვალისიწინებული უნდა იქნეს ზაზუნების ბიოლოგიური თავისებურებანი, მემინდვრიებისა და ზაზუნების სოროები თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან: ზაზუნების სორო ყოველთვის განიერი, ვერტიკალური და ღრმაა, მაშინ, რო-

დესაც მემინდვრიების სორო ვიწროა და დაქანებული. მისატყუებელი მოშხამული მასალა უნდა შევიტანოთ მემინდვრიების და არა ზაზუნების სოროებში, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი მასობრივი გამრავლებით არ ხასიათდება და სოფლის მეურნეობისათვის მის მიერ მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა; 2. უნდა აიკრძალოს ზაზუნას, როგორც ლაბორატორიული საცდელი ცხოველის, უნებართვო ჭერა. ამ ცხოველით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ზაზუნები ხელოვნურად (ვოლიერებში, სპეციალურ გალიებში) უნდა გაამრავლონ, ამით კი თავიდან ავიცილებთ ზაზუნების ბუნებრივ პირობებში რაოდენობრივი შემცირების ერთ-ერთ მიზეზს და ხელს შევუწყობთ ამიერკავკასიური ზაზუნას, როგორც საქართველოს ფაუნის ერთ-ერთი საინტერესო სახეობის, გადარჩენისა და შენარჩუნების საქმეს.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; მაცაბერიძე, 1976; Громов и др., 1963; Шидловский, 1976.

რადეს ბიგა

Sorex raddei Sat., 1895





რიგი — მწერიჭამიები — Insectivora
ოჯახი — ბიგისებრნი — Soricidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. ბინადრობს კავკასიასა და თურქეთში. საქართველოში გავრცელებულია ქუთაისის, ბაკურიანისა და ლაგოდეხის მისადევრებში, შავი ზღვის სანაპიროზე. ვერტიკალურად აღწევს ტყის ზონის ზედა საზღვრამდე.

საბინადრო არეალი. ბინადრობს ტყეებში, ნოტიო ადგილებში, წყალსატევების სანაპიროებში, ზოგჯერ ეზოებშიც. ადგილსამყოფელი მეტწილად უცვლელია.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოში გვხვდება ერთეულების სახით. რიცხოვნობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.

გამრავლება. შეუსწავლელია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ არის. რეგისტრირებულია ტრემატოდები (2 სახეობა), ცესტოდები (7 სახეობა), ნემატოდები (4 სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. არავითარი ზომები რადეს ბიგას დასაცავად დღემდე მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ცნობიერების ასამაღლებელი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; მაცაბერიძე, 1976.

ფუღუ

Suncus etruscus Savi, 1882

რიგი — მწერიჭამიები — Insectivora
ოჯახი — ბიგისებრნი — Soricidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. ფუღუ ბინადრობს სამხრეთ ევროპაში, ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, შრი-ლანკაში, ფილიპინების კუნძულებზე, ირანში, ბირმაში, ინდონეზიაში, აღმოსავლეთსა და სამხრეთ აფრიკაში. საქართველოში რეგისტრირებულია თბილისის მიდამოებში.

საბინადრო არეალი. ფუღუ ბინადრობს ბაღებში, ზოგჯერ ადამიანის სამოსახლოს ტერიტორიაზე. ადგილსამყოფელი მუდამ ადამიანის სამეურნეო მოქმედების ზეგავლენას განიცდის.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობილი არ არის. საერთოდ მცირერიცხოვანია სტაბილურად მთელი არეალის ფარგლებში.

გამრავლება. შეუსწავლელია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფელის სიმცირე, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, შესაძლოა შხამქიმიკატების გამოყენების გამოც.









ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. არავითარი ზომა ფუღუს დაცვისათვის დღემდე მიღებული არ ყოფილა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფუღუს, როგორც ძუძუმწოვრებს შორის თავისი სიმცირით უნიკალური ფორმის (წონა — 3— 5 გ.), დაცვისათვის აუცილებელია ადგილსამყოფელისა და რიცხოვნობის ზუსტი დადგენა; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში. მოკვლისათვის დაჯარიმება.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965.

მცირე კბილთეთრა

Crocidura suaveolens Pallas, 1811

რიგი — მწერიჭამიები — Insectivora
ოჯახი — ბიგისებრნი — Soricidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობაა.

გავრცელება. მცირე კბილთეთრა გავრცელებულია ევროპის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში, კავკასიაში, სამხრეთ ყაზახეთში, შუა აზიაში, ირანში, მონღოლეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, ჩრდილო აფრიკაში. საქართველოში გვხვდება თბილისის მიდამოებსა და აბასთუმნის მისადევრებში. ვერტიკალურად აღწევს 2200 მ-მდე ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. ეგუება ნაირგვარ ლანდშაფტს. ადგილსამყოფლის ცვლილება არ შეინიშნება.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოს ფარგლებში მცირერიცხოვანი. რიცხოვნობის ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. მრავლდება მაისში. მაკეობა გრძელდება 28 დღემდე. შობს 5-10 უსუსურსა და თვალაუხელელ ნაშიერს. ისინი სწრაფად იზრდებიან და უკვე 40-45 დღის ასაკში დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებას.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ბუნებაში, როგორც ჩანს, კონკურენტები არა ჰყავს. ბუნებრივ მტრებს შორის აღსანიშნავია ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი და მცირე ზომის მტაცებელი ძუძუმწოვრები. დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. არავითარი ზომები მცირე კბილთეთრას დასაცავად მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965.

მეჰელის ცხვირნალა

Rhynolophus mehelyi Matschie, 1901

რიგი — ხელფრთიანები — Chiroptera
ოჯახი — ცხვირნალისებრნი — Rhynolophidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. მეჰელის ცხვირნალა გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ამიერკავკასიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში რეგისტრირებულია მცხეთაში.





საბინადრო არეალი. მეჰელის ცხვირნალა ბინადრობს ეკლესიებისა და სამრეკლოთა გუმბათების ქვეშ, ძველ შენობათა სახურავების ქვეშ, მღვიმეებსა და გამოქვაბულში. ადგილსამყოფლის უმეტესობა უცვლელია.

რიცხოვნობა ბუნებაში. მთელი არეალის ფარგლებში მცირერიცხოვანია. ზუსტი რიცხობრივი მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. შეუსწავლელია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის. რეგისტრირებულია ტრემატოდა (1 სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. მეჰელის ცხვირნალას დასაცავად დღემდე არავითარი ზომა არ არის მიღებული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965; მაცაბერიძე, 1976.

გრძელყურა მღამიობი

Myotis bechsteini Kuhl., 1818

რიგი — ხელფრთიანები — Chiroptera
ოჯახი — ღამურისებრნი — Vespertilionidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)





საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. ყურგრძელი მღამიობი ბინადრობს ევროპაში. საქართველოს ტერიტორიაზე აღინიშნება ზუგდიდსა და მის მიდამოებში.

ადგილსამყოფელი, მისი ახლანდელი მდგომარეობა. ბინადრობს ტყეებსა და პარკებში. ადგილსამყოფელი მზარდი ანთროპოგენიზაციის ზონაშია.

რიცხოვნობა ბუნებაში. მონაცემები არ გვაქვს. საქართველოში მეტად მცირერიცხოვანია.

გამრავლება. შეუსწავლელია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის. შესაძლოა ყურგრძელი მღამიობის ნაწილი შინაური კატების მსხვერპლი ხდება.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, გამრავლების სუსტი უნარი; საქართველოში ვიწრილოკალური გავრცელება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობილი არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. ყურგრძელი მღამიობის დასაცავად დღემდე არავითარი ზომები მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965.

სამფეროვანი მღამიობი

Myotis emarginatus Geoffroy, 1806

რიგი — ხელფრთიანები — Chiroptera
ოჯახი — ღამურისებრნი — Vespertilionidae





სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი.

გავრცელება. მოიპოვება დასავლეთ ევროპაში, იმიერკარპატის ოლქში, ყირიმში, ამიერკავკასიაში, სამხრეთ თურქმენეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ირანში, ჩრდილო აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მცხეთისა და ბორჯომის ხეობაში. ვერტიკალურად აღწევს 1000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. ბინადრობს სახლების სხვენში, სარდაფებში, ძველ შენობათა ნანგრევებში, კედლების ნაპრალებში, ეკლესიებისა და სამრეკლოების გუმბათების ქვეშ, გამოქვაბულებში. ადგილსამყოფელი უცვლელია.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოს ფარგლებში მცირერიცხოვანია. რიცხოვნობის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს.

გამრავლება. ზაფხულობით მრავლდება. შობს ერთ ნაშიერს. ეს უკანასკნელი ერთი თვის ასაკში იწყებს ფრენას.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის. ბუნებრივ მტრებს შორის აღსანიშნავია ბუსნაირნი და ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი, ზოგან შინაური კატები. დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. არავითარი ზომები სამფეროვანი მღამიობის დასაცავად დღემდე მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965.

გრძელფრთიანი ღამურა

Miniopterus schreibersi Kuhl, 1818

რიგი — ხელფრთიანები — Chiroptera
ოჯახი — ღამურისებრნი — Vespertilionidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. მოიპოვება ევროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში, დასავლეთ აფრიკაში, ჩრდილო-დასავლეთ ავსტრალიაში. საქართველოში გვხვდება თბილისსა და მის მიდამოებში, ზუგდიდის შემოგარენში, აჭარაში.

საბინადრო არეალი. ბინადრობს ტაძრებისა და სამრეკლოების გუმბათების ქვეშ, შენობათა ნანგრევებში, სახლების სხვენში, სარდაფებში, კედლების ნაპრალებში, გამოქვაბულებში, ხის ფუღუროებში. ადგილსამყოფლის უმრავლესობა უცვლელია.

რიცხოვნობა ბუნებაში. მთელი არეალის ფარგლებში მცირე რაოდენობითაა. ზუსტი რიცხოვნობის მონაცემები არ მოგვეპოვება.

გამრავლება. მრავლდება ზაფხულობით. ივნის-ივლისში შობს ერთ ნაშიერს, რომელიც საკმაოდ დიდი ზომისაა.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის. რეგისტრირებულია ტრემატოდები (2 სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965; მაცაბერიძე, 1976.





გიგანტური მეღამურა
Nyctalus lasiopterus Schreber, 1780

რიგი — ხელფრთიანები — Chiroptera
ოჯახი — ღამურისებრნი — Vespertilionidae





სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. გვხვდება ევროპასა და კავკასიაში. საქართველოში გავრცელებულია ბორჯომის ხეობასა და აფხაზეთში.

საბინადრო არეალი. ბინადრობს როგორც ტყეებში, ისე კულტურულ ლანდშაფტებში. თავს აფარებს ხეების ფუღუროებში. ადგილსამყოფელი უცვლელია.

რიცხოვნობა ბუნებაში. არეალის ფარგლებში მცირერიცხოვანია. რიცხოვნობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება.

გამრავლება. ინვისში შობს 1— 2 ნაშიერს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტები არ ჰყავს. ბუნებრივი მტრებია ბუსნაირნი და ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი, ზოგან შინაური კატები. დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965.

მცირე მელამურა

Nyctalus leisleri Kuhl, 1819

რიგი — ხელფრთიანები — Chiroptera
ოჯახი — ღამურისებრნი — Vespertilionidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. გვხვდება ევროპასა და კავკასიში. საქართველოში გვხვდება აჭარაში, ფოთისა და ქუთაისის მიდამოებში.

საბინადრო არეალი. ბინადრობს ნაირგვარ ლანდშაფტში. თავს აფარებს ხის ფუღუროში.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოს ფარგლებში ყველგან გვხვდება ერთეულების სახით. რიცხოვნობის შესახებ ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. ივნისში შობს 1-2 ნაშიერს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტები ცნობილი არ არის. ბუნებრივ მტრებს შორის აღსანიშნავია ბუსნაირნი და ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი, ზოგან შინაური კატები. რეგისტრირებულია ტრემატოდა (1 სახეობა), ცესტოდა (1 სახეობა) და ნემატოდა (1 სახეობა).





რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. არავითარი ზომები მცირე მელამურას დასაცავად დღემდე მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965; მაცაბერიძე, 1976.

მაჩქათელა

Barbastella barbastellus Schreber, 1774

რიგი — ხელფრთიანები — Chiroptera
ოჯახი — ღამურისებრნი — Vespertilionidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. გვხვდება ევროპასა და აზიაში. საქართველოში გავრცელებულია თბილისისა და ბორჯომის მიდამოებში. ვერტიკალურად აღწევს 1500 მ-მდე ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. ბინადრობს გამოქვაბულებში, სარდაფებში; იშვიათად ხის ფუღუროში. ადგილსამყოფელი მზარდი ანთროპოგენური გავლენის ზონაშია.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოში გვხვდება ერთეულების სახით. რიცხოვნობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.

გამრავლება. ივნისში შობს ორ ნაშიერს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკუ-





რენტები ცნობილი არ არის. ბუნებრივ მტრებს შორის აღსანიშნავია ბუსნაირნი და ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი. დაავადებები ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. არავითარი ზომები მაჩქათელას დასაცავად დღემდე მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Громов и др., 1963; Бобринский и др., 1965.

ლიტერატურა

არაბული ა., შველი, ირემი და გარეული ღორი მცირე კავკასიონზე. თბილისი 1977.

არაბული ა., საქართველოს სამონადირეო ფაუნა და მისი დაცვა. თბილისი, 1978.

ექვთიმიშვილი ზ., მასალები ნიამორის გავრცელების შესწავლისათვის. „საქ. მეცნ. აკად. ზოოლ. ინს. შრ.“ გვ. 13, 1954.

მაცაბერიძე გ., საქართველოს მიკრომამამლიას ჰელმინთები. თბილისი, 1976.

როდონაია თ., საქართველოს სანადირეო-სარეწაო ძუძუმწოვართა ჰელმინთები. თბილისი, 1972.

ყურაშვილი ბ., ადამიანისა და ცხოველთა ექინოკოკოზი და ალვეოკოკოზი საქართველოში. მონოგრაფია. თბილისი, 1964.

ჯანაშვილი ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. III, ხერხემლიანები. თბილისი, 1963.

Алиев Ф. Ф., Сохранение гиены на Кавказе — ‹‹Охота и охотничье хозяйство›› 1971, №3, с. 22-23.

Арабули А. Б., Распространение и численность некоторых охотничье-промысловых млекопитающих в Восточной грузии — ‹‹Зоологичесский журнал››, 1970, т XLIX, вып. 3, с. 418-421.

Бобринский Н. А., Кузнецов Б. А., Кузякин А.П., Определитель млекопитающих СССР, М., 1965ю

Верещаг Н. К., охотничье-промысловые животные Кавказа, Бакуб 1947.

Гептнер В. Г., Наумов Н. П. и др., Млекопитающие советского Союза, т.II, М., 1967.

Громов И. М., Гуреев А. А., Новиков Н. А., Соколов И. И., Стрелков П. П., Чапский К. К. Млекопитающие фауны СССР, ч. Ч. 1 — 2 М. — Л. 1963.

Жизнь животных т. 6. 1971.

Новиков Г. А., Хищные Млекопитающие фауны СССР. М. Л., 1956.

Огнев С. И., Звери СССр и прилегающих стран, т. 3, М. 1935

Сатунин К. А., Млекопитающие Кавказского края, т.I,Тифлис, 1915.

Соколов И. И., Млекопитающие т.I, в. 3. М.— Л., 1958.

Фишер Д., саймон Н., Винсент Д., ‹‹Красная книга: дикая природа в опасности›› “Прогресс”, М., 1976.

Шидловский М. В., Определитель грызунов закавказья, Тбилиси, 1976

გამქრალ ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

იშხვარი (ყარყატი)
Ciconia nigra Linnaeus, 1758

რიგი — ლაკლაკისნაირნი — Ciconiiformes
ოჯახი — ლაკლაკისებრნი — Ciconiidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)





საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. ყარყატი გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და, შესაძლებელია, სამხრეთ აფრიკაში. საქართველოში წინათ გვხვდებოდა ბორჯომ-ბაკურიანისა და თეთრიწყაროს მიდამოებში, მდინარეების — ალგეთისა და ხრამის ხეობებში. ამჟამად მეტად მცირერიცხოვანია ჯავახეთში — მადათაფის, ხოზაფინისა და ფარავნის ტბების სიახლოვეს.

საბინადრო არეალი. ყარყატი ბუდობს ხეებზე, ტყეებსა და ჭალებში, კლდეებსა და მთების ქვაბულში, ჭაობებისა და ტბების პირას. მისი საბუდარი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ამჟამად გამოყენებულია ადამიანის სამეურნეო საჭიროებისათვის.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოში ყარყატის რიცხოვნობა არ აღემატება 10 წყვილს.

გამრავლება. სქესობრივად მწიფდება სამი წლის ასაკში. ბუდეს იკეთებს ხეებზე, კლდეებში და ხმარობს მრავალი წლის განმავლობაში, რის გამოც იგი ხანდახან 1,5 მ-ს აღწევს დიამეტრში. ბუდე შიგნიდან ამოგებულია ბალახით, ფოთლებით, მატყლით, ქაღალდის ნაგლეჯებითა და სხვა. აპრილში დებს 2 — 5 (იშვიათად 6) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 32-46 დღე-ღამეს. დედალ-მამალი კრუხობს მორიგეობით.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საბუდარი ტერიტორიების ათვისება სამეურნეო მიზნით. შემაწუხებელი ფაქტორების გაძლიერება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მრავლდება ევროპის ზოოპარკებში (ბერლინის, ნიურნბერგის, ვენის, რომის, ბუდაპეშტის). სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის მე-2 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ზუსტი რიცხოვნობისა და საბუდარი ტერიტორიების აღრიცხვა — მათი დაცვის მიზნით; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში; ჯარიმა მოკვლისათვის;

ინფორმაციის წყაროები: радде, 1885; Цветков, 1901; Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1978, 1979.

თეთრკუდა არწივი (ფსოვი)
Haliaeetus albicilla Linnaeus, 1758

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — საფრთხეში მყოფი (EN)

გავრცელება. ფსოვი გავრცელებულია ევრაზიაში, ისლანდიასა და გრენლანდიაში, ზამთრობს ჩრდილო აფრიკაშიც. საქართველოში ფსოვი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გვხვდებოდა ახალციხეში, აწყურსა და ბორჯომში, მცხეთაში, თბილისის შემოგარენში, თეთრიწყაროს მიდამოებში, მდინარეების — ქვაბლიანის, აჭარისწყალის სათავეებთან, მდინარე ხრამის ხეობაში. ამჟამად თითქმის აღარ გვხვდება — შირაქ-ელდარის ველის, ერწოსა და პალიასტომის ტბების მიდამოებისა და ჯავახეთის გარდა.

საბინადრო არეალი. მდინარეების, ტბებისა და ზღვების ნაპირები, ჭალები. საბუდარი ტერიტორიების





რიცხვმა მკვეთრად იკლო სწრაფი ანთროპოგენიზაციის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. საქართველოში ოციოდე ეგზემპლარი უნდა იყოს (ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია).

გამრავლება. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს ორი წლის ასაკში. ქმნის მუდმივ წყვილებს. ბუდეს იკეთებს მაღალ ხეზე (6-25 მ სიმაღლეზე). ერთი ან რამდენიმე ბუდე, რომლებსაც ფსოვი მორიგეობით იყენებს, დიდია, მისი დიამეტრი აღწევს 1,5 მ-ს, სიმაღლე — 1-1,5 მ-ს. მარტში დებს 1-3 კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობაა ერთი თვე.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. მტაცებელი ფრინველების მოკვლისათვის პრემიის გაცემის წესი; წყლასატევების გაჭუჭყიანება შხამებით; სასოფლო-სამეურნეო მავნე მღრღნელების წინააღმდეგ შხამქიმიკატების გამოყენება; საბუდრების მოშლა.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ტყვეობაში ვერ მრავლდება.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის 1 დანართში.

დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებები. ზუსტი რიცხოვნობისა და საბუდარი ტერიტორიების აღრიცხვა — მათი დაცვის მიზნით. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში; ჯარიმა მოკვლისათვის;

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1978, 1979.

კრავიჭამია, ანუ ბატკანძერი
Gypaëtus barbatus Linnaeus, 1758

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საკმაოდ მცირერიცხოვანი და იშვიათი ფრინველია, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით.

გამრავლება. კრავიჭამია ევროპის, წინა და ცენტრალური აზიის და აფრიკის მთიანეთის ბინადარია. საქართველოში აღინიშნება: სვანეთში, ყაზბეგის რაიონში, მთათუშეთში, ლაგოდეხის ნაკრძალში, ბორჯომის ნაკრძალში, ახალციხისა და ბოგდანოვკის რაიონებში.

საბინადრო არეალი. კრავიჭამია მაღალმთის ბინადარია, თავს აფარებს კლდოვან ნაპრალებს, სუბალპური და ალპური სარტყელების ღია, ქვიან ან კლდიან ადგილებს. ვერტიკალურად ვრცელდება 4800 მ-მდე ზღვის დონიდან. ადგილსამყოფლის თანამედროვე მდგომარეობა არ შეცვლილა, თუმცა გაუარესდა ზამთრის პირობებში საკვები ბაზა.





რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობილი არ არის. საქართველში არ უნდა აღემატებოდეს 100 წყვილს.

გამრავლება. კრავიჭამიების გამრავლების ციკლი მეტად თავისებურია: შეწყვილებები იწყება ნოემბერში და გრძელდება თებერვლამდე. ბუდობს კლდეებში; ბუდე წარმოადგენს ტოტების გროვას, რომელშიც ხანდახან ძვლებიც ურევია და დაფარულია ბალახით და ხავსით. დეკემბერში დებს 2 (იშვიათად 1) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 55-60 დღე-ღამეს. თებერვლის ბოლოს — მარტის დასაწყისში იჩეკებიან მართვეები, რომელთაგან უმცროსს გამოჩეკიდან რამდენიმე დღის შემდეგ მშობლები კლავენ და ჭამენ.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. შესაძლებელია საზრდოს მოპოვებაში კონკურენციას უწევდეს ორბი, სვავი, ყაჯირი, მთის არწივი. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საკვები ბაზის შემცირება; მტაცებელი ფრინველების მოკვლისათვის პრემიის გაცემის რამდენიმე წლის წინათ არსებული წესი.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. 1973 წელს ალმა-ატის ზოოპარკში გამოიჩეკა ერთი მართვე.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის მე-2 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდარი ტერიტორიების გამოვლენა-აღრიცხვა.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1978, 1979.

ბეგობის არწივი

Aquila heliaca Savigny, 1809

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. ბეგობის არწივი გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში — წინა აზიამდე, კავკასიაში,სამხრეთ ციმბირში, მონღოლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში. საქართველოში გვხვდება ერთეული წყვილების სახით ორბეთის მიდამოებში, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში, ვაშლოვანის ნაკრძალის შემოგარენში. ვერტიკალურად აღწევს 2000 მ ზღვის დონიდან.





საბინადრო არეალი. მეჩხერი, შერეული და ფოთლოვანი ტყეები, ცალკეული კორომების და ხეების ჯგუფები.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობილი არ არის. საქართველოში ფრიად მცირერიცხოვანია, მისი რაოდენობა შემცირებულია მთელი არეალის ფარგლებში.

გამრავლება. ბეგობის არწივები ქმნიან მუდმივ წყვილებს (ერთ-ერთი პარტნიორის სიკვდილამდე). ბუდეს იკეთებს ხეზე. აპრილში დებს 2 — 3 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 43 დღეს. კრუხობს დედალ-მამალი. საინტერესოა, რომ ეს არწივები, ჩვეულებრივ, ხმარობენ 2 ბუდეს, მორიგეობით.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. სწრაფი ანთროპოგენიზაცია, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, რამდენიმე წლის წინათ მტაცებელი ფრინველების მოკლისათვის ჯილდოების გაცემის წესი, საკვები ბაზის შემცირება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. 1976 წლის მონაცემებით, თბილისის ზოოპარკში იყო ერთი ბეგობის არწივი და ერთიც – აღურიცხავი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრაზე.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობილი არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნის და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის 1 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდარეების აღრიცხვა-დაცვა, მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ ფრინველის დასაცავად; ჯარიმა მოკვლისათვის.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; ჟორდანია, 1979; Михаловский, 1880; Радде, 1885; Сатунин, 1907;Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978.

დურაჯი

Francolinus francolinus Linnaeus, 1776

რიგი — ქათმისნაირნი — Calliformes
ოჯახი — ხოხბისებრნი — Phasianidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მონაცემი არ არის შეტანილი

გავრცელება. დურაჯის არეალი მოიცავს — კვიპროსს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, სირიას, ერაყს, მცირე აზიას, ირანს, სამხრეთ-დასავლეთ თურქმენეთსა და ინდოეთს. საქართველოში ბინადრობდა ივრისა და ალაზნის პირას (გარდაბნის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონები). ამჟამად რეაკლიმატიზირებულია ივრის





პირას, გარდაბნის სამონადირეო მეურნეობაში.

საბინადრო არეალი. ცხოვრობს დაბლობზე, მთებში არ სახლდება. ბინადრობს მდინარისპირა ბუჩქნარში, ველ-მინდვრებზე, ყანებსა და ნაყანებზე. უყვარს ხშირი ბუჩქნარი. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი გამოიყენება ადამიანის სამეურნეო საქმიანობისთვის, ბუჩქნარს ხშირად კაფავენ ან წვავენ.

რიცხოვნობა ბუნებაში. მონაცემები არ არის.

გამრავლება. მონოგამიური გამრავლება ახასიათებს, ბინადრობს წყვილებად. ბუდე წარმოადგენს მიწაში ამოთხრილ პატარა ორმოს. აპრილში დებს 10-12 (20-მდე) კვერცხს. კრუხობს მარტო დედალი 18-21 დღეღამეს. მამალი ახლომახლო იმყოფება და „მეურვეობს“ დედალსა და მართვეებს.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. მტრებიდან აღსანიშნავია: კატა, მელა, ტურა, ქორი, ჭაობის ძელ-ქორი. დიდ ზარალს აყენებენ ბრაკონიერები. რეგისტრირებულია ნემატოდები (ორი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ბრაკონიერობა, ადგილსამყოფლის შემცირება-განადგურება, შხამ-ქიმიკატების გამოყენება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის. შესაძლებელია მისი შენახვა ვოლიერებში.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ლიტერატურული წყაროებით, 1963-1974 წლების განმავლობაში მსოფლიოს ზოოპარკებში გამოიჩეკა 12 მართვე.

დასაცავად მიღებული ზომები. მოკვლა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბრძოლა ბრაკონიერებთან, დაჯარიმება მოკვლისათვის; საბინადრო ადგილებში მისი მტრების მკაცრი რეგლამენტირება; საკვებურების მოწყობა და დაცვა მკაცრი ზამთრის პირობებში.

ინფორმაციის წყაროები: Кутубидзе, 1955; ჯანაშვილი, 1963; Жордания, 1962; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1979.

კასპიური შურთხი
Tetraogallus caspius Gmelin, 1784

რიგი — ქათმისნაირნი — Calliformes
ოჯახი — ხოხბისებრნი — Phasianidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)





გავრცელება. ბინადრობს მცირე კავკასიონის ქედებზე: აჭარა-იმერეთის, ბაზუმის, მურგუზის, პამბაკის, გეგამის, აინცზორის, მროვდაგის, დალიდაგის, ზანგეზურის; მთა არაგაცზე და სხვ.

საბინადრო არეალი. მისი ადგილსამყოფელია მაღალმთიანი — სუბალპური და ალპური სარტყელები, 1600-დან 4000 მ-მდე ზღვის დონიდან. სეზონური ნომადობის დროს შურთხები აღწევენ ტყის ზედა ზონამდე. ამჟამად ადგილსამყოფელის უმეტესობა დეგრადირებულია ცხვრის ძოვების გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. ამიერკავკასიაში 1964 წლიდან აღირიცხებოდა 800-მდე კავკასიური შურთხი, საქართველოში — 50-მდე ცალი; ამჟამად საქართველოს პოპულაციას სრული გაქრობა ემუქრება.

გამრავლება. ვარაუდობენ, რომ შურთხები მონოგამიურად მრავლდებიან, თუმცა სქესთა თანაფარდობა მკვეთრადაა დარღვეული (მამლები უფრო მეტია). აპრილში ტიხტიხებენ. ბუდე წარმოადგენს ბალახით ამოგებულ პატარა ორმოს, დებს 6-9 (12-მდე) კვერცხს. კრუხობს მარტო დედალი — დაახლოებით სამ კვირას.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. შესწავლილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ინტენსიური მეცხვარეობა, სპონტანური ნადირობა, მტაცებელი ცხოველები.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. საქართველოში შურთხის მოკვლა აკრძალულია; შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის I დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბუდობების აღრიცხვა-დაცვა; ბრძოლა ბრაკონიერებთან.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; Базиев, 1967, 1978; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1974, 1979;

ხონთქრის ქათამი (პორფირიონი)
Porphyrio porphyrio Latham, 1801

რიგი — წეროსნაირნი — Gruiformes
ოჯახი — ლაინასებრნი — Rallidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. ხონთქრის ქათამი გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, მალაის არქიპელაგზე — ავსტრალიასა და პოლინეზიამდე. ასევე კასპიის ზღვისპირა მიდამოებში. საქართველოში გვხვდება ჯანდარისა და კუმისის ტბებზე, მტკვრის აუზის ლელიანში. ბოლო წლებში საქართველოში არ აღინიშნება.





საბინადრო არეალი. ზღვებისა და მტკნარი წყალსატევების პირას ხშირი ლერწამი და ლელქაში. ადგილსამყოფელის უმეტესობა გამოიყენება ადამიანის სამეურნეო საქმიანობისათვის ან ისპობა.

რიცხოვნობა ბუნებაში. რაოდენობა მერყეობს, ვერ ეგუება ამინდის სიმკაცრეს ზამთარში. მაგალითად, ყიზილაღაჩის ნაკრძალში (აზერბაიჯანი) 1963 წლის შემოდგომაზე ცხოვრობდა 600 ფრთა, რომელთაგან 1964 წლის თებერვლისათვის არც ერთი არ დარჩენილა. საქართველოში აღინიშნება მათი მცირერიცხოვანი შემოფრენა ზამთარში.

გამრავლება. ხონთქრის ქათმები ცხოვრობენ წყვილად. დედალი აპრილში დებს 3-5 (იშვიათად 9-12-მდე) კვერცხს. კრუხობს დედალ-მამალი მორიგეობით, 22-24 დღე-ღამის განმავლობაში.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ბრაკონიერობა; ადგილსამყოფელის დეგრადაცია; მასობრივი ამოწყვეტა სუსხიან ზამთარში.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ინახება მსოფლიოს მრავალ ზოოპარკში.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ტყვეობაში კარგად მრავლდება: 1963-1974 წლებში მოსკოვის ზოოპარკში გამოიჩეკა 129 მართვე.

დასაცავად მიღებული ზომები. ნადირობა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ხელოვნური გამრავლება ზოოპარკებში და შესაფერის ადგილსამყოფლებში გაშვება, მათი სავალდებულო დაცვა. მოკვლისათვის — ჯარიმა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Жордания, 1962; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1979.

წითელთავა ნარჩიტა

Regulus ignicapillus Temminck, 1820

რიგი — ბეღურისნაირნი — Passeriformes

ოჯახი — ასპუჭაკასებრნი — Sylviidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს ვიწროლოკალური გავრცელების, იშვიათი და მცირერიცხოვანი ფრინველია.





გავრცელება. წითელთავა ნარჩიტა გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი ნაწილის კუნძულებზე, მცირე აზიაში, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკასა და კუნძულ ტაივანზე. სამხრეთ საქართველოსათვის ეს ფრინველი თუმცა რამდენიმე ავტორმა აღნიშნა, მაგრამ საკოლექციო ეგზემპლარების გადასინჯვის შედეგად (პროფ. ლ. ა. პორტენკო) გამოირკვა, რომ ყველა ეს ეგზემპლარი — ყვითელთავა ნარჩიტა ბებერი მამალია, რომლებიც ძლიერ გვანან წითელთავა ნარჩიტებს. მხოლოდ 1961 წელს საღრძეში, ადიგენის რაიონი, 1100 მ-მდე ზღვის დონიდან) ნანახი ფრინველები ნამდვილად წითელთავა ნარჩიტებია. აღწერილია ამ ფრინველების შემთხვევითი შემოფრენა აჭარაში (ოქტომბერ-ნოემბერი, იანვარი).

საბინადრო არეალი. ბინადრობს წიწვიან ტყეებში. ამჟამად იმყოფება სანიტარული ჭრის ზონაში.

რიცხოვნობა ბუნებაში. არეალის ფარგლებში მრავალრიცხოვანია, საქართველოში მეტად მცირერიცხოვანი (ადიგენის რაიონში არსებული პოპულაციის საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა 20-25 წყვილს).

გამრავლება. ხეზე იკეთებს ბურთისებრი მოყვანილობის ბუდეს. წელიწადში ორჯერ (მაისსა და ივნის-ივლისში) დებს 7-11 (12-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 16 დღე-ღამე. კრუხობს დედალი.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტები და დაავადებები ცნობილი არ არის. მტრებიდან ცნობილია ბუსნაირთა წარმომადგენლები.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ვიწრო-ლოკალური გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. მოკვლა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. გავრცელების არეალში ყოველგვარი ჭრის აკრძალვა.

ინფორმაციის წყაროები: Вилконский, 1897; Жордания, 1962; Степанян, 1966; Иванов, 1976; Stresemann, Portenko, Mauersberger, 1971.

ბაღაშენების ჰიჰას მისული სახეობები

შავარდენი

Falco peregrinus Gmelin, 1788

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — შავარდნისებრნი — Falcinidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია.

გავრცელება. შავარდენი კოსმოპოლიტი ფრინველია, რომელიც ანტარქტიკის გარდა ყველა მატერიკზეა გავრცელებული. ჩრდილოეთით მცხოვრები პოპულაციები გადამფრენია, სამხრეთით მცხოვრებნი — მობინადრენი. საქართველოში შავარდნები ერთეული წყვილების სახით გვხვდება: საგურამოში, ატენის ხეობაში, ტაბახმელა-შინდისის, მანგლისის, ბირთვისის მიდამოებში, მესხეთში (ადიგენის რაიონი, ბორბალოს ხეობა), ჯავახეთში (აბულ-სამსარის ქედის მიდამოები), ხევსურეთში, სამეგრელოსა და აჭარაში.

საბინადრო არეალი. ბინადრობენ ტყეების მომიჯნავე ღია ადგილებში, მაგრამ სრულიად ღია, ვაკე ლანდშაფტს გაურბიან (მაგალითად, შავარდნები არ არიან ევროპის, ციმბირის, ავსტრალიის ველებზე, სამხრეთ ამერიკის პამპაში). ამჟამად შავარდნების ადგილსამყოფელი მცირდება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ არსებობს. საქართველოში მეტად მცირერიცხოვანია. საერთოდ, უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში არეალის ფარგლებში რიცხოვნობა მკვეთრად დაეცა.





გამრავლება. ქმნიან მუდმივ წყვილებს (ერთ-ერთის სიკვდილამდე) და საბუდარ ტერიტორიებს მრავალი წლის განმავლობაში იკავებენ. თვითონ ბუდეს არ იშენებენ და სხვა ფრინველებისთვის წართმეული ან მიტოვებული ბუდეებით სარგებლობენ. ტუნდრაში კვერცხებს დებენ მდინარეების ციცაბო ნაპირებზე, ჩვენში — ხშირად კლდეების ნაჭდევებსა და ბზარებში. აპრილში დებს 2-4 კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობა 28-29 დღე-ღამეა; კრუხობს ძირითადად დედალი, რომელსაც მცირე ხნით მამალი ენაცვლება. მართვეები გამოჩეკიდან მე-40 დღეზე ტოვებენ ბუდეს. სქესმწიფობას აღწევენ ერთი წლის ასაკში.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ცნობები არ გაგვაჩნია.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. მტაცებელი ფრინველების მოკვლისათვის ადრე არსებული დაჯილდოების წესი; ახალგაზრდა ფრინველების დაჭერა ბაზებად (მონადირე ფრინველებად) გამოყენების მიზნით; პესტიციდების გამოყენება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მრავლდება აშშ-ში და გერმანიაში მოწყობილ ე.წ. „გამრავლების ცენტრებში“, არაბეთის რიგ ქვეყნებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ზუსტი რიცხოვნობისა და საბუდარი ტერიტორიების დადგენა; ჯარიმა მოკვლისათვის; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1978, 1979.

მთის არწივი

Aquila chrysaëtos Linnaeus, 1758

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

იშვიათი ფრინველი, რომლის რიცხოვნობა საგრძნობლად კლებულობს.

გავრცელება. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო აფრიკასა და ჩრდილო ამერიკაში. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად. მცირერიცხოვანია.

საბინადრო არეალი. კლდეები და მაღალი ხეები; იშვიათად ვაკე ადგილები — კლდოვანი ქანები; უდაბნოებში — შავი საქსაულის ხეები. მრავალი ადგილსამყოფელი განიცდის ადამიანის სამეურნეო ზეგავლენას.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ არის. საქართველოში მთის არწივის 20-მდე წყვილიღა თუ იქნება.

გამრავლება. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 4-5 წლის ასაკში. ქმნის მუდმივ წყვილებს (ერთ-ერთის სიკვდილამდე). საქორწინო ფრენას იწყებს თებერვალში. აქვს 2-4 ბუდე, რომლებსაც რიგრიგობით ხმარობს მრავალი წლის მანძილზე. ბუდე წარმოადგენს ტოტების ნაყარს,





რომელიც თხლად ამოფენილია მშრალი ბალახით; ყოველწლიური შეკეთების მიზეზით ხშირად ბუდე გიგანტური ზომისაა — აღწევს 2 მ-მდე როგორც სიგანეში, ისე სიმაღლეში. დებს 1-2-3 კვერცხს მარტსა და აპრილში. ინკუბაცია გრძელდება 40-45 დღე-ღამეს, კრუხობს დედალ-მამალი. თუ პირველი ბუდობის მართვეები იღუპებიან, მეორედ იბუდებს. მართვეები შებუმბვლას იწყებენ მაისში და ამთავრებენ ივნისის დამლევისათვის. ბუდეს ტოვებენ 80-მდე დღის ასაკში.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ცნობები არ მოგვეპოვება.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ბუდეების მოშლა, რამდენიმე წლის წინათ არსებული პრემიის გაცემის წესი მტაცებელ ფრინველთა მოკვლისათვის.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. მოყვარული მონადირეების მიერ ეს ფრინველიც გამოიყენება როგორც ბაზი — მელაზე, კურდღელზე, იშვიათად მგელზე და სხვა ცხოველებზე სანადიროდ.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობილია ერთი წყვილის გამრავლების ფაქტები კანზასის შტატის ქ. ტოპიკაში (აშშ).

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მე-2 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბუდეების გამოვლენა-დაცვა; დაჯარიმება მოკვლისათვის; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1976, 1979.

ველის არწივი
Aquila nipalensis, 1828

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხეში მყოფი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. ველის არწივი გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში შემოდის მიმოფრენისას, შესაძლებელია, მეტად იშვიათად ზამთრობდეს კიდეც აღმოსავლეთ საქართველოში ან გვხვდებოდეს აქ ნომადობის დროს — ზამთარში.





საბინადრო არეალი. ღია ლანდშაფტები ბალახოვანი მცენარეულობით. ადგილსამყოფელი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო (მავნე მღრღნელებთან ბრძოლა, ყამირი მიწების ათვისება და სხვ.).

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია; ლიტერატურული წყაროებით, 1936-დან 1969 წლამდე მისი რიცხოვნობა 10-ჯერ შემცირდა.

გამრავლება. ბუდობს მიწაზე. ქმნის მუდმივ წყვილებს (ერთ-ერთის სიკვდილამდე). კვერცხდების ვადები გაგრძელებულია. დებს 2-3 (5-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 38-45 დღე-ღამეს. მართვეები ბუდეში იმყოფებიან 2 თვემდე.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტებსა და მტრებზე ცნობები არ მოგვეპოვება. რეგისტრირებულია ნემატოდა (ერთი სახეობა) და აკანთოცეფალა (ერთი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ყამირი მიწების ათვისება, მავნე მღრღნელებთან ბრძოლა (რაც საკვების ბაზას უსპობს), შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ჩვეულებრივი ფრინველია ზოოპარკებში.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ტყვეობაში ცუდად მრავლდება.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მე-2 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები: ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში. დაჯარიმება მოკვლისათვის.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; Курашвили, 1957, 1967.

შაკი
Pandion haliaëtus Linnaeus, 1758

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. შაკი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, ავსტრალიაში. საქართველოში მეტად იშვიათია, გვხვდება ჯავახეთის, ერწოსა და პალიასტომის ტბებთან, მდინარე ჭოროხის შესართავთან და სხვ. — ყველგან ერთეული წყვილების სახით. ვერტიკალურად ვრცელდება 2000 მ-მდე ზღვის დონიდან. მოფრინავს ჩვენში მარტში, ხოლო მიფრინავს ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის.

საბინადრო არეალი. მაღალი ხეებით გარშემორტყმული გამჭვირვალეწყლიანი, თევზით მდიდარი წყალსატევები.





რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ არის.

გამრავლება. ბუდობს ცალკეული წყვილების სახით. ბუდეს იკეთებს ხეზე — წყალსატევთან ახლოს, იშვიათად — კლდეებსა და ნიადაგზე. ბუდე წარმოადგენს უხეში ტოტების გროვას, რომლის დიამეტრი აღწევს 1 მ-ს, სიმაღლე კი ხშირად 50-70 სმ-ს. აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში დებს 2-3 კვერცხს. ინკუბაციის პერიოდი გრძელდება 35 დღე-ღამეს. კრუხობს დედალ-მამალი შაკი. მართვეები მიგრაციის დაწყებამდე იმყოფებიან მშობლებთან.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტებსა და მტრებზე ცნობები არ გაგვაჩნია. რეგისტრირებულია ნემატოდა (ერთი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფლის ათვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით; რამდენიმე წლის წინ არსებული პრემირების წესი მტაცებელ ფრინველთა მოკვლისათვის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მე-2 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდრების ზუსტი აღრიცხვა-დაცვა, დაჯარიმება მოკვლისათვის; ფართო ახსნა-განმარტებითი საუბრები მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; Курашвили, 1957; ჟორდანია, 1979.

გველიჭამია არწივი, ანუ ძერაბოტი
Circaëtus gallicus Gmelin, 1788

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

გავრცელება. გველიჭამია არწივი გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქარ-





თველოში მეტად იშვიათად, სპორალურად გვხვდება — როგორც მობუდარი გადამფრენი ფორმა. მოფრინავს ჩვენში მარტის ბოლოს, ხოლო მიფრინავს ოქტომბერში. გვხვდება კოჯორთან, ტაბაწყურის ტბასთან, ახალციხის მიდამოებში, შირაქ-ელდარისა და დავით გარეჯის მონასტრის შემოგარენში. წინა წლებში შემჩნეული იყო თბილისის მიდამოებსა და თეთრწყაროში.

საბინადრო არეალი. ღია ადგილების მომიჯნავე ტყეები, მთისწინები, სერები, ქვიშიანი უდაბნოები. ადგილსამყოფელი თანდათანობით მცირდება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. მცირერიცხოვანია. საქართველოს ტერიტორიაზე ერთეული წყვილებია.

გამრავლება. ბუდობს წყვილებად. ბუდეს იკეთებს ხეზე, 6-15 მ სიმაღლეზე. ბუდე წარმოადგენს ტოტების საკმაოდ დიდ გროვას (დიამეტრი 1 მეტრამდე, სიმაღლე — ცოტა ნაკლები). იშვიათად ბუდობს მიწაზე ან კლდეში. აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში დებს ერთ, იშვიათად ორ კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 47 დღე-ღამეს. კრუხობს დედალ-მამალი.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ცნობები არ მოგვეპოვება.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საკვები ბაზის მკვეთრი შემცირება, გამრავლების დაბალი კოეფიციენტი, ადამიანის სამეურნეო საქმიანობა, წინა წლებში არსებული პრემირების წესი მტაცებელ ფრინველთა მოკვლისათვის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მონაცემები არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მე-2 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ჯარიმა მოკვლისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში საბუდრების გამოვლინება-დაცვა და მათ შემოგარენში რეპტილიებზე მზრუნველობის დაწესება.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1978; 1979.

გნოლი

Perdix perdix Linnaeus, 1758

რიგი — ქათმისნაირნი — Galliformes
ოჯახი — ხოხბისებრნი — Phasianidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

მცირერიცხოვანი ფრინველია, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით.

გავრცელება. გნოლი გავრცელებულია ევროპასა და აზიაში (მცირე აზია, კავკასია, ირანი, ჩრდილო ყაზახეთი, ციმბირი — ალტაიმდე). საქართველოში ბინადრობს: ჯავახეთში, შირაქში, დავით გარეჯის მონასტრის შემოგარენში, ადიგენის, წალკის, ასპინძის, მარნეულის, ყაზბეგის რაიონებში და სხვა. ვერტიკალურად ვრცელდება 2600 მ-მდე ზღვის დონიდან.





საბინადრო არეალი. ბინადრობს მინდორ-ველად, ყანებსა და სათიბებში, ზეგნებზე, რომლებიც დასერილია ქვიან-ბალახიანი ხევებით და დაფარულია ბუჩქნარით. ადგილსამყოფელი მკვეთრად იცვლება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. გნოლი მონოგამიური ფრინველია და უკვე თებერვლის ბოლოს — მარტის დასაწყისში წყვილდება. ბუდეს იკეთებს მიწაზე. აპრილში დებს 12-15 (20-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 26 დღე-ღამეს. კრუხობს მარტო დედალი, მამალი შორიახლოსაა და საშიშროების შემთხვევაში გაიტყუებს მოახლოებულ მტერს.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ცნობები არ გაგვაჩნია. რეგისტრირებულია ცესტოდა (ერთი სახეობა) და ნემატოდა (ერთი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ბრაკონიერული, მტაცებლური ნადირობა, ადგილსამყოფლის შემცირება, შემაწუხებელი ფაქტორების მატება, შხამქიმიკატების გამოყენება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მრავლდება სპეციალურ ვოლიერებში, როგორც სანადირო ფრინველი.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ნადირობის დაუშვებლობა პოპულაციის რიცხოვნობის მკვეთრ გაზრდამდე; შესაძლებელია ხელოვნური მომრავლება სპეციალურ სანადირო მეურნეობაში და ბუნებაში შემდგომი გაშვება; ადგილსამყოფლის დაცვა.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; Курашвили, 1957; ჟორდანია, 1979.

რუხი წერო
Grus grus Linnaeus, 1758

რიგი — წეროსნაირნი — Gruiformes
ოჯახი — წეროსებრნი — Gruidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)





გავრცელება. რუხი წერო გავრცელებულია ევროპაში, აფრიკაში (ტუნისში), ციმბირში, შუა აზიაში, თურქეთსა და ჩრდილო მონღოლეთში. ზამთრობს აფრიკასა და სამხრეთ აზიაში. საქართველოში წინათ ბუდობდა ჯავახეთში, ამჟამად ცალკეული წყვილები აღნიშნულია ხოზაფინის ტბასთან და მარტვილის რაიონში.

საბინადრო არეალი. რუხი წერო ცხოვრობს ველზე, მინდვრებზე, მთიანეთის ტბებთან, ჭაობებსა და მდინარეების შესართავებთან. ვერტიკალურად ვრცელდება 2000 მ-მდე ზღვის დონიდან. ადგილსამყოფელი განიცდის ადამიანის მკვეთრ ზეგავლენას სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობები არ მოგვეპოვება. საქართველოში ბუდობს 2-3 წყვილი.

გამრავლება. რუხი წერო საქართველოში მოფრინავს მარტში, ხოლო მიფრინავს სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბერში. მონოგამიურია და ქმნის მუდმივ წყვილებს (ერთ-ერთი სიკვდილამდე). ბუდეს იკეთებს მიწაზე: ფეხებით ამოთხრის პატარა ორმოს და ამოაგებს მას წვრილი ტოტებით, ბალახებით ან უბრალოდ დატკეპნის დამპალ ლერწამს. საბუდარი ტერიტორია შემოიფარგლება 5-6 კილომეტრით. აპრილში დებს 1-3 (ჩვეულებრივ 2) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება ერთ თვემდე. კრუხობს დედალ-მამალი, მაგრამ დედალი — უფრო მეტ ხანს. მართვეებს ორივე მშობელი კვებავს; გამოჩეკიდან ორი კვირის შემდეგ მართვეებს ეზრდებათ მომქნევი ბუმბულები, ხოლო ერთი თვის ასაკში ისინი უკვე მთლიანად იმოსებიან ბუმბულით. აგვისტოში წეროები იწყებენ ნომადობას, ხოლო თვის დამლევისათვის იკრიბებიან გუნდებად და ემზადებიან გადასაფრენად.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფლის შემცირება — დეგრადაცია, ბრაკონიერობა, შესაძლებელია შხამქიმიკატების გამოყენება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის. გვხვდება მრავალ ზოოპარკში.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მრავლდება რიგ ზოოპარკებში. ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. წეროებზე ნადირობა და მათი ბუდეების მოშლა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდარი ტერიტორიების გამოვლენა-დაცვა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Jordania, 1967;Жордания, 1970; ჟორდანია, 1979.

სავათი
Otis tarda Linnaeus, 1758

რიგი — წეროსნაირნი — Gruiformes
ოჯახი — სავათისებრნი — Otididae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია; ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით.





გავრცელება. სავათი გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, აზიაში, ჩრდილო აფრიკაში. საქართველოში აღინიშნება როგორც მიმომფრენი, ნაწილობრივ მოზამთრე ფრინველი.

საბინადრო არეალი. სავათი ბინადრობს ველ-მინდვრებზე, ზეგნებზე, ყამირ მიწებზე. ყამირი მიწების ინტენსიურ ათვისებასა და ადამიანის სამურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით, ბოლო დროს სავათის ადგილსამყოფლების რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი.

გამრავლება. ბუდობს ცალკეული წყვილების ან მცირერიცხოვანი ჯგუფების (ერთი მამალი, 2-3 დედალი) სახით. მაისში დებს 1-6 (ჩვეულებრივ 2) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 25-30 დღე-ღამეს. მართვეებს ფრენა შეუძლიათ 40 დღის ასაკში.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. მტრობენ ველის, ბეგობის, თეთრკუდა არწივები, სხვა მტაცებელი ფრინველები, მელა, მგელი, მწყემსის ძაღლები და სხვ. რეგისტრირებულია ცესტოდები (ორი სახეობა) და ნემატოდები (სამი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ყამირი მიწების ათვისება, სოფლის მეურნეობის ინტესიფიკაცია, შხამქიმიკატების გამოყენება, საკვები ბაზის სიმცირე ზამთარში, აგრეთვე უსისტემო ნადირობა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ტყვეობაში მცირერიცხოვანია.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ტყვეობაში საკმაოდ კარგად მრავლდება (მსოფლიოს ზოოპარკებში 12 წლის განმავლობაში გამოიჩეკა 70 მართვე).

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სავათის ბუდობის ადგილებში ყამირი, დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთების გამოყოფა-დაცვა, შხამქიმიკატების ხმარების რეგლამენტაცია ამ ნაკვეთების შემოგარენში, ბრძოლა ბრაკონიერებთან, ჯარიმა მოკვლისათვის.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Жордания, 1962; „Красная книга СССР“, 1978; ღამბარაშვილი, ბურჯანაძე, 1966; Курашвили, 1957; ჟორდანია, 1979.

სარსარაკი

Tetrax tetrax (Otis tetrax Linnaeus, 1758)

რიგი — წეროსნაირნი — Gruiformes
ოჯახი — სავათისებრნი — Otididae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

იშვიათი ფრინველია, რომლის რიცხოვნობა განუხრელად მცირდება.

გავრცელება. სარსარაკი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მიმოფრენისას და როგორც მოზამთრე ფრინველი.





საბინადრო არეალი. წინათ სარსარაკის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა ველი, ყამირი მიწები, ამჟამად ტიპობრივი ადგილსამყოფელის ანთროპოგენიზაციის გამო ბინადრობს სასოფლო-სამურნეო სავარგულებში. ადგილსამყოფელის ფართობი მკვეთრადაა შემცირებული.

რიცხოვნობა ბუნებაში. სრული მონაცემები არ არის.

გამრავლება. ბუდობს ცალკეული წყვილების სახით. ბუდეს იკეთებს მიწაზე და აპრილიდან ივნისამდე (ძირითადად, მაისში) დებს 3-4 (11-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 20-21 დღე-ღამეს. აგვისტოს დასაწყისისათვის ახალბედა მართვეები კარგად ფრენენ და გუნდებად ერთიანდებიან.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. მტრებიდან აღსანიშნავია მტაცებელი ფრინველები (შავარდენი, მთისა და ბეგობის არწივი, ბარი, ზარნაშო, ძელქორი), მგელი, მელა, ყარსაღი, მაჩვი და სხვ. რეგისტრირებულია ცესტოდა (ორი სახეობა) და ნემატოდა (ორი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ყამირი მიწების ათვისება, ინტენსიური მეცხოველეობა, შხამქიმიკატების გამოყენება, ბრაკონიერული მონადირეობა, დასაზამთრებლად ვარგისი ფართობების შემცირება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბუდობის ადგილებში აღკვეთლების შექმნა, შხამქიმიკატების რაციონალური გამოყენების წესების დაცვა; მკაცრი ბრძოლა ბრაკონიერობასთან: ჯარიმა მოკვლისათვის.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978; ღამბარაშვილი, ბურჯანაძე, 1966; Курашвили, 1957.

იშვიათი სახეობები, რომლებსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა, ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს

ბარი, ანუ გავაზი

Falco cherrug Gray, 1834

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — შავარდნისებრნი — Falconidae





სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

იშვიათი, რიცხვკლებადი ფრინველია.

გავრცელება. ბარი გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში (ყაზახეთი, შუა აზია, ალტაი, შუა და დასავლეთი ციმბირის სამხრეთი, იმიერბაიკალეთის მხარე), აფრიკაში (ალჟირი, ტუნისი-ეთიოპია, ეგვიპტე, სუდანი). საქართველოში შეიძლება შემთხვევით შეგვხვდეს მიმოფრენისას, განსაკუთრებით ზამთარში.

საბინადრო არეალი. მთების, მთისწინებისა და დაბლობების შერეული და ფოთლოვანი ტყეები, ტყე-ველი, მდინარეების ციცაბო ნაპირები, ხევები და სხვ. ადგილსამყოფლის მეტი წილი ამჟამად დეგრადირებულია ადამიანის სამერნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ არსებობს.

გამრავლება. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს ერთი წლის ასაკში. ბუდობს წყვილებად; ბუდეს ხეზე იკეთებს. მარტის მეორე ნახევარში და აპრილის პირველ ნახევარში დებს 3-6 (ჩვეულებრივ 4-5) კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობაა 28 დღ-ღამე. 40-45 დღის მართვეები ტოვებენ ბუდეს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტები არ ჰყავს, ავადმყოფობა შეუსწავლელია.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. წინა წლებში არსებული პრემირების წესი მტაცებელი ფრინველების მოსპობისათვის, ადგილსამყოფლის დეგრადაცია; ბუდეების მოშლა; ზრდასრული ფრინველების ბაზებად გამოყენება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ძველთაგანვე გამოიყენება მონადირე ფრინველად (ბაზად).

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილი იყო გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მე-2 დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდრების აღრიცხვა-დაცვა; ჯარიმა მოკვლისათვის; ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობის ფართო ფენებში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; „Красная книга СССР“, 1978.

კავკასიური როჭო
Lyrurus mlokosiewiczi Taczanowski, 1875

რიგი — ქათმისნაირნი — Galliformes
ოჯახი — როჭოსებრნი — Tetraonidae





სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

იშვიათი ფრინველი, რომლის რიცხოვნობაც კლებულობს.

გავრცელება. კავკასიის ენდემია. ბინადრობს კავკასიონის ალპურ სარტყელში — მდინარე ფშეხას აუზიდან მოყოლებული მდინარე სამურის აუზამდე; მცირე კავკასიონზე — გურიის მთებიდან ყარაბაღის ქედამდე. გვრცელებულია თურქეთის ტერიტორიაზე — ლაზეთში. ბინადრობს 1500-3000 მ-ზე ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. კავკასიური როჭოს საბინადრო ადგილს ზაფხულობით წარმოადგენს მცენარეულობით მდიდარი ალპური მდელოები, დაბალი არყნარი და როდოდენდრონის ხშირი ბარდები; ზამთარში ის უფრო დაბლა ჩამოდის — სუბალპურ ზოლში, უფრო იშვიათად კი წიწვიანი ტყის ზედა სარტყელში. ადგილსამყოფლის მეტი ნაწილი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ფშავ-ხევსურეთში აპრილ-მაისში სათიბებსა და მდელოებზე 1 კმ^2-ზე მოდიოდა 3,5-0,5 მამალი.

გამრავლება. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 2 წლის ასაკში. საქორწინო ტიხტიხს იწყებს აპრილში და აგრძელებს მაისის პირველ ნახევრამდე. მამლები თავს აწონებენ დედლებს და ჩხუბობენ ერთმანეთში. კავკასიური როჭოებისათვის დამახასიათებელია პოლიგამია, ე.წ. „ოჯახურ გუნდს“ შეადგენს ერთი მამალი და რამდენიმე დედალი. როდოდენდრონების ბარდებში შენიღბულ ბუდეს დედალი აკეთებს ორმოს სახით; იგი ამოგებულია ბალახითა და ბუმბულით. კვერცხს დებს მაისში. თითოეულ ბუდეში 2-9 (საშუალოდ 5-7) კვერცხია. ინკუბაცია გრძელდება 24-25 დღე-ღამე. კრუხობს მხოლოდ დედალი, რომელიც ხანმოკლე დროით (კვებისათვის) ტოვებს ბუდეს. ივნისში ახლადგამოჩეკილი მართვეების ნაწილი იღუპება ალპურ სარტყელში მკაცრი კლიმატური პირობების გამო, აგვისტოს ბოლოსათვის კი ისინი ქათმის სიდიდეს აღწევენ და მეტად აღარ იზრდებიან. ამის შემდეგ მალე ტოვებენ მშობლებს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ბუდეებსა და ახლადგამოჩეკილ მართვეებს ხშირად თელავს საქონელი; ნაწილი მეცხვარეების ძაღლების მსხვერპლი ხდება. მტრად შეიძლება ჩაითვალოს მელა. ახლად გამოჩეკილი მართვეები ხშირად ცივდებიან. კონკურენტები ცნობილი არ არის. დაავადებიდან რეგისტრირებულია ნემატოდა (ორი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. მეტეოროლოგიური პირობების მკვეთრი მერყეობა ადგილსამყოფელში; მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია მთიან რაიონებში.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. ამიერკავკასიის რესპუბლიკები დაცულია სამონადირეო კანონმდებლობით; შეტანილი „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“ და ამოწყდომის გზაზე მდგარი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მე-2 დანართში. არეალი ნაწილობრივ მოიცავს თებერდის, რიწის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ახმეტის, კინტრიშის ნაკრძალების ტერიტორიას.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდრების აღრიცხვა-დაცვა, გამრავლების ადგილებში სეზონური აღკვეთილების შექმნა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Жордания, 1962;Сихарулидзе, 1974; Курашвили, 1957; „Красная книга СССР“, 1978; ჟორდანია, 1975, 1979.

სვავი
Aegypius monachus Linnaeus, 1766

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

იშვიათი ფრინველი, რომლის რიცხოვნობაც კლებულობს.

გავრცელება.სვავი გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიაში. საქართველოში ბინადრობს 3000-3300 მ-მდე ზღვის დონიდან.





საბინადრო არეალი. სვავს უყვარს როგორც მთები, ასევე ღია ადგილები და ზეგნები. იკვებება მძორით. ადგილსამყოფლის ნაწილი დარღვეულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ რიცხოვნობა სულ უფრო კლებულობს დაბალი რეპროდუქციის გამო.

გამრავლება. სვავებისათვის დამახასიათებელია მუდმივი წყვილების შექმნა (ერთ-ერთის სიკვდილამდე). ბუდეს იკეთებენ მაღალ ხეებზე. ბუდე წარმოადგენს უხეში ტოტების გროვას, რომელსაც ახალი ბუდობის დაწყებამდე „შეაკეთებენ“ ხოლმე; მისი დიამეტრი 2 მ აღწევს, სიმაღლე — 1 მ. მარტში დებს ერთადერთ კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 55 დღე-ღამეს. კრუხობს დედალ-მამალი მორიგეობით. მაისში იჩეკება მართვე, რომელიც საკმაოდ ნელა იბუმბლება და იზრდება. სექტემბრის ბოლოსათვის ახალგაზრდა ფრინველები გუნდებად ერთდებიან და ნომადობენ.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის. კონკურენციას ნაწილობრივ ორბები უწევენ.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. დაბალი რეპროდუქციის უნარი; ადგილსამყოფლის მოშლა; მტაცებელ ფრინველთა მოკვლისათვის წინა წლებში არსებული პრემირების წესი.

ტყვეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა. ხშირად ჰყავთ ზოოპარკებში (მათ შორის თბილისის ზოოპარკშიც).

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დაცვისათვის მიღებული ზომები. მოკვლა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ჯარიმა მოკვლისათვის; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; Жордания, Гогилашвили, 1969; ჟორდანია, 1979.

ორბი
Gyps fulvus Hablizl, 1783

რიგი — შავარდნისნაირნი — Falconiformes
ოჯახი — ქორისებრნი — Accipitridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სპორადულად გავრცელებული ფრინველია.

გავრცელება. ორბი სპორადულადაა გავრცელებული ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში მისმა რაოდენობამ ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო.

საბინადრო არეალი. მთის მშრალი და ღია ლანდშაფტები. ადგილსამყოფლის ნაწილი დარღვეულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.





რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. ბუდეს მიწაზე იკეთებს — კლდეზე ან ხევის პირას; ორბები ბუდეს აგებენ მსხვილი ტოტებისაგან და შემდეგ მას მრავალი წლის განმავლობაში იყენებენ. ქმნიან მუდმივ წყვილს (ერთ-ერთის სიკვდილამდე), ბუდე ამოგებულია პატარა ტოტებით და მშრალი ბალახით. წყვილობას ორბები იანვრის ბოლოს იწყებენ და უკვე თებერვლის მიწურულში დედალი დებს ერთადერთ კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობაა 50 დღეღამე. კრუხობენ მორიგეობით დედალ-მამალი. მართვეები ფრენას იწყებენ ივნისის ბოლოს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. შეიძლება კონკურენცია გაუწიოს სვავმა. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. რეპროდუქციის დაბალი უნარი, წინა წლებში არსებული პრემირების წესი მტაცებელ ფრინველთა მოკვლისათვის.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ხშირად ჰყავთ ზოოპარკებში (მათ შორის თბილისის ზოოპარკშიც).

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. მოკვლა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ჯარიმა მოკვლისათვის; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Радде, 1885; Сатунин, 1907; Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; Жордания, Гогилашвили, 1969; ჟორდანია, 1979.

დიდი ოყარი (დიდი თეთრი ყანჩა)

Egretta alba Linnaeus, 1758

რიგი — ლაკლაკისნაირნი — Ciconiiformes
ოჯახი — ყანჩასებრნი — Ardeidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

მცირერიცხოვანი ფრინველია.





გავრცელება. დიდი ოყარი გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში, სამხრეთ აფრიკაში, მადაგასკარზე, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ანტილიის კუნძულებზე, სამხრეთ ამერიკასა და ჩრდილო ამერიკის სამხრეთ ნაწილში. საქართველოში აღინიშნებოდა ჯავახეთში (სოფ. გორელოვკის მიდამოები), დასავლეთ საქართველოს მდინარეთა შესართავებში და ტბებზე. ამჟამად ბუდობს კოლხეთის დაბლობზე, სამეგრელოსა და ჯავახეთში.

საბინადრო არეალი. მდინარეებისა და ტბების ნაპირები — დაჭაობებული ადგილები, ჭალა. ადგილსამყოფელთა უმრავლესობა განიცდის ადამიანის სამეურნეო მოქმედების ზეგავლენას.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობები არ მოგვეპოვება.

გამრავლება. ბუდობს ცალკეულ წყვილებად აპრილში. ბუდეს იკეთებს ხეზე (ტირიფი), ლერწამზე ან ნიადაგზე.

ბუდეს შებრუნებული კონუსის ფორმა აქვს. დებს 3-4 (იშვიათად 5) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 25-26 დღე-ღამეს. კრუხობს დედალ-მამალი მორიგეობით.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტებსა და მტრებზე ცნობები არ მოგვეპოვება. რეგისტრირებულია ტრემატოდები (სამი სახეობა); ნემატოდები (ხუთი სახეობა) და აკანთოცეფალა (ერთი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. წინათ, როდესაც ქუდებს ბუმბულით ამკობდნენ, დიდ ოყარს განუკითხავად ჟლეტდნენ ლამაზი განუჟრილი ბუმბულის გამო; ადგილსამყოფელთა დეგრადაცია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. ნადირობა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდარი ადგილების აღრიცხვა-დაცვა. ჯარიმა მოკვლისათვის. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Радде, 1885; Вильконский, 1897; Чхиквишвили, 1933; Жордания, 1962, 1977;Курашвили, 1957, 1967; ყურაშვილი, 1965; ჟორდანია, 1979.

პატარა ოყარი (პატარა თეთრი ყანჩა)

Egretta garzetta Linnaeus, 1766

რიგი — ლაკლაკისნაირნი — Ciconiiformes
ოჯახი — ყანჩასებრნი — Ardeidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

მცირერიცხოვანი ფრინველი, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით.





გავრცელება. პატარა ოყარი გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, აზიაში, სპორადულად — აფრიკაში, ჩრდილოეთ ავსტრალიაში. ამიერკავკასიაში ბუდობს აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამიერკავკასიაში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას — მარტის ბოლოდან აპრილის პირველ ნახევრამდე და აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის ჩათვლით.

საბინადრო არეალი. ჭაობები, მდინარეებისა და ტბების დაჭაობებული ნაპირები. ამჟამად ადგილსამყოფელთა უმრავლესობა განიცდის ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებას.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობები არ მოგვეპოვება.

გამრავლება. პატარა ოყარი ცხოვრობს ტყის პირას, ჭალებში, მაღალი ბუჩქნარებით, ლერწმით დაფარულ ადგილებში. ბუდეს იკეთებს უმეტესად ხეზე, ზოგჯერ ნიადაგზე — ლელიანში. დებს 3-6 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 25 დღე-ღამეს. კრუხობს მორიგეობით დედალ-მამალი.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტები და მტრები ცნობილი არ არის. რეგისტრირებულია ტრემატოდები (ორი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფლის დეგრადაცია, შესაძლებელია შხამქიმიკატების გამოყენებაც.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. დაცულია სამონადირეო კოდექსით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ჯარიმა მოკვლისათვის, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Жордания, 1977;Курашвили, 1957; ყურაშვილი, 1965; ჟორდანია, 1979.

მყივანი (ყვითელნისკარტა) გედი
Cygnus cygnus Linnaeus, 1758

რიგი — ბატისნაირნი (ღერღეტისნაირნი) — Anseriformes

ოჯახი — იხვისებრნი — Anatidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

მცირერიცხოვანი ფრინველია.





გავრცელება. მყივანი გედი გავრცელებულია დასავლეთ ევროპასა და აზიაში. საქართველოში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას ან ზამთრობს შავი ზღვის პირას — აჭარაში, კოლხეთის დაბლობსა და აფხაზეთში.

საბინადრო არეალი. მყივანი გედი ცხოვრობს დიდ ტბებსა და წყალსაცავებთან, რომელთა ნაპირი ხშირი მცენარეულობითაა დაფარული, ჩვეულებრივ — ტყის ზონასა და ტუნდრის სამხრეთ სანაპიროზე. ადგილსამყოფელი განიცდის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენას.

რიცხოვნობა ბუნებში. ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. ცხოვრობს განუყრელ წყვილებად. ბუდეს იკეთებს მიწაზე, დებს 4-7 კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობაა 40 დღე-ღამე. კრუხობს მხოლოდ დედალი, მამალი კი შორიახლოსაა და იცავს მას.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტებსა და მტრებზე ცნობები არ მოგვეპოვება. რეგისტრირებულია ტრემატოდები (ორი სახეობა), ცესტოდები (ორი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ბრაკონიერული ნადირობა; შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა; ადგილსამყოფელის შემცირება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. დეკორატიული ფრინველია. ჰყავთ პარკებსა და ზოოპარკებში. რიცხობრივი მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. მოკვლა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში; ჯარიმა მოკვლისათვის.

ინფორმაციის წყაროები: „Птицы Советского Союза“, под ред. Дементьева, Гладкова IV, 1952; Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; ჟორდანია, 1977, 1979; Курашвили, 1957; ყურაშვილი, 1965.

სისინა (წითელნისკარტა) გედი
Cygnus olor Gmelin, 1783

რიგი — ბატისნაირნი (ღერღეტისნაირნი) — Anseriformes

ოჯახი — იხვისებრნი — Anatidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

მეტად იშვიათი ფრინველია, მისი რაოდენობა სულ უფრო მეტად მცირდება.

გავრცელება. სისინა გედი გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. საქართველოში გვხვდება მიმოფრენისას და მეტად მცირერიცხოვანია ზამთარში (აფხაზეთის სანაპირო ზოლში).





საბინადრო არეალი. დიდი ტბები და წყალსაცავები — ტყე-ველისა და ველის ზონებში, რომელთა ნაპირებზე ლერწმის ხშირი ბარდებია.

რიცხოვნობა ბუნებაში. მცირერიცხოვანია. ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება.

გამრავლება. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3-4 წლის ასაკში. ბუდობს განუყრელ წყვილებად. ბუდეს იკეთებს მიწაზე. დებს 7-9 კვერცხს (ახალბედებს ხშირად მხოლოდ თითო კვერცხი აქვთ). ინკუბაცია გრძელდება 35 დღე-ღამეს. კრუხობს მხოლოდ დედალი, მამალი კი შორიახლოს იმყოფება და იცავს მას. პირველი ბუდობის მოშლისას ადგილი აქვს მეორე ბუდობას (ორი კვერცხით). საბუდარი ადგილები ძლიერ დაშორებულია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ მოგვეპოვება. მართვეების ნაწილი ცივდება და იღუპება სწრაფი ან უეცარი აცივების გამო გადაფრენის დროს. რეგისტრირებულია აკანთოცეფალა (ერთი სახეობა).

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ბრაკონიერული ნადირობა ბუმბულისა და ხორცისათვის.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ისევე, როგორც მყივანი გედი, სისინა გედიც დეკორატიული ფრინველია. ჰყავთ პარკებსა და ზოოპარკებში. ზუსტი რიცხობრივი მონაცემები არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. გედის მოკვლა აკრძალულია, თუმცა ზოგან ჯერ კიდევ მისდევენ ბრაკონიერულ ნადირობას — ბუმბულისა და ხორცისათვის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში; ჯარიმა მოკვლისათვის;

ინფორმაციის წყაროები: „Птицы Советского Союза“, под ред. Дементьева, Гладкова IV, 1952; ჯანაშვილი, 1963; Жордания, 1977; ჟორდანია, 1977, 1979; Курашвили, 1957.

სირიული ხეკოდა (სირიული კოდალა)

Dendrocopos syriacus Hemprich et Ehrenberg, 1838

რიგი — კოდალასნაირნი — Piciformes
ოჯახი — კოდალასებრნი — Picidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია.





გავრცელება. სირიული ხეკოდა გავრცელებულია ბულგარეთში, იუგოსლავიაში, მცირე აზიაში, კავკასიაში, ირანში, ერაყსა და პალესტინაში. საქართველოში ძალიან იშვიათად გვხვდება ქართლსა და კახეთში.

საბინადრო არეალი. ბინადრობს ფოთლოვანსა და შერეულ ტყეებში, მდინარისპირა ბუჩქნარში, ლერწამლელქაშში. ადგილსამყოფლები მრავალ ადგილას ირღვევა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ არის. არეალის ფარგლებში ყველგან მცირერიცხოვანია.

გამრავლება. სირიული ხეკოდა ბუდეს იკეთებს ფუღუროში, რომელსაც ამოაგებს ხოლმე ფოთლებითა და ხმელი ბალახით. აპრილში დებს 5-6 (11-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება ორ კვირამდე. კრუხობს მარტო დედალი, ხანდახან მამალიც ენაცვლება.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის. კონკურენცია შეიძლება გაუწიონ ამავე რიგის სხვა წარმომადგენლებმა და სხვა მეხეურმა ფორმებმა.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფელის დარღვევა, შესაძლოა შხამქიმიკატების გამოყენებაც.

ტყეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ გაგვაჩნია.

გამრავლება ტყეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. ნადირობა აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ადგილსამყოფელში საბუდრების აღრიცხვა-დაცვა. ფართო ახსნა-განმარტებითი საუბრები მოსახლეობაში კოდალების სარგებლიანობაზე; ჯარიმა მოკვლისათვის.

ინფორმაციის წყაროები: Радде, 1885; Сатунин, 1907; Жордания, 1962; ჯანაშვილი, 1963; ჟორდანია, 1979.

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲭᲝᲑᲐ

Carpodacus rubicilla Güldenstädt, 1775

რიგი — ბეღურასნაირნი — Passeriformes
ოჯახი — მთიულასებრნი — Fringillidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

ვიწროლოკალური გავრცელების იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია.

გავრცელება. დიდი კოჭობა გავრცელებულია კავკასიაში, აზიაში, ტიბეტის (ჰიმალაი, ალტაის და ხანგაის მთიანეთი). საქართველოს ფარგლებში ეს ფრინველი კავკასიონის მაღალმთისთვისაა ცნობილი (ყაზბეგის, დუშეთის, ბარისახოს მიდამოები და სხვ.); შემჩნეულია მცირე კავკასიონის მთიანეთზედაც (ბახმარო — 2500 მ სიმაღლე ზღვის დონიდან, ბორჯომის, კინტრიშის ნაკრძალები). ზამთარში ვერტიკალურად ნომადობს.





საბინადრო არეალი. დიდი კოჭობა ბინადრობს ალპურ მდელოებზე — როდოდენდრონის სარტყლის ზემოთ. იანვარში, დიდთოვლობისას, თერგისა და შავი არაგვის ხეობებში გვხვდება და პატარა გუნდებად ჩამოდის ანანურამდე. ადგილსამყოფლის ნაწილი დეგრადაციას განიცდის მეცხოველეობის განვითარების გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. მცირერიცხოვანია. ზუსტი ციფრები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. დიდი კოჭობა ბუდეს იკეთებს აპრილში — კლდეების ნაპრალებში, ან შესაძლებელია, ბუჩქების ქვედა ტოტებზე. დებს 3-4 (6-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება ორ კვირაზე ცოტა მეტ ხანს. ბუდობს წყვილებად, ან მცირე კოლონიების სახით.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. რიცხოვნობა მკვეთრად არ იცვლება. ცვლილებები ძირითადად განპირობებულია ადგილსამყოფლის დარღვევით.

ტყეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის. თითო-ოროლა წყვილი ჰყავდათ მოყვარულებს.

გამრავლება ტყეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. ბეღურასნაირ მგალობელ ფრინველებზე ნადირობა აკრძალულია საქართველოს სამონადირეო კანონმდებლობით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბუდარი ტერიტორიების ზუსტი აღრიცხვა და ამ ადგილებში სეზონური აღკვეთილების დაარსება; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Бёме 1959; Жордания, 1962, 1963; ჟორდანია, 1979.

წითელმუცელა ბოლოცეცხლა

Phoenicurus erythrogaster Güldenstädt, 1775

რიგი — ბეღურასნაირნი — Passeriformes
ოჯახი — შაშვისებრნი — Turdidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სპორადული გავრცელების მცირერიცხოვანი ფრინველია.

გავრცელება. წითელმუცელა ბოლოცეცხლა გავრცელებულია ცენტრალურსა და შუა აზიაში (ბაიკალის ტბამდე), ჩრდილოეთ ირანსა და კავკასიაში. საქართველოში იგი ბინადრობს კავკასიონზე და მასთან დაკავშირებულ მთათა კალთებზე. მცირე კავკასიონის მთიანეთზე არ აღინიშნება. ვერტიკალურად აღწევს 3000-4000 მ ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. წითელმუცელა ბოლოცეცხლა ცხოვრობს ალპურ მდელოებზე, მაღალმთის ვიწრო, ღრმა და ბნელ ხეობებში, ხრამებში, მყინვარეული მორენების ნაშთებსა და მსხვილ ქვაყრილებზე. ადგილსამყოფლის ნაწილი დეგრადაციას განიცდის მეცხოველეობის ინტენსიური განვითარების გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. შედარებით მცირე არეალისა და მეჩხერი ბუდობების გამო მცირერიცხოვანია. ციფრობრივი მონაცემები არ არის.





გამრავლება. წითელმუცელა ბოლოცეცხლა ბუდეს იკეთებს კლდეთა ნაპრალებში და მიწაზე — ქვებს შუა. მაისში დებს 3-5 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება ორ კვირამდე. კრუხობს მეტწილად დედალი, მამალი კი ხანდახან ენაცვლება მას.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ გაგვაჩნია.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. რიცხოვნობაში მკვეთრი ცვლილებები შემჩნეული არ არის, თუმცა მოსალოდნელია ადგილსამყოფლის ნაწილის დეგრადაციის გამო.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ გაგვაჩნია.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. ბეღურასნაირ ფრინველებზე ნადირობა აკრძალულია საქართველოს სამონადირეო კანონმდებლობით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში; მოკვლისათვის ჯარიმა.

ინფორმაციის წყაროები: Сатунин, 1907; Базиев, 1970; ჟორდანია, 1978, 1979.

წითელფრთიანი კოჭობურა

Rhodopechys sanguinea Güld., 1897

რიგი — ბეღურასნაირნი — Passeriformes
ოჯახი — მთიულასებრნი — Fringillidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სპორადული გავრცელების მცირერიცხოვანი ფრინველია.

გავრცელება. წითელფრთიანი კოჭობურა გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, პალესტინაში, ირანში, სამხრეთ ამიერკავკასიაში, შუა აზიაში. საქართველოში განსახლდა მეზობელი სომხეთიდან და ამჟამად ახალქალაქის რაიონში ბუდობს. ჩვენში ამ ახალი სახეობის ბინადრობა ჯერ მხოლოდ საწყის სტადიაშია, სასურველია ამ საინტერესო ახალი ელემენტის შენარჩუნება.

საბინადრო არეალი. წითელფრთიანი კოჭობურა ბინადრობს მთის მცენარეულით ღარიბ, ქვიან, თიხნარ კალთებზე. საქართველოში მისი ადგილსამყოფელი უშიშარ ზონაშია (საკმაოდ მიუვალია, ადამიანის სამეურნეო საქმიანობისთვის ნაკლებ გამოსაყენებელი).

რიცხოვნობა ბუნებაში. მცირერიცხოვანია. ციფრობრივი მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. წითელფრთიანი კოჭობურა ბუდობს წყვილებად ან მცირერიცხოვანი კოლონიების სახით. ბუდეს იკეთებს მიწაზე. მაისში დებს 3-5 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 15-16 დღე-ღამე. კრუხობს მხოლოდ დედალი. გამრავლების ბიოლოგია სუსტადაა შესწავლილი.





კონკურენტები, მტრები, დაავადებები. შესწავლილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საქართველოში საბუდარ ადგილსამყოფელებში მკაცრი კლიმატური პირობებია. სხვა მონაცემები არ გაგვაჩნია.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მონაცემები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. ბეღურასნაირ ფრინველებზე ნადირობა საქართველოს სამონადირეო კანონმდებლობით აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1966, Иванов, 1976; Dathe, Potenko, Stübs, Vietinghoff-Schell, Wunderlich, 1976; ჟორდანია, 1979.

წითელი ღაჟო

Lanius senator Linnaeus, 1758

რიგი — ბეღურასნაირნი — Passeriformes
ოჯახი — ღაჟოსებრნი — Laniidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

მცირერიცხოვანი ფრინველია და მისი რაოდენობა სულ უფრო მცირდება.

გავრცელება. გვხვდება ევროპაში, მცირე აზიაში, ირანში, ამიერკავკასიაში, ჩრდილო-დასავლეთსა და ცენტრალურ აფრიკაში, სირიაში, მესოპოტამიაში, პალესტინაში. საქართველოში სპორადულადაა გავრცელებული, საკმაოდ იშვიათია და მისი გავრცელება უკავშირდება ქსეროფიტულ მცენარეულობასა და ბუჩქნარს. ვერტიკალურად ვრცელდება 2700 მ-მდე ზღვის დონიდან. ჩვენში აღინიშნება მცხეთის მიდამოებში (ჯვრის მონასტერი, შიო მღვიმე), გარეჯის მონასტრის მახლობლად, „თბილისის ზღვის“ სამხრეთ ნაპირებზე, თეთრიწყაროს, ახალციხის, ასპინძის, დედოფლისწყაროს რაიონებში. ყველგან მცირერიცხოვანია.

საბინადრო არეალი. მშრალი, ბუჩქოვანი ღია ადგილები, მთისწინები, ხევისპირები. ადგილსამყოფლის უმრავლესობა ადამიანის ინტენსიური სამეურნეო საქმიანობის გავლენას განიცდის.

რიცხოვნობა ბუნებაში. ახალი საერთო მონაცემები არ არის. საქართველოს ფარგლებში მცირერიცხოვანია.

გამრავლება. წითელთავა ღაჟო ბუდეს ბუჩქებზე იკეთებს. მაისში დებს 4-5 (7-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 16 დღე-ღამე. კრუხობს მარტო დედალი.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ მოგვეპოვება.





რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაძლებელია, შხამქიმიკატების სამეურნეო გამოყენება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მონაცემები ხელთ არ გვაქვს.

დასაცავად მიღებული ზომები. სპეციალური ღონისძიებები არ ტარდება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში, საბუდარ ტერიტორიაზე შხამქიმიკატების რეგლამენტაცია.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; ჟორდანია 1979.

წითური ასპუჭაკა

Cercotrichas (Erythropygia) galactotes Temminck, 1820

რიგი — ბეღურასნაირნი — Passeriformes
ოჯახი — შაშვისებრნი — Turdidae





სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

არეალის მრავალ ადგილას ჩვეულებრივი ფრინველია; საქართველოში მეტად იშვიათი და მცირერიცხოვანია.

გავრცელება. წითური ასპუჭაკა გავრცელებულია: ევროპაში (პორტუგალია, სამხრეთ ესპანეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი), აზიაში (მცირე და შუა აზია, ამიერკავკასია, ირანი, ბელუჯისტანი, ავღანეთი, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი, სინას ნახევარკუნძული, სირია, პალესტინა) და აფრიკაში (მოროკო, ალჟირი, ეთიოპია, სუდანი, სომალი). საქართველოში გასულ საუკუნეში ამ ფრინველის რამდენიმე ეგზემპლარი მოინადირეს თბილისის მიდამოებში. ამჟამად იგი ბუდობს ვაშლოვანის ნაკრძალში.

საბინადრო არეალი. წითური ასპუჭაკა ბინადრობს ქსეროფიტულ ბიოტოპებში — ველებზე, უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებში — დაბალი ბუჩქნარის სარტყელში; მთის კალთებსა და ხეობებში, ანთრომორფულ ლანდშაფტში. ადგილსამყოფლის უმრავლესობა განიცდის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენას.

რიცხოვნობა ბუნებაში. ცნობები არ გაგვაჩნია. საქართველოში ბუდობს რამდენიმე წყვილი.

გამრავლება. წითური ასპუჭაკა ბუდობს ბუჩქებში ან მიწაზე. კვერცხდება ახასიათებს ორჯერ — აპრილის ბოლოს — მაისში და აგვისტოში. დებს 3-6 (ჩვეულებრივ 4) კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობაა ორი კვირა. კრუხობს მარტო დედალი, მამალი კი ამ დროს ზრუნავს მის საკვებზე.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ გაგვაჩნია.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შხამქიმიკატების გამოყენება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მონაცემები არ გაგვაჩნია.

დასაცავად მიღებული ზომები. საქართველოში წითური ასპუჭაკა გავრცელებულია ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. შხამქიმიკატების გამოყენების რეგლამენტირება; ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Радде, 1885; Сатунин, 1907; Жордания, 1962; Сихарулидзе, 1974; ჟორდანია, 1979.

მოკლეთითა მგლინავა

Certhia brachydactyla Brehm, 1820

რიგი — ბეღურასნაირნი — Passeriformes
ოჯახი — მგლინავასებრნი — Certhiidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია.

გავრცელება. გავრცელებულია დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, მცირე აზიაში, დასავლეთ კავკასიაში, ჩრდილო აფრიკაში. მოკლეთითა მგლინავა დასავლეთ საქართველოში ბუდობს, ზამთარში კი — ნომადობისას — აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება (ნომადობს სექტემბრიდან მარტამდე).

საბინადრო არეალი. მოკლეთითა მგლინავა ცხოვრობს ძველ ფოთლოვან ან შერეულ ტყეებში. ადგილსამყოფლები განიცდის ადამიანის სამეურნეო მოქმედების გავლენას; მათი ნაწილი დარღვეულია.





რიცხოვნობა ბუნებაში. მცირერიცხოვანია. ზუსტი ციფრობრივი მონაცემები არ არის.

გამრავლება. მოკლეთითა მგლინავა ბუდეს იკეთებს ფუღუროში, ხის სქელი ქერქის ქვეშ, ხის ქერქის ან შენობების კედლების ნაპრალებში. კვერცხდება ზაფხულის განმავლობაში ორჯერადია — აპრილსა და ივლისში. თითო ჯერზე დებს 6-8 კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობაა 15 დღე-ღამე. კრუხობს მარტო დედალი.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენცია ნაწილობრივ შეიძლება გაუწიონ ჩვეულებრივმა მგლინავებმა, ცოციებმა, წიწკანებმა. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფლის ნაწილის დეგრადაცია, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, შესაძლებელია შხამქიმიკატების გამოყენებაც.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. მონაცემები არ არის.

დასაცავად მიღებული ზომები. არავითარი ზომები არ არის მიღებული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში მგლინავების დიდი სარგებლიანობის შესახებ.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1967; Иванов, 1976; ჟორდანია, 1979.

ულვაშა წიწკანა

Panurus biarmicus Linnaeus, 1758

რიგი — ბეღურასნაირნი — Passeriformes
ოჯახი — თოხიტარასებრნი — Paradoxornithidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

არეალის ფარგლებში სპორადულად გავრცელებული ფრინველია. საქართველოს ტერიტორიაზე იშვიათი და მცირერიცხოვანია.

გავრცელება. ულვაშა წიწკანა გავრცელებულია ევროპისა და აზიის სამხრეთ ნაწილსა და ზომიერ სარტყელში. საქართველოში აღნიშნულია ლისის ტბაზე, დედოფლისწყაროს რაიონში, მდ. მტკვრის დაჭაობებულ ადგილებში — კარსნისხევთან და რუსთავისკენ მიმავალ გზაზე.

საბინადრო არეალი. ლერწამ-ლელქაში, მდინარეებისა და ტბების თხელი დაჭაობებული ადგილები. ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად მოსპობილია (კარსნისხევი დამშრალია, ლისის ტბა ადამიანის ინტენსიური მოქმედების ზონაშია და ა. შ.).

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი ციფრობრივი მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. ულვაშა წიწკანა ბუდეს იკეთებს ლერწმის ძირში. მარტის ბოლო რიცხვებში ან აპრილის პირველ ნახევარში დებს 5-7 (8-მდე) კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობაა 15-16 დღე-ღამე. დედალ-მამალი კრუხობს მორიგეობით.





კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საქართველოში ადგილსამყოფლის განადგურება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გვაქვს.

დასაცავად მიღებული ზომები. ბეღურასნაირი ფრინველების მოკვლა აკრძალულია საქართველოს სამონადირეო კანონმდებლობით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბუდობის ადგილსამყოფლის გამვლინება და მცირე ფართობის აღკვეთილების ან დაცული ტერიტორიების შექმნა.

ინფორმაციის წყაროები: Жордания, 1952; ჟორდანია, 1979.

ლიტერატურა

ჟორდანია ლ., გველიჭამია არწივი. „საქართველოს ბუნება“, №6, 1978.

ჟორდანია რ., შურთხები. „საქართველოს ბუნება“, №9, 1974.

ჟორდანია რ., როჭო. „საქართველოს ბუნება“, №3, 1975.

ჟორდანია რ., მთის არწივი. „საქართველოს ბუნება“, №4, 1976.

ჟორდანია რ., დააკვირდით გედებს. „საქართველოს ბუნება“, №3, 1977.

ჟორდანია რ., წითელმუცელა ბოლოცეცხლა. „საქართველოს ბუნება“, №4, 1978.

ჟორდანია რ., შავარდენი. „საქართველოს ბუნება“, №9, 1978.

ჟორდანია რ., იშხვარი, ანუ ყარყატი. „საქართველოს ბუნება“, №11, 1978.

ჟორდანია რ., საქართველოს იშვიათი ფრინველები. თბილისი, 1979.

ღამბარაშვილი ნ., ბურჯანაძე ვ., საქართველოს ნადირ-ფრინველი. თბილისი, 1966.

ყურაშვილი ბ., ცხოველებისა და ადამიანის ტრემატოდები საქართველოში. თბილისი, 1961.

ჯანაშვილი ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. III — ხერხემლიანები. თბილისი, 1963.

Базиев Д. Х., Современное распространение и численность каспийского улара в Закавказье. — <<Зоологический журнал АН СССР>>, т. XLVI, вып. 5, 1967.

Базиев Д. Х., Интерьная характеристика кавказской краснобрюхой горихвостки и горихвостки-чертушки. — <<Экология>>, 2 1970.

Базиев Д. Х., Улары Кавказа. Экология, морфология, Эволюция. Л., 1978.

Бёме Р. Л., Птицы центрального Кавказа. — <<Уч. Зап. Сев. — Осет. Гос. Пединститута им. К. Хетагурова>>, т. XXIII, в. I, Орджоникидзе, 1958.

Вильконский Ф. В., Орнитологическая фауна Орнитологичекая фауна Аджарии, Гурии и сев.— вост. Лазистана. -<<Материалы к познанию фауны и флоры Российской империи>> вып. III, М., 1897.

Жордания. Р. Г. Орнитофауна Малого Кавказа (в границах Грузинской ССР). Тбилиси, 1962.

Жордания Р. Г., К изучению Орнитофауна Малого Кавказа (Орнитофауна окрестностей Бахмаро). — <<Вестник Гос. Музея Грузии им. Акад. С.Н. Джанашиа АН ГССР>>, т. XXI — А, Тбилиси, 1963.

Жордания Р. Г., Новые данные о короткопалой пищухе на Кавказе. <<Сообщ. АН ГССР>>, т. XLVIII, 2, Тбилиси, 1967.

Жордания Р. Г., Гогилашвили Г. С., Птицы Лихского хребта и сопредельных мест. Тбилиси, 1969.

Жордания Р. Г., Серый журналь в Грузии. <<Вестник Гос. Музея Грузии им. С. Н. Джанашиа АН ГССР>> т. XXVI — XXVII — А, Тбилиси, 1970.

Жордания Р. Г., Птицы Колхидской низменности. <<Ер. Ебилисского университета>>, т. 192 (серия химия-биология). Тбилиси, 1977.

Иванов А. И., Каталог птиц СССР. Л. 1976.

<<Красная книга СССР>>.М., 1978.

Курашвили Б. Е., Гельминты охотничье-промысловых птиц Грузии в фаунистическом и экологическом освещении. Монография, М., 1957.

Курашвили Б. Е., Акантоцефалы животных в Грузии. Тбилиси, 1967.

Кутубидзе М. Е., Результаты изучения биологии куриных Карталино-Кахетинского плоскогорья. Автореф. канд. Дисс., Тбилиси, 1955.

Михаловский И. Д., Орнитологические наблюдения в Закавказье летом 1878 года. — <<Тр. СПб общ-ва Устествоиспытателей>>, т. XI вып. I, СПб, 1880.

<<Птицы Советского союза>>, под ред. Г. П. Дементьева и Н. А. Гладкова, т. I-VI. М., 1951-1954.

Радде Г. И.,Орнитологическая фауна Кавказа (OrnisCaucasica). Систематическое и биолого-географическое описание кавказских птиц. Тифлис, 1884 (на обложке 1885).

Сатунин К. А., Материалы к познанию птиц Кавказского края. — <<Зап. Кавказского отделентя Императорского Русского Географческого общ-ва>>, т. XXVI вып. 3 Тифлис, 1907.

Сихарулидзе З. Д., К биологии кавказского тетерева. <<Орнитология>>, вып. 11, М., 1974.

Сихарулидзе З. Д., Гнездование рыжих славок в Грузии. Материалы VI всес. Орнитол. Конф. М., 1974.

Степанян Л. С., История рода Regulusc позиций теории берингийских континентальных связей. — <<Журн. Общей биологии>>, т. XXVII, 6, М., 1966.

Цветников Е. В., Орнитологические наблюдения в окрестностях Белого Ключа. — <<Материалы к познанию флоры и фауны Российской империи>>, отд. Зоологич., Вып V, М., 1901.

Чхиквишвили И. Д., Материалы по орнитофауне Джавахетии (в сборнтке <<Джавахетия>>: материалы по изучению ресурсов Ахалкалакского нагорья). Тифлис, 1933.

Jordania R., Der Kranich in Georgien. Der Falke, N 4, Leipzig [Jena] Berlin, 1971.

Stresemann E., **Portenko L. A.**, **maeursberger G.**, Atlas de Verbreitung palaeartktischer Vögel, 3. Lieferung. Akademie-Verlag. Berlin, 1971.

Dathe H., **Portenko L. A.**, **Stübs J.**, **Vietinghoff-Schell E. V.**, **Wunderlich K.**, Atlas der Verbreitung palaerktischer Vögel, 5. Lieferung. Akademie-verlag. Berlin. 1976.

გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

გრძელფეხა სცინკი
Eumeces schneideri Daud., 1802

რიგი — ქერცლიანები — Squamata
ოჯახი — სცინკისებრნი — Scincidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სტაბილურად მცირერიცხოვანია.

გავრცელება. გავრცელებულია ჩრდილო აფრიკაში, წინა და შუა აზიაში, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. საქართველოში გვხვდება დავით გარეჯში, შირაქში, ქვემო ქართლში.





საბინადრო არეალი. ქსეროფიტული ადგილები.

რიცხოვნობა ბუნებაში. ხუთი წლის განმავლობაში აღირიცხა რამდენიმე ცალი.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ მოიპოვება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ მოიპოვება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მოპოვების აკრძალვა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Мусхелишвили, 1970.

დასავლური მახრჩობელა
Eryx jaculus Linnaeus, 1758

რიგი — ქერცლიანები — Squamata
ოჯახი — მახრჩობელასებრნი — Boidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. გვხვდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კავკასიაში, პალესტინაში, სირიაში, ირანში, ერაყში, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში; საქართველოში — ქვემო ქართლში, გარე კახეთში, შირაქში, თბილისის მიდამოებში.

საბინადრო არეალი. მშრალი, გვალვიანი, ველის ან ნახევრად უდაბნოს მცენარეულობით დაფარული ადგილები.

რიცხოვნობა ბუნებაში. უმნიშვნელოა. შირაქში მთელი დღის განმავლობაში სპეციალური ძებნისას შეიძლება არც ერთი ცალი არ შეგვხვდეს. სხვა ადგილებშიც მახრჩობელასთან შეხვედრა შემთხვევით ხასიათს ატარებს. შედარებით უფრო ხშირად გვხვდება კუმისის მიდამოებში — დღის განმავლობაში საშუალოდ 1-2 ინდივიდი. თბილისის მიდამოებში (დელისში, ავჭალაში) უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე ამჟამად.





გამრავლება. კვერცხცოცხლადმშობიარეა, აგვისტოს ბოლოს — სექტემბრის დასაწყისში 20-მდე ნაშიერს შობს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ მოიპოვება.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფლის სასოფლო-სამეურნეო ათვისება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მახრჩობელას რიცხოვნობაზე, განსაკუთრებით თბილისის მიდამოებში.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ მოიპოვება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მოპოვების აკრძალვა სტუდენტთა პრაქტიკის პერიოდში.

ინფორმაციის წყაროები: Ростмбеков, 1930; мусхелишвили, 1970.

იშვიათი სახეობები, რომლებსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს

გრძელი მცურავი

Zamenis longissimus (Elaphe longissima Laurenti, 1768)

რიგი — ქერცლიანები — Squamata
ოჯახი — ანკარასებრნი — Colubridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

მცირერიცხოვანია, გადაშენების გზაზე მდგარი ფორმაა.

გავრცელება. გრძელი მცურავი გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში, დასავლეთ უკრაინაში, მოლდავეთში, კავკასიაში, მცირე აზიაში, ირანში. საქართველოში გვხვდება თბილისის და ლაგოდეხის მიდამოებში, ლიხის ქედზე, სოხუმთან, სამეგრელოში, ქუთაისის რაიონში, ტყიბულთან, ბათუმის მიდამოებში, ვერტიკალურად აღწევს 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. გრძელი მცურავი ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარებში, მთის ფერდოებებზე, თავს აფარებს კლდეთა ნაპრალებს, ხის ფუღუროებს, ფიჩხის გროვას, ნაყარ ფოთლებსა და სხვ. კარგად დახოხავს ხეებზე. ადგილსამყოფლები განიცდის ადამიანის სამეურნეო მოქმედებას.

რიცხოვნობა ბუნებაში. მონაცემები არ არის.

გამრავლება. გრძელი მცურავების შეუღლება ხდება მაისის დასაწყისში. ივლისის შუა რიცხვებში დედალი ყრის 4-9 კვერცხს. ნაშიერები იჩეკებიან სექტემბერში, ხოლო სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ სამი წლის ასაკში (ვარაუდით).

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საბინადრო ადგილების ანთროპოგენიზაცია, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, მოსახლეობის მიერ დახოცვა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. შეუსწავლელია.









დასაცავად მიღებული ზომები. შეტანილია „საერთაშორისო წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბინადრო ადგილსამყოფლის ზუსტი აღრიცხვა; რიცხოვნობის ზუსტი დადგენა. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში. მოკვლისათვის დაჯარიმება.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Мусхелишвили, 1970; Банников и соавт., 1971, 1977; Фишер и соавт., 1976.

კავკასიური გველგესლა
Vipera Kaznakovi Nikolsky, 1910

რიგი — ქერცლიანები — Squamata
ოჯახი — გველგესლასებრნი — Viperidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

ვიწრო არეალის მქონე კავკასიის ენდემური ფორმაა.

გავრცელება. საქართველოში გვხვდება: აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, რაჭაში, ქუთაისის რაიონში, ოზურგეთის რაიონში, აჭარაში, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე, ბორჯომის ხეობაში (ბანისხევი).

საბინადრო არეალი. კავკასიური გველგესლა ბინადრობს ტყეებში, მდინარეთა დაჭაობებულ ხეობებში, სუბალპურსა და ალპურ მდელოებზე. მისი საბინადრო ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია ინტენსიური ანთროპოგენიზაციის ზონაში.

რიცხოვნობა ბუნებაში. მცირერიცხოვანია. ზუსტი რიცხობრივი მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამრავლება. შეუსწავლელია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საბინადრო ადგილების ათვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობისათვის; შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. მონაცემები არ გაგვაჩნია. რამდენიმე ინდივიდი წლების მანძილზე ჰყავდათ თბილისის უნივერსიტეტის ჰერპეტოლოგიურ ლაბორატორიაში.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. შეუსწავლელია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბინადრო

ადგილსამყოფლის ზუსტი დადგენა-დაცვის მიზნით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში. მოკვლის ან ნებართვოდ მოპოვებისათვის დაჯარიმება.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Джавахишвили, Жордания, 1977, 1981; Бакрадзе, 1969; Баников и соавт., 1971, 1977.

ცხვირრქოსანი გველგესლა
Vipera ammodytes Linnaeus, 1758

რიგი — ქერცლიანები — Squamata
ოჯახი — გველგესლასებრნი — Viperidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

იშვიათი, მცირერიცხოვანი ფორმაა.

გავრცელება. ცხვირრქოსანი გველგესლა გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიაში. საქართველოში გვხვდება თრიალეთსა და მესხეთის ქედებზე. ვერტიკალურად გავრცელებულია 1700 მ-მდე ზღვის დონიდან.





საბინადრო არეალი. ცხვირრქოსანი გველგესლა ბინადრობს მთების ქვაღორღიან კალთებზე, გვხვდება მთის ტყეებში, ბუჩქნარებში, ადამიანის საცხოვრებელი ადგილის ახლოს. თავს აფარებს ძველ შენობათა ნანგრევებს, ქვის ყორეებს, ქვებსა და ლოდებს. მისი საბინადრო ადგილსამყოფლები უმეტესად ათვისებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი მონაცემები არ არის. საქართველოს ტერიტორიაზე მცირერიცხოვანია.

გამრავლება. ცხვირრქოსანი გველგესლების შეუღლება ხდება მარტ-აპრილში. აგვისტოს დამლევს — სექტემბრის შუა რიცხვებამდე დედალი შობს 20-მდე ნაშიერს, რომელთა სიგრძე 20-23 სმ-ია.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის. შესაძლებელია, კონკურენცია გაუწიოს კატისთვალა გველმა ან სხვა ქვეწარმავალმა.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. საბინადრო ადგილების ათვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობისათვის; მოპოვება კოლექციებისათვის და სამედიცინო მიზნით; შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საბინადრო ადგილსამყოფლისა და რიცხოვნობის ზუსტი აღრიცხვა. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში; მოკვლისა და უნებართვო ჭერისათვის — ჯარიმა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Джавахишвили, Жордания, 1977, 1981;Мусхелишвили, 1970; Банников и соавт., 1971, 1977; Фишер и соавт., 1976.

ხმელთაშუაზღვის კუ
Testudo graeca Linnaeus, 1758

რიგი — კუსნაირნი — Testudines
ოჯახი — კუსებრნი — Testudinidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საკმაოდ იშვიათი, მცირერიცხოვანი ფორმაა.

გავრცელება. ხმელთაშუა ზღვის კუ გავრცელებულია ევროპაში (სამხრეთ ესპანეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი), ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და წინა აზიაში (სირია, ირანი, ერაყი). ბინადრობს აღმოსავლეთ საქართველოში. ვერტიკალურად გავრცელებულია 1100 მ-მდე ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. ხმელთაშუა ზღვის კუ ბინადრობს ველებზე, მინდვრებში, მთების ფერდობებზე, ახოებში, ტყეებში, ბუჩქნარებში, სათიბებში, ანთროპოგენურ ლანდშაფტზე.

რიცხოვნობა ბუნებაში. მონაცემები ხელთ არ გვაქვს. საქართველოში საკმაოდ მცირერიცხოვანია.

გამრავლება. ხმელთაშუა ზღვის კუთა შეუღლება ხდება აპრილ-მაისში. ივნისიდან მოყოლებული სამჯერ დებს 2-8 კვერცხს (თითოეულ ჯერზე). კვერცხებს ფლავს თავისსავე ამოთხრილ ორმოებში. ინკუბაცია



გრძელდება 2-3 თვეს. შემოდგომის მიწურულს ხმელთაშუა ზღვის კუ იმალება სოროებში (მაჩვის, მელას და სხვ.) და იქ ეძლევა ზამთრის ძილქუშს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ არის.



რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ადგილსამყოფლის უმეტესობის ათვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობისათვის, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა. რეპროდუქციის არასტაბილურობა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. მონაცემები არ გაგვაჩნია. ხშირად ჰყავთ ზოოპარკებში, ტერარიუმებში, ოჯახებშიც.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ გაგვაჩნია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი საუბრები მოსახლეობაში; შესაძლებელია ხელოვნური მოშენება და ბუნებაში გაშვება. დაჭერისათვის დაჯარიმება.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Мусхелишвили, 1970; Банников и соавт., 1971, 1977; Джавахишвили, Жордания, 1977, 1981;

ლიტერატურა

ჯანაშვილი, ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. III, ხერხემლიანები, თბ. 1963.

Бакрадзе М. А., Новые данные о распространении кавказской гадиюки (Vipera kaznakovi nikolsky) — <<Сообщ. АН ГССР>>, 56, 2, 1969.

Баникои А. Г., Даревский И. С., Рустамов А. К., Земноводные и пресмыкающиеся СССР. М., 1971.

Банников А. Г., Даревский И. С., Ищенко В. Г., Рустамов А. К., Щербак Н. Н., Определитель земноводных и пресмыкающихся фауны СССР, М., 1977.

Джанашвили А. Г. И Жордания Р. Г., Распространение в Грузии земноводных и пресмыкающихся, включенных в <<Красную книгу СССР>>. Вопросы герпетологии (IV Ввес. герпетол. Конф.), Л., 1977.

Джанашвили А. Г., Жордания Р. Г., Редкие и малочисленные земноводные и пресмыкающиеся Грузии и их охрана. Вопросы герпетологии (V Ввес. герпетол. Конф.), Л., 1981.

Мусхелишвили Т. А., Пресмыкающиеся Восточной Грузии. Тб., 1970.

Ростомбеков В. Н., Материалы к изучению герпетофауны окрестностей Тифлиса. <<Закавказский краеведческий сб.>>, Тб., 1930.

გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

სირიული მყვარი
Pelobates syriacus Boett., 1889

რიგი — უკუდო ამფიბიები — Anura
ოჯახი — მყვარისებრნი — Pelobatidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

სტაბილურად მცირერიცხოვანია.

გავრცელება. გვხვდება სირიაში, მცირე აზიაში, ბულგარეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ ამიერკავკასიაში; საქართველოში აღნიშნული იყო მხოლოდ თბილისის მიდამოებში.



საბინადრო არეალი. ტბები, ტბორები, ჭაობები. გენერლის ტბა (კოჯორი) ამჟამად ამომშრალია. კუს ტბის ნაპირები გადაქცეულია დასვენების ზონად.

რიცხოვნობა ბუნებაში. უკანასკნელი წლების მანძილზე არავის შეხვედრია საქართველოს ტერიტორიაზე.

გამრავლება. ქვირითს ყრის მარტ-მაისში, მეტამორფოზი გრძელდება 65-85 დღეს.

კონკურენტები, **მტრები**, **დაავადებები**. ცნობები არ მოიპოვება.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ცნობები არ მოიპოვება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ მოიპოვება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა პოვნის ყველა შემთხვევის რეგისტრაცია და სპეციალური გამოკვლევები ეკოლოგიაზე, რომელიც ჩვენს პირობებში შეუსწავლელია.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; ჟორდანია, 1975; Терентьев, Чернов, 1949; Ванников, Даревский, Рустамов, 1971.



იშვიათი სახეობები, რომლებსაც ჯერჯერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს

მცირეაზიური ტრიტონი
Triturus vittatus (Jenyns, 1835); Ommatotriton vittatus

რიგი — კუდიანი ამფიბიები — Caudata
ოჯახი — სალამანდრისებრნი — Salamandridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი იშვიათი, გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა.

გავრცელება. გავრცელებულია კავკასიაში, მცირე აზიაში, სირიაში. საქართველოში გვხვდება თელავის, ბორჯომის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ქობულეთის, გაგრის, სოხუმის რაიონებში, თბილისის მიდამოებში, ფოთისა და ბათუმის მისადევრებში, ლაგოდეხის რაიონში (ჭიაურის ტყეში). ვერტიკალურად აღწევს 2750 მ-მდე ზღვის დონიდან.





საბინადრო არეალი. ბინადრობს ტბებში, ტბორებში, გუბეებში, ჭაობებში. ზოგი ცნობით, ზაფხულსა და ზამთარს ატარებს ხმელეთზე; სხვა დროს წყალსატევებში ცხოვრობს. ადგილსამყოფელი უცვლელია; ზოგან განიცდის ადამიანის ზემოქმედებას.

რიცხოვნობა ბუნებაში. ზუსტი ცნობები რიცხოვნობის შესახებ არ გაგვაჩნია. ყველგან მცირერიცხოვანია.

გამრავლება. მრავლდება აპრილ-ივნისში. ლარვა მეტამორფოზს ამთავრებს მაშინ, როდესაც მიაღწევს 28-32 მმ სიგრძეს.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. კონკურენტები ცნობილი არ არის. ბუნებრივი მტრებიდან აღსანიშნავია ანკარები, ბაყაყები და თევზები, რომლებიც დიდი რაოდენობით სპობენ თავკომბალებს; მათ სპობენ მოცურავე ხოჭოებიც, დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. სათანადო ხელშეწყობისას ტყვეობის პირობებში ადვილად მრავლდება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Ванникови соавт.,1971: 1977.

კავკასიური ჯვრიანა
Pelodytes caucasicus Boulenger, 1896

რიგი — უკუდო ამფიბიები — Anura
ოჯახი — მყვარისებრნი — Pelobatidae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი იშვიათი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა.

გავრცელება. მოიპოვება კავკასიაში. საქართველოში გავრცელებულია ბორჯომის რაიონში, ლაგოდეხის





მახლობლად, აჭარაში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ვერტიკალურად აღწევს 2300 მ-მდე ზღვის დონიდან.

საბინადრო არეალი. ბინადრობს ტბების, ტბორების, მდინარეების, ნაკადულების სანაპიროებთან.

რიცხოვნობა ბუნებაში. ყველაგან მცირერიცხოვანია. ზუსტი ცნობები რიცხოვნობის შესახებ არ გაგვაჩნია.

გამრავლება. ქვირითს ყრის ივნის-აგვისტოში. ლარვის მეტამორფოზი გრძელდება 75-80 დღემდე და, როგორც წესი, მთავრდება მომდევნო სეზონში.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. შესაფერისი ადგილსამყოფლის ნაკლებობა. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობილი არ არის.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოგვეპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963; Ванникови соавт.,1971: 1977.

კავკასიური სალამანდრა
Mertensiella caucasica (Waga, 1876)

რიგი — კუდიანი ამფიბიები — Caudata
ოჯახი — სალამანდრისებრნი — Salamandridae

სტატუსი

ენდემი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

გავრცელება. მოიპოვება ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში; საქართველოში გვხვდება აჭარა-იმერეთის ქედზე და თრიალეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში.

საბინადრო არეალი. მთის ცივი ნაკადულები, ტენიანი ღელეები.

რიცხოვნობა ბუნებაში. საშუალოდ 10 ინდივიდი 1 კმ-ის ფარგლებში.

გამრავლება. კვერცხმდებელია, ივნისის დასაწყისში ყრის 90-მდე დიდი ზომის ქვირითს. განვითარების ვადები ცნობილი არ არის.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ცნობები არ მოიპოვება.





რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ცნობები არ მოიპოვება.

ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა. ცნობები არ მოიპოვება.

გამრავლება ტყვეობის პირობებში. ცნობები არ მოიპოვება.

დასაცავად მიღებული ზომები. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სალამანდრების მოპოვების აკრძალვა.

ინფორმაციის წყაროები: ჯანაშვილი, 1963.

ლიტერატურა

ჟორდანია ლ., მყვარი, „საქართველოს ბუნება“ №1, 1975.

ჯანაშვილი, ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. III, ხერხემლიანები, თბ. 1963.

Бакрадзе М. А., Новые данные о распространении кавказской гадиюки (Vipera kaznakovi nikolsky) — <<Сообщ. АН ГССР>>, 56, 2, 1969.

Баникои А. Г., Даревский И. С., Рустамов А. К., Земноводные и пресмыкающиеся СССР. М., 1971.

Банников А. Г., Даревский И. С., Ищенко В. Г., Рустамов А. К., Щербак Н. Н., Определитель земноводных и пресмыкающихся фауны СССР, М., 1977.

Джанашвили А. Г. И Жордания Р. Г., Распространение в Грузии земноводных и пресмыкающихся, включенных в <<Красную книгу СССР>>. Вопросы герпетологии (IV Ввес. герпетол. Конф.), Л., 1977.

Джанашвили А. Г., Жордания Р. Г., Редкие и малочисленные земноводные и пресмыкающиеся Грузии и их охрана. Вопросы герпетологии (V Ввес. герпетол. Конф.), Л., 1981.

Мусхелишвили Т. А., Пресмыкающиеся Восточной Грузии. Тб., 1970.

Ростомбеков В. Н., Материалы к изучению герпетофауны окрестностей Тифлиса. <<Закавказский краеведческий сб.>>, Тб., 1930.

Терентьев П. В. И Чернов С. А., Определитель пресмыкающихся и земноводных. М., 1949.

გამძრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

ატლანტური ზუთხი (ფორონჯი)
Acipenser sturio Linné, 1758

რიგი — ზუთხისნაირნი — Acipenseriformes
ოჯახი — ზუთხისებრნი — Acipenseridae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

იშვიათი, მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა.

გავრცელება. ისტორიულად ზუთხისნაირ თევზებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. ბინადრობდა ჩრდილოეთის, ხმელთაშუა, ბალტიის და შავი ზღვების აუზებში, აგრეთვე საფრანგეთის მდინარე ჟირონიასა და ესპანეთის მდინარე გვადალკვივირში. ატლანტის ოკეანის დასავლეთ სექტორში იგი გავრცელებული იყო მდინარე წმინდა ლავრენტისა და მდინარე ჰუძონის აუზებში. ატლანტური ზუთხი მოხსენიებულია ევროპის ყველა ენაზე, რაც ადასტურებს მის ფართო არეალს წარსულში.

საბინადრო არეალი. ატლანტური ზუთხი ევროპისა და ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილის მდინარეებში, ფაქტიურად, მოისპო. უკანასკნელი ეგზემპლარი მდინარე ელბაში დაჭერილ იქნა 1883 წელს და იწონიდა 415,5 კგ-ს, ზომით 5 მ აღწევდა. საქართველოში მდინარე რიონია ერთ-ერთი, სადაც აღინიშნება ამ სახეობის ბუნებრივი კვლავწარმოება. მდინარე რიონში ბოლო წლებში ჩვენს მიერ მოპოვებული ატლანტური ზუთხის ზომა შეადგენდა 215 სმ, წონა — 68 კგ. ცნობილია მდინარე რიონში დაჭერილი 115 კგ-იანი ატლანტური ზუთხიც.





რიცხოვნობა ბუნებაში. მდინარე რიონში სქესობრივი სიმწიფის მწარმოებლების რიცხვი არ აღემატება 100 ეგზემპლარს, რაც სავსებით საკმარისია სახეობის ხელოვნური გამრავლებისათვის.

გამრავლება. ატლანტური ზუთხი ქვირითს ყრის 3-4 წელიწადში ერთხელ. მდინარეში გასამრავლებლად სვლას იწყებს აპრილიდან ივნისამდე, ზღვიდან 120-130 კმ-ის დაშორებით, მდინარე რიონში, სოფ. ბაში-ვარციხის მონაკვეთზე.

კონკურენტები, მტრები, დაავადებები. ატლანტური ზუთხი მტაცებელია, შავ ზღვაში საკვებით კარგად არის უზრუნველყოფილი; ძირითადად იკვებება ქაფშიათი და სხვა წვრილი თევზებით. ამ ზუთხის ლიფსიტებს არ ჰყავთ საკვებში კონკურენტები, ვინაიდან, როგორც სიცივის ამტანი თევზი, ზუთხისნაირებში ყველაზე ადრე იწყებს მიგრაციას გამრავლებისათვის. ადრე სტადიაზე, მისი ქვირითისა და ლარვების ბუნებრივ მტრებად შეიძლება ჩაითვალოს მდინარე რიონის ზოგიერთი თევზი: წვერა, ლოქო და სხვა. ჩამოყალიბებულ ახალგაზრდა თაობას (2-4 სმ), რომელიც უკვე შედის ზღვაში, პრაქტიკულად მტრები არა ჰყავს. დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები. ზუთხის რიცხოვნობის კატასტროფული დაცემის მიზეზებია: მდინარეთა დინების რეგულირება კაშხლების აშენებით, სატოფე ადგილების დაბინძურება სამრეწველო ნარჩენებით, ტოფობის პერიოდში მისი ჭერის სიადვილე და რეწვა ზღვაში.

დასაცავად მიღებული ზომები. აკრძალულია თევზის ჭერა იმ ადგილებში, სადაც ბინადრობს და ტოფობს ატლანტური ზუთხი.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ატლანტური ზუთხის ხელოვნური კვლავწარმოებისათვის ქარხნის აშენება.

ინფორმაციის წყაროები: Нинуа, 1976, 1979; ნინუა, ბოლქვაძე, შავერდაშვილი, 1966; შავერდაშვილი, ნინუა, ბოლქვაძე, 1967; ნინუა, 1976.

ლიტერატურა

Марти Ю. Б., Биология и промысел Acipensersturio в Чером море. <<Зоол. Журн>>, т. XVIII, вып. 3,1939.

Нинуа Н. Ш., Болквадзе Л. Д., Шавердашвили Р. С., Материалы по изучению островых юго-восточной части Черного моря. <<Тр. Груз. НИРС>>, т. XI, 1966.

Нинуа Н. Ш., Атлантический осетр р. Риони. Монография изд. <<Мецниереба>>, Тбилиси, 1976.

Нинуа Н. Ш., Пути сохранения осетровой фауны и развитие промышленного осетроводства в бассейне р. Риони. <<Вестник Госмузея Грузии>>, т. 29-А, 1979.

Шавердашвили Р. С., Нинуа Н. Ш., Болквадзе Л. Д., Биологическая характеристика осетровых юго-восточной части Черного моря. <<Тр. ЦНИОРХ>>, т.I, 1967.



მცენარეები



PLANTAE



შემდგენლები:

რევაზ გაგნიძე, მალვინა დავლიანიძე, მარინე ივანიშვილი, ნიკო კეცხოველი (შემდგენელი და რედაქტორი), **იოსებ ლაჩაშვილი, იდა მანდენოვა, შუშანა ქუთათელაძე, ზაირა ღვინიანიძე, ანა ხარაძე, ლეონიდა ხინთიბიძე.**

COMPILERS:

Revaz Gagnidze, Malvina Davlianidze, Marine Ivanishvili, Niko Ketskhoveli (compiler and editor)**, Ioseb Lachashvili, Ida Mandenova, Shushana Kutateladze, Zaira Ghvinianidze, Ana Kharadze, Leonida Khintibidze**

მხატვრები: ბორის გავრილენკო, მარინა პატარაია, ქეთევან რუხაძე.

Designed by: Boris Gavrilenko, Marina Pataraia, Ketevan Rukhadze.

ს ი ა
„საქართველოს წითელ წიგნში“ შეტანილი მცენარეების იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობებისა

FILICES

H e m i o n i t i d a c e a e

Anogramma leptophylla (L.) link

H y m e n o p h y l l a c e a e

Hymenophyllum tunbridgense (L.) Smith

O s m u n d a c e a e

Osmunda regalis L.

GYMNOSPERMAE

C u p r e s s a c e a e

Juniperus foetidissima Willd.

Platycladus orientalis (L.) Franco

P i n a c e a e

Pinus eldarica Medw.

- pithyusa Stev.

T a x a c e a e

Taxus baccata L.

ANGIOSPERMAE

D I C O T Y L E D O N A E

Aceraceae

Acer ibericum Bieb.

A n a c a r d i a c e a e

Pistacia mutica Fisch. et Mey.

A r a l i a c e a e

Hedera Pastuchovii Woronow

B e r b e r I d a c e a e

Berberis iberica Stev. Et Fisch.

Bongardia chrysogonum (L.) Boiss.

Gymnospermium Smirnowii (Trautv.) Takht.

B e t u l a c e a e

Betula Medwedewii Regel

— megrelica Sosn.

— Raddeana Trautv.

B u x a c e a e

Buxus colchica Pojark.

C a m p a n u l a c e a e

Campanula armasica Char.

— crispa Lam.

— Dzaaku Albov

— dzyschrica Kolak.

— engurensis Charadze

— mirabilis Albov

— paradoxa Kolak.

— svanetica Rupr.

Symphyandra pendula (Bieb.) DC.

C a r y o p h y l l a c e a e

Cerastium ponticum Albov

Charesia Akinfievii (Schmalh.) E. Busch

Dianthus Ketzkhovelii Makaschvili

— Kusnetzovii marcow.

Selene Marcowiczii Schischk.

— pygmaea Adam

C e l t a c e a e

Celtis caucasica Willd.

— glabrata Stev.

C o m p o s i t a e

Amphoricapros elegans Albov

Cladochaeta candidissima (Bieb.) DC.

Podospermum Grigoraschvilii Sosn.

Pseudopodospermum leptophyllum (DC.) Kuthath. (-S. leptophylla DC.)

Scorzonera Dzhavahketica Sosn.

Pseudopodospermum leptophyllum (DC.) Kuthath. (-S. Leptophylla DC.)

Scorzonera dzhavakhetica Sosn.

— Ketzkhovelii Sosn.

Koslovskyi Sosn.

Senecio Massagetovii Schischk.

— rhombifolius (Willd.) Sch. Bip.

Tragopogon meskheticus Kuthath.

C o r n a c e a e

Thelycrania armasica Sanadze

C o r y l a c e a e

Corylus colchica Albov

— iberica Wittm.

Ostrya carpinifolia Scop.

C r u c i f e r a e

Anchonium elichrysifolium (DC.) Boiss.

D i p s a c a c e a e

Scabiosa Olgae Albov

D r o s e r a c e a e

Drosera anglica Huds.

— intermedia hayne

— rotundifolia L.

E b e n a c e a e

Diospyros lotus L.

E l a e a g n a c e a e

Hippophaë rhamnoides L.

E r i c a c e a e

Arbutus andrachne L.

Epigaea gaultherioides (Boiss. et Bal.) Takht.

Rhododendron Smirnowii Trautv.

— Ungernii Trautv.

E u r o p h o b i a c e a e

Leptopus colchicus (Fisch. et Mey.) Porjark.

F a g a c e a e

Castanea sativa Mill.

Quercus dschorochensis C. Koch

— Hartwissiana Stev.

— imeretina Stev. ex Malleev

— macranthera Fisch. et Mey.

— pendunculiflora C. Koch

— pontica C. Koch

F u m a r i a c e a e

Corydalis Erdelii Zucc.

G l o b u l a r i a c e a e

Globularia trichosantha Fisch. et Mey.

H y d r o c a r y a c e a e

Trapa colchica Albov

— Hyrcana Woronow

— Maleevii Vassil.

H y p e r i c a c e a e

Hypericum thethrobicum kem. — Nath.

J u n g l a n d a c e a e

Juglans regia L.

Pterocarya pterocarpa (Michx.) Kunth

L a b i a t a e

Salvia garedji Troitzk.

Satureja bzibica woronow

L a u r a c e a e

Laurus nobilis L.

L e g u m i n o s a e

Astragalus caucasicus Pall.

— Cyri Fom.

— Schischkinii Grossh.

Sommieri Freyn

— Tannae Sosn.

Cicer arietinum L.

Ewersmannia subspinosa (Fisch.) B. Fedtsch.

Genista abchasica Sachok.

— adzharica M. Pop.

Halimodendron halodendron (Pall) Voss.

M a l v a c e a e

Althaea officinalis L.

N y m p h a e a c e a e

Nuphar luteum (L.) Smith

Nymphaea colchica (Woronow) Kem. — Nath.

O l e a c e a e

Phillirea Wilmoriniana Boiss. et Bal.

P a e o n i a c e a e

Paeonia carthalinica Ketzkh.

lagodechiana Kem. — Nath.

— Majko Ketzkh.

— Mlokosewitschii Lomak.

— Wittmanniana Hartwiss et Lindl.

P a p a v e r a c e a e

Papaver pseudo-orientale (Fedde) Medw.

P r i m u l a c e a e

Cyclamen colchicum (Albov) Albov

Primula Juliae Kusn.

— megaseifolia Boiss.

P u n i c a c e a e

Punica granatum L.

R a f f l e s i a c e a e

Cytinus rybra (Fourr.) Kom.

R o s a c e a e

Amygdalus georgica Desf.

Crataegus pontica C. Koch

Pyrus Demetrii Kuthath.

S a l i c a c e a e

Populus euphratica oliv.

S t a p h y l e a c e a e

Staphylea colchica Stev.

— pinnata L.

U l m a c e a e

Ulmus elliptica C. Koch

— georgica Schchian

— glabra Huds.

— minor Mill.

— suberosa Moench

Zelkhova caprinifolia (Pall.) C. Koch

U m b e l l i f e r a e

Angelica adzharica Pimen.

Bupleurum Rischavii Albov

Heracleum aconitifolium Woronow

— Sommieri Manden.

Ligusticum Arafoe Albov

Palylophium Panjutinii Manden. et schischk.

V i t a c e a e

Vitis silvestris Gmel.

N i t r a r i a c e a e

Nitraria Schoberi L.

M O N O C O T Y L E D O N A E

A m a r y l l i d a c e a e

Pancratium maritimim L.

D i o s c o r e a c e a e

Dioscorea caucasica Lipsky

G r a m i n a e a

Chrysopogon gryllus (L.) Trin.

Molinia litoralis Host

Secale Kuprijanovii Grossh.

Triticum aestivum L.

— carthlicum Nevsky

— compactum Host

— dicoccum Schübl

— durum Desf.

— macha Dek. et men.

— monococcum var. Hornemanii clem.

— Timopheevii Zhuk.

— paleo-colchicum Men.

— Zhukowskyi Men. et Eritz.

I r i d a c e a e

Gladiolus dzhavakheticus Eristavi

Iridodictyum Winogradowii (Fomin) Rodionenko

Iris iberica Hoffm.

L i l i a c e a e

Asphodeline taurica (Pall.) Kunth

Erythronium caucasicum Woronow

Lilium caucasicum (Miscz.) Grossh.

— georgicum Manden.

Muscari alpanicum schchian

Tulipa Biebersteiniana Roem. et Schult.

— Eichlerii Regel

ანოგრამა
Anogramma leptophylla (L.) Link

ოჯახი — **Hemionitidaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლიანი ბალახოვანი გვიმრაა.

მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გვხვდება კოლხეთში: გურიაში (ფოთსა და სუფსას შორის); აჭარაში (ბათუმი, ხულო). სპორადულად აღინიშნება ყირიმში (კასტელის მთა), აზერბაიჯანში (აფშერონის ნახევარკუნძული), შუა აზიაში (კოპეტდაღი, არჩ-მანი). გავრცელებულია აგრეთვე დასავლეთ ევროპის, ატლანტის ოკეანისპირა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.





ადგილსამყოფელი. იზრდება ტენიანი დაჩრდილული კლდეების ნაპრალებში, მუხნარსა და მურყნარში.

მდგომარეობა. იშვიათი გვიმრაა.

გამრავლება. მრავლდება სპორებით.

შემცირების მიზეზი. ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო მიზნით ათვისება.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1939; დულუხანოვი, მიქელაძე, 1971; Бобров, 1974;„Красная книга СССР“, 1978.

ჰიმენოფილუმი
Hymenophyllum tunbridgense (L.) Smith

ოჯახი — **Hymenophyllaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი, ნაზი, პატარა, 5 სმ-მდე სიმაღლის გვიმრაა.

მნიშვნელობა. როგორც მესამეული ფლორის რელიქტს, მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. 1939 წელს ნაპოვნია აჭარაში. უკანასკნელ წლებში მისი გავრცელების კიდევ რამდენიმე პუნქტი დადგინდა.





გავრცელება. საქართველოში გავრცელებულია აჭარაში (მდინარეების: ჩაქვისწყლის, ყორულისწყლის, კინტრიშის, ბარცხანისწყლის, ლეხვასა და მათი შენაკადების ხეობებში).

საქართველოს გარეთ გვხვდება ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება ტენიან, ხავსიან კლდეებსა და ლოდებზე, ტყეებში წყავის, მურყანისა და შქერის ხავსმოკიდებულ ღეროებზე, ზღვის დონიდან (30-100)— 300-700 მ სიმაღლეზე.

მდგომარეობა. იშვიათი სახეობაა.

გამრავლება. მრავლდება სპორებით.

შემცირების მიზეზი. ტყის ჭრა.

არის თუ არა დაცული. დაცულია კინტრიშის ნაკრძალში; კულტივირებულია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. კინტრიშის ნაკრძალში სასურველია მასზე ყურადღების გამახვილება.

ინფორმაციის წყაროები: მემიაძე, 1967; დულუხანოვი, მიქელაძე, 1971; Попов, 1940; Колаковский, 1961;„Красная книга СССР“, 1978.

სამეფო გვიმრა

Osmunda regalis L.

ოჯახი — Osmundaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი გვიმრაა.

მნიშვნელობა. დეკორატიული მცენარეა, აქვს მნიშვნელობა როგორც რელიქტს.

გავრცელება. გვხვდება აფხაზეთში (გალის რაიონი), აჭარასა (ქობულეთთან) და გურიაში (პალიასტომის ტბასთან). საქართველოს გარეთ — ევრაზიისა და ამერიკის ტროპიკულ და სუბტროპიკულ ოლქებში.





ადგილსამყოფელი. იზრდება ტორფიან ჭაობებში, ტენიან და დაჭაობებულ ადგილებში, მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეებში — მურყნარში.

მდგომარეობა. ჭაობების ამოშრობასთან ერთად საგრძნობლად შემცირდა. ჩვეულებრივ გვხვდება ერთეულებად, იშვიათად — ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება სპორებით.

შემცირების მიზეზები. დაჭაობებული ადგილების ამოშრობა და ამ ადგილების სასოფლო-სამეურნეო ათვისება.

არის თუ არა დაცული.ზოგიერთ ბოტანიკურ ბაღში (მაგალითად, ბათუმის, სოხუმის) არის ამ გვიმრის კულტურა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა დაწესდეს კონტროლი ამ რელიქტური, იშვიათი სახეობის პოპულაციებზე მისი ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლისათვის.

ინფორმაციის წყაროები: დულუხანოვი, მიქელაძე, 1971; Колаковский, 1938, 1961; Дмитриева, 1960; Бобров, 1974; Тахтаджян, 1975;„Красная книга СССР“, 1978.

მყრალი ღვია (მახვილქერქლიანი ღვია, შავი ღვია, მამალი ღვია)

Juniperus foetidissima Willd.

ოჯახი — Cupressaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. მარადმწვანე ხე ან ბუჩქია.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის და მცირე აზიის ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა. როგორც ძალიან მაგარი მერქნის მქონე და დეკორატიული მცენარე, გამოიყენება მშრალი ფერდობების გასამწვანებლად. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.





გავრცელება. გვხვდება ქართლში (მცხეთისა და თბილისის მიდამოები), თრიალეთში (მანგლისის მიდამოები) და შირაქში. საქართველოს გარეთ — ჩრდილო-დასავლეთი ამიერკავკასია (ანაპიდან გელენჯიკამდე), ცენტრალური და აღმოსავლეთი ამიერკავკასია (მცხეთიდან შემახამდე, სამხრეთით — ორდუბადამდე), ყირიმი, საბერძნეთი, კვიპროსი, სირია, თურქეთი, ჩრდილო ირანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდოვან და ქვიშიან, მშრალ თიხნარ ფერდობებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად, ზოგჯერ ქმნის მეჩხერ ტყეს საკლის ხესთან, ქართულ მუხასთან, ბერყენისა და ღვიის სხვა სახეობებთან ერთად.

გამრავლება. მრავლდება თესლით. გირჩები მწიფდება მეორე წელს და ცვივა მესამე წელს.

შემცირების მიზეზი. ჭრიან მაგარი მერქნის გამო, რომელსაც იყენებენ სამშენებლო და სახარატო საქმეში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში (სარად). შემცირების მიზეზია ინტენსიური ძოვებაც.

არის თუ არა დაცული. დაცულია ვაშლოვანის (შირაქი) ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ღვიის შემცველ მეჩხერ ტყეებში ყველგან უნდა აიკრძალოს მასობრივი ჭრა და ინტენსიური ძოვება; რომელიმე შემორჩენილი ხშირი კორომი გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1939; Сосновски, 1941; Сахокиа, 1959; მაყაშვილი, 1960; ლაჩაშვილი, 1971; Тахтаджян, 1975;„Красная книга СССР“, 1978.

აღმოსავლეთის ბრტყელტოტა (აღმოსავლეთის ბიოტა, აღმოსავლეთის ტუია).

Platycladus orientalis (L.) Franco Biota orientalis (L.) Endl.; Thuja orientalis (L.)

ოჯახი — Cupressaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. 3-10, იშვიათად 20 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა.

მნიშვნელობა. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, როგორც აღმოსავლეთ აზიის რელიქტური და საქართველოს ფლორის ერთ-ერთი მეტად იშვიათი სახეობა. დეკორატიული მცენარეა გაზონებისა და ცოცხალი ღობეებისათვის.

გავრცელება. საქართველოში ბუნებრივად მხო-





ლოდ დედოფლისწყაროს რაიონში — „ჭალისხევის“ მიდამოებში (ვანაანის აგარაკი) გვხვდება. საქართველოს გარეთ — შუა აზიაში, ჩინეთში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ, კირქვიან ფლატეებსა და კლდეთა ნაპრალებში.

მდგომარეობა. ბუნებაში იშვიათად გვხვდება რამდენიმე, საკმაოდ დაკნინებული ეგზემპლარის სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით. გირჩები მწიფდება იმავე წელს.

შემცირების მიზეზი. ადგილსამყოფელის პირობების დარღვევა; მოსახლეობა ტოტებს ჭრის საახალწლო ნაძვისხისათვის.

არის თუ არა დაცული. ბუნებაში თითქმის არ არის დაცული. უხსოვარი დროიდანაა კულტივირებული, როგორც დეკორატიული მცენარე.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა დედოფლისწყაროს მიდამოები, კერძოდ, „ჭალისხევის“ (ვანაანის აგარაკის) ის მონაკვეთი, სადაც დღეისათვის ამ მცენარის რამდენიმე ეგზემპლარია შემორჩენილი, შემოიღობოს და გამოცხადდეს აღკვეთილად. სასტიკად უნდა აიკრძალოს მისი მოჭრა და ტოტების დამტვრევა.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1939; Сосновский, 1941; Мирзашвили, 1959; ლაჩაშვილი, 1971; აბაშიძე, 1971; Тахтаджян, 1975;„Красная книга СССР“, 1978.

ელდარის ფიჭვი

Pinus eldarica Medw.

ოჯახი — Pinaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. 12-15 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა.

მნიშვნელობა. როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის იშვიათ რელიქტურ ენდემს, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. საყურადღებოა აგრეთვე, როგორც დეკორატიული მცენარე მშრალი ფერდობების გასამწვანებლად.

გავრცელება. ბუნებრივად ხარობს ელდარის ველის დასავლეთ ნაწილში, ელიაროულის ქედზე (მდინარე ივრის მარჯვენა მხარე), აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვრის გასწვრივ.

ადგილსამყოფელი. იზრდება სარმატის პერიოდის მშრალ, კლდოვან, ქვიშათიხოვან ფილაქვებზე 450-600 მ





სიმაღლემდე ზღვის დონიდან ნათელი ტყის სხვა ელემენტებთან ერთად. ქმნის მეჩხერ კორომებს 400 ჰა-მდე ფართობზე.

მდგომარეობა. ხასიათდება ძალიან ნელი ზრდით. განახლება თითქმის არ ხდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით. მე-8-11 წლიდან ივითარებს გირჩებს, რომლებიც მწიფდება 2 წლის შემდეგ, ხოლო მათი გახსნა და თესლის ჩამოცვენა ხდება მეოთხე წლის ბოლოს.

შემცირების მიზეზი. ჭრა, ხანძარი, საქონლის ინტენსიური ძოვება, გირჩებისა და თესლების მასობრივი შეგროვება, ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა (ეროზია, გამოქარვა).

არის თუ არა დაცული. დაცულია ელიაროულზე, რომელიც შედის თურან-ჩაის (გექგოლის) ნაკრძალში (აზერბაიჯანი). გამოყენებულია მშრალი ფერდობების გასამწვანებლად. **შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.**

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასტიკად უნდა აიკრძალოს ჭრა, საქონლის ძოვება, გირჩებისა და თესლების მასობრივი შეგროვება. უფრო ფართოდ უნდა მოხდეს მისი კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Сосновский, 1910; სახოკია, 1941; კეცხოველი, 1935; Гулисашвили и Басильев, 1959; მაყაშვილი, 1960; ლაჩაშვილი, 1971; Тахтаджян, 1975;„Красная книга СССР“, 1978.

ბიჭვინთის ფიჭვი

Pinus pithyusa Stev.

ოჯახი — Pinaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 20-35 მ სიმაღლის მარადმწვანე ხეა.

მნიშვნელობა. როგორც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან ერთ-ერთ უძველეს რელიქტურ ენდემს, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. საყურადღებოა აგრეთვე, როგორც მაღალხარისხოვანი მერქნის მქონე და კარგი დეკორატიული მცენარე მშრალი კირქვიანი ფერდობების გასამწვანებლად.

გავრცელება. გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროზე ვიწრო ზოლად ანაპიდან მიუსერამდე.

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან-კლდოვან ფერდობებზე და ზღვისპირა ქვიშიან ადგილებზე 300-400 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან, მეტწილად ქართულ მუხასთან და რცხილასთან ერთად.

მდგომარეობა. გვხვდება სპორადულად პატარ-პატარა დაჯგუფებების ან ერთეული ხეების სახით. ზოგან ქმნის დამოუკიდებელ კორომებს; მათგან აღსანიშნავია ბიჭვინთაში შემონახული მისი წმინდა კორომი, რომელსაც 280 ჰა-მდე ფართობი უკავია.

გამრავლება. მრავლდება თესლით. ბუნებრივ პირობებში გირჩებს ივითარებს 15-20 წლიდან. ნარგავში — უფრო გვიან — 30-40 წლიდან. გირჩები მწიფდება მეორე წლის ბოლოს და მესამე წელს, ხოლო მათი გახსნა და თესლების ჩამოცვენა ხდება მეოთხე წლის დამლევს.

შემცირების მიზეზი. ჭრა, რაც გამოწვეულია კურორტების მშენებლობითა და გზების გაყვანით მისი გავრცელების ადგილებში; ინტენსიური ძოვება.

არის თუ არა დაცული. დაცულია ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალის სრული დაცვა; უნდა აიკრძალოს ჭრა და ძოვება ამ ფიჭვის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე.

ინფორმაციის წყაროები: სოსნოვსკი, 1941; Гулисашвили и Басильев, 1959; ლაჩაშვილი, 1971; Тахтаджян, 1975;„Красная книга СССР“, 1978.





ურთხელი, უთხოვარი

Taxus baccata L.

ოჯახი — Taxaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 20-25 (35) მ სიმაღლის, მარადმწვანე ხეა.

მნიშვნელობა. მესამეული პერიოდის ერთ-ერთი იშვიათი რელიქტური სახეობაა. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, აგრეთვე როგორც მაღალხარისხოვანი, მაგარმერქნიანი და კარგი დეკორატიული მცენარე.

გავრცელება. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა ტყიან რაიონში. საქართველოს გარეთ — კავკასია, ყირიმი, შუა ევროპა, ხმელთაშუაზღვეთი, მცირე აზია.



ადგილსამყოფელი. იზრდება დაჩრდილულ ტენიან ადგილებში, უმთავრესად წიფლნარებში 1500-1800 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. გვხვდება სპორადულად პატარ-პატარა ჯგუფების ან ერთეული ხეების სახით. ზოგან ქმნის დამოუკიდებელ კორომებს. მათგან აღსანიშნავია ბაწარას ხეობაში (კახეთში) შემორჩენილი კორომი, რომელსაც 800 ჰა-მდე ფართობი უკავია, მტირალასა და ნამწვავის ხევის უთხოვრიანები აჭარაში.

გამრავლება. მრავლდება თესლით. თესლს იძლევა ძალიან გვიან 20-30, ხოლო შედარებით დაბურულ ტყეში 70-120 წლიდან. აღმონაცენის განვითარება და, საერთოდ მცენარის ზრდა ძალიან ნელია.

შემცირების მიზეზი. მასობრივი ჭრა; ქერქის დამზადება; ადგილსამყოფლის პირობების დაარღვევა, რაც ხელს უშლის თესლით განახლებას.

არის თუ არა დაცული. დაცულია სახელმწიფო ნაკრძალებსა და აღკვეთილებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს ურთხელის ჭრა. საჭიროა მისი, როგორც დეკორატიული და თაფლოვანი მცენარის, უფრო ფართოდ შეტანა კულტურაში, და ყველა სხვა უთხოვრიანის აღკვეთილად გამოცხადება.

ინფორმაციის წყაროები: სოსნოვსკი, 1941; Долуханов, 1959; კეცხოველი, 1960; Гулисашвили, 1960; მაყაშვილი, 1960; ლაჩაშვილი, 1971; Тахтаджян, 1975; „Красная книга СССР“, 1978.



DICOTYLEDONAE

ქართული ნეკერჩხალი
Acer ibericum Bieb.

ოჯახი Aceraceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 12-15 მ-მდე სიმაღლის ხეა.





მნიშვნელობა. ამიერკავკასიურ — ჩრდ. ირანული სახეობაა. როგორც ერთ-ერთ უძველეს და იშვიათ სახეობას, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გავრცელებულია აღმ. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდ. ირანში.

ადგილსამყოფელი. არიდული მეჩხერი ტყეების და მშრალი მუხნარების კომპონენტია. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, ქვიან ფერდობებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულად და ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა.

არის თუ არა დაცული. დაცულია შირაქში — არფადარას ხეობაში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილის გამოყოფა თრიალეთში — სოფ. სამშვილდეს მიდამოებში.

ინფორმაციის წყაროები: დოლუხანოვი, 1950.

საკმლის ხე (კევის ხე, საღსაღაჭი)
Pistacia mutica Fisch. Et Mey.

ოჯახი — Anacardiaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 5 — 10 მ-მდე სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. ახასიათებს მკვრივი, მძიმე მერქანი, რომელიც კარგად პრიალდება და გამოიყენება სახარატო საქმეში. მისი ქერქი და მერქანი დიდი რაოდენობით შეიცავს კუპრს. დეკორატიული მცენარეა, აქვს ლამაზი, მუქი მწვანე ფოთლები და შემოდგომაზე ისხამს წითელ ნაყოფს. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს გარეთ — ხმელთაშუა ზღვის მხარეში, მცირე აზიაში, აღმ. ანატოლიასა და ირანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ ადგილებზე, ველებზე, მდინარეთა სანაპიროების გასწვრივ, ოდნავ დამლაშებულ ადგილებზე, დატერასებულ ფერდობებზე.





მდგომარეობა. არიდული მეჩხერი ტყეების ერთ-ერთი კომპონენტია, გვხვდება ერთეულადაც.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა.

არის თუ არა დაცული. დაცულია შირაქში — ვაშლოვანის ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილის გამოყოფა სამშვილდეს მიდამოებში.

ინფორმაციის წყაროები: კეცხოველი, 1935; დოლუხანოვი, 1950.

პასტუხოვის სურო

Hedera pastuchovii Woronow

ოჯახი — Araliaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მცოცავი მარადმწვანე ბუჩქია.

მნიშვნელობა. მესამეული პერიოდის იშვიათი რელიქტია. კარგი დეკორატიული და თაფლოვანი მცენარეა. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.





გავრცელება. აღმოსავლეთ საქართველოში: საგურამოს ქედი, შიდა კახეთი; საქართველოს გარეთ — აღმოსავლეთ კავკასია (ზაქათალა, ნუხა, თალიში, ყუბა, მდინარე სამურის შესართავი); ჩრდილო ირანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება მდინარისპირა დაბლობისა და მთის შუა სარტყლის ტყეებში, მეტწილად ტყის პირას.

მდგომარეობა. იშვიათად გვხვდება. ხასიათდება მცირე, მეტად წყვეტილი არეალით.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (დაფესვიანებით).

შემცირების მიზეზი. მისი გავრცელების ადგილების სამეურნეო ათვისება, ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში, როგორც დეკორატიული მცენარე. დაცულია ლაგოდეხისა და საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უფრო ფართოდ იქნეს შეტანილი კულტურაში.

ინფორმაციის წყაროები: მანდენოვა, 1950, 1964; კეცხოველი, 1960; Гроссгейм, 1962;„Красная книга“ СССР, 1978.

ქართული კოწახური
Berberis iberica Stev. Et Fisch.

ოჯახი — **Berberidaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ეკლიანი ბუჩქია.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ კავკასიის ენდემია. ძვირფასი ხილეული და სანელებელი მცენარეა; იშვიათი სახეობაა.

გავრცელება. საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული. ქართლში (თბილისი, ავჭალა, კასპი) და შირაქში (ლეკისწყალი, არფა-დარა, პანტიშარა, ალაზნის მოსაბრუნი, ელდარი-ივრისჭალა). საქართველოს გარეთ გვხვდება დაღესტანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ადგილსამყოფელი. იზრდება ველზე, მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებსა და მდინარეების ტერასებზე.

მდგომარეობა. გვხვდება მცირე ფართობებზე ერთდროულად ან პატარა ჯგუფების სახით.





გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ფესვის ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. შეიძლება გადაშენდეს პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. დაცულია ვაშლოვანის ნაკრძალში. სხვაგან მის დასაცავად სპეციალური ღონისძიებები შემუშავებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. პანტიშარის სრულ ნაკრძალად გამოცხადების შემთხვევაში სხვა სახეობებთან (საკმლის ხე, ბროწეული, ქართული თელა და სხვა) ერთად იქნება ქართული კოწახურიც.

ინფორმაციის წყაროები: კეცხოველი, 1970; კემულარია-ნათაძე, 1973.

ოქროსფერი ბონგარდია
Bongardia chrysogonum (L.) Boiss.

ოჯახი — **Berberidaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი, გორგლიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ფლორის ერთ-ერთი, მეტად იშვიათი სახეობაა. სამკურნალო მცენარეა. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. შირაქი — ლეკისწყალი, ყუმუროს მთა, ავჭალა; საქართველოს გარეთ — ამიერკავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი), შუა აზია, ბალკანეთი, მცირე აზია, ირანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება ველებში მშრალ ფერდობებსა და ნათესებში.





მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, რიცხობრივად თანდათან მცირდება.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ვეგეტაციურად (გორგლებით).

შემცირების მიზეზი. მოსახლეობის მიერ მისი გორგლების შეგროვება სამკურნალოდ და საკვებად. ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი გავრცელების ადგილი გამოცხადდეს აღკვეთილად. გადმოტანილ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის შირაქის საცდელ ბაზაზე.

ინფორმაციის წყაროები: პაპავა, 1948; Гроссгейм, 1959; კემულარია-ნათაძე, 1964, 1973.

მრგვალი წამალი

Gymnospermium Smirnowii (Trautv.) Takht. (Leontice Smirnowii Trautv.)

ოჯახი — Berberidaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი გორგლიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ვიწრო ლოკალური ენდემია, ძალზე იშვიათი რელიქტური სახეობაა. საყურადღებოა, როგორც სამკურნალო მცენარე.

გავრცელება. ცნობილია მხოლოდ კახეთიდან (ლაგოდეხი და გულგულა, კლასიკური ადგილი „ლაგოდეხის მიდამოები“).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყლამდე ფართოფოთლოვან და ჭალის ტყეებში, აგრეთვე ტყის პირას.

მდგომარეობა. გვხვდება ჯგუფურად მცირე ფართობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (გორგლებით).

შემცირების მიზეზი. ისპობა ვაკის ტყეების განადგურებისა და ყამირების გატეხვის გამო. მოსახლეობა მცენარის გორგლებს აგროვებს სამკურნალოდ.





არის თუ არა დაცული. დაცულია ლაგოდეხის ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს შეგროვება, დავიცვათ ყველა ადგილსამყოფელი.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1964, 1973; Тахтаджян, 1975; ;„Красная книга“ СССР, 1978.

მედვედევის არყი

Betula Medwedewii Regel

ოჯახი — Betulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი, ნახევრად გართხმული ხეა.





მნიშვნელობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იშვიათი რელიქტური ენდემია. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის; მთის ფერდობთა გატყეებისათვის.

გამრავლება. გვხვდება აჭარა-იმერეთისა და შავშეთის ქედზე.

ადგილსამყოფელი. იზრდება ჭარბტენიან ტანბრეცილ ტყეებში, კირქვიან ფერდობებზე მთის ზედა და სუბალპურ სარტყელში, უმთავრესად 1900-2250 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან; ზოგან 2350 მ-მდეც აღწევს, ხოლო ატმოსფერული ნალექებით მდიდარ ღარტაფებსა და ხევებში 1200 მ-მდე და უფრო დაბლაც (600 მ) ჩამოდის.

მდგომარეობა. პონტოს მუხასთან ერთად ქმნის პატარ-პატარა კორომებს და თავისებურ დაჯგუფებებს. მისი არეალი თანდათან მცირდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (დაფესვიანებით).

შემცირების მიზეზი. ჭრა, აღმონაცენის განადგურება ძოვების შედეგად.

არის თუ არა დაცული. დაცულია კინტრიშის ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი კორომების სრული დაცვა აღკვეთილების სახით.

ინფორმაციის წყაროები: დოლუხანოვი, 1947, 1975; Дмитриева, 1960, Долуханов, 1961, 1975; კეცხოველი, 1974; „Красная книга“ СССР, 1978.

მეგრული არყი

Betula megrelica Sosn.

ოჯახი — Betulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი, ნახევრად გართხმული ხეა.

მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოს ვიწრო ენდემური სახეობაა. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის; კირქვიანი ფერდობების გატყეებისათვის, აგრეთვე ნაშალების დასამაგრებლად.

გავრცელება. დღეისათვის ცნობილია სამეგრელოდან: ჩიტა-წყალი, ცაშკიბუ (ცოგუკიბალ), ჯვარის მთა, მიგარია, ასხი, ჩოკაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება ჭარბტენიან, ტანბრეცილ ტყეებში, კირქვიან კლდეებზე სუბალპურ სარტყელში, უმთავრესად 1800-2000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ზოგან ჩამოდის უფრო დაბლა, 1250-1400 მ-მდე.

მდგომარეობა. ქმნის პატარა კორომებს. მისი არეალი ყოველწლიურად მცირდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჭრა, გადაჭარბებული ძოვება, ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.





დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი სრული დაცვა, აიკრძალოს ყოველგვარი ჭრა და გავრცელების ადგილები გამოცხადდეს აღკვეთილად, გადმოტანილ იქნეს ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1945; დოლუხანოვი, 1947, 1961, 1975; შხიანი, 1964; Тахтаджян, 1975; ;„Красная книга“ СССР, 1978.

შავი არყი, რადეს არყი
Betula Raddeana Trautv.

ოჯახი — Betulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი ტანის ხეა.

მნიშვნელობა. კავკასიონის რელიქტური ენდემია. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის და მთებში თოვლსაცავი ზოლების შესაქმნელად, აგრეთვე ნაშალების დასამაგრებლად.





გავრცელება. სამხრეთ ოსეთი, მთიულეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი. საქართველოს გარეთ — აღმოსავლეთი და ცენტრალური კავკასიონი, უმთავრესად მისი ჩრდილო კალთები (იალბუზიდან აღმოსავლეთით).

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან ფერდობებზე და მერგელურ ფიქლებზე სუბალპურ ტყეებში, ხშირად გვხვდება ლიტვინოვის არყთან ერთად 1500-2000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ქმნის სუბალპურ ტანდაბალ და ტანბრეცილ ტყეებს.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. სუბალპური არყნარების გაჩეხვა; მისი ნეკერის გამოყენება საქონლის, მეტწილად ცხენების საკვებად.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აიკრძალოს სუბალპური არყნარების გაჩეხვა; ამ სახეობის შედარებით სრულყოფილი კორომები გამოცხადდეს აღკვეთილად, ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში გაშენდეს კორომი.

ინფორმაციის წყაროები: Сосновский, 1934; დოლუხანოვი, 1947, 1975: კეცხოველი, 1960; „Красная книга“ СССР, 1978.

კოლხური ბზა
Buxus colchica Pojark.

ოჯახი — Buxaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. მარადმწვანე ბუჩქი ან ხეა.

მნიშვნელობა. იშვიათი რელიქტური სახეობაა, კოლხეთის ფლორისტური ელემენტი. საპარკო მშენებლობისთვის ძვირფასი მცენარეა.

გავრცელება. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთი; რაჭა-ლეჩხუმი; სამეგრელო; იმერეთი; გურია; აჭარა) და მესხეთში. აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიების ნანგრევების მიდამოებშია სპორადულად შემორჩენილი. საქართველოს გარეთ გვხვდება კრასნოდარის მხარეში, აზერბაიჯანში (ზაქათალა), მცირე აზიაში (ჭანეთი).





ადგილსამყოფელი. იზრდება ქვეტყის სახით დაჩრდილულ ტენიან ხეობებში, ჩვეულებრივ დამრეც ფერდობებზე, კოლხური ტიპის ტყეებში დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე.

მდგომარეობა. XX საუკუნის დასაწყისში კოლხური ბზის მსხვილი ხეები გაიჩეხა. ახლა მხოლოდ ახალგაზრდა ეგზემპლარებიღაა შემორჩენილი.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად, ძლიერ ნელა იზრდება.

შემცირების მიზეზი. ნადგურდება მეტად ძვირფასი მერქნის გამო. ტოტებს ჭრიან.

არის თუ არა დაცული. საქართველოში გაკულტურებულია უძველესი დროიდან. დაცულია ზოგიერთ ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს ჭრა და, გარდა ნაკრძალებისა, გამოიყოს აღკვეთილები.

ინფორმაციის წყაროები: მირზაშვილი, 1948; შხიანი, 1964; Тахтаджян, 1975; ;„Красная книга“ СССР, 1978.

არმაზის მაჩიტა

Campanula armasica Char.

ოჯახი — **Campanulaceae**

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს ენდემია, რელიქტური სახეობაა; ფრიად დეკორატიულია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. მცხეთის მიდამოები (არმაზი), მანგლისი (ობოლი კლდე), თრიალეთი (ბირთვისი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ჯგუფურად კლდოვან ადგილებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ძალზე იშვიათად მცირე პოპულაციების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.





არის თუ არა დაცული. სპეციალური ღონისძიებანი შემუშავებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია კულტივირება და გამრავლება.

ინფორმაციის წყაროები: Харадзе, 1974; ხარაძე, 1952, 1969.

ხუჭუჭა მაჩიტა
Campanula crispa Lam.

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი პეტროფიტია, მისაკიდი ფესვებით.

მნიშვნელობა. მესამეული ფლორის იშვიათი რელიქტია. მნიშვნელოვნა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, ამასთანავე ფრიად დეკორატიულია.

გავრცელება. ქართლი (გუჯარეთისწყლის ხეობა წაღვერსა და სოფ. გვერდისუბანს შორის); მესხეთი (მდ. რახისწყლის ხეობა); ჯავახეთი (ახალქალაქის მიდამოები — ბოგდანოვკის გზაზე). საქართველოს გარეთ — ჩრდილო-აღმოსავლეთი და ჩრდილო ანატოლია.





ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეებსა და კლდეთა ნაპრალებში მთის შუა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით ან ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. კლდეების ნგრევა გზების გაყვანისას.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია აღკვეთილს გამოყოფა გუჯარეთის წყლის ხეობაში (წაღვერთან და სოფ. გვერდისუბანთან), ამასთანავე კულტივირება კლდეების გასალამაზებლად.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1949; ხარაძე, 1952, 1969.

ძაკუს მაჩიტა
Campanula Dzaaku Albov

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, როგორც დასავლეთ კავკასიონის კირქვიანების ენდემს, საყურადღებოა დეკორატიული მებაღეობისათვისაც.





გავრცელება. გავრცელებულია სამეგრელოსა (ასხი, ოხაჩქუე) და ლეჩხუმის (ხვამლი) კირქვიანებზე.

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან კლდეთა ნაპრალებში, ალპურ და სუბალპურ სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ჯგუფურად, მაგრამ ძლიერ მცირე ფართობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილის გამოყოფა კოლხეთის კირქვიანების ენდემების თავმოყრის ადგილებში და გამრავლება საკოლექციო ნაკვეთებზე.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1939, 1961; ხარაძე, 1952, 1969.

ძიშრას მაჩიტა
Campanula dzyschrica Kolak.

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აფხაზეთის კირქვიანების ენდემია, მეტად იშვიათი სახეობაა. მნიშვნელობა აქვს კოლხეთის კირქვიანების რელიქტური ფლორის ისტორიის შესასწავლად, საყურადღებოა დეკორატიული მებაღეობისათვისაც.

გავრცელება. ცნობილია კირქვიანი ქედიდან — პატარა ძიშრა (კლასიკური ადგილი).

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიანი კლდეების ნაპრალებში, ალპურ სარტყელში.

მდგომარეობა. ძლიერ იშვიათი სახეობაა; გვხვდება მცირე პოპულაციებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს დეკორატიულობისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.





არის თუ არა დაცული. ძალზე იშვიათად კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილის გამოყოფა მთაზე და კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1961; ხარაძე, 1952, 1969.

ენგურის მაჩიტა
Campanula engurensis Charadze

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა დიდი ფესვთანური ფოთლებით.

მნიშვნელობა. ფრიად დეკორატიულია; სვანეთის





ვიწრო ლოკალური ენდემია. მნიშვნელობა აქვს კოლხეთის რელიქტური ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. ცნობილია ზემო სვანეთიდან (სოფ. ხაიშის მიდამოები), თხეიშის ხეობა (კლასიკური ადგილი).

ადგილსამყოფელი. იზრდება დაჩრდილულ კლდეებზე, ღრმა ხეობებში, მთის ზედა სარტყელში.

მდგომარეობა. ძლიერ იშვიათი სახეობაა, გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობით ერთეულებად ან ჯგუფურად, ძნელად მისადგომ ადგილებში.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფელის პირობების დარღვევის გამო, აგრეთვე — როგორც იშვიათი სილამაზის დეკორატიული მცენარე.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილის გამოყოფა თხეიშის ხეობაში, აგრეთვე — კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: ხარაძე, 1952, 1969; „Красная книга“ СССР, 1978.

საოცარი მაჩიტა
Campanula mirabilis Albov

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი მონოკარპული მცენარეა.

მნიშვნელობა. ფრიად დეკორატიულია; იშვიათი ვიწრო ლოკალური ენდემია, კავკასიის ფლორის რელიქტია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. ცნობილია მხოლოდ აფხაზეთიდან მდ. გეგის შესართავთან (გაგრის მიდამოები); გაგრის ქედზე (არაბიკა).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, კირქვიან კლდეებზე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, მცირე პოპულაციებად.





გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ნადგურდება დეკორატიულობისა და ტერიტორიის სამეურნეო მიზნით ათვისების გამო.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. გაძლიერდეს მეთვალყურეობა პოპულაციებზე; ენდემური სახეობების თავმოყრის ადგილებში გამოიყოს აღკვეთილები; საჭიროა უფრო მეტად კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: ხარაძე, 1952, 1969;Колаковский, 1961;Тахтаджян, 1975;„Красная книга“ СССР, 1978.

განსაკუთრებული მაჩიტა

Campanula paradoxa Kolak.

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.





მნიშვნელობა. იშვიათი ენდემური სახეობაა, მესამეულის რელიქტია, ფრიად დეკორატიულია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის რელიქტური ფლორის შესწავლისა და დეკორატიული მებაღეობისათვის.

გავრცელება. შეგროვილია მხოლოდ ბზიფის ხეობაში (სოფ. ბზიფის მახლობლად).

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან კლდეთა ნაპრალებში.

მდგომარეობა. გვხვდება ძალზე იშვიათად, მარტოულად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს მაღალი დეკორატიული თვისებების, ადგილსამყოფლის დაშლისა და პოპულაციების სიმცირის გამო.

არის თუ არა დაცული. დაცვის სპეციალური ღონისძიებანი მიღებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა სოფ. ბზიფთან კლდეების აღკვეთილად გამოცხადება, კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1976; Харадзе, 1976.

სვანეთის მაჩიტა

Campanula svanetica Rupr.

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ძირთან გულისებრ ამოკვეთილი ფესვთანური ფოთლებით.





მნიშვნელობა. მეტად დეკორატიული, ვიწრო ლოკალური ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. ცნობილია მხოლოდ ქვემო სვანეთიდან (ცხენისწყლის ხეობა, ლენტეხი) და ლეჩხუმიდან (მური).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა ან სუბალპურ სარტყელში, კლდეებზე.

მდგომარეობა. სახეობა მცირე ფართობებზეა გავრცელებული, შემორჩენილია იშვიათ ეგზემპლარებად ძნელად მისადგომ ადგილებში.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება გადაშენდეს პოპულაციების სიმცირის გამო.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია გამრავლება საკოლექციო ნაკვეთებზე, კულტივირება და აღკვეთილის გამოყოფა ლეჩხუმში, მურის ციხის კლდეებთან.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1961; ხარაძე, 1969, 1976; Тахтаджян, 1975.

თავდახრილი სიმფიანდრა
Symphyandra pendula (Bieb.) DC.

ოჯახი — Campanulaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. მესამულის ფლორის იშვიათი რელიქტი და კავკასიის ენდემია. საყურადღებოა აგრეთვე, როგორც დეკორატიული მცენარე.

გავრცელება. აფხაზეთი (მდ. კოდორის ხეობა, წებელდა); რაჭა-ლეჩხუმი (ლაჯანურის ხეობა — სოფ. ალპანასა და მექვენას შორის), იმერეთი (ჭიათურის მიდამოები; წყალწითელას ხეობა); იმიერკავკასია.

ადგილსამყოფელი. იზრდება თიხაფიქლებზე და კირქვიანი კლდეების ნაპრალებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.





მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან 2 — 3 მცენარე ერთად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილების გამოყოფა და კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: ხარაძე, 1952, 1969.

პონტური პირთეთრა
Cerastium ponticum Albov

ოჯახი — Caryophyllaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი თეთრ-ქეჩისებრ შებუსვილი ბალახოვანი მცენარეა.





მნიშვნელობა. კოლხეთის რელიქტური ენდემია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. საყურადღებოა როგორც დეკორატიული მცენარე.

გავრცელება. გავრცელებულია აფხაზეთში, ბზიფის ქედზე და გაგრის მასივზე.

მდგომარეობა. იშვიათი სახეობაა, გვხვდება მცირე პოპულაციებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება შემცირდეს ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. დასაცავად სპეციალური ღონისძიებანი შემუშავებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილის გამოყოფა მამძიშხაზე და კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: ხარაძე, 1947, 1969, 1978.

აკინფიევის ხარეზია
Charesia Akinfievii (Schmalh.) E. Busch

ოჯახი — Caryophyllaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. ცენტრალური კავკასიონის ვიწრო ლოკალური ენდემია. უძველესი სახეობაა. კავკასიის ენდემური გვარის ერთადერთი წარმომადგენელია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის მთამაღალის ფლორის ისტორის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ სვანეთში გვხვდება (მდ. ცანასწყლის, ყორულდაშის, ზესხოს, მულხურას, მესტია-ჭალისა და დოლრას ხეობები). საქართველოს გარეთ ცნობილია მდ. ურუხის სათავეებიდან, ხარეზის ხეობაში (ბალყარეთი).

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეებსა და მორენებზე, ალპურ და სუბნივალურ სარტყელში.





მდგომარეობა. გვხვდება ძალზე მცირე რაოდენობით, პატარა ჯგუფებად ან ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს პოპულაციების სიმცირის გამო.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აიკრძალოს მცენარის შეგროვება ფესვებიანად, აუცილებელია ერთ-ერთი ადგილსამყოფლის აღკვეთილად გამოცხადება.

ინფორმაციის წყაროები: ხარაძე, 1955; Гвинианидзе, 1960; Тахтаджян, 1975; ღვინიანიძე, 1978; „Красная книга“ СССР, 1978; Гагнидзе, Зуребиани, Мукбаниани, Челидзе, 1978.

კეცხოველის მიხაკი
Dianthus Ketzkhovelii Makaschvili

ოჯახი — Caryophyllaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი მცენარეა, უხვად დატოტვილი, ძირში გახევებული ყლორტებით.

მნიშვნელობა. საქართველოს პირობითი ენდემია. ფრიად დეკორატიულია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გავრცელებულია აჭარასა (მდ. აჭარისწყლის ხეობა, დაბა ხულოსა და შუახევს შორის) და მესხეთში (აბასთუმნის მიდამოები; ბოლაჯური; მდ. ქვაბილიანის ხეობა, სოფ. ზარზმის პირდაპირ).





ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა სარტყელის გამეჩხერებულ ტყეებში, უფრო ხშირად სამხრეთ ექსპოზიციის კლდოვანსა და ქვიან ფერდობებზე.

მდგომარეობა. გვხვდება პატარა დაჯგუფებების სახით მცირე ფერდობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ძლიერ მცირდება დეკორატიულობისა და პოპულაციების სიმცირის გამო.

არის თუ არა დაცული. კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია უფრო ფართოდ კულტივირება და აღკვეთილის გამოყოფა აჭარაში (სოფ. ხულოსა და შუახევს შორის კლდეებზე).

ინფორმაციის წყაროები: მაყაშვილი, 1947; ხარაძე, 1969; ღვინიანიძე, 1978.

კუზნეცოვის მიხაკი
Dianthus Kusnetzovii Marcow.

ოჯახი — Caryophyllaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიონის ენდემია, ძლიერ იშვიათი სახეობაა. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, საყურადღებოა დეკორატიული მებაღეობისათვის.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ აფხაზეთშია, კოდორის სათავეში. საქართველოს გარეთ გვხვდება იმიერკავკასიაში (ქლუხორის უღელტეხილი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ღორღიან ადგილებში და კლდეებზე ალპურსა და სუბალპურ სარტყელში. გვხვდება ძალზე მცირე რაოდენობით, ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. განადგურების გზაზეა პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. დაცვის სპეციალური ღონისძიებანი შემუშავებული არ არის.









დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს შეგროვება.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1939, 1961; ხარაძე, 1947, 1969; Гвинианидзе, 1972; ღვინიანიძე, 1978.

მარკოვიჩის ქოთანა

Silene Marcowiczii Schischk.

ოჯახი — Caryophyllaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; სქელ კორდს ქმნის.

მნიშვნელობა. კავკასიონის იშვიათი ენდემია, უძველესი სახეობაა. ფრიად დეკორატიულია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის მაღალმთის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. ცნობილია მხოლოდ მამისონის ზეკარიდან და ფიდარის მთიდან (მდ. ლიახვის სათავე). საქართველოს გარეთ გვხვდება დასავლეთ იმიერკავკასიაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეებსა და ღორღიან ფერდობებზე, ალპურსა და სუბნივალურ სარტყელში.

მდგომარეობა. ძალზე იშვიათად გვხვდება მცირე ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს პოპულაციების სიმცირის გამო.

არის თუ არა დაცული. სპეციალური ღონისძიებანი შემუშავებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა პოპულაციების მდგომარეობის ზუსტი აღრიცხვა, სახეობის ბიოლოგიის შესწავლა.

ინფორმაციის წყაროები: ხარაძე, 1947, 1969; ღვინიანიძე, 1978.





ჟონდარა ჟოთანა
Silene pygmaea adam

ოჯახი — Caryophyllaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. გავრცელებულია კავკასიონზე, აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, სამხრეთ ოსეთში, მთიულეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში. საქართველოს გარეთ გვხვდება კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში და აზერბაიჯანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეებზე, სუბალპურ, ალპურ, იშვიათად ტყის სარტყელში, 1300-3100 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ძლიერ იშვიათი სახეობაა, გვხვდება მცირე პოპულაციების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ფესვის ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. ამ მიზნით სპეციალური ღონისძიებები შემუშავებული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ფართოდ უნდა მოხდეს კულტივირება მშრალი, კლდოვანი ფერდობების გასამშვენებლად.

ინფორმაციის წყაროები: ხარაძე, 1947, 1969; ღვინიანიძე, 1978.

კავკასიის აკაკი
Celtis caucasica Willd.

ოჯახი — Celtaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. 10 მ-მდე სიმაღლის ხეა, იშვიათად — ბუჩქი.

მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს ხრიოკი ადგილების გასამწვანებლად.

გავრცელება. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში სპორადულად. საქართველოს გარეთ — სომხეთში, შუა აზიაში, აღმ. ანატოლიასა და ირანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებზე მთის ქვედა სარტყლიდან შუა სარტყლამდე.





მდგომარეობა. გვხვდება ერთდროულად და მცირე ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა.

არის თუ არა დაცული. ნაწილობრივ დაცულია ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აიკრძალოს ჭრა; საჭიროა რამდენიმე აღკვეთლის გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: Са хокиа, 1961; შხიანი, 1969, 1975.

შიშველი აკაკი

Celtis glabrata Stev.

ოჯახი — Celtaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)





სასიცოცხლო ფორმა. 3-5 მ-მდე სიმაღლის ხეა ან უფრო ხშირად ბუჩქი.

მნიშვნელობა. გვალვაგამძლე, სითბოს და სინათლის მოყვარული მცენარეა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გავრცელებულია ფრაგმენტულად აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში. საქართველოს გარეთ აღმ. ამიერკავკასიის რაიონებში და წინა აზიაში გვხვდება.

ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ ადგილებსა და ქვიან ფერდობებზე, გამოფიტულ ნიადაგებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში. სამხრეთ საქართველოს მთის ქსეროფიტების ერთ-ერთი კომპონენტია.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულად და პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა პატარა აღკვეთილების გამოყოფა გავრცელების არეალში.

ინფორმაციის წყაროები: შხიანი, 1975.

ამფორიკარპოსი

Amphoricarpos elegans Albov — Alboviodoxa elegans (Albov) Woronow

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. როგორც რელიქტურ და ენდემურ სახეობას, მნიშვნელობა აქვს კოლხეთის კირქვიანების ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, საყურადღებოა როგორც დეკორატიული მცენარე.

გავრცელება. აფხაზეთი (აჩიგვარას ხეობა, ჩიფშირას მთა, ბზიფის და გაგრის ქედი), სამეგრელო (მიგარია, წულაში, ყვირა).

ადგილსამყოფელი. იზრდება მცირე ჯგუფებად კირქვიან კლდეებსა და ქვიან ფერდობებზე, მთის შუა





და სუბალპურ სარტყელში, 1200-2300 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ხასიათდება შეზღუდული არეალით, გვხვდება იშვიათად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. გადაშენება ემუქრება ტერიტორიის სამეურნეო მიზნით გამოყენების გამო.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. კირქვიანებზე ენდემური სახეობების თავმოყრის ადგილებში საჭიროა აღკვეთილების მოწყობა (მიგარიის მთა), სასურველია კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: პაპავა, 1952; Колаковский, 1962; Линчевский, 1962; „Красная книга“ СССР, 1978.

სპეტაკი კლადოხეტა
Cladochaeta candidissima (Bieb.) DC.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დეკორატიული მცენარეა. როგორც ლოკალურ ენდემს, მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში იშვიათად გვხვდება: მდ. თერგის ხეობაში ყაზბეგთან და მდ. შავი არაგვის ხეობაში სოფ. მაღაროსთან. საქართველოს გარეთ — აღმოსავლეთ და ცენტრალურ კავკასიონზე, იშვიათად — აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.





ადგილსამყოფელი. იზრდება მდინარეთა ხეობებში, ბუჩქნარებში, ხევხმელებში, მთის სარტყელში, ზოგჯერ დაბლობ ადგილებშიც.

მდგომარეობა. რაოდენობა მცირდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. სამეურნეო სამუშაოები ხეობებში და რიყეებზე.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“; კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია ყაზბეგთან, თერგის ნაპირზე აღკვეთილის გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: შხიანი, 1952; Борисова, 1959; „Крассная книга“ СССР, 1978.

გრიგორაშვილის პოდოსპერმუმი
Podospermum Grigoraschvilii Sosn.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. აღწერილია ხევსურეთში. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გვხვდება მხოლოდ ხევსურეთში (სოფ. ხახაბო).

ადგილსამყოფელი. იზრდება სუბალპურ სარტყელში მდელოებზე.





მდგომარეობა. იშვიათად გვხვდება ჯგუფებად ან ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. მცირე რაოდენობითაა ბუნებაში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი გავრცელების ადგილი ხევსურეთში სასურველია გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები:Сосновский, 1948; Гроссгейм, 1949; პაპავა, 1952; ქუთათელაძე, 1969; Кутателадзе, 1978.

წვრილფოთოლა ფსევდოპოდოსპერმუმი
Pseudopodospermum leptophyllum (DC.) Kuthath. (-Scorzonera leptophylla DC)

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი, კაკლისებრ გამსხვილებულფესვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. იშვიათი სახეობაა. საქართველოში პირველად (1967) ნაპოვნია მესხეთში. მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში გვხვდება: მესხეთში, ასპინძის რაიონში, ხერთვისის მახლობლად ირკუნის მთაზე და ვარნეთის მიდამოებში. საქართველოს გარეთ გვხვდება აზერბაიჯანსა და სომხეთში, აგრეთვე — ჩრდილო ირანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა სარტყელში მშრალ, ქვაღორღიან ადგილებში და ნაშალებზე.

მდგომარეობა. გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. საქონელი ეტანება ადრე გაზაფხულზე ახლად ამოსულ ფოთლებსა და ყლორტებს.

არის თუ არა დაცული. არ არის.









დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი გავრცელების ერთ-ერთი ადგილი უნდა გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Кутателадзе, 1978.

ჯავახეთის ფამფარულა
Scorzonera dzhavakhetica Sosn.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. სამხრეთ საქართველოს იშვიათი, ვიწრო ლოკალური ენდემია, მესამეული ფლორის რელიქტური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, ფრიად დეკორატიული მცენარეა.

გავრცელება. საქართველოში გვხვდება მხოლოდ ჯავახეთში, თეთრობის ქედზე.

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიანებზე სუბალპურ სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ჯგუფურად ან ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. თეთრობის ქედზე კირის მოპოვების მიზნით კლდეების ნგრევა და გადაჭარბებული ძოვება.

არის თუ არა დაცული. არ არის. რამდენიმე ეგზემპლარი გადმორგულია ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. თეთრობის ქედი, რომელიც მდიდარია სხვა ენდემური და რელიქტური სახეობებით, უნდა გამოცხადდეს ნაკრძალად.

ინფორმაციის წყაროები: Сосновский, 1937; Гроссгейм, 1934, 1952; პაპავა, 1952; ქუთათელაძე, 1969; Кутателадзе, 1978.

კეცხოველის ფამფარულა
Scorzonera Ketzkhovelii Sosn.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. სამხრეთ საქართველოს იშვიათი, ვიწრო ლოკალური ენდემია, მესამეული ფლორის რელიქტური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, ამასთანავე დეკორატიული მცენარეა.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ ჯავახეთში, თეთრობის ქედზე გვხვდება.





ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიანებზე სუბალპურ სარტყელში.

მდგომარეობა. იშვიათად გვხვდება ჯგუფებად ან ერთეულად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. კირის მოპოვების მიზნით თეთრობის კლდეების ნგრევა და გადაჭარბებული ძოვება.

არის თუ არა დაცული. გავრცელების ადგილზე დაცული არ არის. რამდენიმე ეგზემპლარი გადმორგულია ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში. სასურველია მისი კულტივირება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია გამოცხადდეს ნაკრძალად თეთრობის ქედი, სადაც, გარდა კეცხოველის ფამფარულასი, იზრდება კიდევ სხვა მრავალი ენდემური და რელიქტური სახეობა.

ინფორმაციის წყაროები: Сосновский, 1937; Гроссгейм, 1949; პაპავა, 1952; ქუთათელაძე, 1969; Кутателадзе, 1978.

კოზლოვსკის ფამფარულა
Scorzonera Kozlowskyi Sosn.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. სამხრეთ საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.





გავრცელება. ჯავახეთი, თეთრობის ქედი.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეების ნაპრალებში, სუბალპურ სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება თითო-ოროლა, გაფანტულად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. კირის მოპოვების მიზნით თეთრობის ქედზე კლდეების ნგრევა; ძოვება.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. თეთრობის ქედი უნდა გამოცხადდეს ნაკრძალად.

ინფორმაციის წყაროები: Сосновский, 1937; Гроссгейм, 1934, 1952; პაპავა, 1952; ქუთათელაძე, 1969; Кутателадзе, 1978.

მასაგეტოვის თავყვითელა
Senecio Massagetovii Schischk.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. მესამეული ფლორის იშვიათი რელიქტი და სპორადულად გავრცელებული საქართველოს ენდემური სახეობაა. მეტად დეკორატიულია.

გავრცელება. სვანეთი (ცანასწყლის ხეობა, ზესხო); რაჭა; იმერეთი (ცხრაჯვარი); ქართლი (ბორჯომის ხეობა); ჯავახეთი (თეთრობის ქედი); მესხეთი (სოფ. ბოლაჯურის მიდამოები).

ადგილსამყოფელი. მშრალი, კირქვიანი კლდეები.

მდგომარეობა. იზრდება ერთეულად ან რამდენიმე ერთადაა გადმოკიდებული კლდიდან.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. კირის გამოწვასთან დაკავშირებით თეთრობის ქედზე კირქვიანი კლდეების ნგრევა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. თეთრობის ქედის აღკვეთილად გამოცხადება და პოპულაციის





მდგომარეობაზე კონტროლის დაწესება.

ინფორმაციის წყაროები: Шишкин, 1961; მანდენოვა, 1969.

ხარისშუბლა
Senecio rhombifolius (Willd.) Sch. Bip.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. მესამეულის რელიქტი და კავკასიის ენდემია. ძვირფასი სამკურნალო მცენარეა.

გავრცელება. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა და სუბალპურ სარტყელში ტყის პირას, მდელოებსა და მაღალბალახეულობაში.

მდგომარეობა. ქმნის დიდ მასივებს სუბალპურ ტყეებში და ტყის პირას.









გამრავლება. მრავლდება თესლითა და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. ამზადებენ სამკურნალო მიზნებისთვის.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა შემცირდეს ამ მცენარის დამზადება სამკურნალო მიზნით და გამოიყოს აღკვეთილები რამდენიმე ადგილას; საჭიროა მისი კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: მანდენოვა, 1952, 1969; Гагнидзе, 1974.

მესხეთის ფამფარა

Tragopogon meskheticus Kuthath.

ოჯახი — Compositae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. სამხრეთ საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. მესხეთი, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, სოფ. ღობიეთის მოპირდაპირე მხარე; ახალციხის რაიონი, რაბათის მიდამოები.

ადგილსამყოფელი. იზრდება დამლაშებულ ნიადაგებზე, ნაშალებზე, მთის შუა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. პოპულაციების სიმცირე.

არის თუ არა დაცული. არ არის კულტივირებული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი გავრცელების ერთ-ერთი პუნქტი გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Кутателадзе, 1953, 1957, 1978; ქუთათელაძე, 1969.

არმაზის შინდანწლა

Thelycrania armasica Sanadze

ოჯახი — Cornaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი





სასიცოცხლო ფორმა. დაბალტანიანი ხე ან ბუჩქია.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს ლოკალური არეალის მქონე ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. დღეისათვის მხოლოდ თბილისის მიდამოებიდანაა (არმაზის ხევი) ცნობილი.

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყეში ქვეტყის სახით.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, ერთეულად ან პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი სრული დაცვა, რისთვისაც არმაზის ხევი და მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირი ხეკორძულიდან კარსანის ხევამდე, როგორც რამდენიმე იშვიათი სახეობის აღწერისა და გავრცელების კლასიკური ადგილი, გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: სანაძე, 1950; მაყაშვილი, 1952.

კოლხური თხილი
Corylus colchica Albov

ოჯახი — Corylaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. ბუჩქია.

მნიშვნელობა. საქართველოს ენდემი და კოლხეთის რეფუგიუმის ერთ-ერთი წარმომადგენელია. მნივნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. აფხაზეთი (გადაუთის რაიონი, ხისმის ქედი „ქაჩალი მთა“); სამეგრელო (მარტვილის რაიონი, ჯვარ-მიგარიის ქედი, სოფ. კურზუს ზემოთ).

ადგილსამყოფელი. ტენისმოყვარული მცენარეა. იზრდება ლოდნარზე, კირქვიან ფერდობებსა და ჩამონაზვავებზე მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე, უპირატესად ტყის პირას.

მდგომარეობა. ქმნის რაყას კოლხური ტიპის ტყეებში, იშვიათად გვხვდება ერთეულებად.





გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უსისტემო ჩეხვა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილების გამოყოფა ქაჩალ მთაზე — გუდაუთის რაიონში და ჯვარ-მიგარიის ქედზე — მარტვილის რაიონში.

ინფორმაციის წყაროები: Матикашвили, 1961; კემულარია-ნათაძე, 1947, 1975.

ქართული თხილი
Corylus iberica Wittm.

ოჯახი — Corylaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. 30 — 50 მ-მდე სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. კავკასიის ენდემური მცენარე და მესამეულის იშვიათი რელიქტია; აქვს საუკეთესო ხარისხის მერქანი და ცხიმიანი ნაყოფი. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.





გავრცელება. აფხაზეთი (სოხუმის მიდამოები, ციხერვას მთა, სოფ. თხინა); რაჭაა-ლეჩხუმი (ჭელიშის უდაბნო, სოფ. შავრა და შქემერის მიდამოები); ქართლი (მცხეთა-მართაზის ხეობა, ბორჯომის რაიონი, სოფ. ტბასთან; ვარაზის ხევის სათავეები); მთიულეთი (გუდამაყრის ხეობა, თხმელიანი); თუშ-ფშავ-ხევსურეთი (თუშეთი, თიანეთი, ხისო); კახეთი (ლაგოდეხი-ქოჩალო, მდ. სტორის ხეობა); თრიალეთი (სოფ. ორბეთი, ალგეთის ხეობა — მანგლისი, თეთრი წყარო, გუდარეხის ხეობა, მდ. ქციის ხეობა — კლდეისის წყლის შესართავთან); იმიერკავკასია; აზერბაიჯანი, სომხეთი.

ადგილსამყოფელი. იზრდება ფოთლოვან ტყეებში, მთის შუა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულად და ჯგუფურად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უწესრიგო ჩეხვა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილების გამოყოფა, განსაკუთრებით მდ. ხრამის აუზში.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1947, 1975; Матикашвили, 1961.

უხრავი
Ostrya carpinifolia Scop.

ოჯახი — Corylaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა -საჭიროებს ზრუნვას (LC)





საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

სასიცოცხლო ფორმა. 3-7 მ-მდე სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. იშვიათი სახეობაა და მესამეულის რელიქტი. ახასიათებს მოვარდისფრო მკვრივი მერქანი; დეკორატიულია; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. აფხაზეთი (ფაცხისის ხეობა, სოხუმის მიდამოები, გაგრა, გაგრიფში, ჟოეკვარას ხეობა); სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი (ზემო რაჭა, გლოლასა და შოვს შორის, ლაჯანურის ხეობა); სამეგრელო (მთაჯვარი), იმერეთი (კვაკუნთას მთა); გურია, აჭარა (რიკეთი, შუახევი, მაწკვალთა); ქართლი (ბორჯომის ხეობა, წაღვერი, ტბა, საკოჭავი, ლიკანის ხეობა, ქვაბისხევი); მესხეთი (ახალციხე, ქისათიბსა და ოხეროს შორის, ურაველი-საფარის მონასტრის ტყე, ასპინძის მიდამოები, ადიგენის რაიონი, სოფ. მლაშე); იმიერკავკასია; შავი ზღვის სანაპირო; ხმელთაშუაზღვეთი, მცირე აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება ხეობებსა და ფერდობებზე შერეული ტყის ცენოზებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში, უპირატესად კირქვიან სუბსტრატზე.

მდგომარეობა. უხრავის შედარებით დიდი მასივები შემონახულია მესხეთში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ძველის მისადგომებთან და ურაველის წყლის ხეობაში სოფ. მინაძესა და ურაველს შორის.

გამრავლება. მრავლდება თესლით. ნაყოფს იძლევა 20 წლის ასაკიდან და ცოცხლობს 100 წლამდე.

შემცირების მიზეზი. ტყეების უწესრიგო ჩეხვა.

არის თუ არა დაცული. დაცულია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა უფრო მეტი აღკვეთილების გამოყოფა და პოპულაციებზე კონტროლის დაწესება.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1947, 1975; Гулисашвили, 1960; „Красная книга“ СССР, 1978.

ანხონიუმი
Anchonium elichrysifolium (DC.) Boiss.

ოჯახი — Cruciferae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი





საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფრომა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. ხმელთაშუა ზღვის ფლორის რელიქტია. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. ჯავახეთი (თეთრობის ქედი); სომხეთი; წინა აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება სამხრეთ ფერდობებზე, კირქვიან კლდეებსა და ნაზვავებზე მთის შუა და სუბალპურ სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. კირის გამოწვასთან დაკავშირებით კირქვიანი კლდეების ნგრევა თეთრობის ქედზე.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. თეთრობის ქედი გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Хинтибидзе, 1970.

ოლღას ფოლიო
Scabiosa Olgae Albov

ოჯახი — Dipsacaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის ენდემური სახეობა და მესამეულის რელიქტია. დეკორატიული და საუკეთესო თაფლოვანი მცენარეა.

გავრცელება. აფხაზეთი (მდ. ბზიფის ხეობა); საქართველოს გარეთ სოჭის მიდამოებში.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეების ნაპრალებსა და ღორღიან ადგილებზე მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, უმეტესად კირქვიან სუბსტრატზე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან ჯგუფებად.





გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ხშირად ნადგურდება ექსკურსანტებისა და ტურისტების მიერ; აგრეთვე — უწესრიგო მეურნეობის გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონიძიებები. აღკვეთილის გამოყოფა ბზიფის ხეობაში და კონტროლის დაწესება პოპულაციებზე, კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1949, 1961; შხიანი, 1952, 1964.

ინგლისური დროზერა
Drosera anglica huds.

ოჯახი — Droseraceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი მწერიჭამია ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. უძველესი ბორეალური ფლორის წარმომადგენელია. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიისათვის.

გავრცელება. საქართველოში გვხვდება მხოლოდ აჭარაში (ხულოს რაიონი) და აჭარა-გურიის ქედზე (მდინარე გუბაზოულის სათავეები). გავრცელებულია ევრაზიის კონტინენტსა და ჩრდილო ამერიკაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ზედა სარტყლის სფაგნუმიან ჭაობებში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.





შემცირების მიზეზი. ჭაობების ამოშრობასთან დაკავშირებით მცირდება.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. რომელიმე ჭაობი, სადაც ეს მცენარე იზრდება, გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Юзепчук, 1939; Гроссгейм, 1949; მაყაშვილი, 1948; Дмитриева, 1960; მანდენოვა, 1969.

შუალედური დროზერა
Drosera intermedia Hayne

ოჯახი — Droseraceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი მწერიჭამია, ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. უძველესი ბორეალური ფლორის წარმომადგენელი. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში ცნობილია მხოლოდ აჭარიდან (ხულოს რაიონი) და აჭარა-გურიის ქედიდან (მდინარე გუბაზოულის სათავეები), გავრცელებულია ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ზედა სარტყლის სფაგნუმიან ჭაობებში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჭაობების ამოშრობა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. რომელიმე ჭაობი, სადაც ეს მცენარე იზრდება, გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Юзепчук, 1939; Гроссгейм, 1949; მაყაშვილი, 1948; მანდენოვა, 1969; Дмитриева, 1960.





მრგვალფოთოლა დროზერა
Drosera rotundifolia L.

ოჯახი — Droseraceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი მწერიჭამია ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. უძველესი ბორეალური ფლორის წარმომადგენელია, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში ცნობილია მხოლოდ აჭარიდან (ქობულეთი). გავრცელებულია ევრაზიის კონტინენტსა და ჩრდილო ამერიკაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტორფიან ჭაობებში.









მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად და ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჭაობების ამოშრობა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ქობულეთში ერთ-ერთი ტორფიანი ჭაობი, სადაც ეს მცენარე ხარობს, უნდა გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Юзепчук, 1939; Гроссгейм, 1949; მაყაშვილი, 1948; Дмитриева, 1960; მანდენოვა, 1969.

ჩვეულებრივი ხურმა

Diospyros lotus L.

ოჯახი — Ebenaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მაღალი ხეა.

მნიშვნელობა. დეკორატიული და ხილის მომცემი მცენარეა.

გავრცელება. საქართველოში გვხვდება: აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, ქართლსა და კახეთში. საქართველოს გარეთ — ხმელთაშუაზღვეთი, წინა, ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია და კავკასია.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ნესტიან და ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე, ჭალის ტყეებში.

მდგომარეობა. ჩვეულებრივ გვხვდება სხვა სახეობებთან ერთად. იშვიათად ქმნის სუფთა კორომებს. მაგ. ალაზნის ველზე, სადაც ამ სახეობების მესამეულის ფიტოცენოზებია შემორჩენილი.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. მცირდება ვაკისა და ჭალის ტყეების სახნავ-სათესად გამოყენების გამო.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა სრული დაცვა, აღკვეთილების გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: ქუთათელაძე, 1952, 1969, Тахтаджян, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

ქაცვი
Hippophaë rhamnoides L.

ოჯახი — Elaeagnaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ბუჩქია, ზოგჯერ 3 მ-მდე სიმაღლისა.

მნიშვნელობა. გამოიყენება სადურგლო საქმეში მაგარი, მკვრივი და მძიმე მერქნის გამო. მისი ნაყოფი ხალხურ მედიცინაში ცნობილია, როგორც კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და ჰიპერტონიის სამკურნალწამლო საშუალება; იყენებენ აგრეთვე სისხლძარღვთა შევიწროებისა და უშაქრო დიაბეტის შემთხვევაშიც. ჭრილობებისა და წყლულების მოსაშუშებლად ხალხური მედიცინა უძველესი დროიდან იყენებს ქაცვის ზეთსაც.

გავრცელება. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, 2000 მ-მდე ზღვის დონიდან. საქართველოს გარეთ — ევრაზიაში.





მდგომარეობა. ქმნის გაუვალ რაყას მდინარეთა და მის შენაკადთა ხეობებში.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ფესვის ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. ნადგურდება სარებისა და ჭიგოებისათვის, სამკურნალო მიზნებისათვის; აგრეთვე ჭალის ტყის შემცირების გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის. გამოყენებულია ცოცხალ ღობედ.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა გამოიყოს ნაკრძალი ან აღკვეთილი და დაცულ იქნეს, როგორც ძვირფასი სამკურნალო მცენარე.

ინფორმაციის წყაროები: სოსნოვსკი, 1950; კეცხოველი, 1957.

ხემარწყვა, ხეშიშველი
Arbutus andrachne L.

ოჯახი — Ericaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

სასიცოცხლო ფორმა. მაღალი ბუჩქი ან ხეა.

მნიშვნელობა. ფრიად დეკორატიულია. მნიშვნელობა აქვს ხმელთაშუაზღვეთ-კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გვხვდება აფხაზეთსა და აჭარაში. საქართველოს გარეთ — დასავლეთ ამიერკავკასიაში, ყირიმში, ბალკანეთში, მცირე აზიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთში.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეებზე, ფლატეებზე, მთის ქვედა, იშვიათად შუა სარტყელში, ხშირად სხვა იშვიათ მცენარეებთან ერთად (ბიჭვინთის ფიჭვი).





მდგომარეობა. გვხვდება ერთეულად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. მცირდება უკონტროლო ჭრების გამო.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა სრული დაცვა და რამდენიმე აღკვეთილის გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: Тахтаджян, 1975; კეცხოველი, 1977; „Красная книга“ СССР, 1978.

ეპიგეა
Epigaea gautherioides (Boiss. Et Bal.) Takht.

ოჯახი — **Ericaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. მარადმწვანე გართხმული ბუჩქია.

მნიშვნელობა. აჭარა-ჭანეთის ვიწრო ენდემია, დეკორატიული მცენარეა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.





გავრცელება. გვხვდება აჭარაში (ნამწვავის წყლის ხეობა, მახუცეთსა და მახინჯაურს შორის, მთა ყოროლის თავი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ტენიან ადგილებზე მთის შუა, ზედა და სუბალპურ სარტყელში, წიფლნარში, მედვედევის არყნარში, უნგერნის და პონტური შქერის რაყებში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

არის თუ არა დაცული. კულტივირებულია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ნამწვავის წყლის ხეობის ნაკრძლად გამოცხადება.

ინფორმაციის წყაროები: კვარაცხელია, 1952; მანჯავიძე, 1965; კეცხოველი, 1974; Колаковский, 1961; Тахтаджян, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

სმირნოვის შქერი
Rhododendron Smirnowii Trautv.

ოჯახი — **Ericaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. მარადმწვანე მაღალი ბუჩქია.

მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია კოლხეთის რელიქტური მეზოფილური ფლორის ისტორიის შესასწავლად.

გავრცელება. აჭარა (მდ. მერისის და მისი შენაკადების, ომანისთევზიას, გვირაბისწყლის, აგრეთვე მდ. სათევზიას ხეობებში; ნამონასტრევის მიდამოებში, შავშეთის ქედზე). საქართველოს გარეთ — ჭანეთი.

ადგილსამყოფელი. იზრდება ხეობებში, წიფლნარებში 1050-1600 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, პონტურ და უნგერნის შქერთან ერთად. დამრეც ფერდობებზე გვხვდება აღმოსავლურ ნაძვთან, პონტურ მუხასთან, მედვედევის არყთან, წყავთან და ჭყორთან ერთად.









მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად.

შემცირების მიზეზი. აგროვებენ როგორც დეკორატიულ და სამკურნალო მცენარეს, ზიანდება ადამიანის სამეურნეო საქმიანობითაც.

არის თუ არა დაცული. გვხვდება დასავლეთ ევროპის და ამერიკის რამდენიმე ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი გავრცელების ყველა ცნობილი პუნქტის სრული დაცვა, ხოლო ერთ-ერთ (მერისის) ხეობაში სხვა ენდემების თავმოყრის ადგილზე, აღკვეთილის გამოყოფა, ფართო კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: კვარაცხელია, 1952; Дмитриева, Манджавидзе, 1963;Тахтаджян, 1975; „Крассная книга“ СССР, 1978.

უნგერნის შქერი

Rhododendron Ungernii Trautv.

ოჯახი — Ericaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. მარადმწვანე მაღალი ბუჩქია.

მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს კოლხეთის რელიქტური მეზოფილური ფლორის ისტორიის შესასწავლად; დეკორატიულია, შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, იყენებენ სამკურნალოდ.

გავრცელება. გურია (ბახმაროს ჩრდილოეთი მისადგომები), აჭარა (მდინარეების: კინტრიშის, ჩაქვისწყლის, ყოროლისწყლის, აჭარისწყლის, ჭოროხის და მათი შენაკადების ხეობებში). საქართველოს გარეთ — თურქეთი (ართვინის ოლქი).

ადგილსამყოფელი. იზრდება დაჩრდილულ ტენიან ხეობებში, 600-1900 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. სუბალპურ სარტყელში ხშირად რაყას ქმნის, ზოგჯერ ტყის განახლებას აფერხებს.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად. იზრდება ძალიან ნელა, ცოცხლობს 150 წელი.

შემცირების მიზეზი. ტექნიკური მიზნებისათვის დიდი რაოდენობით აგროვებენ ამ მცენარის ფოთლებს.

არის თუ არა დაცული. ნაწილობრივ დაცულია კინტრიშის ხეობაში; დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. კულტივირებულია XIX საუკუნის დასასრულიდან, იზრდება ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ბოტანიკურ ბაღში (თბილისი, სოხუმი, ბათუმი).

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა დაწესდეს კონტროლი პოპულაციების მდგომარეობაზე. ტექნიკური მიზნით ფოთლები უნდა შეგროვდეს დროგამოშვებით, გეგმაზომიერად.

ინფორმაციის წყაროები: კვარაცხელია, 1952; Колаковский, 1961; Тахтаджян, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

კოლხეთის ლეპტოპუსი, კოლხეთის არახნე

Leptopus colchicus (Fisch. Et Mey.) Pojark. (-Arachne colchica (Fisch. Et Mey.) Pojark)

ოჯახი — Euphorbiaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი ბუჩქია.

მნიშვნელობა. დასავლეთ ამიერკავკასიის იშვიათი ენდემური სახეობაა. მნიშვნელოვანია კირქვიანების რელიქტური ფლორის ისტორიის შესწავლისათვის; ფრიად დეკორატიული მცენარეა.

გავცელება. აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, საქართველოს გარეთ — დასავლეთი ამიერკავკასია.





ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან კლდეებსა და ქვაღორღიან ფერდობებზე მთის შუა სარტყლამდე.

მდგომარეობა. გვხვდება სპორადულად პატარ-პატარა დაჯგუფებების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა ტერიტორიის ათვისებასთან დაკავშირებით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი სრული დაცვა.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1948, 1961; ტერ-ხაჩტუროვა, 1950, 1964; Манджавидзе, 1970; Тахтаджян, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

წაბლი

Castanea sativa Mill.

ოჯახი — Fagaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. ხეა.

მნიშვნელობა. ძვირფასმერქნიანი მცენარეა; მისი მერქნისაგან საუკეთესო სამშენებლო და სახარატო მასალას ამზადებენ, ნაყოფს კი საკვებად იყენებენ; ხის ქერქი და გულგული მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით.

გავრცელება. გვხვდება დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (მდ. ბზიფის, ენგურის, ცხენისწყლის, რიონის ხეობებში, მესხეთის ქედზე); აღმოსავლეთ საქართველოში (ლიახვის და ბორჯომის ხეობებში; კახეთის კავკასიონზე).





ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეებში 500 მ-დან 1200-1400 მ-მდე სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. მნიშვნელოვნად მცირდება არეალი და მის ფარგლებში ინდივიდთა რიცხვი.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. ტყის უსისტემო გაჩეხვა და სოკოვანი დაავადებანი.

არის თუ არა დაცული. დაცულია ლაგოდეხის და ბაწარას ნაკრძალებში, ნაწილობრივ ბზიფის ხეობაში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა არეალის ფარგლებში აღკვეთილების გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: გაგნიძე, 1975.

ჭოროხის მუხა
Quercus dschorochensis C. Koch

ოჯახი — Fagaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი





სასიცოცხლო ფორმა. ხე ან ბუჩქია.

მნიშვნელობა. საქართველოს ფლორის ერთ-ერთი რელიქტური სახეობაა; მნიშვნელოვანია ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. აქვს მაღალხარისხოვანი მერქანი, დეკორატიული მცენარეა.

გავრცელება. დღეისათვის საქართველოში მხოლოდ მესხეთის ქედზე და აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობაში გვხვდება. საქართველოს გარეთ — მცირე აზია, აღმოსავლეთი ანატოლია.

ადგილსამყოფელი. იზრდება ქვაღორღიან ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყლებში რცხილასთან, უთხოვართან და სხვა ფართოფოთლოვან მცენარეებთან ერთად.

მდგომარეობა. სხვა ფართოფოთლოვან მცენარეებთან ერთად ხშირად ქმნის კორომს შედარებით მცირე ფერდობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ვეგეტაციურად (ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. ჭრა; მისი ნეკერის საქონლის საკვებად გამოყენება.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მიზანშეწონილია აჭარისწყლის ხეობის ტყიანი ნაწილის ნაკრძალად გამოცხადება.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1945; ლორთქიფანიძე, 1947; Дмитриева, 1960; Матикашвили, 1961; კეცხოველი, 1974; გაგნიძე, 1975.

ჰართვისის მუხა
Quercus Hartwissiana Stev.

ოჯახი — Fagaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 25 მ-მდე სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ფლორის ერთ-ერთი იშვიათი, უძველესი სახეობაა; სწრაფმზარდი, მაღალხარისხოვანი მერქნის მქონე დეკორატიული მცენარეა; საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. უმთავრესად გვხვდება დასავლეთ სა-





ქართველოში (აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, აჭარა); აღმოსავლეთ საქართველოდან კი დღეისათვის მხოლოდ შიდა კახეთიდანაა (ბაბანეური) ცნობილი. საქართველოს გარეთ — შავი ზღვის სანაპირო (მზიმთის აუზიდან გელენჯიკამდე), მცირე აზია, იმიერკავკასია.

ადგილსამყოფელი. იზრდება კოლხეთის ფოთლოვან ტყეში იმერულ მუხასთან ერთად, თიხნარ, ეწერ, ყომრალ, კარბონატულ, წითელმიწა დაჭაობებულ ნიადაგებზე მთის ქვედა და შუა სარტყლებში 200 მ-დან 1200-1400 მ-მდე სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან პატარა-პატარა ჯგუფებად. ზოგჯერ დაბლობებში ქმნის ტყეებს, რომელთა ფართობი ძალიან მცირეა.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ძირკვის ამონაყრით), 2-3 წელში ერთხელ უხვად მსხმოიარობს.

შემცირების მიზეზი. ჭრა; დაბლობისა და ვაკის ტყეების ტერიტორიის სამეურნეოდ ათვისება; საქონლის ძოვება.

არის თუ არა დაცული. ბუნებაში არ არის დაცული. როგორც დეკორატიული მცენარე, გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აიკრძალოს მასობრივი ჭრა; მისი გავრცელების არეალში შედარებით შემონახული რამდენიმე კორომი გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1939; ლორთქიფანიძე, 1947; Матикашвили, 1948, 1961; მაყაშვილი, 1960; კეცხოველი, 1960; Дмитриева, 1960; გაგნიძე, 1975.

იმერული მუხა

Quercus imeretina Stev. ex Maleev

ოჯახი — Fagaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 30 მ-მდე სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი იშვიათი, რელიქტური ენდემია; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. ძვირფასი მერქნის მქონე დეკორატიული მცენარეა.





გავრცელება. დღეისათვის ცნობილია აფხაზეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან და გურიიდან.

ადგილსამყოფელი. იზრდება ვაკის ტყეებში ჭარბტენიან, ეწერ, თიხნარ, წითელმიწა, ტორფიან ნიადაგებზე, ხშირად გვხვდება მდინარისპირა დაბლობებსა და ტერასებზე 600 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ქმნის შერეულფოთლოვან კოლხურ ტყეებს, რომლებიც თანდათან მცირდება და ნადგურდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჭრა; დაბლობისა და ვაკის ტყეების ტერიტორიის სამეურნეოდ ათვისება; საქონლის ძოვება.

არის თუ არა დაცული. დაცულია აჯამეთის ნაკრძალში; როგორც დეკორატიული მცენარე, გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აიკრძალოს მასობრივი ჭრა; გავრცელების არეალში შედარებით შემონახული კორომი გამოცხადდეს აღკვეთილად; დაწესდეს კონტროლი პოპულაციების მდგომარეობაზე.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1939; Сосновский, 1940; Гроссгейм, 1945; ლორთქიფანიძე, 1947; Матикашвили, 1948, 1961; კეცხოველი, 1960; მაყაშვილი, 1960; Гулисашвили 1960; გაგნიძე, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

მაღალმთის მუხა (აღმოსავლური მუხა)

Quercus macranthera Fisch. et Mey.

ოჯახი — Fagaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი





საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 20-28 (10-15) მ სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. წინააზია-კავკასიის უძველესი სახეობაა, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. მაღალხარისხოვანი მაგარი მერქნის მქონე, გვალვა და ყინვაგამძლე მცენარეა.

გავრცელება. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიან რაიონში. საქართველოს გარეთ— იმიერკავკასია (ჩეჩენ-ინგუშეთი, დაღესტანი), ამიერკავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი), მცირე აზია, აღმოსავლეთი ანატოლია (ოლთი-ჩაის აუზი), ჩრდილო ირანი (ასტარა, გილანი, მაზენდარი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყლებში 900 მ-დან 2400 მ-მდე სიმაღლეზე ზღვის დონიდან, მეტწილად მშრალ სამხრეთ ფერდობებზე, სადაც ქმნის მეჩხერ პარკულ ტყეს პანტის, ცირცელის, არყის, მაღალმთის ნეკერჩხლის მონაწილეობით.

მდგომარეობა. გვხვდება წმინდა (იშვიათად) ან შერეული კორომების სახით და ერთეულებადაც.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. მთის ზედა სარტყლის ტყეების გაჩეხვა, რის შედეგადაც მუხის ეს სახეობა ბევრგან ერთეული ხეების სახით არის შემორჩენილი; ძოვება, ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აიკრძალოს მასობრივი ჭრა და მისი გავრცელების ადგილებში საქონლის ინტენსიური ძოვება. შემორჩენილი რამდენიმე კორომი გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1945; ლორთქიფანიძე, 1947; მაყაშვილი, 1952, 1960; კეცხოველი, 1960; Махатадзе, 1961; გაგნიძე, 1975.

ჭალის მუხა (გრძელყუნწიანი მუხა)

Quercus pedunculiflora C. Koch (-Q. longipes Stev.)

ოჯახი — Fagaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)





სასიცოცხლო ფორმა. 30 მ-დე სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. მესამეული პერიოდის ერთ-ერთი რელიქტური სახეობაა. საყურადღებოა ფლორის ისტორიის შესწავლისათვის, აგრეთვე როგორც მაღალხარისხოვნი მერქნის მქონე და დეკორატიული მცენარე.

გავრცელება. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში უმთავრესად მდინარეების: მტკვრის, არაგვის, ივრის, ალაზნისა და მათი შენაკადების ხეობებში. საქართველოს გარეთ — იმიერკავკასია, ამიერკავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი), ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი მხარე, მცირე აზია.

მდგომარეობა. დაბლობებსა და მდინარეთა ნაპირებზე ქმნის კორომებს, რომელთა ფართობი ყოველდღიურად მცირდება, რის შედეგადაც ეს მცენარე ბევრგან მხოლოდ ერთეული ხეების სახით არის შემორჩენილი.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ძირკვის ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. დაბლობისა და ჭალის ტყეების ტერიტორიის ინტენსიური სამეურნეო ათვისება; საქონლის ძოვება; ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. დაცულია ლაგოდეხის ნაკრძალში და ალაზნის ველზე ჭიაურის აღკვეთილში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს მისი მასობრივი ჭრა და ჭალის ტყის შემორჩენილი რამდენიმე კორომი გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1945; ლორთქიფანიძე, 1947; მაყაშვილი, 1952; კეცხოველი, 1960; Матикашвили,1961; გაგნიძე, 1975.

პონტოს მუხა
Quercus pontica K. Koch

ოჯახი — Fagaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. დაბალტანიანი (5-7 მ სიმაღლის) ხე ან ბუჩქია.

მნიშვნელობა. მცირე აზია-კავკასიის იშვიათი სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის დადგენისათვის და როგორც შედარებით ყინვაგამძლე და კარგ დეკორატიულ მცენარეს.

გავრცელება. გვხვდება მხოლოდ დასავლეთ საქარ-





თველოში (აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა). საქართველოს გარეთ — მცირე აზია — ლაზეთი (პონტოს ქედი).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ზედა და სუბალპურ სარტყლებში ტენიან კირქვიან კლდეებზე, ხშირად — თიხნარ ნიადაგებზე, მეტწილად — ღია, განათებულ სამხრეთ ფერდობებზე, 800-1200 მ-დან 2200 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ჩვეულებრივ გვხვდება ერთეულებად, ზოგან ქმნის მცირე დაჯგუფებებს.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (დამატებითი და მძინარე კვირტების ამონაყრით, რის ხარჯზედაც ძირითადად მიმდინარეობს მისი განახლება).

შემცირების მიზეზი. ჭრა, სუბალპური ტყეების გაჩეხვა; გადაჭარბებული ძოვება; მისი ნეკერის საქონლის საკვებად გამოყენება; მცირე ნაყოფმსხმოიარობა და თესლით გამრავლების მცირეუნარიანობა, რის შედეგადაც ამ სახეობის არეალის ბუნებრივი გაფართოება თითქმის არ ხდება.

არის თუ არა დაცული. დაცულია კინტრიშის ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა გამოიყოს რამდენიმე აღკვეთილი, განსაკუთრებით ჩხაკაურას მასივზე (აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთი ნაწილი) და მდინარე ჩხალთის სათავეებში; კულტივირებულ იქნეს ბაღ-პარკებში, როგორც დეკორატიული მცენარე.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1939, 1961; Гроссгейм, 1945; ლორთქიფანიძე, 1947; კეცხოველი, 1960, 1974; Гулисашвили 1960; Дмитриева, 1960; Матикашвили, 1961; გაგნიძე, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

ერდელის ბუჩქისძირა
Corydalis Erdelii Zucc.

ოჯახი — Fumariaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი გორგლიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის ძალზე იშვიათი, ვიწრო ლოკალური ენდემური სახეობაა.

გავრცელება. გავრცელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, ხმელთაშუა ზღვის აღმ. მხარეს, მცირე აზიაში. საქართველოში გვხვდება მხოლოდ ჯავახეთში.

ადგილსამყოფელი. იზრდება ღორღიან ფერდობებზე მთის შუა და ზედა სარტყლებში.

მდგომარეობა. გვხვდება ძალზე იშვიათად, მცირე რაოდენობით.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (გორგლით).





შემცირების მიზეზი. მცირდება ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. სათანადო ცნობები არ მოგვეპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. თეთრობის ქედი გამოცხადდეს ნაკრძალად, სადაც დაცული იქნება სხვა ენდემური სახეობებიც.

ინფორმაციის წყაროები: ტეხ-ხაჩატუროვა, 1948, 1969; შხიანი, 1978.

ბეწვყვავილა გლობულარია
Globularia trichosantha Fisch. Et Mey.

ოჯახი — Globulariaeceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.





მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის როგორც ერთ-ერთ იშვიათ სახეობას.

გავრცელება. საქართველოში დღეისათვის მხოლოდ მცხეთისა და საგურამოს მიდამოებიდან და შიდა კახეთიდანაა (შუამთისა და სოფ. თეთრ წყლებს შორის მდ. თურდოს მარცხენა მხარე) ცნობილი.

საქართველოს გარეთ — ყირიმი, იმიერკავკასია (ოშტენის მთა), სამხრეთ ამიერკავკასია(ალაგიოზი, სევანის ტბა, დარალაგიოზი, ნახჭევანი), ბულგარეთი, თურქეთი, ირანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყისპირა ჩამონაზავებზე, ნატყევარ მშრალ ფერდობებზე დაბლობიდან მთისზედა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (დაფესვიანებით).

შემცირების მიზეზი. ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა; მისი გავრცელების ადგილების სამეურნეოდ ათვისება.

არის თუ არა დაცული. არ არის. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი სრული დაცვა. მცხეთისა და საგურამოს მიდამოები, სადაც ეს მცენარე იზრდება, გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: დუმბაძე, 1952; მაყაშვილი, 1952; Тахтаджян, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

კოლხური წყლის კაკალი

Trapa colchica Albov

ოჯახი — Hydrocaryaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CE)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი წყლის მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის ენდემი და იშვიათი რელიქტური მცენარეა.

გავრცელება. აფხაზეთი, სამეგრელო, აჭარა; საქართველოს გარეთ — სომხეთი.

ადგილსამყოფელი. იზრდება ზღვის სანაპირო ზოლის ჭაობებში, დამდგარ და მდორედ გამდინარ წყლებში მთის ქვედა სარტყელში.





მდგომარეობა. იზრდება პატარ-პატარა ჯგუფების სახით წყლის ზედაპირზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჭოაბების დაშრობა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთლების გამოყოფა მისი გავრცელების არეალში.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1949; სოსნოვსკი, 1950; მანდენოვა, 1964.

ჰირკანული წყლის კაკალი
Trapa hyrcana Woronow

ოჯახი — Hydrocaryaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი წყლის მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის ენდემი და მესამეულის რელიქტური სახეობაა, დღემდე შემორჩენილია უძველეს წყალსაცავებში.





გავცელება. გარდაბნის რ-ნი. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება დაბლობების ტბებსა და ჭაობებში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად და პატარ-პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ტბებისა და ჭაობების ამოშრობა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ყარაიის ტბა გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1949; სოსნოვსკი,1950; მანდენოვა, 1964.

მალეევის წყლის კაკალი
Trapa Maleevii Vassil.

ოჯახი — Hydrocaryaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)





საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი წყლის მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ენდემი და მესამეულის უძველესი რელიქტური სახეობაა, დღემდე შემორჩენილია უძველეს წყალსაცავებში.

გავრცელება. აფხაზეთი, აჭარა (ციხისძირი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ტბებსა და ჭაობებში მთის ქვედა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულად.

შემცირების მიზეზი. ტბებისა და ჭაობების დაშრობა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთილების გამოყოფა აფხაზეთსა და აჭარაში.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1949; სოსნოვსკი, 1950; მანდენოვა, 1964.

თეთრობის კრაზანა
Hypericum thethrobicum Kem.-Nath.

ოჯახი — Hydrocaryaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. პატარა ბუჩქია.

მნიშვნელობა. ვიწრო გავრცელების ენდემია. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. ჯავახეთი (თეთრობის ქედი).

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან, კლდოვან





და განათებულ ფერდობებზე 1800-2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. გვხვდება ერთულებად ან პატარა-პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. თეთრობის კირქვიანი კლდეების ნგრევა კირის მოპოვებასთან დაკავშირებით; საქონლის ძოვება და სხვა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. თეთრობის ქედის აღკვეთილად გამოცხადება.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1950, 1969.

კაკალი, კაკლის ხე, ნიგვზის ხე
Juglans regia L.

ოჯახი — Juglandaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 30-35 მ სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. მესამეული პერიოდის ერთ-ერთი იშვიათი რელიქტური სახეობაა, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის; საყურადღებოა როგორც საკვები, სამკურნალო, საღებავი და მეტად მაღალხარისხოვანი ძვირფასი მერქნის მქონე მცენარე.

გავრცელება. გვხვდება თითქმის ყველგან, გარდა მაღალმთიანი რაიონებისა. საქართველოს გარეთ — იმიერკავკასია (დაღესტანი), ამიერკავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი), ყირიმი, ხმელთაშუა ზღვის მხარე (ბალკანეთი), ირანი, შუა აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება დაბლობისა და მდინარისპირა ტყეებში, უმთავრესად მუხნარსა და რცხილნარში მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

მდგომარეობა. გვხვდება ველურად, იშვიათად ერთეულებად ან კორომების სახით, ფართოდ კულტივირებულია. ამჟამად აშენებენ დიდ ფართობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ძირკვის ამონაყრით). ნაყოფმსხმოიარობას იწყებს 10-12 წლიდან.









შემცირების მიზეზი. ჭრა; დაბლობისა და მდინარისპირა ტყეების ტერიტორიის სამეურნეო ათვისება; საკარმიდამო ნაკვეთებზე მისი მოჭრა და ამოძირკვა.

არის თუ არა დაცული. დაცულია ნაკრძალებსა და აღკვეთილებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი სრული დაცვისათვის სასტიკად უნდა აიკრძალოს ჭრა; შემონახული კორომები გამოცხადდეს აღკვეთილად; დაწესდეს კონტროლი პოპულაციების მდგომარეობაზე.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1945; კემულარია-ნათაძე, 1947, 1974; კეცხოველი, 1960; Басильев, 1961.

ლაფანი, ფრთიანნაყოფა ლაფანი
Pterocarya pterocapra (Michx.) Kunth

ოჯახი— Juglandaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. 20-35 მ სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. მესამეული პერიოდის იშვიათი რელიქტური სახეობაა; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. საყურადღებოა როგორც დეკორატიული და საღებავი მცენარე.

გავრცელება. გვხვდება კოლხეთის დაბლობსა და შიდა კახეთში. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანი (თალიში, ზაქათალა და შემახი), დაღესტანი (მდ. სამურის შესართავი), თურქეთი, ირანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყელში მდინარისპირა ტენიანი ჭალის ტყეებში.

მდგომაროება. დაბლობებსა და მდინარეთა ნაპირებზე ქმნის კორომებს, რომელთა ფართობი ყოველდღიურად მცირდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. ჭრა; დაბლობისა და ჭალის ტყეების ტერიტორიის ინტენსიური სამეურნეო ათვისება.

არის თუ არა დაცული. დაცულია ლაგოდეხისა და კოლხეთის ნაკრძალში, ალაზნისა (ჭიაურის) და რიონის აღკვეთილში. როგორც დეკორატიული მცენარე, გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი სრული დაცვისათვის საჭიროა გავრცელების არეალში რომელიმე შემონახული კორომი გამოცხადდეს აღკვეთილად. უნდა აიკრძალოს მასობრივი ჭრა და დაწესდეს კონტროლი პოპულაციების მდგომარეობაზე.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1945; კემულარია-ნათაძე, 1947, 1975; კეცხოველი, 1960; Гулисашвили 1961; Прилипко, 1961; Тахтаджян, 1975; „Красная книга“ СССР, 1978.

გარეჯული სალბი

Salvia Garedji Troitzk.

ოჯახი — Labiatae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. პატარა ბუჩქია.

მნიშვნელობა. მეტად დეკორატიული მცენარეა, დიდი მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გარე კახეთი, გარეჯის უდაბნო, დავით გარეჯის მონასტრის ახლოს.

ადგილსამყოფელი. იზრდება ფიქლოვან ფერდობებსა და კლდეებზე, მთის ქვედა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება როგორც ერთეულად, ისე დაჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უსისტემო ძოვება.

არის თუ არა დაცული. გადმორგულია თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტსა და ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილის გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: სოსნოვსკი, 1952; Гроссгейм, 1952.

გზიფის ქონდარი

Satureja bzibica Woronow

ოჯახი — Labiatae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი









საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. იშვიათი რელიქტია; ეთერზეთოვანი დეკორატიული მცენარეა; მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. აფხაზეთი (მდ. ბზიფისა და გეგას ხეობა, მათი შეერთების ადგილი). სპორადულად გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროზე სოჭიდან ანაპამდე.

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან კლდეებსა, ნაზვავებსა და რიყეებზე მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

მდგომარეობა. გვხვდება როგორც ერთეულად, ისე პატარ-პატარა დაჯგუფებების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. კლდეების ნგრევა გზების გაყვანის გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთილის გამოყოფა ბზიფის ხეობაში და კონტროლის დაწესება პოპულაციებზე.

ინფორმაციის წყაროები: კაპელერი, 1952, 1964; Колаковский, 1949.

კეთილშობილი დაფნა
Laurus nobilis L.

ოჯახი — Lauraceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. მარადმწვანე, ლამაზჯვრიანი ხეა.





მნიშვნელობა. რელიქტური სახეობაა, ტექნიკური კულტურაა; როგორც სურნელოვან მცენარეს, იყენებენ სანელებლად.

გავრცელება. ველური სახით გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმერეთის კირქვებზე.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტყეებში.

მდგომარეობა. დაფნის ველურად მოზარდი ეგზემპლარების რიცხვი ძლიერ შემცირებულია, იშვიათად ქმნის სუფთა კორომებს, გვხვდება სხვა სახეობებთან ერთად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (კალმებით).

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა.

არის თუ არა დაცული. საქართველოში უძველესი დროიდანაა კულტივირებული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბუნებრივი კორომები აღკვეთილად უნდა გამოცხადდეს.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1964.

კავკასიის ასტრაგალი, გლერძი
Astragalus caucasicus pall.

ოჯახი — Leguminosae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი, ეკლიანი ბუჩქია.

მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს კავკასიია ქსეროფილური ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში ცნობილია მხოლოდ ქართლსა და ქიზიყში. საქართველოს გარეთ — ამიერკავკასია, ანატოლია.

ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ ქვიან და კლდოვან ფერდობებზე მთის ქვედა სარტყელში შიბლიაკის ტიპის ბუჩქნარში.

მდგომარეობა. გვხვდება სპორადულად მცირე ფართობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ნადგურდება პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.









არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია აღკვეთილის გამოყოფა სახეობის ბუნებრივ ადგილსამყოფელში.

ინფორმაციის წყაროები: სოსნოვსკი, მანდენოვა, 1949, მანდენოვა, 1964.

მტკვრის ასტრაგალი

Astragalus Cyri Fom.

ოჯახი — Leguminosae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში ცნობილია მხოლოდ ქართლიდან (ახალქალაქი, შიომღვიმის მონასტრის მიდამოები) და მესხეთიდან (სოფ. სხვილისსა და ვალეს შორის).

ადგილსამყოფელი. იზრდება თიხნარ ფერდობებზე, მშრალ ქვიან, ზოგჯერ დამლაშებულ ადგილებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ყარიმის გატეხვა; საძოვრების ფართობების შემცირება და გადატვირთვა.

არის თუ არა დაცული. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. შიომღვიმის მონასტრის მოდამოები გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1930; Борисова, 1946; სოსნოვსკი და მანდენოვა, 1949; მანდენოვა, 1964; Манденова, 1975.

შიშკინის ასტრაგალი
Astragalus Schischkinii Grossh.

ო ჯ ა ხ ი — **Leguminosae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. აღწერილია მცხეთის მიდამოებიდან. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე არავის შეუგროვებია.

გავრცელება. ქართლი (მცხეთის მიდამოები, საწკეპელას ქედი); თრიალეთი; მანგლისი, კოჯორი (გროსჰეიმის ცნობით).

ადგილსამყოფელი. იზრდება ქვიან ადგილებზე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უსისტემო ძოვება.

არის თუ არა დაცული. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბუნებრივი ადგილსამყოფელი უნდა გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1930, 1952; Борисова, 1946; სოსნოვსკი და მანდენოვა, 1949; მანდენოვა, 1964.





სომიეს ასტრაგალი
Astragalus Sommieri Freyn

ოჯახი — **Leguminosae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — კრიტიკულ საფრთხეში მყოფი (CE)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი ეკლიანი ბუჩქია.

მნიშვნელობა. ძალზე იშვიათი სახეობაა, აჭარა-ართვინის ენდემია. მნიშვნელობა აქვს კავკასიის ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.





გავრცელება. საქართველოში გვხვდება მხოლოდ აჭარაში (ხულო, ქედა). საქართველოს გარეთ — მცირე აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდოვან და კირქვიან ფერდობებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეული ბუჩქების სახით ან ქმნის პატარა დაჯგუფებებს.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ნადგურდება პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აჭარაში გამოიყოს აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: სოსნოვსკი, მანდენოვა, 1949; მანდენოვა, 1964.

ტანას ასტრაგალი
Astragalus Tannae Sosn.

ოჯახი — Leguminosae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს იშვიათი, ვიწროლოკალური ენდემია. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ ქართლიდანაა ცნობილი (მდ. ტანას მარცხენა ნაპირი, გორას ქედის წვერზე; მცხეთის მიდამოები — დიდგორის მთა).





ადგილსამყოფელი. იზრდება კლდის ნაპრალებში.

მდგომარეობა. გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ცნობილი არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. გავრცელების ერთ პუნქტში შეიქმნას აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: სოსნოვსკი და მანდენოვა, 1949; მანდენოვა, 1964. Манденова, 1975.

მუხუდო
Cicer arietinum L.

ოჯახი — Leguminosae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.





მნიშვნელობა. უძველესი კულტურული მცენარეა, გამოიყენება საქონლის საკვებად, თესლი — ადამიანის საჭმელად.

გავრცელება. 1918 წ. შეაგროვეს გაგრის მიდამოებში. შესაძლებელია შემოტანილი ან გზად მოყოლილია. საქართველოს გარეთ ფართოდაა კულტივირებული ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, წინა აზიაში, ინდოეთსა და ამერიკაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება 1900-2000 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ძველად საქართველოში ფართოდ იყო კულტივირებული, ახლა ძლიერ იშვიათად გვხვდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. აღარ თესავენ.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აუცილებელია აღდგეს მისი კულტურულ მცენარედ გამოყენება.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1948; ტერხაჩატუროვა, 1949, 1964; კეცხოველი, 1957.

ნახევრადეკლიანი ევერსმანია
Ewersmannia subspinosa (Fisch.) B. Fedtsch.

ოჯახი — Leguminosae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი ეკლიანი ბუჩქია.

მნიშვნელობა. საქართველოს ფლორის ერთ-ერთი მეტად იშვიათი სახეობაა. საყურადღებოა, როგორც საქონლის საკვები და დეკორატიული მცენარე; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ შირაქიდანაა (ლეკისწყალი) ცნობილი. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანი (აფშერონი), შუა აზია, ვოლგის ქვემო წელი, ჩრდილო ირანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება თიხაქვიშიან გაშიშვლებულ ფერდობებზე ველებსა და ნახევრად უდაბნოებში.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად ერთული ეგ-





ზემპლარების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (დაფესვიანებით).

შემცირების მიზეზი. ინტენსიური ძოვება, ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. გადმოტანილ იქნეს საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის შირაქის საცდელ ბაზაზე. საჭიროა მისი გავრცელების ადგილი გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები:Гроссгейм, 1952; სახოკია, 1964; Прилипко, 1965.

აფხაზეთის კურდღლისცოცხა
Genista abchasica Sachok.

ოჯახი — **Leguminosae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. პატარა ბუჩქია.

მნიშვნელობა. საქართველოს ვიწროენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისთვის.

გავრცელება. აფხაზეთი (გაგრის რაიონი, მდ. გეგას ხეობა).

ადგილსამყოფელი. იზრდება სამხრეთის კირქვიან ფერდობებსა და ღორღიან ადგილებზე, კლდეებსა და გაჩეხილ ფიჭვნარ ტყეებში, მთის შუა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ადგილსამყოფლის დარღვევა.

არის თუ არა დაცული. არ არის, არც კულტივირებულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთილის გამოყოფა მდინარე გეგას ხეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Сахокиа, 1941; Колаковский, 1948; სახოკია, 1949.





აჭარის კურდღლისცოცხა
Genista adzharica M. Pop.

ოჯახი — **Leguminosae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ბუჩქია, ზოგჯერ 3 მ-მდე სიმაღლისაა.

მნიშვნელობა. საქართველოს ვიწროენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.





გავრცელება. გავრცელებულია აჭარაში — დაბა ქედას მიდამოებში.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდეებზე, მთის შუა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან პატარა-პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უსისტემო ჩეხვა.

არის თუ არა დაცული. არ არის დაცული და არც კულტივირებულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილების გამოყოფა და კონტროლის დაწესება მის პოპულაციებზე.

ინფორმაციის წყაროები: სახოკია, 1949; Дмитриева, 1960.

მლაშობის ჩინგილი

Halimodendron halodendron (Pall.) Voss.

ოჯახი — Leguminosae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. 2-3 მ სიმაღლის ეკლიანი ბუჩქია.

მნიშვნელობა. საქართველოს ფლორის ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა, დეკორატიული მცენარეა, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში დღისათვის მხოლოდ გარე კახეთიდან (თეთრი უდაბნოს ქედი) და გარდაბნის ველიდანაა (ნათლიმცემლის მიდამოები) ცნობილი. საქართველოს გარეთ — სამხრეთი ამიერკავკასია (სომხეთი, ნახჭევანი); დასავლეთი ციმბირი (ირტიში), შუა აზია, მონღოლეთი, ირანი.





ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ ქვიშაქვიან ფერდობებზე, მლაშობ ნიადაგებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ძალიან იშვიათად, ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. ფართობის სამეურნეო ათვისება; ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა; მოსახლეობის მიერ ტოტების დამტვრევა ყვავილობის დროს.

არის თუ არა დაცული. არ არის. როგორც დეკორატიული მცენარე, გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უფრო ფართოდ დაინერგოს ბაღ-პარკებში; საჭიროა თეთრი უდაბნოს ქედზე მისი გავრცელების ადგილი გამოიყოს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: ტერ-ხაჩატუროვა, 1949, 1964; Гроссгейм, 1952; Мулкиджанян, 1965.

ტუხტი, სამკურნალო ტუხტი

Althaea officinalis L.

ოჯახი — Malvaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. მეტად მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარეა.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ ქართლში (თბილისი და გარდაბანი) და კახეთში (მანავი) გვხვდება. საქართველოს გარეთ — ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, კავკასია, წინა და ცენტრალური აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება ტენიან ადგილებში. მდინარის პირას, იშვიათად — ბუჩქნარებში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად პატარა ფართობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.









შემცირების მიზეზი. ძლიერ მცირდება ფარმაკოქიმიაში ფართოდ გამოყენების გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ბუნებაში შემოწმდეს პოპულაციების მდგომარეობა და გამოიყოს ალკვეთილები.

ინფორმაციის წყაროები: შხიანი, 1950, 1964.

ყვითელი დუმფარა
Nuphar luteum (L.) Smith

ოჯახი — Nymphaeaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი წყლის მცენარეა.

მნიშვნელობა. წყალსაცავებსა და ჭაობებში დღემდე შემორჩენილი უძველესი სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. აფხაზეთი (სამურზაყანო, ბებესირის ტბა, ბიჭვინთა, სამეფო ჭა); სამეგრელო (ფოთი-ჭალადიდის ჭაობი, სენაკის რაიონი — სოფ. ეწერთან); იმერეთი; რაჭა (ჭელიაღელე); აჭარა (ქობულეთის ჭაობი). საქართველოს გარეთ — შავი ზღვის სანაპირო; აზერბაიჯანი; სომხეთი; ევროპა; აღმოსავლეთი ციმბირი; შუა აზია; მცირე აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყელში ტბებში, მდორე წყლებსა და ჭაობებში.

მდგომარეობა. მცირე ჯგუფებად გვხვდება წყლის ზედაპირზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჭაობების ამოშრობა.

არის თუ არა დაცული. არ არის. კულტივირებულია, როგორც დეკორატიული მცენარე, აუზების დასამშვენებლად.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა გამოიყოს ალკვეთილები ზეჩამოთვლილ ტბებში და დაწესდეს კონტროლი პოპულაციებზე.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1948, 1973; Колаковский, 1939, 1961.

თეთრი დუმფარა
Nymphaea colchica (Woronow) Kem.-Nath.

ო ჯ ა ხ ი — **Nymphaeaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი წყლის მცენარეა.

მნიშვნელობა. იშვიათი, უძველესი სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. აფხაზეთი (ოჩამჩირისა და ბებესირის ტბებში); სამეგრელო (ფოთთან ახლომდებარე ჭაობებსა და რიონის დელტაში); აჭარა (ქობულეთის ჭაობებში); ქართლი (ბაზალეთის ტბა); საქართველოს გარეთ — შავი ზღვის სანაპირო.

ადგილსამყოფელი. იზრდება ტბებში, ჭაობებსა და მდორე მდინარეთა სანაპიროების მახლობლად.

მდგომარეობა. იზრდება ერთეულებად ან პატარა-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.





შემცირების მიზეზი. ჭაობების ამოშრობა.

არის თუ არა დაცული. არ არის. არც კულტივირებულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია აღკვეთილად გამოიყოს ბებესირის, ბაზალეთის ტბები და ქობულეთის ზოგიერთი ჭაობი.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1948, 1973.

წყავმაზა
Phillyrea Wilmoriniana Boiss. et Bal.

ო ჯ ა ხ ი — **Oleaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ბუჩქი ან პატარა (4 მ-მდე სიმაღლის) ხეა.

მნიშვნელობა. იშვიათი სახეობაა; მესამეული ფლორის რელიქტია; დეკორატიული მცენარეა.

გავრცელება. აჭარა (ჩაქვის მიდამოები, აჭარისწყლის ხეობა). ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლია.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლებში გამეჩხერებული ტყეების მშრალ, ღორღიან და ქვიან ფერდობებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან პატარა-პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ტყეების არაკანონზომიერი ჩეხვა.





არის თუ არა დაცული. დაცულია მხოლოდ აჭარის-წყლის ხეობაში. ზოგან კულტივირებულიცაა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილების გამოყოფა ჩაქვის მიდამოებსა და გურიაში.

ინფორმაციის წყაროები: ქუთათელაძე, 1952; მირზაშვილი, 1948; Дмитриева, 1960.

ქართლის იორდასალამი

Paeonia carthalinica Ketzch.

ო ჯ ა ხ ი — **Paeoniaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ენდემური სახეობაა. ფრიად დეკორატიულია.





გავრცელება. გავრცელებულია ქართლში (ტირძნისი, მუხრანი, მეჯვრისხევი, იგოეთი).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთისწინებსა და მდელოებზე, ჯაგნარებში, ჯაგრცხილნარებში.

მდგომარეობა. ძალიან შემცირებულია.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჯაგეკლიანი ველებისა და მუხნარი ტყის დერივატების ათვისებასთან ერთად ეს მცენარეც ისპობა; ნადგურდება ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. დასაცავად სპეციალური ღონისძიებები შემუშავებული არ არის; კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს შეგროვება თაიგულებისათვის. იგოეთი უნდა გამოცხადდეს აღკვეთილად, სადაც სხვა იორდასალამებიც იქნება დაცული.

ინფორმაციის წყაროები: კეცხოველი, 1935, 1960; კემულარია-ნათაძე, 1964, 1973.

ლაგოდეხის იორდასალამი

Paeonia lagodechiana Kem.-Nath.

ო ჯ ა ხ ი — **Paeoniaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა -არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ კავკასიის იშვიათი რელიქტური ენდემია; დეკორატიული მცენარეა; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. დღეისათვის მხოლოდ შიდა კახეთიდან და დაღესტნიდანაა ცნობილი.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ფართოფოთლოვან ტყეებში და ტყის პირას.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, ერთეულებად ან პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ფესურებით).









შემცირების მიზეზი. ტყის გაჩეხვა; მისი გავრცელების ტერიტორიის სამეურნეო ათვისება; ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. დაცულია ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში. გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი სრული დაცვისათვის საჭიროა დაწესდეს კონტროლი პოპულაციების მდგომარეობაზე; უფრო ფართოდ იქნეს კულტივირებული სასელექციოდ და მეყვავილეობაში.

ინფორმაციის წყაროები: Кемулариа-Натадзе, 1961; კემულარია-ნათაძე, 1964, 1973.

მაიკოს იორდასალამი

Paeonia Majko Ketzch.

ო ჯ ა ხ ი — Paeoniaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ვიწროლოკალური ენდემია. ფრიად დეკორატიულია.

გავრცელება. გვხვდება მხოლოდ ქართლში, სოფ. იგოეთსა და ლამისყანას შორის (კასპის რაიონი).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყელში, მუხნარ-ჯაგრცხილნარი ტყის პირას, ჩრდილო ფერდობებზე.

მდგომარეობა. ძალზე შემცირებულია, გვხვდება მცირერიცხოვან პოპულაციად.

შემცირების მიზეზი. თითქმის გადაშენებულია პოპულაციების სიმცირისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის (ტერიტორიის სამეურნეო ათვისება) გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის. იშვიათად კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. იგოეთთან უნდა გამოიყოს აღკვეთილი, სადაც დაცული იქნება სხვა იორდასალამებიც და ქართული ნუშიც. კატეგორიულად აიკრძალოს მისი შეგროვება.

ინფორმაციის წყაროები: კეცხოველი, 1959; კემულარია-ნათაძე, 1964, 1973.

მლოკოსევიჩის იორდასალამი
Paeonia Mlokosewitschii Lomak.

ო ჯ ა ხ ი — **Paeoniaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ კავკასიის იშვიათი რელიქტური ენდემია. კარგი დეკორატიული მცენარეა; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. დღეისათვის მხოლოდ შიდა კახეთიდან, შირაქიდან (ყაშები) და დაღესტნიდანაა (მდ. ანდისყოისუს სათავეები) ცნობილი.

ადგილსამყოფელი. იზრდება კლდოვან და ქვიან ღია ფერდობებზე, უმთავრესად ტყეში, მთის ზედა სარტყლამდე.





მდგომარეობა. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ფესურით).

შემცირების მიზეზი. ყამირი მიწების ათვისება.

არის თუ არა დაცული. დაცულია ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში. გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში, როგორც დეკორატიული მცენარე. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. დაწესდეს კონტროლი პოპულაციებზე. კულტივირებულ იქნეს სასელექციოდ და მეყვავილეობაში, როგორც კარგი დეკორატიული მცენარე; შირაქში „ყაშები“, სადაც ამ სახეობის პატარა დაჯგუფებაა შემორჩენილი, გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1948, 1964, 1973; Гроссгейм, 1950; კეცხოველი, 1960; Тахтаджян, 1975; „Красная Книга СССР“, 1978.

ვიტმანის იორდასალამი
Paeonia Wittmanniana Hartwiss et Lindl.

ო ჯ ა ხ ი — **Paeoniaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. იშვიათი ენდემური სახეობაა; ფრიად დეკორატიული მცენარეა.

გავრცელება. ცნობილია მხოლოდ აფხაზეთიდან (წებელდა, ბზიფის ხეობა; გაგრის მიდამოები).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა სარტყელში, ტყის (განსაკუთრებით წიფლნარის) პირას, ბუჩქნარში.





მდგომარეობა. ძალზე შემცირებულია, გვხვდება მცირერიცხოვან პოპულაციებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ფესურით).

შემცირების მიზეზი. ნადგურდება ყვავილების მასობრივად შეგროვებისა და ადგილსამყოფლის პირობების დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. აშენებენ ბოტანიკურ ბაღებში, როგორც დეკორატიულ მცენარეს. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბზიფის ნაკრძალის აღდგენა გადაარჩენს ამ სახეობას; სასურველია ფართოდ კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1964, 1973; Тахтаджян, 1978; „Красная Книга СССР“, 1978.

ᲪᲠᲣᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲧᲐᲧᲐᲩᲝ
Papaver pseudo-orientale (Fedde) Medw.

ო ჯ ა ხ ი — **Papaveraceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოში ვიწრო გავრცელების რელიქტური მცენარეა.

გავრცელება. ჯავახეთი (თეთრობის ქედი). საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანი, სომხეთი; აღმოსავლეთი ანატოლია, ჩრდილო ირანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე 2000-2200 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან პატარა-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. კლდეების ნგრევა თეთრობის ქედზე კირის მოპოვებასთან დაკავშირებით.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. თეთრობის ქედის გამოცხადება აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Медведев, 1918; შხიანი, 1949, 1969, 1978.





ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲧᲝᲩᲘᲕᲐᲠᲓᲐ
Cyclamen colchicum (Albov) Albov (-C. ponticum (Albov) Pobed.)

ო ჯ ა ხ ი — **Primulaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი გორგლიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. ფრიად დეკორატიულია; იყენებენ სამკურნალოდ; მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ენდემური ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. დასავლეთ საქართველოს ენდემი. გვხვდება აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში.

ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიან ღორღებზე, კლდეებზე, მთისწინებიდან ალპურ სარტყელამდე, ტყეებში, ალპურ ველებზე, 300 მ-დან 2500 მ-მდე სიმაღლეზე ზღვის დონიდან.









მდგომარეობა. გვხვდება ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. მოსახლეობა დიდი რაოდენობით აგროვებს ყვავილებს თაიგულებად და გორგლებს სამკურნალოდ.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“. კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა სრული დაცვა, შეგროვების აკრძალვა.

ინფორმაციის წყაროები: კაპელერი, 1952; Колаковский, 1961; „Красная Книга СССР“, 1978.

იულიას ფურისულა

Primula Juliae Kusn.

ო ჯ ა ხ ი — **Primulaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დეკორატიული მცენარეა; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის ენდემია. კლასიკური ადგილის (ლაგოდეხი) გარდა გვხვდება დაღესტანში და აზერბაიჯანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება ნაკადულებთან, ტენიან კლდეებზე მთის ზედა, იშვიათად შუა სარტყლის ტყეებში.

მდგომარეობა. გვხვდება ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება ვეგეტაციურად (ფესურის ამონაყრით), თესლით.

შემცირების მიზეზი. აგროვებენ თაიგულებისათვის.

არის თუ არა დაცული. დაცულია ლაგოდეხის ნაკრძალში, კულტივირებულია თბილისის და ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ბუნებრივი გენოფონდის დაცვის მიზნით, საჭიროა დამატებით გამოიყოს მცირე აღკვეთილები; როგორც დეკორატიული მცენარე, უფრო ფართოდ დაინერგოს.

ინფორმაციის წყაროები: კაპელერი, 1952; Федоров, 1952; „Красная Книга СССР“, 1978.

ფურისულა

Primula megaseifolia Boiss. et bal. ex Boiss.

ო ჯ ა ხ ი — **Primulaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აჭარა-ჭანეთის ენდემია, მესამეული ფლორის რელიქტია.

გავრცელება. გვხვდება აჭარაში (ჩაქვი, მტირალა, სარფი). საქართველოს გარეთ — მცირე აზია (პონტოს ქედი, ჭანეთი).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტყეებში, წიფლნარში, სადაც ქვეტყედ პონტური შქერია წარმოდგენილი.

მდგომარეობა. გვხვდება ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ტყეების გაკაფვა, ადგილსამყოფლის დატკეპნა-გაჯაგვა, აგრეთვე ყვავილების შეგროვება თაიგულებად.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მტირალასა და სარფში, სადაც სხვა ენდემური მცენარეებიცაა თავმოყრილი, მოეწყოს აღკვეთილები; გაძლიერდეს ყურადღება ბუნებრივ პოპულაციებზე.

ინფორმაციის წყაროები: კაპელერი, 1952; Федоров, 1952; „Красная Книга СССР“, 1978.





ბროწეული

Punica granatum L.

ო ჯ ა ხ ი — **Punicaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ეკლიანი ბუჩქია.





მნიშვნელობა. რელიქტური სახეობაა; ვიტამინების შემცველი, სამკურნალო, მთრიმლავი, საღებავი და დეკორატიული მცენარეა. ნაყოფი გამოიყენება საჭმელად.

გავრცელება. ველურად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, შირაქ-ელდარში, ალაზნის ველზე, სიღნაღის გორაკებზე, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ვაკის ბუჩქნარებში. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანში, დაღესტანში და წინა აზიაშია გავრცელებული.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყელში, მდინარეთა ხეობებში, მშრალ ფერდობებზე.

მდგომარეობა. გვხვდება მცირე დაჯგუფებების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ფესვის ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. ნადგურდება როგორც სასარგებლო მცენარე, აგრეთვე ტერიტორიის სამეურნეო ათვისების გამო.

არის თუ არა დაცული. უძველესი დროიდან კულტივირებულია საქართველოში, შუა აზიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ აზიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აუცილებელია აღკვეთილების გამოყოფა, განსაკუთრებით — შირაქისა და ელდარის ხმელხევებზე, ალაზნის მოსაბრუნზე, რომელიც სრულ ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს.

ინფორმაციის წყაროები: ტერ-ხაჩატუროვა, 1969; „Красная Книга СССР“, 1978.

წითელი ქვეგლანდისა
Cytinus rubrar (Fourr.) Kom.

ო ჯ ა ხ ი — **Rafflesiaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი მცენარეა, პარაზიტობს ხის ფესვებზე.

მნიშვნელობა. ტროპიკული ოჯახი Rafflesiaceae ჩვენს ფლორაში მხოლოდ ამ სახეობითაა წარმოდგენილი. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გვხვდება მხოლოდ ბიჭვინთაში. საქართველოს გარეთ — ხმელთაშუაზღვეთი, ბალკანეთი, მცირე აზია და კანარის კუნძულები.

ადგილსამყოფელი. იზრდება ფიჭვნარში, პარაზიტობს Cistus tauricus Presl.-ის ფესვებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ხშირად იტკეპნება.

არის თუ არა დაცული. დაცულია ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ნაკრძალის რეჟიმის მკაცრად დაცვა.





ინფორმაციის წყაროები: ტერ-ხაჩატუროვა, 1947; ღვინიანიძე, 1975; Гроссгейм, 1949; Тахтаджян, 1975; „Красная Книга СССР“, 1978.

ქართული ნუში
Amygdalus georgica Desf.

ო ჯ ა ხ ი — **Rosaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) dangered (EN)

სასიცოცხლო ფორმა. ბუჩქია.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. გვხვდება ქართლსა და გარეკახეთში. ქართლში: კასპის რაიონი, აღაიანიდან იგოეთამდე, გრაკალი, ძეგვი; სამგორიდან აღმოსავლეთით მთა ქო-





ჩორას სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე, ბაყალას ხევსა და კოდის წყაროს მიდამოებში, თელეთის ქედი, შავნაბადა, საიდანაც გადმორგულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში; გარეკახეთში: აზამბურიდან 5-6 კმ მოშორებით უდაბნოსაკენ, პაპალას ხევის დასავლეთით.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლებში ხეობათა ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

მდგომარეობა. გვხვდება ჯგუფებად და გაფანტულად, ზოგჯერ პატარ-პატარა რაყას ქმნის.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ამონაყრით).

შემცირების მიზეზი. უდიერად ჩეხვა, ყამირების გატეხვა, ზოგიერთ ადგილას, სადაც ამონაყარი შედარებით უხვადაა, ცოცხებად ჭრიან.

არის თუ არა დაცული. კულტივირებული არ არის. გადმორგულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აუცილებელია მისი სრული დაცვა, როგორც ენდემური და სამეურნეო მნიშვნელობის სახეობისა. საუკეთესო მასალაა კულტურული ჯიშების გამოსაყვანად. სასურველია მისი კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1934, 1949, 1952; კეცხოველი, 1960; Сахокиа, 1965; სოსნოვსკი, 1949.

ყამბრო

Crataegus pontica C. Koch

ო ჯ ა ხ ი — **Rosaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) dangered (EN)

სასიცოცხლო ფორმა. ხეა.

მნიშვნელობა. საქართველოსათვის იშვიათი სახეობაა.

გავრცელება. ფართოდაა გავრცელებული შუა აზიაში, ირანსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში. საქართველოში ყამბრო მეტად იშვიათია. გვხვდება მხოლოდ ქართლში (ატენი) და თბილისში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყელში ქვიან ადგილებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად.





გამრავლება. მრავლდება თესლით. კულტივირებულია.

არის თუ არა დაცული. მის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, დასაშვებია, რომ ყამბრო საქართველოში ძველთაგანვე იყო შემოტანილი. შეიძლება ამჟამადაც შემორჩენილია სადმე ძველ ბაღებში. თითო-ოროლა ეგზემპლარი მოიპოვება ბოტანიკურ ბაღებში, ეკლესიის ეზოებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მისი სრული დაცვის მიზნით აღკვეთილად გამოცხადდეს ის ადგილი, სადაც ეს მცენარე იზრდება; აგრეთვე საჭიროა მისი კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Прилипко, 1965; სოსნოვსკი, 1949; ქუთათელაძე, 1969; მაყაშვილი, 1934.

დიმიტრის ბერყენა
Pyrus Demetrii Kuthath.

ო ჯ ა ხ ი — **Rosaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) dangered (EN)

სასიცოცხლო ფორმა. მაღალი ფართოვარჯიანი ხეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს ვიწროლოკალური ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის. გამოსაყენებელია საძირედაც.

გავრცელება. გარე-კახეთი (სოფ. ხაშმსა და წითლობს შორის, საიდანაც იყო აღწერილი).





ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყელში, ღია გორაკებზე, აგრეთვე სახნავ-სათესში, სადაც იგი საჩრდილობლად არის დატოვებული.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად. ყამირის გატეხვამდე ვაკის ტყის კომპონენტი იყო.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

არის თუ არა დაცული. არ არის, არც კულტივირებულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია მისი გავრცელების ადგილი გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროების: Кутателадзе, 1947; ქუთათელაძე, 1949, 1964; Сахокиа, 1965.

სახოკიას ბერყენა
Pyrus Sachokiana Kuthath.

ო ჯ ა ხ ი — **Rosaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) dangered (EN)

სასიცოცხლო ფორმა.ხე ან ბუჩქია.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს იშვიათი, ვიწროლოკალური, ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის; იყენებენ როგორც საძირეს.

გავრცელება. ქიზიყი (შირაქი, შავი მთა).

ადგილსამყოფელი. არიდული მეჩხერი ტყე, მთის ქვედა სარტყელში.

მდგომარეობა. მხოლოდ ორი კორომია შემორჩენილი.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად, ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. მცირდება გაჩეხვისა და ინტენსიური ძოვების შედეგად.

არის თუ არა დაცული. გავრცელების ადგილზე არაა დაცული, ხუთი ეგზემპლარია გადმორგული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის შირაქის სტაციონარის ტერიტორიაზე.





დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ადგილები, სადაც ეს ბერყენა იზრდება, აუცილებლად უნდა გამოცხადდეს აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: Кутателадзе, 1947; ქუთათელაძე, 1949, 1964; Сахокиа, 1965.

თურანულა, ტურანგი

Populus euphratica Oliv. (-P. transcaucasica A. Jarm.)

ო ჯ ა ხ ი — **Salicaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CE)

მნიშვნელობა. ძალზე იშვიათი სახეობაა.

გავრცელება. საქართველოში გვხვდება მხოლოდ ქიზიყში (პანტიშარა, დათვისხევი). საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანში, სომხეთსა და შუა აზიაში. აგრეთვე მცირე აზიაში, ირანსა და ინდო-მალაიში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყელში მდინარეთა ნაპირების გაყოლებით 700-800 მ-მდე ზღვის დონიდან.





მდგომარეობა. პანტიშარას მარჯვენა შენაკადზე, დათვისხევში, ხევხმელის ორივე ნაპირზე დახლოებით 200 მ სიგრძეზე ვიწრო ზოლად იზრდება სამასამდე ძირი, მხოლოდ მამრობითი ეგზემპლარები.

გამრავლება. მრავლდება ვეგეტაციურად (ფესვის ამონაყრით, კალმით) და თესლითაც.

შემცირების მიზეზი. ხევხმელის დროდადრო ნაპირიდან გადმოსვლა.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. პანტიშარას ახლომახლო მდებარე ტერიტორია აღკვეთილად უნდა გამოცხადდეს ან შეუერთდეს ვაშლოვანის ნაკრძალს.

ინფორმაციის წყაროები: ქებაძე, 1965; შხიანი, 1975; კეცხოველი, 1968.

კოლხური ჯონჯოლი

Staphylea colchica Stev.

ო ჯ ა ხ ი — **Staphyleaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. დაბალტანიანი ხე ან ბუჩქია.





მნიშვნელობა. იშვიათი რელიქტური სახეობაა. საყურადღებოა როგორც დეკორატიული, სამკურნალო, თაფლოვანი და საკვები მცენარე (მისი ყვავილებისგან მზადდება მაღალხარისხოვანი მწნილი). მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. უმთავრესად გვხვდება დასავლეთ საქართველოში, იშვიათად — აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში (ბორჯომის რაიონი — ბანისხევი, ლიხის ქედი). საქართველოს გარეთ — დასავლეთი და აღმოსავლეთი ამიერკავკასია (შავი ზღვის სანაპირო ზოლი), ბალკანეთი, მცირე აზია, (თურქეთი, ტრაპიზონის მიდამოები).

ადგილსამყოფელი. იზრდება კოლხეთის ტიპის გამეჩხერებულ ტყეებში ქვიან ადგილებზე, მეტწილად მდინარეებისა და ღელეების გაყოლებით, სადაც ზოგჯერ ქვეტყეს ქმნის.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად ან პატარ-პატარა კორომების სახით, რომლებიც თანდათან მცირდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. მისი ყვავილების დიდი რაოდენობით (სამწნილედ) შეგროვება ყვავილის გაშლამდე, ტყის გაჩეხვა.

არის თუ არა დაცული. დაცულია სათაფლიის, რიწისა და ბორჯომის (ბანისხევის) ნაკრძალში, გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს ჭრა და ყვავილების მასობრივი შეგროვება. უფრო ფართოდ იქნეს კულტივირებული, როგოც საკვები, დეკორატიული, სამკურნალო და თაფლოვანი მცენარე. დაწესდეს კონტროლი მისი პოპულაციების მდგომარეობაზე.

ინფორმაციის წყაროები: პაპავა, 1950; კეცხოველი, 1960; Махатадзе, 1970; Тахтаджян, 1975; „Красная Книга СССР“, 1978.

ჩვეულებრივი ჯონჯოლი, ფრთისებრფოთოლა ჯონჯოლი

Staphylea pinnata L.

ო ჯ ა ხ ი — Staphyleaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. დაბალი ხე ან ბუჩქია.

მნიშვნელობა. ერთ-ერთი იშვიათი რელიქტური სახე-





ობაა. საყურადღებოა როგორც საკვები (მისი ყვავილებისაგან მზადდება მაღალხარისხოვანი მწნილი), დეკორატიული, სამკურნალო და თაფლოვანი მცენარე; მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. უმთავრესად გვხვდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთების შუა სარტყლისა და ვაკის ტყეებში. საქართველოს გარეთ — დასავლეთი იმიერკავკასია, ევროპა, ხმელთაშუაზღვის მხარე, მცირე აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება ფართოფოთლოვან ტყეებში, ტყის პირას, მეტწილად — მუხნარ რცხილნარებში, ჭალის ტყეებში, ქვიან ადგილებზე, უმთავრესად მდინარეთა გასწვრივ, სადაც ზოგჯერ ქვეტყეს ქმნის.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად მცირე კორომებად ან მარტოულად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. ტყის გაჩეხვა; მისი ყვავილედების დიდი რაოდენობით შეგროვება სამწნილედ, ყვავილის გაშლამდე.

არის თუ არა დაცული. არ არის. გვხვდება ბოტანიკურ ბაღებში, როგორც დეკორატიული მცენარე. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აიკრძალოს და დაწესდეს კონტროლი პოპულაციების მდგომარეობაზე. მისი რომელიმე შედარებით შემონახული კორომი გამოცხადდეს აღკვეთილად. ფართოდ იქნეს კულტივირებული, როგორც საკვები, დეკორატიული, სამკურნალო და თაფლოვანი მცენარე.

ინფორმაციის წყაროები: პაპავა, 1950; კეცხოველი, 1960; Махатадзе, 1970; Тахтаджян, 1975; „Красная Книга СССР“, 1978.

თელადუმა, ელიფსური თელადუმა
Ulmus elliptica C. Koch.

ო ჯ ა ხ ი — Ulmaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მაღალი, 45 მ-მდე ხეა, ცოცხლობს 200-250 წელს.

მნიშვნელობა. ძვირფასი მერქნის მქონე, დეკორატიული მცენარეა. მისი ლაფნისაგან თოკებს ამზადებდნენ.

გავრცელება. გავრცელებულია საქართველოს უმეტეს რაიონებში, საქართველოს გარეთ იზრდება სომხეთში, რუსეთსა და უკრაინაში

ადგილსამყოფელი. იზრდება ერთეულად ფოთლოვან ტყეებში, განსაკუთრებით წიფლნარ ტყეში, ხეობებისა და ხევების გაყოლებით, 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. საქართველოში თითქმის ყველგან სოკოთია დაავადებული.





გამრავლება. მრავლდება თესლით და ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა; იღუპება სოკოვანი დაავადებებისგან.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აუცილებელია სოკოვანი დაავადეების პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ინფორმაციის წყაროები: შხიანი, 1969, 1975; Мулкиджанян, 1961.

ქართული თელა
Ulmus georgica Schchian

ო ჯ ა ხ ი — Ulmaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ხემცენარეა.





მნიშვნელობა. საქართველოს ვიწროლოკალური ენდემია, ძალზე იშვიათი სახეობაა.

გავრცელება. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, შირაქში (არფა-დარას ხეობა; ზილიჩა).

ადგილსამყოფელი. იზრდება მეჩხერ, ნათელ ტყეებში.

მდგომარეობა. არფა-დარას ხევხმელზე ოცდაათამდე ხეა.

გამრავლება. მრავლდება თესლით, ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. შეიძლება განადგურდეს არეალის სიმცირის გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. არფა-დარას ხევხმელი აღკვეთილად უნდა გამოცხადდეს და გაშენდეს ხელოვნური კორომი, თუნდაც ქარსაფარ ზოლში ან ერთ-ერთ ხევხმელში.

ინფორმაციის წყაროები: Шхиан, 1953; შხიანი, 1969, 1975.

თელადუმა, შიშველი თელადუმა

Ulmus glabra Huds.

ო ჯ ა ხ ი — **Ulmaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. მაღალი, 40-45 მ-მდე სიმაღლის ხეა.

მნიშვნელობა. ძვირფასმერქნიანი, ფრიად დეკორატიული მცენარეა, გამოიყენება ქუჩებისა და პარკების გასამშვენებლად.

გავრცელება. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში; საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანში, სომხეთში, ევროპასა და მცირე აზიაში იზრდება.

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა სარტყელში, 1500 მ-მდე ზღვის დონიდან, ფართოფოთლოვან ტყეებში ტენიან ადგილებში, ხევების გაყოლებით.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულად და პატარა ჯგუფებად ტყეებში; თითქმის ყველგან დაავადებულია.





გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა; ნადგურდება სოკოვანი დაავადებებისგან.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღიკვეთოს ჭრა; აუცილებელია სოკოვან დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ინფორმაციის წყაროები: Мулкиджанян, 1961; შხიანი, 1969, 1975.

თელადუმა, პატარა თელადუმა
Ulmus minor Mill.

ო ჯ ა ხ ი — **Ulmaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)





სასიცოცხლო ფორმა. მაღალი, 25 (30) მ-მდე სიმაღლის ხეა. ცოცხლობს 300 წლამდე.

მნიშვნელობა. დეკორატიული მცენარეა. ფართოდ გამოიყენება მინდორსაცავი ზოლების გასაშენებლად და საპარკო მეურნეობაში, აქვს ძვირფასი მერქანი.

გავრცელება. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში; საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანში, სომხეთში, ევროპასა და მცირე აზიაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მუხნარებში, მშრალ ადგილებში, ტყის პირას, აგრეთვე ჭალების ტერასებზე 800 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. თითქმის ყველგან სოკოთია დაავადებული.

გამრავლება. მრავლდება თესლით, ფესვის ამონაყრით.

შემცირების მიზეზი. უკონტროლო ჭრა, სოკოვანი დაავადებები.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აუცილებელია სოკოვან დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ინფორმაციის წყაროები:Мулкиджанян, 1961; შხიანი, 1969, 1975.

თელადუმა, კორპის თელა
Ulmus suberosa Moench

ო ჯ ა ხ ი — **Ulmaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. 15 მ-მდე სიმაღლის ხე, იშვიათად ბუჩქია.





მნიშვნელობა. მთისწინა კალთებისა და ვაკის ტყეების შემადგენელი სახეობაა, დეკორატიული მცენარეა, გამოიყენება მშრალი ადგილების გასამწვანებლად.

გავრცელება. საქართველოში თითქმის ყველა რაიონში გვხვდება, საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანში, სომხეთში, ევროპაში, მცირე აზიასა და ირანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ, ქვიან ადგილებში, ჩვეულებრივ ნათელ ტყეებში, საკმლის ხესთან, ბერყენასთან და სხვებთან, 600-1000 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. თითქმის ყველგან დაავადებულია სოკოთი.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. იღუპება სოკოვანი დაავადებისაგან, მცირდება ადგილსამყოფლის დარღვევის გამო.

არის თუ არა დაცული. არ არის დაცული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აუცილებელი სოკოვან დაავადებათა მკურნალობა და პროფილაქტიკა.

ინფორმაციის წყაროები: Мулкиджанян, 1961; შხიანი, 1969, 1975.

ძელქვა

Zelkova carpinifolia (Pall.) C. Koch

ო ჯ ა ხ ი — Ulmaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)

საქართველოს წითელი ნუსხა — მოწყვლადი (VU)

სასიცოცხლო ფორმა. ლამაზვარჯიანი ხემცენარეა.

მნიშვნელობა. ძვირფასმერქნიანი იშვიათი სახეობაა.

გავრცელება. გავრცელებულია სამეგრელოში (სენაკი), იმერეთში (ყვირილა, აჯამეთი, წყალწითელა, გელათი, რიონი, შორაპანი), გურიასა (საჯავახო) და კახეთში (სოფ. ქვემო ალვანი, ბაბანეური). საქართველოს გარეთ ცნობილია თალიშიდან, ყარაბახიდან, ჩრდილოეთ ირანიდან.





ადგილსამყოფელი. იზრდება მთების შუა სარტყლის, ვაკისა და დაბლობის ტყეებში. ზოგჯერ ადის 1600-1700 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. არეალი და მარაგი მცირდება. ჩვეულებრივ გვხვდება ტყეებში სხვა სახეობებთან ერთად, ან ძალზე იშვიათად ქმნის კორომებს.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (ფესვის ამონაყრით). იზრდება სწრაფად, ცოცხლობს 300 წლამდე.

შემცირების მიზეზი. მცირდება უკონტროლო ჭრისა და ტერიტორიების სამეურნეო მიზნით ათვისების გამო. კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში.

არის თუ არა დაცული. დაცულია აჯამეთის ნაკრძალსა და ბაბანეურში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ჭრა და მისი კორომები აღკვეთილად გამოცხადდეს.

ინფორმაციის წყაროები: Гулисашвили, 1960; შხიანი, 1969, 1975; „Красная Книга СССР“, 1978.

აჭარის ანგელოზა
Angelica Adzharica Pimen.

ო ჯ ა ხ ი — **Umbelliferae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოს იშვიათი, ვიწროლოკალური ენდემია.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ აჭარიდანაა ცნობილი (გოდერძის ზეკარი, დანისფარაულსა და დიდაჭარის საძოვრებს შორის).

ადგილსამყოფელი. იზრდება სუბალპურ მდელოებზე, ქვიან ფერდობებზე, 1900 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. გვხვდება პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. არაა გამორკვეული.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. გამოიყოს აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: Пименов, 1967.





რიშავის ქვაპურა
Bupleurum Rischavii Albov

ო ჯ ა ხ ი — **Umbelliferae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოს იშვიათი ენდემური რელიქტური სახეობაა. მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ აფხაზეთშია გავრცელებული (მთა მამძიშხა, ხეჩიგვარას საძოვრები, ძინას ზეკარი, მდ. ფსოუს ხეობა).





ადგილსამყოფელი. იზრდება კირქვიანი კლდეების ნაპრალებში 1500-2000 (2300) მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, ერთეულებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. გადაჭარბებული ძოვება.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. გამოიყოს აღკვეთილები.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1948; მანდენოვა, 1950, 1964; Линчевский, 1950.

ტილჭირფოთოლა დიყი
Heracleum aconitifolium Woronow

ო ჯ ა ხ ი — Umbelliferae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის იშვიათი, ენდემური სახეობაა, საკვები ბალახია.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ აფხაზეთიდანაა ცნობილი (ანჩხასა და ლაკოროზიტაუს შორის, მთა ფშეგიშხვა, აიბგა, ავადხარა). საქართველოს გარეთ — ჩრდილო-დასავლეთი კავკასია (კავკასიის ნაკრძალი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყის პირას, მდელოებსა და მაღალბალახეულში.





მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. გაურკვეველია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სხვა იშვიათ სახეობებთან ერთად ბზიფის ქედზე შეიქმნას აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1948, 1961; მანდენოვა, 1950, 1964; Манденова, 1951.

სომიეს დიყი
Heracleum Sommieri Manden.

ო ჯ ა ხ ი — Umbelliferae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. შეიძლება კულტივირება.





გავრცელება. საქართველოში მხოლოდ რაჭიდან და სვანეთიდანაა ცნობილი (ლატალი, მესტია, სოფ. ლალგამისა და მულახის მიდამოები; მდ. ენგურის მარჯვენა მხარე, სოფ. ჯუხლანსა და ლაშხარს შორის; რაჭა — სოფ. კვაშხიეთი, ნიკორწმინდის შემოგარენი).

ადგილსამყოფელი. იზრდება სუბალპურ მდელოებზე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. გადაჭარბებული და უსისტემო ძოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სვანეთში შეიქმნას აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: Манденова, 1950; მანდენოვა, 1950, 1964; Гагнидзе и др., 1978.

არაფის ლიგუსტიკუმი
Ligusticum Arafoe Albov

ო ჯ ა ხ ი — Umbelliferae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის იშვიათი ენდემური რელიქტური სახეობაა.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ ჩრდილო აფხაზეთიდანაა (ბზიფის ქედი) ცნობილი. საქართველოს გარეთ — ჩრდილო-დასავლეთი კავკასია.

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში 1600-2100 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, კირქვიანებზე, ტყის პირას, მდელოებსა და მაღალბალახეულში.

მდგომარეობა. გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. აფხაზეთში ამ მცენარის სურნელოვან ფესვურებს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს თამბაქოს არომატიზაციისათვის.





არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ნაწილობრივ დაცულია კავკასიის ნაკრძალში; სასურველია შეიქმნას აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1948; მანდენოვა, 1950, 1964; Шишкин, 1951; Гагнидзе, 1974.

პანიუტინის პოლილოფიუმი
Polylophium Panjutinii Manden. et Schischk.

ო ჯ ა ხ ი — Umbelliferae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.









გავრცელება. საქართველოში გვხვდება: სამეგრელოში (მიგარიის მთა, ასხის მთიანი მასივი, ჯვარის მთა); იმერეთი (ნაქერალას მთა).

ადგილსამყოფელი. იზრდება სუბალპურ სარტყელში კირქვია-ღორღიან, ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე.

მდგომარეობა. გვხდება იშვიათად, ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. არ არის გამორკვეული.

არის თუ არა დაცული. ცნობები არ მოიპოვება.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთილის გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: Шишкин, 1948, 1951; მანდენოვა, 1948, 1964; Колаковский, 1961; Тахтаджян, 1975.

კრიკინა, ტყის ვაზი, უსურვაზი
Vitis silvestris Gmel.

ო ჯ ა ხ ი — **Vitaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მცოცავი ხვიარა ბუჩქია.

მნიშვნელობა. ველური ვაზის ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა, რომლიდანაც კულტივირებული ვაზის მრავალი ჯიშია გამოყვანილი.

გავრცელება. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა ტყიან რაიონში. საქართველოს გარეთ — ევროპა, ხმელთაშუაზღვეთი, მცირე აზია, ირანი, ცენტრალური აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყეებში, უმთავრესად ვაკისა და მდინარისპირა ჭალის ტყეებში, 1400-1500 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. გვხვდება სპორდულად; რიცხობრივად თანდათან მცირდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. დაბლობისა და მდინარისპირა ტერიტორიის სამეურნეო ათვისება; იმ ხეების ჭრა, რომლებზედაც ვაზი ეხვევა; საქონლის ძოვება; ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა; ფილოქსერა.

არის თუ არა დაცული. დაცულია ნაკრძალებსა და აღკვეთილებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ჭა-

ლის ტყეებში ყველგან აიკრძალოს კრიკინას და იმ ხეების ჭრა, რომლებზედაც შემოხვეულია. ალაზნისა და რიონის აღკვეთილებში უნდა შევინარჩუნოთ კრიკინა.

დაცვა და გაფრთხილება სჭირდება აგრეთვე ჩვენი კულტურული ვაზის — Vitis vinifera-ს მრავალ ადგილობრივ ჯიშს.

ამჟამად საქართველოში არსებული ვაზის ხუთასზე მეტი ჯიშიდან 400-ზე მეტი — თითქმის მივიწყებულია. მათ აღარ ამრავლებენ და გადაშენების გზაზეა, თუმცა ყოველი მათგანი, როგორც ძვირფასი გენოფონდის შემცველი, აუცილებლად უნდა იქნეს და ცული.

ამისათვის რეკომენდებულია მცირე საკოლექციო ნაკვეთების შექმნა ადგილწარმოშობის ზონებში. მაგალითად, კახური ჯიშების კოლექცია გაშენდეს ყვარლის, თელავის, გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს ზვრებში. იმერული ჯიშები — ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, თერჯოლის, ვანის, ბაღდათის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ოზურგეთის რაიონების ვენახებში და სხვ.

ინფომარციის წყაროები: Сосновский, 1949; პაპავა, 1950; კეცხოველი, 1960; კეცხოველი, რამიშვილი, ტაბიძე, 1960.



შობერის ნიტრარია
Nitraria Schoberi L.



ო ჯ ა ხ ი — **Nitrariaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — საჭიროებს ზრუნვას (LC)

საქართველოს წითელი ნუსხა — გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN)

სასიცოცხლო ფორმა. 2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია.

მნიშვნელობა. უდაბნოს ფლორის უძველესი რელიქტია.

გავრცელება. ქართლი (აშურიანის ველი; სოფ. ახალქალაქის მიდამოები — ურწყავი სამალები); გარეკახეთი (მდ. ივრის აუზი სოფ. ნორიოსთან); მესხეთი (სოფ. რუსთავსა და ასპინძას შორის, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე). საქართველოს გარეთ — სპორადულად გავრცელებულია კავკასიაში, აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ რაიონებში, ციმბირში (სამხრეთ რაიონები), შუა, ცენტრალურ და წინა აზიაში, ავსტრალიაში.

ადგილსამყოფელი. იზრდება თაბაშირიან სუბსტრატზე მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

მდგომარეობა. ქმნის მეჩხერ დაჯგუფებებს ქართლსა და მესხეთში.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ჩეხვა, ძოვება.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილების გამოყოფა ქართლსა და მესხეთში.

ინფორმაციის წყაროები: ქუთათელაძე, 1950, ხინთიბიძე, 1969.

MONOCOTYLEDONAE

ზღვის შროშანი
Pancratium maritimum L.

ო ჯ ა ხ ი — **Amaryllidaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში; დეკორატიული მცენარე. აქვს მეცნიერული მნიშვნელობა.

გავრცელება. გვხვდება აფხაზეთში, გურიასა და აჭარაში (ბიჭვინთა, გუდაუთა, მდინარეების: მაჭარკის, გუმისთის, ჭოროხის შესართავები; ფოთის, ქობულეთის მიდამოები). საქართველოს გარეთ — ხმელთაშუაზღვეთი.

ადგილსამყოფელი. იზრდება ზღვისპირა დაბლობებზე, ქვიშნარ ნიადაგზე.

მდგომარეობა. გვხვდება მარტოულად და პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება ვეგეტაციურად და თესლით (ყვავილობას იწყებს მე-5, მე-6 წელს).

შემცირების მიზეზი. დიდი რაოდენობით შეგროვება, როგორც სამკურნალო და ლამაზმოყვავილე მცენარისა.

არის თუ არა დაცული. დაცულია ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში; შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ფოთთან აღკვეთილის გამოყოფა, პოპულაციებზე დაკვირვება.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1941; Колаковский, 1938, 1961; „Красная Книга СССР“, 1978.





კავკასიის დიოსკორეა
Dioscorea caucasica Lipsky

ო ჯ ა ხ ი — **Dioscoreaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი





სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. ლოკალური გავრცელების უძველესი კოლხური რელიქტი და დასავლეთ კავკასიის ენდემური სახეობაა.

გავრცელება. აფხაზეთი (სოხუმის მიდამოები, ფსირცხა, ახალი ათონის მონასტრის მიდამოები, სოფ. ბზიფი, მაჭარას და ბზიფის ხეობები).

ადგილსამყოფელი. იზრდება კარბონატულ, ღარიბ ნიადაგებზე ზღვის სანაპიროდან 1600 მ-მდე ქსეროფილურ დაჯგუფებებში, უპირატესად სამხრეთის ფერდობებზე და დასავლეთ და აღმოსავლეთ ფერდობების კარგად განათებულ ადგილებზე, მუხნარ-რცხილნარებში, მუხნარსა და ჯაგრცხილნარში.

მდგომარეობა. გვხვდება ერთეულებად 2-3 ერთად.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ნადგურდება ფესვურების სამეურნეო მიზნით შეგროვების გამო.

არის თუ არა დაცული. დაცული არ არის. კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში, „ლეკრასპრომ“-ის ქობულეთის განყოფილებაში, სარაევოს (იუგოსლავია) ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღკვეთილების გამოყოფა მისი ბუნებრივი გავრცელების ადგილებზე და ფართოდ კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Колаковский, 1938; კემულარია-ნათაძე, 1941; Гицба, 1972; Тахтаджян, 1975.

ოქრობწვერა

Chrysopogon gryllus (L.) Trin.

ო ჯ ა ხ ი — **Gramineae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ფლორის მეტად იშვიათი სახეობაა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში მხოლოდ შირაქიდანაა ცნობილი (კასრისწყალი, ოლევის მთა). საქართველოს გარეთ — იმიერკავკასია, აღმოსავლეთ ამიერკავკასია (აზერბაიჯანი), ყირიმი, შუა ევროპა, ხმელთაშუა ზღვის მხარე, მცირე აზია.





ადგილსამყოფელი. იზრდება მთისწინების მშრალ ბალახოვან ფერდობებზე ვაციწვერიან-ურაიან ველებზე.

მდგომარეობა. გვხვდება ძალიან იშვიათად, პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. მის გამხმარ ფესვებს იყენებენ ჯაგრულების დასამზადებლად, ხოლო მიწისზედა ნაწილს სახურავად და საწნავ მასალად.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა გადმოტანილი იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის შირაქის საცდელ ბაზაზე. მისი გავრცელების ადგილი (კასრისწყალი ან ოლევის მთის მიდამოები) შემოიღობოს და შეუერთდეს საცდელი ბაზის ტერიტორიას.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1939; სახოკია, 1941, 1969.

ისლი
Molinia litoralis Host

ო ჯ ა ხ ი — **Gramineae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. რელიქტური სახეობაა. მეტად საინტერესოა როგორც ეთნობოტანიკის, ისე სამეურნეო თვალსაზრისითაც.

გავრცელება. აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი, აჭარა. საქართველოს გარეთ — იმიერკავკასია (დასავლეთი ნაწილი); შუა ევროპა.

ადგილსამყოფელი. იზრდება დაჭაობებულ და ტენიან ადგილებზე, მდინარეებისა და ტბების სანაპიროებზე მთის ქვედა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება პატარ-პატარა დაჯგუფებების სახით.





გამრავლება. მრავლდება თასლითა და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. ტენიან-ჭაობიანი ადგილების ამოშრობა და მათი ათვისება სუბტროპიკული კულტურებისათვის.

არის თუ არა დაცული. არ არის. უძველესი დროიდან კულტივირებული იყო დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში (გურია), სადაც ფართოდ იყენებდნენ სახურავებად. დღეს ისლს სახურავად აღარ ხმარობენ და ამიტომ აღარ არის კულტურაში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთილების გამოყოფა გურიასა და სამეგრელოში.

ინფორმაციის წყაროები: მაყაშვილი, 1929; Дмитриева, 1960; Колаковский, 1961.

კუპრიანოვის ჭვავი
Secale Kuprijanovii Grossh.

ო ჯ ა ხ ი — **Gramineae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშნველობა. კარგი სასელექციო მასალაა.

გავრცელება. აფხაზეთი; ქართლი (წონა); იმიერკავკასია (ყუბანი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყის პირას და ველობებზე მთის შუა და ზედა სარტყლებში.

მდგომარეობა. გვხვდება მარტოულად ან მცირე დაჯგუფებების სახით.





გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. შეიძლება მოისპოს მიწის სამეურნეო ათვისებასთან დაკავშირებით.

არის თუ არა დაცული. არ არის და არც კულტივირებულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი ადგილსამყოფლის დაცვა და კულტივირება, როგორც საუკეთესო სასელექციო ობიექტისა.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1939; მაყაშვილი, 1941; „Красная Книга СССР“, 1978.

დოლის პური, რბილი ხორბალი
Triticum aestivum L.

ო ჯ ა ხ ი — Gramineae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. რბილი ხორბლის გენეტიკური ჯგუფის უძველესი სახეობაა; გვალვის კარგი ამტანია; საქართველოში ხორბლის უმთავრესი ჯიში იყო.

გავრცელება. გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, ხოლო დასავლეთ საქართველოში — უპირატესად მთის ზოლში (სვანეთი, ლეჩხუმი) ითესებოდა.

ადგილსამყოფელი. გვხვდება 2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ითესება მცირე ფართობებზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. ამჟამად შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აღდგეს ამ სახეობის თესვა კულტურაში, ზემოჩამოთვლილ რაიონებში დოლის პურის ქვესახეობანი 5-10% მაინც უნდა ითესებოდეს.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1957; Декапрелевич, 1957.





დიკა, ქართლის ხორბალი
Triticum carthlicum Nevski

ო ჯ ა ხ ი — Gramineae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. ხორბლის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. საქართველოს ენდემია. საგაზაფხულო ადრემოსავლიანი ხორბალია; მარცვალი ძნელად სცვივა.





სოკოვანი დაავადებების მიმართ მდგრადია. ჯერ კიდევ ახლო წარსულში (1950 წლამდე) საქართველოს მთიან რაიონებში ხორბლებს შორის წამყვანი კულტურა იყო. 1976 წლის გამოკვლევამ ცხადყო, რომ მთაში ეს სახეობა თითქმის განადგურდა.

ადგილსამყოფელი. ითესებოდა 700-2000 მ-მდე ზღვის დონიდან.

მდგომარეობა. ხორბლის ეს სახეობა ითესება მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში (წალკა, ბოგდანოვკა) და არაგვ-ქსნის ხეობაში.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. მთის სოფლებში — ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთში, სამხრეთ ოსეთსა, რაჭაში და ზემო სვანეთში უნდა აღდგეს მისი თესვა.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1967; Декапрелевич, 1957.

ჩაგვერა პური, ნამგალა პური, ქოწდარა პური

Triticum compactum Host

ო ჯ ა ხ ი — Gramineae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. მთის რაიონების ხორბალია.

გავრცელება. ქართლი (მდ. პატარა ლიახვის ხეობა, გვერდის ძირი, სადაც აღრიცხული იყო ნამგალა პურის წმინდა ყანები). შერეული ნათესის სახით იგი ითესებოდა ქარელის, გორის, ხაშურისა და კასპის რაიონებში. ამ სახეობების საგაზაფხულო ჯიში მოჰყავდათ ასევე თეთრიწყაროს რაიონშიც. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანისა და სომხეთის მთიანი რაიონები.

ადგილსამყოფელი. მთიანი ადგილები.

მდგომარეობა. საგრძნობლად შემცირებულია, რადგანაც ამჟამად არ ითესება, ან ითესება მცირე რაოდენობით.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.

არის თუ არა დაცული. გვხვდება მხოლოდ კულტურაში.





დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ამ სახეობის ნათესი ფართობების გადიდება ქართლის მთიან რაიონებში და კონტროლის დაწესება პოპულაციებზე.

ინფორმაციის წყაროები: კეცხოველი, 1957; Декапрелевич, 1957.

ნამდვილი ასლი
Triticum dicoccum Schübl.

ო ჯ ა ხ ი — Gramineae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. საგაზაფხულო ხორბლების ჯგუფს მიეკუთვნება.

მნიშვნელობა. ნეოლითური ხანის კულტურაა. დადასტურებულია უძველესი მიწათმოქმედების ქვეყნების (ბაბილონი, ეგვიპტე, ამიერკავკასია, ბალკანეთი, შვეიცარია) მატერიალური კულტურის ძეგლებით. საინტერესო ობიექტს წარმოადგენს, განსაკუთრებით სინთეზური სელექციისათვის; მდგრადია სოკოვანი დაავადებებისადმი.

გავრცელება. მისი ნათესები იშვიათად გვხვდება ხევსურეთში, ფშავსა და სამხრეთ ოსეთში, სამხრეთ საქართველოში — დმანისის, წალკის, ახალქალაქისა და ასპინძის რაიონებში. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანი.

ადგილსამყოფელი. ითესება 1000-1500 მ-მდე ზღვის დონიდან. სითბოსადმი ნაკლებად მომთხოვნია, კარგად იზრდება ღარიბ, ქვიან ნიადაგებზე.

მდგომარეობა. გვხვდება მხოლოდ კულტურაში.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. გადაშენება ემუქრება, რადგან შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. ნათესების გადიდება.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1957; Декапрелевич, 1957.





თავთუხი, მაგარი ხორბალი
Triticum durum Desf.

ო ჯ ა ხ ი — Gramineae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ეკუთვნის მაგარი ხორბლების საგაზაფხულო ჯგუფს.

მნიშვნელობა. გვალვაგამძლეა; მდგრადია სოკოვანი დაავადებების მიმართ; საუკეთესო სასელექციო მასალას წარმოადგენს.





გავრცელება. ქვემო ქართლი (ბოლნისი, მარნეული); ქართლი (თბილისის მიდამოები); კახეთი (საგარეჯო, გურჯაანი); თრიალეთი (თეთრიწყარო); სამხრეთ ოსეთი და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონი (რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, აჭარა), წინა აზია.

ადგილსამყოფელი. მთის შუა და ქვედა სარტყლები.

მდგომარეობა. ითესებოდა მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღდგეს თავთუხის კულტურა, რისთვისაც განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და კახეთში უნდა ითესებოდეს მცირე ფართობებზე მაინც, რომ შევინარჩუნოთ მისი გენოფონდი.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1957; Декапрелевич, 1957.

გვაწამახა

Triticum macha Dek. et Men.

ო ჯ ა ხ ი — Gramineae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. ხორბლის უძველესი რელიქტური სახეობაა; ძვირფასი გენოფონდის შემცველი ხორბალია, პურს ახასიათებს მაღალი ტექნოლოგიური მაჩვენებლები. ეს ქართული ხორბალი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ითესებოდა ევრაზიის და აფრიკის მიწათმოქმედ ქვეყნებშიც.

გავრცელება. ითესებოდა რაჭა-ლეჩხუმში. ამჟამად აღარ ითესება.

მდგომარეობა. შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ სკოლის ნაკვეთზე.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.





არის თუ რა დაცული. არ არის დაცული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა რაჭისა და ლეჩხუმის რამდენიმე სოფელში ყოველწლიურად დაითესოს 0,5 ჰა.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1957; Декапрелевич, 1957.

გვაწა-ზანდური

Triticum monococcum var. Hornemanii Clem.

ო ჯ ა ხ ი — **Gramineae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. საშემოდგომო ხორბალია.





მნიშვნელობა. ითესებოდა რაჭასა და ლეჩხუმში.

ადგილსამყოფელი. ითესებოდა ჩელტა-ზანდურთან ერთად მთის სოფლებში, ხშირად ნათესებს ერეოდა, როგორც სარეველა.

მდგომარეობა. მისი წმინდა ნათესები აღრიცხული არ ყოფილა, ამჟამად არ ითესება.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სასელექციო ჯიშებით.

არის თუ არა დაცული. არ არის, ცნობილია მხოლოდ კულტურაში და გაველურებული.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი აღდგენა კულტურაში რაჭა-ლეჩხუმის მთის ზოგიერთ სოფელში მაინც.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1958; Декапрелевич, 1957.

ჩელტა-ზანდური

Triticum Timopheevii Zhuk.

ო ჯ ა ხ ი — **Gramineae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს იშვიათი ენდემია. ერთადერთი ხორბალია მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს იშვიათი გამძლეობა ყველა სახის სოკოვანი დაავადების მიმართ. მეტად მნიშვნელოვანი სახეობაა სელექციისათვის.

გავრცელება. ითესებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონსა და დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში — რაჭა-ლეჩხუმში.

ადგილსამყოფელი. 400-800 მ-მდე ზღვის დონიდან და უფრო მაღლაც (რაჭა-ლეჩხუმში).

მდგომარეობა. თითქმის აღარ გვხვდება.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.









არის თუ არა დაცული. არ არის. ადრე გვხვდებოდა მხოლოდ ნათესების სახით.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა ამ სახეობის სრული დაცვა და კონტროლი პოპულაციების მდგომარეობაზე.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1958; Декапрелевич, 1957.

ძველი კოლხური ასლი

Triticum paleo-colchicum Men.

ო ჯ ა ხ ი — **Gramineae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. საშემოდგომო ხორბალია.

მნიშვნელობა. ენეოლითური ხანის ცოცხალი რელიქტია, დღემდე შემორჩენილია კოლხეთში. მის უძველესობას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ენეოლითური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ხორბლის ნიმუშები.

გავრცელება. რაჭა-ლეჩხუმი და მისი მომიჯნავე იმერეთის რაიონები.

ადგილსამყოფელი. სუბტროპიკული მცენარეა, იზრდება მთის ქვედა სარტყელში.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად მახას ნათესებში.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.

არის თუ არა დაცული. ცნობილია მხოლოდ კულტურაში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა მისი ადგილსამყოფლის დაცვა და ნათესების გადიდება.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, 1948; კეცხოველი, 1958; Декапрелевич, 1957.

ჩელტა-ზანდური

Triticum Zhukowskyi Men. et Eritz.

ო ჯ ა ხ ი — **Gramineae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. საქართველოს ენდემია, ძვირფასი გენოფონდის შემცველია. გამძლეა სოკოვანი დაავადებებისადმი.

გავრცელება. ამ საუკუნის 40-იან წლებამდე ზანდურის სხვა სახეობებთან შერეული ითესებოდა რაჭაში და ლეჩხუმში.

ადგილსამყოფელი. მთის ქვედა სარტყელი.

მდგომარეობა. შესაძლებელია მისი უმნიშვნელო ნათესები იყოს შემორჩენილი რაჭა-ლეჩხუმში, მხოლოდ სასკოლო ნაკვეთებზე.





გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. შეცვლილია სხვა სელექციური ჯიშებით.

არის თუ არა დაცული. დაცული არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აღვადგინოთ მისი კულტურა, რისთვისაც რაჭა-ლეჩხუმის სოფლებში უნდა დაითესოს თითო ჰექტარზე მაინც.

ინფორმაციის წყაროები: Менабде, Ерицян, 1960.

ჯავახეთის ხმალა

Gladiolus dzhavakheticus Eristavi

ო ჯ ა ხ ი — **Iridaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ტუბერბოლქვიანი მცენარეა.





მნიშვნელობა. სამხრეთ საქართველოს იშვიათი ვიწროლოკალური ენდემური სახეობაა, დეკორატიულია.

გავრცელება. გვხვდება მხოლოდ ჯავახეთში, ტაბაწყურის ტბის ნაპირზე სოფ. წითელი საყდრის მიდამოებში.

ადგილსამყოფელი. იზრდება სუბალპური სარტყლის მარცვლოვან-ნაირბალახოვან მდელოებზე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. ტეერიტორიის სამეურნეო ათვისება; ძოვება და თიბვა.

არის თუ არა დაცული. გადმორგული იყო ბოტანიკის ინსტიტუტის ცოცხალ მცენარეთა სექტორის ნაკვეთზე.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა შეიქმნას აღკვეთილი და შეტანილი იქნეს კულტურაში, როგორც დეკორატიული მცენარე.

ინფორმაციის წყაროები: Ერისთავი, 1977.

მინდვრის ყვითელი ზამბახი, ვინოგრადოვის ზამბახი
Iridodictyum Winogradowii (Fomin) Rodionenko (-Iris Winogradowii Fomin)

ო ჯ ა ხ ი — **Iridaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დეკორატიულია ლამაზი ყვითელი ყვავილების გამო. გამოიყენება სელექციაში ჰიბრიდული ფორმების მისაღებად.

გავრცელება. საქართველოს ენდემია, გავრცელებულია სპორადულად აფხაზეთში (გაგრის ქედი), ქართლში (ლომის მთა, ბაკურიანი).

ადგილსამყოფელი. იზრდება ალპურ მდელოებზე.

მდგომარეობა. გვხვდება მარტოულად ან ჯგუფებად.





გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. დიდი რაოდენობით შეგროვება.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“. გადმორგული იყო ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. გაგრის ქედზე და ლომის მთაზე საჭიროა აღკვეთილების მოწყობა, აგრეთვე კულტივირება თესლით.

ინფორმაციის წყაროები: Тахтаджян, 1975; „Красная Книга СССР“, 1978.

ქართული ზამბახი
Iris iberica Hoffm.

ო ჯ ა ხ ი — **Iridaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი





სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დეკორატიულია, გამოიყენება სელექციაში; მნიშვნელობა აქვს გვარის ფარგლებში ჰიბრიდიზაციის პროცესების შესწავლისათვის.

გავრცელება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემია. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში (თბილისისა და რუსთავის მიდამოები, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთის კალთები), მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში. საქართველოს ფარგლებს გარეთ გვხვდება აზერბაიჯანში.

ადგილსამყოფელი. იზრდება ველებზე და მთისწინების ქსეროფილურ მცენარეულობაში, ავშანიან ნახევრად უდაბნოში გაზაფხულზე ქმნის ასპექტს.

მდგომარეობა. იზრდება ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. მასობრივად ნადგურდება მოსახლეობის მიერ, ამიტომ დასახლებულ პუნქტებში ბუნებრივი რესურსები მცირდება; ნადგურდება აგრეთვე საქონლის ძოვებით.

არის თუ არა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“. კულტივირებულია თბილისისა და ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა სრული დაცვა, თბილისისა და რუსთავის შემოგარენში საქონლის ძოვების აკრძალვა, შეგროვებაზე ლიცენზიების შემოღება, აღკვეთილების გამოყოფა.

ინფორმაციის წყაროები: კემულარია-ნათაძე, 1941; „Красная Книга СССР“, 1978.

ყირიმის ასფოდელო
Asphodeline taurica (Pall.) Kunth

ო ჯ ა ხ ი — Liliaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.

მნიშვნელობა. რელიქტური მცენარეა, ევქსინური





ელემენტი. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. ჯავახეთი (თეთრობის ქედი); იმიერკავკასია; ამიერკავკასია (დასავლეთი ნაწილი); ყირიმი; ხმელთაშუა ზღვის მხარე; მცირე აზია.

ადგილსამყოფელი. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ქვიან და კლდოვან ადგილებზე, მთის შუა და სუბალპურ სარტყლებში.

მდგომარეობა. Stipa pulcherrima-თან ერთად თეთრობის ქედზე ქმნის დაჯგუფებას.

გამრავლება. მრავლდება თესლით.

შემცირების მიზეზი. თეთრობის ქედის ნგრევა კირის მოპოვების მიზნით.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. სასურველია თეთრობის ქედის გამოცხადება აღკვეთილად.

ინფორმაციის წყაროები: კაპელერი, 1941; შხიანი, 1969.

კავკასიის კაბაჭრელა
Erythronium caucasicum Woronow

ო ჯ ა ხ ი — Liliaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის ენდემია.

გავრცელება. გვხვდება აფხაზეთში (ფსოუს სათავე, აიბგა), იმერეთსა (ქუთაისი, კორბოული) და რაჭაში (ონი, გორის ერთ-ერთი უბანი). საქართველოს ფარგლებს გარეთ — სტავროპოლის მხარეში (ყარაჩაი-ჩერქეზეთში).





ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებში.

მდგომარეობა. იზრდება პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. მოსახლეობა აგროვებს, როგორც სამკურნალო და დეკორატიულ მცენარეს, ხმარობენ აგრეთვე საკვებად.

არის თუ რა დაცული. შეტანილი იყო „საბჭოთა კავშირი წითელ წიგნში“.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს ყვავილებისა და ბოლქვების შეგროვება. გაძლიერდეს ყურადღება პოპულაციებზე და გავრცელების რამდენიმე ადგილზე მოეწყოს აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: მანდენოვა, 1941; Гроссгейм, 1949; Тахтаджян, 1975; „Красная Книга СССР“, 1978.

კავკასიის მთის შროშანი
Lilium caucasicum (Miscz.) Grossh.

ო ჯ ა ხ ი — Liliaceae

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. კავკასიის იშვიათი ენდემური სახეობაა.

გავრცელება. მხოლოდ აფხაზეთშია გავრცელებული (მთა აპიანჩა, სოფ. ზემო კავაკლუკის ახლოს, მთა მზანგვარა, მთა აშურა, არაბიკას მიმართულებით გზაზე). საქართველოს გარეთ — იმიერკავკასია (დასავლეთი ნაწილი).

ადგილსამყოფელი. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე ტყის პირას და ველობებზე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, პატარა ჯგუფებად.









გამრავლება. მრავლდება თესლითა და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. ტერიტორიის სამეურნეო გამოყენება.

არის თუ არა დაცული. ინტროდუქცირებული იყო ბოტანიკის ინსტიტუტისა და ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. შეიქმნას აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1928, 1940; Манденова, 1942; „Красная Книга СССР“, 1978.

ქართული მთის შროშანი

Lilium georgicum Manden.

ო ჯ ა ხ ი — **Liliaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა.

გავრცელება. გავრცელებულია მთიულეთსა (გუდაურის ახლოს, ღუდუშაურის ხეობა, ყანობი, ჯუთა, ყაზბეგი) და თუშ-ფშავ-ხევსურეთში (მაღაროსკარი, ლაღის მთა, ჩარგალი, თიანეთი, ლართუშის მთა).

ადგილსამყოფელი. იზრდება სუბალპურ მდელოებზე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად პატარა ჯგუფების სახით.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. უწესრიგო ძოვება.

არის თუ არა დაცული. ინრტოდუქცირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ყაზბეგის სტაციონარზე და თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთილის მოწყობა და ინტროდუქცია.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1928, 1940; Манденова, 1942; შხიანი, 1969.

ალპანის ყაზახა
Muscari alpanicum Schchian

ო ჯ ა ხ ი — **Liliaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მარავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოს იშვიათი, რელიქტური სახეობაა.

გავრცელება. მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმიდანაა ცნობილი (სოფ. ალპანის მიდამოები, ტვიში. მდ. ლაჯანურის ხეობა, სოფ. ორბელთან).





ადგილსამყოფელი. იზრდება მთის შუა სარტყელში კირქვიანებზე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. მცირდება ტერიტორიის სამეურნეო ათვისების გამო.

არის თუ არა დაცული. გადმორგული იყო თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. აღკვეთილის შექმნა და სახეობის კულტივირება.

ინფორმაციის წყაროები: Шхиан, 1938; Гроссгейм, 1940.

ბიბერშტეინის ტიტა
Tulipa Biebersteiniana Roem. et Schult.

ო ჯ ა ხ ი — **Liliaceae**

სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. დეკორატიულია, მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. დღეისათვის მხოლოდ ქართლიდანაა ცნობილი — თბილისის მიდამოები (თელეთის ქედი) და მცხეთის შემოგარენი (მართაზის ხეობა).

ადგილსამყოფელი. იზრდება ტყის პირას და ბუჩქნარებში, იშვიათად ნათესებშიც, მთის შუა სარტყლამდე.





მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, ერთეულად ან პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლითა და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. ყვავილების მასობრივი შეგროვება. ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. არ არის.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. უნდა აიკრძალოს მისი მასობრივი შეგროვება. კულტივირებულ იქნეს ბარებში, როგორც დეკორატიული მცენარე. თბილისის მიდამოებში (თელეთის ქედზე) გამოიყოს აღკვეთილი.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1940; მანდენოვა, 1961; მაყაშვილი, 1953, 1957.

ეიხლერის ტიტა, წითელი ტიტა
Tulipa Eichlerii Regel

ო ჯ ა ხ ი — **Liliaceae**





სტატუსი

საერთაშორისო წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

საქართველოს წითელი ნუსხა — არ არის შეტანილი

სასიცოცხლო ფორმა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა.

მნიშვნელობა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემური სახეობაა. დეკორატიული მცენარეა. მნიშვნელობა აქვს ფლორის ისტორიის შესწავლისათვის.

გავრცელება. საქართველოში დღეისათვის მხოლოდ მცხეთისა და საგურამოს მიდამოებიდანაა ცნობილი. საქართველოს გარეთ — აზერბაიჯანი.

ადგილსამყოფელი. იზრდება მშრალ კლდოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, იშვიათად ნათესებში, მთის შუა სარტყლამდე.

მდგომარეობა. გვხვდება იშვიათად, ერთეულად ან პატარ-პატარა ჯგუფებად.

გამრავლება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად.

შემცირების მიზეზი. მისი ყვავილების მასობრივი შეგროვება. ადგილსამყოფლის პირობების დარღვევა.

არის თუ არა დაცული. დაცულია საგურამოს ნაკრძალში. ასევე გვხვდება როგორც დეკორატიული მცენარე.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. საჭიროა აიკრძალოს მისი ყვავილების მასობრივი შეგროვება, განსაკუთრებით საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში, რომელსაც მრავალი ტურისტი და ექსკურსანტი ჰყავს. უფრო ფართოდ დაინერგოს კულტურაში.

ინფორმაციის წყაროები: Гроссгейм, 1940; მანდენოვა, 1941; მაყაშვილი, 1953, 1957.

ლიტერატურა

აბაშიძე ი., ბიოტა წითელწყაროს ტყეებში, საქართველოს ბუნება, 10. 1971.

გაგნიძე რ., გვარები Quercus L., Castanea Mill. საქარრთველოს ფლორა, 2, III. თბილისი, 1975.

დოლუხანოვი ა., გვარი Betula L., საქართველოს ფლორა, III. თბილისი, 1975.

დოლუხანოვი ა., მიქელაძე ი., გვარები Anogramma Link, Hymenophyllum Smith, Osmunda L. საქართველოს ფლორა, 2, I. თბილისი, 1971.

დუმბაძე თ., გვარი Globularia L., საქართველოს ფლორა, VII. თბილისი, 1952.

კაპელერი ო., გვარი Asphodeline Reichenb. საქართველოს ფლორა, II. თბილისი, 1941.

კაპელერი ო., ოჯახი Primulaceae; გვარი Satureja L., საქართველოს ფლორა, VII. თბილისი, 1952.

კაპელერი ო., გვარი Satureja L., საქართველოს მცენარეების სარკვევი, I. თბილისი, 1964.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარები Discorea L., Iris L., Paneratium L., საქართველოს ფლორა, II. თბილისი, 1941.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარები Corylus L., Pterocaria Kunth, საქართველოს ფლორა, III. თბილისი, 1947.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარები Nymphaea L., Nuphar L., Paeonia L., საქართველოს ფლორა, IV. თბილისი, 1948.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარი Hypericum L., საქართველოს ფლორა, VI. თბილისი, 1950.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარები Paeonia L., Bongardia C.a.mey. საქართველოს მცენარეების სარკვევი, I. თბილისი, 1964.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარი Hypericum L., საქართველოს მცენარეების სარკვევი, II. თბილისი, 1969.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარები Bongardia C.a.mey. Paeonia L., Nymphaea L., საქართველოს ფლორა, 2, II. თბილისი, 1973.

კემულარია-ნათაძე ლ., გვარები Corylus L., საქართველოს ფლორა, 2, III. თბილისი, 1975.

კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935.

კეცხოველი ნ., კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957.

კეცხოველი ნ., ორი ახალი იოდასალამი საქართველოს ფლორისათვის. მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები, ნაკვ. 21. თბილისი, 1959.

კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი, 1960.

კეცხოველი ნ., თხრათვალა მზის ქვეშ. თბილისი, 1968.

კეცხოველი ნ., საქართველოს კოწახურები. თბილისი, 1970.

კეცხოველი ნ., არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია. თბილისი, 1974.

კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ., საქართველოს ამპელოგრაფია. თბილისი, 1960.

კვარაცხელია გ., ოჯახი Ericaceae, საქართველოს ფლორა, VII. თბილისი, 1952.

ლაჩაშვილი ი., გვარები Biota D.Don, Juniperus L., Pinus L., საქართველოს ფლორა, 2, I. თბილისი, 1971.

ლორთქიფანიძე ა., გვარები Castanea Mill., Quercus L., საქართველოს ფლორა, III. თბილისი, 1947.

მანდენოვა ი., გვარები Erithronium L., Tulipa L., საქართველოს ფლორა, II. თბილისი, 1941.

მანდენოვა ი., გვარი Hedera L., ოჯახი Umbelliferae, საქართველოს ფლორა, VI. თბილისი, 1950.

მანდენოვა ი., გვარი Senacio L., საქართველოს ფლორა, VIII. თბილისი, 1952.

მანდენოვა ი., გვარები Astragalus L., Hedera L., Trapa L., ოჯახი Umbelliferae, საქართველოს მცენარეების სარკვევი, I. თბილისი, 1964.

მანდენოვა ი., გვარი Senecio L., ოჯახი Droseraceae, საქართველოს მცენარეების სარკვევი, II. თბილისი, 1969.

მაყაშვილი ა., მასალები საქართველოს კულტურული მცენარეების შესასწავლად. „საქართ. ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის მოამდე“, VI. თბილისი, 1929.

მაყაშვილი ა., გვარი Secale L., საქართველოს ფლორა, I. თბილისი, 1941.

მაყაშვილი ა., მიხაკის ახალი სახეობა აჭარიდან D. Ketzkhovelii, „საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე“, VIII, 7. თბილისი, 1947.

მაყაშვილი ა., ოჯახი Droseraceae, საქართველოს ფლორა, IV. თბილისი, 1948.

მაყაშვილი ა., თბილისის მიდამოების ფლორა, I. თბილისი, 1952.

მაყაშვილი ა., თბილისის მიდამოების ფლორა, II. თბილისი, 1953.

მაყაშვილი ა., ჩვენი ტყისა და მინდვრის ყვავილები. თბილისი. 1957.

მაყაშვილი ა., ჩვენი ხეები და ბუჩქები. თბილისი, 1960.

მემიაძე ვ., გვარი Hymenoohyllum Sm.-ის გავრცელების შესახებ აჭარაში. მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები. თბილისი, 1967. ნაკვ. 26.

მირზაშვილი ვ., დენდროლოგია, I. თბილისი, 1948.

პაპავა ვ., გვარი Bongardia C.A.Mey,. საქართველოს ფლორა, IV. თბილისი, 1948.

პაპავა ვ., გვარები Vitis L., Staphylea l., საქართველოს ფლორა, VI. თბილისი, 1950.

პაპავა ვ., გვარები Scorzonera l., Alboviodoxa Woronow ex Grossh. საქართველოს ფლორა, VIII. თბილისი, 1952.

სანაძე ქ., გვარი Thelycrania (Dum.) Fourr., საქართველოს ფლორა, VI. თბილისი, 1950.

სახოკია მ., გვარი Chrysopogon Trin., საქართველოს ფლორა, I. თბილისი, 1941.

სახოკია მ., გვარი Genista L., საქართველოს ფლორა, V. თბილისი, 1949.

სახოკია მ., გვარები Ewersmannia Bunge, საქართველოს მცენარეების სარკვევი, I. თბილისი, 1964.

სახოკია მ., გვარი Chrysopogon Trin., საქართველოს მცენარეების სარკვევი, II. თბილისი, 1969.

სოსნოვსკი დ., გვარები Biota D. Don., Juniperus L., საქართველოს ფლორა, I. თბილისი, 1941.

სოსნოვსკი დ., გვარები Amygdalus L., Crataegus L., საქართველოს ფლორა, V. თბილისი, 1949.

სოსნოვსკი დ., გვარები Salvia L., საქართველოს ფლორა, VII. თბილისი, 1952.

სოსნოვსკი დ., მანდენოვა ი., გვარი Astragalus L., საქართველოს ფლორა, V. თბილისი, 1949.

ტერ-ხაჩატუროვა ს., გვარი Cytinus L., საქართველოს ფლორა, III. თბილისი, 1947.

ტერ-ხაჩატუროვა ს., გვარი Corydalis L., საქართველოს ფლორა, III. თბილისი, 1948.

ტერ-ხაჩატუროვა ს., გვარი Halimodendron Fisch., საქართველოს ფლორა, V. თბილისი, 1949.

ტერ-ხაჩატუროვა ს., გვარი Arachne Neck., საქართველოს ფლორა, VI. თბილისი, 1950.

ტერ-ხაჩატუროვა ს., გვარები Arachne Neck., Globularia l., Halimodendron Fisch., საქართველოს მცენარეების სარკვევი, I. თბილისი, 1964.

ტერ-ხაჩატუროვა ს., გვარი Punica l., საქართველოს მცენარეების სარკვევი, II. თბილისი, 1969.

ქებაძე ზ., მესამეული პერიოდის რელიქტის თურანულას (Popupus caucasica A. Jarm.) კორომი ვაშლოვანის ნაკრძალში, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“ XXXVII. 3. 1965.

ქუთათელაძე შ., საქართველოს პანტები და ბერყენები, „საქ. მეცნ. აკად. ბოტ. ინსტ-ტის შრომები“, XI. 1947.

ქუთათელაძე შ., გვარი Pyrus L., საქართველოს ფლორა, V. თბილისი, 1949.

ქუთათელაძე შ., გვარი Nitraria L., VI. თბილისი, 1950.

ქუთათელაძე შ., გვარი Phyllyrea L., საქართველოს ფლორა, VII. თბილისი, 1952.

ქუთათელაძე შ., გვარი Pyrus L., Crataegus L., საქართველოს მცენარეების სარკვევი, I. თბილისი, 1964.

ქუთათელაძე შ., გვარები Podospermum DC., Scorzonera L., Tragopogon L., საქართველოს მცენარეების სარკვევი, II. თბილისი, 1969.

ღვიანიაძე ზ., გვარი Cytinus L., საქართველოს ფლორა, 2, III. თბილისი, 1975.

ღვიანიაძე ზ., გვარები Charesia E. Busch, Dianthus L., Gypsphyla L., საქართველოს ფლორა, 2, IV. თბილისი, 1978.

შხიანი ა., გვარი Papaver L., საქართველოს ფლორა, IV. თბილისი, 1949.

შხიანი ა., გვარი Athaea L., საქართველოს ფლორა, VI. თბილისი, 1950.

შხიანი ა., გვარები Cladochaeta DC., Scabiosa L., საქართველოს ფლორა, VIII. თბილისი, 1952.

შხიანი ა., გვარები Ulmus L., Papaver L., Tulipa L., Aspho deline Reichenb., Zelkova L., საქართველოს მცენარეების სარკვევი, II. თბილისი, 1969.

შხიანი ა., გვარები Populis L., Ulmus L., საქართველოს ფლორა, 2, III. თბილისი, 1975.

შხიანი ა., გვარები Coridalis L., Papaver L., საქართველოს ფლორა, 1, IV. თბილისი, 1978.

ხარაძე ა., გვარი Cerastium L., Dianthus L., საქართველოს ფლორა, III. თბილისი, 1947.

ხარაძე ა., გვარი Campanula l., Symphyandra DC., საქართველოს ფლორა, VIII. თბილისი, 1952.

ხარაძე ა., გვარი Campanula l., Symphyandra DC., საქართველოს მცენარეების სარკვევი, II. თბილისი, 1969.

ხარაძე ა., გვარი Cerastium L., საქართველოს ფლორა, 2, IV. თბილისი, 1978.

ხინთიბიძე ლ., სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ქსეროფილური ფლორის კომპლექსები. „უმაღლეს მცენარეთა ფლორის ანალიზისა და სისტემატიკის სახითხები“. თბილისი. 1969.

Белоусова А. С., Денисоввa Л. В., Ботаничские заказники. В кн.: Примечательные природные ландшафты СССР и их охрана. М. 1967.

Боборов А. Е. Отдел Polipodiophyta. В кн.: Флора европейской части СССР, I. М., 1974.

Берисова А. Г. Род Astragalus L., В кн.: Флора СССР, XII. М.-Л., 1946.

Берисова А. Г. Род Cladochaeta DC. В кн.: Флора СССР, XXV. М.-Л., 1959.

Буш. Н. А., Пояркова А.И., Семейство Ericaceae. В. кн.: Флора СССР, XVIII. М.-Л., 1952.

Басильев А. В., Род Junglas L., В кн.: Дендрофлора Кавказа I. Тбилиси, 1961.

Гагнидзе Р. И., Ботаничского-географический анализ флороценотического комплекса субальпийского высокотравья Кавказа. Тбилиси, 1974.

Гагнидзе Р. И., Зуребиани Б, Г., Мукбаниани М. З., Челидзе Д. Т., Новые и редкие виды флоры Сванети. Зам. Сист. Геогр. Раст. Тбилиси, 1978, вып. 35.

Гвинианидзе З. И. Кавказскиские роды трибы Lychnidaeae Fenzl emednd. A. Br. Сем. Caryophyllaceae. Труды Тбилисского Ботанического института, XXI. 1960

Гвинианидзе З. И. Кавказскиские представители ряда Versicolores рода Dianthus L., Зам. Сист. Геогр. Раст. Тбилиси, 1972, вып. 29.

Гицба Д. К. Распространение Dioscorea caucasica Lipsky и методы ее рацищнальной эксплуатации. Растительной ресурсы, 8,4. 1972.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, I. Баку, 1928.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, II. Баку, 1930.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, IV. Баку, 1934.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, 2, I. Баку, 1939.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа,2, II. Баку, 1940.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, 2, III. М.-Л., 1945.

Гроссгейм А. А., Определитель растений Кавказа. М., 1949.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, 2, IV. М.-Л., 1950.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, 2, V. М.-Л., 1952.

Гроссгейм А. А., Флора Кавказа, 2, VI. М.-Л., 1962.

Гулисашвили В. З., Некаторые представители реликтовой флоры Грузинской ССР и задачи их охраны. „Охрана природы и заповедное дело в СССР“, 4. 1960.

Гулисашвили В. З., Род Castanea Mill. В. кн.: Дендрофлора Кавказа, II, Тбилиси, 1961.

Гулисашвили В. З., Васильев А. В., Род Pinus L. В. кн.: Дендрофлора Кавказа, I, Тбилиси, 1959.

Декапрелевич Л. Л., Пшеницы СССР, М., 1957.

Дмитрева А. А., Определитель растений Аджарии. Тбилиси, 1960.

Дмитрева А. А., Манджавидзе Д. В., Рододендрон Смирнова в Аджарии. „Сообщения АН Груз. ССР“. 30,4. 1963.

Долуханов А. Г., Род Taxus L. В. кн.: Дендрофлора Кавказа, I, Тбилиси, 1959.

Долуханов А. Г., Род Betula L. В. кн.: Дендрофлора Кавказа, II, Тбилиси, 1961.

Кемулария-Натадзе Л. М., Кавказскиские представители рода Paeonia L. “Труды Тбилисского Ботанического института АН ГССР“, XXI. 1961.

Колаковский А. А., Флора Абхазии, I. Сохуми, 1938.

Колаковский А. А., Флора Абхазии, II. Сохуми, 1939.

Колаковский А. А., Флора Абхазии, III. Сохуми, 1948.

Колаковский А. А., Флора Абхазии, IV. Сохуми, 1949.

Колаковский А. А., Растительный мир Колхиды. М., 1961.

Колаковский А. А., Новый декоративный колакольчик с известняков Абхазии. „Бюллетень Главного Ботанического сада“, 1976, вып. 102.

« Красная книга СССР ». М., 1978.

Кутателадзе Ш. И., заметки о некоторых дикорастущих грушах Грузии. „Сообщения АН Груз. ССР“, III, 9. 1942.

Кутателадзе Ш. И., Новые виды груши из Восточной Грузии. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1953, вып. 17.

Кутателадзе Ш. И., Кавказскиские представители рода Tragopogon L., Тбилиси, 1957, Сер. А. вып. 2.

Кутателадзе Ш. И., Кавказскиские представители потрибы Scorzonerinae Dum. Тбилиси, 1978.

Линчевский И. А., Род Bupleurum L., В. кн.: Флора СССР, XVI. М.-Л., 1950.

Линчевский И. А., Род Amphoricapros Vis. . кн.: Флора СССР, XXVII. М.-Л., 1962.

Манденова И. П., Лилин кавказа. “Труды Тбилисского Ботанического института“, VIII. 1942.

Манденова И. П., Кавказскиские виды рода Heracleum L., Монография Сер. А. Тбилиси, 1950.

Манденова И. П., Род Heracleum L., В. кн.: Флора СССР, XVII. М.-Л., 1951.

Манденова И. П., Заметки по таксономии некоторых видов рода astragalus L., Флоры Турции. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1975, вып. 31.

Манджавидзе Д. В., Род Arachne Neck. В. кн.: Дендрофлора Кавказа, V, Тбилиси, 1970.

Матикашвили В. И., Материалы к изучению экологии и ценилогии дубов. Q. imeretina Stev. и Q. Hartwissiana Stev. “Труды Тбилисского Ботанического института“, XII. 1948.

Матикашвили В. И., Род Corylus L., В. кн.: Дендрофлора Кавказа, II, Тбилиси, 1961.

Матикашвили В. И., Махатадзе Л. Б., Род Quercus L. В. кн.: Дендрофлора Кавказа, II, Тбилиси, 1961.

Махатадзе Л. Б., Вид Quercus macranthera Fisch. Et mey. В. кн.: Дендрофлора Кавказа, II, Тбилиси, 1961.

Махатадзе Л. Б., Род Staphylea L., В. кн.: Дендрофлора Кавказа, V, Тбилиси, 1970.

Медведев Я. С., Новый крупнойветный мак Papaver pseudo-orientale -, Известия Кавказского музея“, 1918, XI, 34.

Мемиадзе В. Т., Флора и растительность Кинтришского ущулья. Автореферат канд. Диссертайии. Тбилиси, 1971.

Менабде В. Л., Пшенийы Грузии. Тбилиси, 1948.

Менабде В. Л., Ерицян А. А., К изучению Грузинской пшенийы зандури.- Сообщ. АН Груз. ССР“, 1960, 25, №6.

Мирзашвили В. И., Род Biota D. Don. В. кн.: Дендрофлора Кавказа, I, Тбилиси, 1959.

Мулкиджанян Я. И., Род Halimodendron Fisch. В. кн.: Дендрофлора Кавказа, IV, Тбилиси, 1965.

Пименов М. Г., Новый вид рода Angelica L. из Закавказья – „Бюллетень Московского общества испытателей природы“ (Отд. Биол.) нов. Сер. 1976, 72, 3.

Попов М. Г., Hymenophyllum tunbridgense Sm. – Новый гражданин кавказской флоры. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1940, вып. 9.

Пояркова А. И., Род Crataegus L. В. кн.: Флора СССР, IX. М.-Л., 1939.

Прилипко Л. И., Род Pterocarya Kunth. Дендрофлора Кавказа, II, Тбилиси, 1961.

Прилипко Л. И., Роды Crataegus L., Ewersmannia Bunge. В. кн.: Дендрофлора Кавказа, IV, Тбилиси, 1965.

Сахокиа М. Ф., Род Juniperus L. В. кн.: Дендрофлора Кавказа, I, Тбилиси, 1959.

Сахокиа М. Ф., Новый вид рода Genista L. Из Абхазии. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1941, вып. 10.

Сахокиа М. Ф., Роды Amygdalus L., Pyrus L. В. кн.: Дендрофлора Кавказа, IV, Тбилиси, 1965.

Сосновский Д. И., Эльдарская сосна. „Вестник Тифлисского Ботанического сада“, 1910, вып. 18.

Сосновский Д. И., Реликтовые березы Кавказа. “Труды Тбилисского Ботанического института“, I. 1934.

Сосновский Д. И., К познанию каучуконосных скорцонер Закавказья. Труды Тбилисского Ботанического института“, II. 1937.

Сосновский Д. И., Критические заметки по дубам кавказа. - „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1940, вып. 9.

Сосновский Д. И., Два новых кавказких вида Podospermum DC. – „Доклады АН Азерб. ССР“. IV, 5. 1948.

Сосновский Д. И., Род Vitis L., В. кн.: Флора СССР, XIV. М.-Л., 1949.

Тахтаджян А. Л., (Редактор) „Красная книга – Дикорастущие виды флоры СССР, нуждающиуеся в охране“. Л. 1975.

Федоров А. А., Род Primula. L., В. кн.: Флора СССР, XVIII. М.-Л., 1952.

Харадзе А. Л., Новые и критические виды колокольчиков Кавказа. - „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1947, вып. 13.

Харадзе А. Л., изучению монотипных родов семейства гроздичных. - „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1955, вып. 18.

Харадзе А. Л., Род Campanula L. На Кавказе (конспект) „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1976, вып. 32.

Хинтибидзе Л. С., Новые молоизвестние виды для флоры Кавказа и Грузии. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1970, вып. 28.

Шишкин Б. К., Два новых кавказких вида из сем. „Ботанический журнал“ 33,3. 1948.

Шишкин Б. К., Род Polulophium Boiss. В. кн.: Флора СССР, XVII. М.-Л., 1951.

Шишкин Б. К., Род Senecio L. В. кн.: Флора СССР, XXVI. М.-Л., 1961.

Шхиян А. С., Новый вид р. Muscari из Западной Грузии. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1938, вып. 2.

Шхиян А. С., Систематика и география кавказских видов рода Muscari Mill. „Труды Тбилисского Ботанического института“, X. 1946.

Шхиян А. С., Новый вид рода Ulmus из Восточной Грузии. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1953, вып. 17.

Эристави М. И., Новый вид рода Gladiolus L., из Грузии. „Зам. Сист. Геогр. Раст“. Тбилиси, 1977, вып. 34.

Юзепчук С. В. Сем. Droseraceae. В. кн.: Флора СССР, IX. М.-Л., 1939.



ცოცხალი ბუნების ზოგიერთი ძეგლი



SOME MONUMENTS OF ORGANIC NATURE



რედაქტორ-შემდგენელი — **შოთა ბალანჩივაძე**

Compiler and Editor — **Shota Balanchivadze**

ფოტოსურათების ავტორი — **ალექსანდრე კავკასიძე**

Author of photos — **Aleksandre Kavkasidze**

ს ი ა
ცოცხალი გუნებების ძეგლები, რომელიც შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“

Texaceae Lindl.

Taxus L.

-Baccata L.

Panaceae Lindl.

Abies Hill.

— nordmanniana (Stev.) Spach.

Salicaceae Lindl.

Populus L.

— hybrid M. B.

— nigra L.

Juglandaceae Lindl.

Juglans L.

— regia L.

Betulaceae C. **A**. **Agardh**.

Carpinus L.

-caucasica A. Grossh.

Fagaceae A. **Br**.

Castanea Mill.

— sativa Mill.

Quercus L:

— iberica Stev.

— longipes Stev.

Ulmaceae Mirb.

Zelkowa Spach.

— carpinifolia (pall.) Dipp.

Moraceae Lindl.

Morus L.

-Alba L.

Platanaceae Lindl.

Platanus L.

— orientalis L.

Rutaceae Juss.

C i t r u s L.

— unshiu marc.

— sinensis (L.) Osbeck.

Tiliaceae Juss.

T i l i a L.

— caucasica Rupr.

შენიშვნა: ტექსტში მცენარეები დალაგებულია ენგლერის სისტემის მიხედვით.

ᲣᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ
Taxus baccata L.

ოჯახი Taxaceae — ურთხლისებრნი

1. ადგილობრივი მცხოვრებნი „ხე პატრიარქს“ უწოდებენ. ხნოვანება — 1800 წლამდე, სიმაღლე — 30 მ, მკერდის სიმაღლეზე სისმსხო — 1,6 მ.

ადგილმდებარეობა: ახმეტის რ-ნი, ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი.

2. დასახლებულია კლდიდან მოწყვეტილ ლოდზე (2,5 მ X 2,5 მ X 2,7 მ). ხნოვანება — 200 წლამდე, სიმაღლე — 5,0 მ, სიმსხო ფესვის ყელთან — 37 სმ, ვარჯის პროექცია — 8 მ X6 მ. განტოტვა იწყება ფესვის ყელთან. ნაყოფმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: ბორჯომის რ-ნი, სოფ. დაბა, რკინიგზის ლიანდაგიდან 30 მ დაცილებით, ზღვის დონიდან 950 მეტრ სიმაღლეზე.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲭᲘ
Abies nordmanniana (Stev) Spach.

ოჯახი Pinaecae — ფიჭვისებრნი

გოლიათი ხეა, ხნოვანება 500-600 წლამდე, სიმაღლე — 50 მ, სიმსხო — 3,0 მ, აქვს ლამაზი გარეგნობა, თესლმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: მესტიის რ-ნი, ლახამულა.

ᲭᲐᲚᲘᲡ ᲕᲔᲠᲮᲕᲘ, ᲮᲕᲐᲚᲝ
Populus hybrida M. B.

ო ჯ ა ხ ი Silicaceae — ტირიფისებრნი

ხნოვანება — 150 წლამდე, სიმაღლე 45 მ, სიმსხო — 2,82 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 12,0 მ, ვარჯის პროექცია — 28 მ X 30 მ. თესლმსხმოიარობს. ახოვნების გამო ადგილობრივი მცხოვრებნი „ხეთა მეფეს“ უწოდებენ.

ადგილმდებარეობა: გარდაბნის რ-ნი, გარდაბნის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის დაცული ჭალის ტყის №9 კვარტალი, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე, გზის პირას, ზღვის დონიდან 300 მეტრ სიმაღლეზე.

ᲝᲤᲘ
Populus nigra L.

ო ჯ ა ხ ი Silicaceae — ტირიფისებრნი

ხნოვანება — 200 წლამდე, სიმაღლე — 32 მ, სიმსხო — 2,20 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა 9,0 მ, ვარჯის პროექცია — 18 მ X 18 მ. განტოტვა იწყება 4 მ სიმაღლიდან. აქვს ლამაზი გარეგნობა. თესლმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: ქ. გორი, სუხიშვილის ქუჩა.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲠᲪᲮᲘᲚᲐ
Carpinus caucasica A. Grossh.

ო ჯ ა ხ ი Betulaceae — რცხილისებრნი

ასაკი ძეგლისა, რომელიც „კოხტა რცხილის“ სახელით არის ცნობილი, 260 წლამდეა. სიმაღლე — 26,0 მ, სიმსხო — 1,3 მ, ვარჯის პროექცია — 31 მ X 30 მ, განტოტვა იწყება ფესვის ყელიდან 3 მეტრზე, განტოტვის ადგილას სიმსხო 2 მეტრს აღემატება. აქვს მოხდენილად განლაგებული 16 მთავარი ტოტი. თესლმსხმოიარობს. ლამაზი გარეგნობისაა.



ადგილმდებარეობა: ყვარლის სატყეო მეურნეობის ტერიტორია (ყვარლის რ-ნი), ბურსის ხეობა, მდ. ბურსისპირა ვაკე, სიმაღლე ზღვის დონიდან 700 მ.

ჩვეულებრივი წაბლი
Castanea sativa Mill.

ო ჯ ა ხ ი Fagaceae — წიფლისებრნი

ხნოვანება — 500 წლამდე, სიმაღლე — 15 მ, სიმსხო — 2,95 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 10,8 მ, ვარჯის პროექცია — 34 მ X 35 მ. განტოტვა იწყება 2,5 მეტრიდან. აქვს განიერი, ქოლგასავით გაშლილი ლამაზი ვარჯი. ნაყოფმსხმოიარობს. ჯანსაღია.

ადგილმდებარეობა: ხაშურის რ-ნი, სოფ. ქვიშხეთის რკინიგზის ბაქნიდან 200 მ დაშორებით, ლიანდაგის პირას (ტაშისკარის სკოლა-ინტერნატის ეზო). ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე, იმყოფება მისთვის უჩვეულო ზონაში. გადმოცემით, მის ჩრდილქვეშ ომგადახდილი გიორგი სააკაძეს დაუსვენია.

ქართული მუხა
Quercus iberica Stev.

ო ჯ ა ხ ი Fagaceae — წიფლისებრნი

1. ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ „თევდორე მუხა“-ს, ხნოვანება — 450 წლამდე, სიმაღლე — 30 მ, სიმსხო — 2m, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 10,6 მ, ვარჯის პროექცია — 32 მ X 30 მ. ნაყოფმსხმოიარობს. ძირში აქვს გამჭოლი ფუღურო.

ადგილმდებარეობა: სიღნაღის რ-ნი, სოფ ჯუგაანი, გუმბათის ვენახები.





2. **ხნოვანება** — 900 წლამდე, სიმაღლე — 32 მ, სიმსხო — 2,6 მ, ვარჯის პროექცია — 37 მ X 40 მ. განტოტვა იწყება 1,5 მ-დან. აქვს 6 მსხვილი ტოტი. უხვად თესლმსხმოიარობს 4-5 წელიწადში ერთხელ.

ადგილმდებარეობა: თელავის რ-ნი, თელიანის ვენახებში — წინანდლის პარკის მახლობლად, ზღვის დონიდან 350 მეტრ სიმაღლეზე.

3. **ხნოვანება** — 600 წლამდე, სიმაღლე — 18, 0 მ, სიმსხო — 1,8 მ, ვარჯის პროექცია — 32 მ X 30 მ. ნაყოფმსხმოიარობს. ჯანსაღია.

ადგილმდებარეობა: დუშეთის რ-ნი, სოფ. ოძისი, გიორგი ერისთავის სახლ-მუზეუმის ეზო.

4. **ხნოვანება** — 600 წლამდე, სიმაღლე — 25 მ, სიმსხო — 2,2 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 9,10 მ, ვარჯის პროექცია — 26 მ X 25 მ, განტოტვა იწყება 4 მეტრიდან, აქვს 9 მსხვილი ტოტი (რომელთა სიმსხო 30-50 სმ-ია) და მცირე ფუღურო. ნაყოფმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: ამბროლაურის რ-ნი, ს. ლიხეთი, კანთელაძეების უბანი, ლუბა კანთელაძის ეზო, ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე, გზის პირას.

5. **ხნოვანება** — 700 წლამდე, სიმაღლე 20, 0 მ, სიმსხო — 1,90 მ, აქვს ძლიერი ვარჯი, კარგად გამოიყურება. ნაყოფმსხმოიარობს. გადმოცემით, ძველად ომების დროს იყენებდნენ სათვალთვალო პუნქტად. მისი ვარჯის ქვეშ ხდებოდა სოფლის თავყრილობა.

ადგილმდებარეობა: აფხაზეთი, გუდაუთის რ-ნი, სოფ. ლიხნი.

ჭალის მუხა
Quercus longipes Stev.

ო ჯ ა ხ ი Fagaceae — წიფლისებრნი

1. ადგილობრივი მცოვრებნი „ერასტოს მუხას“ უწო-

დებენ. **ხნოვანება** — 500 წლამდე, სიმაღლე — 40 მ, სიმსხო — 2,2 მ, ვარჯის პროექცია — 32 X 40 მ, შემორჩენილი აქვს ოთხი მთავარი მსხვილი ტოტი, ფუღურო ემჩნევა. სუსტად ნაყოფმსხმოიაროობს, ნაყოფის უმრავლესობა დამწიფებამდე ცვივა.

ადგილმდებარეობა: ქ. საგარეჯო, „სახოხბის ჭალა“, მდ. ივრის პირას.

2. ხნოვანება 550 — 600 წლამდე, სიმაღლე — 14 მ, სიმსხო — 1,62 მ, ვარჯის პროექცია — 25,0 მ X 25,0 მ, განტოტვა იწყება 2,5 მეტრიდან. აქვს კომპაქტური, თანაბრად განვითარებული ლამაზი ვარჯი. საშუალოდ თესლმსხმოიაროობს.

ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი, ზემო ავჭალა, ე. წ. „მუხის ბაღი“, ავჭალის გზატკეცილიდან 0,5 კილომეტრზე.

3. ხნოვანება — 500 წლამდე, სიმაღლე — 30 მ, სიმსხო — 1,5 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 6,5 მ, ვარჯის პროექცია — 25 მ X 25 მ, განტოტვა იწყება 5 მეტრიდან. აქვს ლამაზი გარეგნობა, ჯანსაღია. ნაყოფმსხმოიაროობს.

ადგილმდებარეობა: გორის რ-ნი, სოფ ტყვიავი, „წმინდა გიორგის მუხნარი“. ქ. გორიდან 20 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 750 მეტრ სიმაღლეზე, ტერიტორია შემოღობილია და გამოყენებულია კულტურისა და დასვენების პარკად.

რცხილისებრი ძელქვა
Zelcowa carpinifolia (Pall.) Dipp.

ო ჯ ა ხ ი Ulmaceae — თელისებრნი

1. ხნოვანება — 240 წლამდე, სიმაღლე — 26 მ, სიმსხო — 1,6 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 5,92 მ, ვარჯის პროექცია — 19 მ X 19 მ, სუსტად თესლმსხმოიაროობს. შტამბი გადახრილია სამხრეთით 10-15˚.



ადგილმდებარეობა: ქ. ქუთაისი, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზო, პოეტ მამია გურიელის საფლავთან, ზღვის დონიდან 185 მეტრ სიმაღლეზე.

2. ადგილობრივი მცხოვრებნი „ტყის ბელადს“ უწოდებენ. **ხნოვანება** — 500 წლამდე, სიმაღლე — 31 მ, სიმსხო — 1,0 მ. აქვს მძლავრი, შეკრული ვარჯი.

ადგილმდებარეობა: ახმეტის რ-ნი, ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი.

ჩვეულებრივი თუთა
Morus alba L.

ო ჯ ა ხ ი Moraceae — თუთისებრნი

ხნოვანება — 300 წლამდე, სიმაღლე — 15 მ, სიმსხო — 2,2 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 8, 83 მ. აქვს ფართოდ გაშლილი ვარჯი, წვერხმელია, თესლმსხმოიაროობს.



ადგილმდებარეობა: სენაკის რ-ნი, სოფ. ძველი სენაკი, საკრებულოს შენობის დასავლეთით, სენაკი-მარტვილის გზიდან 0,5 კმ.

აღმოსავლეთის ჭადარი
Platanus orientalis L.

ო ჯ ა ხ ი Platanaceae — ჭადრისებრნი

1. ხნოვანება — 350 წლამდე, სიმაღლე — 18,5 მ, სიმსხო — 2,07 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა 9,12 მ, ვარჯის პროექცია — 17,5 მ X 17, 0 მ, რამდენჯერმე ნამეხარია, რის გამოც მთავარი ღერო ფესვის ყელიდან 9 მეტრს ზემოთ გადატეხილია. ამჟამად მას ცვლის 3 მსხვილი ტოტი. თესლმსხმოიაროობს. ხის შტამბს შემოვ-



ლებული აქვს მიწის პირიდან 0,7 მ სიმაღლის ნატეხი ქვის ყორე.

ადგილმდებარეობა: ქ. ქუთაისი, ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის“ ეზო, მდ. რიონის მარცხენა ნაპირი, სიმაღლე ზღვის დონიდან — 145 მ.

2. ხნოვანება — 750-800 წლამდე, სიმაღლე — 27 მ, სიმსხო — 4,40 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 23,7 მ. ვარჯის პროექცია — 16 მ X 14,5 მ. განტოტვა იწყება 8 მ სიმაღლიდან. აქვს ფუღურო. თესლმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: სენაკის რ-ნი, სოფ. ძველი სენაკი, ყოფილი სასოფლო საბჭოს შენობის გვერდით: სენაკი-მარტვილის გზის პირას.

3. ხნოვანება — 320 წლამდე, სიმაღლე — 40 მ, სიმსხო — 4 მ. აქვს მძლავრად გაშლილი ტოტები და მკვრივი ვარჯი. გადმოცემით, ამ ადგილზე თურქ დამპყრობლებს სიკვდილით დაუსჯიათ ადგილობრივი მცხოვრები, მგზნებარე პატრიოტი ინალიფა, თანამოძმეებს წამებულის პატივსაცემად დასჯის ადგილზე დაურგავთ ეს ხე.

ადგილმდებარეობა: აფხაზეთი, გუდაუთის რ-ნი, სოფ. აჩანდარა.

4. ზემოაღნიშნული ძეგლის მეზობლად დგას ინალიფას ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე ეგზემპლარი, რომელიც სიმაღლით აღწევს 30 მ, ხოლო სიმსხოთი — 3,5 მ.

5. ხნოვანება — 800 წლამდე, სიმაღლე — 35 მ, სიმსხო — 3,7 მ. ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 16,8 მ, ვარჯის პროექცია — 23 მ X 28 მ. აქვს 9 ცალი მეტად მსხვილი პირველადი ტოტი. ხასიათდება კარგი გარეგნობით. ნაყოფმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: ქ. თელავი, ზღვის დონიდან 750 მეტრ სიმაღლეზე.

6. ხნოვანება — 300 წლამდე, სიმაღლე — 35 მ, სიმსხო — 2 მ, ვარჯის პროექცია 28 მ X 26 მ. ჯანსაღად გამოიყურება, თესლმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: დედოფლისწყაროს რ-ნი, არხილოსკალოს თემი, სოფელი ზემო ქედი, ჩინარის მშრალი ხევის 45° დაქანების ფერდობზე „ჭადრის წყაროსთან“.

7. ხნოვანება — 250 წლამდე, სიმაღლე — 35 მ, სიმსხო — 1,2 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 5 მ, ვარჯის პროექცია — 20 მ X 20 მ. განტოტვა იწყება 5 მ-დან. თესლმსხმოიარობს. აქვს კარგი გარეგნობა.

ადგილმდებარეობა: გორის რ-ნი, სოფ. ფლავი, „ეცადაშვილების ნიში“, გარშემო აკრავს ხეხილის ბაღი.

მანდარინი უნშიუ

Citrus unshiu Marc.

ო ჯ ა ხ ი Rutaceae — ტეგანისებრნი





საკმაოდ უნიკალური ეგზემპლარია. ხნოვანება — 65 წელი, სიმაღლე — 7 მ, სიმსხო — 25 სმ. აქვს კომპაქტური, განვითარებული ვარჯი. კარგად ნაყოფმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: აჭარა, ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. გონიო. ქორიძეების საკარმიდამო ეზო.

ფორთოხალი
Citrus sinensis (L) Osbeck.

ო ჯ ა ხ ი Rutaceae — ტეგანისებრნი

ხნოვანება — 120 წლამდე, სიმაღლე — 11 მ, სიმსხო — 35 სმ. აქვს შესანიშნავად განვითარებული ვარჯი. კარგად მსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: აჭარა, ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ გონიო, მუხამედ სარალიძის საკარმიდამო ეზო.

ზემოაღნიშნული ფორთოხლის ბაღში დგას იმავე ხნოვანების მეორე ეგზემპლარი, რომლის სიმაღლე აღწევს 10 მ, სიმსხო — 35 სმ, ხასიათდება კარგი გარეგნობითა და ნაყოფმსხმოიარობით.

კავკასიური ცაცხვი
Tilia caucasica Rupr.

ო ჯ ა ხ ი Tiliaceae — ცაცხვისებრნი

1. ხნოვანება – 150-200 წ. სიმაღლე 35 მ, სიმსხო — 1,68 მ, გარშემოწერილობა ფესვის ყელთან — 12,5 მ, ვარჯის პროექცია — 27, 0 X 27, 0 მ, განტოტვა იწყება 3 მეტრიდან, სადაც სიმსხო 2 მ-ს აღემატება. აქვს თანაბრად, ლაღად განვითარებული 7 მსხვილი ტოტი. არ არის დაზიანებული, ჯანსაღი და მეტად ლამაზი ეგზემპლარია.



ადგილმდებარეობა: ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ორსანტია, ჩხოლარიების ეზო.

2. ხნოვანება — 300 წლამდე, სიმაღლე — 26 მ, სიმსხო — 1,82 მ, ფესვის ყელის გარშემოწერილობა — 13,7 მ, ვარჯის პროექცია — 30 მ X 26 მ, განტოტვა იწყება 2 მ-დან. ყველაზე დიდი ტოტის სიმსხო 0,8 მ უდრის. აქვს გადაშლილი ლამაზი ვარჯი. ყვავილობს მეზობელ ეგზემპლარებზე 15-20 დღით ადრე. კარგად თესლმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: ზესტაფონის რ-ნი, კლდეეთის თემი, სოფ. ალავერდი, იოსებ სიმონის ძე ჩხეიძის ეზო.

3. ხნოვანება — 350 წლამდე, სიმაღლე — 45 მ, სიმსხო — 1,64 მ, ფესვის ყელის გარშემოწირულობა — 12.5 მ. ვარჯის პროექცია 25,3 მ X 27 მ, განტოტვა იწყება 2,6 მ-დან, აქვს ძლიერი განტოტვა და მოხდენილი ვარჯი. ჯანსაღად გამოიყურება. კარგად თესლმსხმოიარობს.

ადგილმდებარეობა: ამბროლაურის რ-ნი, ხოტევის თემი, სოფ. წკადისი, ქრისტინე ლეჟავას საკარმიდამო ეზო, ზღვის დონიდან 900 მეტრ სიმაღლეზე.

ჩვეულებრივი კაკალი
Juglans regia L.

ო ჯ ა ხ ი Juglandaceae — კაკლისებრნი

ხნოვანება — 245 წლამდე, სიმაღლე — 22 მ, სიმსხო — 1,85 მ, ნაყოფსხმოიარობს. ჯანსაღად გამოიყურება.

ადგილდებარეობა: ოჩამჩირის რ-ნი, სოფ. ჯგერდი.

ყველა ზემოაღნიშნული ცოცხლალი ბუნების ძეგლი ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.

არაორგანული ბუნების ზოგიერთი ძეგლი

SOME MONUMENTS OF INORGANIC NATURE

შემდგენლები:

ილია აფხაზავა, ბორის გერგედავა, თეოფანე დავითაია, აბესალომ ვეკუა, დავით თუშაბრამიშვილი, კარლო ლიფონავა, გივი მაისურაძე, ლევან მარუაშვილი (შემდგენელი და რედაქტორი), **გურამ ნადარეიშვილი, სიმონ ნემანიშვილი, ზურაბ ტინტილოზოვი, გიორგი ჩანგაშვილი, არკადი ძიგრაშვილი, რევაზ ხაზარაძე, კობა ხარაძე** (შემდგენელი და პასუხისმგებელი მდივანი), **ჭიჭიკო ჯანელიძე.**

COMPILERS:

Ilia Aphazava, Boris Gergedava, Teophane Davitaia, Abesalom Vekua, Davit Tushabramishvili, Karlo Liponava, Givi Maisuradze, Levan Maruashvili (compiler and editor), **Guram Nadareishvili, Simon Nemanishvili, Zurab Tintilozovi, Giorgi Changashvili, Arkadi Dzigrashvili, Revaz Khazaradze, Koba Kharadze** (compiler and executive secretary), **Chichiko Janelidze**

ნახაზები დაამზადეს: **მერი გაგუამ, ანატოლი კუკუშკინმა.**

Drawings prepared by: **Meri Gagua, Anatoly Kukushkin**

ფოტოსურათების ავტორები:

ილია აფხაზავა, ტარიელ ბერიძე, გივი გიგინეიშვილი, რამინ გობეჯიშვილი, მერაბ გონგაძე, ომარ ერქომაიშვილი, დავით თუშაბრამიშვილი, შოთა ინაშვილი, ალექსანდრე კავკასიძე, თამაზ კიკნაძე, გენადი კობახიძე, კარლო ლიფონავა, გივი მაისურაძე, ლევან მარუაშვილი, მუსეიბ მუსეიბოვი, დავით სიმონიშვილი, ზურაბ ტინტილოზოვი, რევაზ ხაზარაძე, კობა ხარაძე, ვარლამ ჯიშკარიანი.

Authors of photos:

Ilia Apkhazava, Tariel Beridze, Givi Gigineishvili, Ramin Gobejishvili, Merab Gognadze, Omar Erkomaishvili, Davit Tushabramishvili, Shota Inashvili, Alexandre Kvkasidze, Tamaz Kiknadze, Genadi Kobakhidze, Karlo Liponava, Givi Maisuradze, Levan Maruashvili, Museib Museibovi, Davit Simonishvili, Zurab Tintilozovi, Revaz Khazaradze, Koba Kharadze, Varlam Jishkariani.

„საქართველოს წითელი წიგნის“ ეს განყოფილება ეთმობა არაორგანული ბუნების იმ ძეგლებს, რომლებსაც გარკვეული ღირებულება გააჩნიათ ესთეტიკური და სამეცნიერო თვალსაზრისით. ეს ძეგლები ორ ჯგუფად იყოფა:

ა) გელოგიური-გეომორფოლოგიური ძეგლები — განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რელიეფის ფორმები ან ქანთა გაშიშვლებები.

ბ) ჰიდროგრაფიული ობიექტები — ტბები, ჩანჩქერები, ვოკლუზები (დიდდებიტიანი მტკნარი და მინერალური წყაროები).

ძეგლების ნაწილი კომპლექსური ხასიათისაა, ე.ი. თითოეული მათგანი რამდენიმე თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, ასეთებია: ოლიანგი, ტყარშეთი, დაშბაში, ხორხები, ხდე და სხვ. ზოგ შემთხვევაში, ამგვარი კომპლექსური ძეგლები ორი ან რამდენიმე არაორგანული ბუნებრივი ობიექტის შეთანაწყობაა, ზოგში არაორგანული ბუნების ძეგლები შერწყმულია ორგანულ ბუნებასთან, ზოგში კი კულტურის ძეგლებთანაც (კაცხის სვეტი, ხორხები); ან ერთთანაც და მეორესთანაც (ოლიანგი).

სიაში შეტანილ ძეგლთა დიდ უმრავლესობას, სამეცნიერო მნიშვნელობასთან ერთად, ესთეტიკური ღირებულებაც აქვს, მაგრამ ზოგიერთი ობიექტი (მაგალითად, ილმაზლო) უმთავრესად მეცნიერული თვალსაზრისით არის საინტერესო.

წიგნში შეტანილია ბევრი ისეთი ბუნებრივი ობიექტი, რომელთაც მათი სიდიდის ან ძნელმისადგომობის გამო ამჟამად განადგურების ან დაზიანების საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ასეთი საშიშროება შეიძლება წარმოიშვას მომავალში, ქვეყნის სამეურნეო განვითარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენის გამო (გზების გაყვანის დროს, სხვადასხვა ნაგებობის მშენებლობის პროცესში). მათი შეტანა „საქართველოს წითელ წიგნში“ გამართლებულია ძეგლთა პოპულარიზაციისა და მათი კეთილმოსაწყობი ღონისძიებების გათვალისწინების პოზიციებიდან.

წიგნში მოხვედრილი ძეგლები ამჯერად შეადგენს დასაცავი ბუნებრივი ობიექტების მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს. ამგვარი ობიექტების რაოდენობა საქართველოში გაცილებით მეტია, ვიდრე აღნუსხული გვაქვს „წითელ წიგნში“. საქართველოს მიწა-წყალი, მასზე არსებული ბუნებრივი ძეგლების განლაგებისა და თავისუბურებათა თვალსაზრისით, სადღეისოდ სუსტად არის შესწავლილი. ამ ნაკლის გამოსწორება მოითხოვს საფუძვლიან კვლევას, რაც უნდა ახლდეს ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების მიერ მოწყობილ თითოეულ ექსპედიციას. წიგნის მომავალ გამოცემებში, ალბათ შეტანილი იქნება ბევრი სხვა ობიექტიც. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მღვიმეებს, კანიონებს, ჩანჩქერებს, ვოკლუზებს, რომლებიც საქართველოში ასობითაა და მათ შორის ბევრია მნიშვნელოვანი.

არაორგანული ბუნების ძეგლთა დაცვის პასუხიმგებლობა უნდა დაეკისროს, პირველ რიგში, იმ თვითმმართველობებს, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს ესა თუ ის ძეგლი. ამავე დროს ცხადია ისიც, რომ ზრუნვა ბუნების ძეგლთა შენარჩუნებასა და დაცვაზე არ უნდა შემოიფარგლოს „წითელ წიგნში“ შეტანილი ძეგლებით. ამ წიგნის შედგენა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მის გარეშე დარჩენილ ობიექტებს შეიძლება უდიერად მოვეპყროთ. ის ობიექტები, რომლებიც რაიონების საზღვარზე მდებარეობს, ორივე რაიონის საზრუნავი უნდა გახდეს.

წიგნში შესული მთელი რიგი ძეგლები ფართო პოპულარიზაციისა და კეთილმოწყობის ღირსია. ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციონ ტურისტულმა ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა. ძნელი არ არის, მაგალითად, საავტომობილო გზებიდან ძეგლებისაკენ მიმავალი გზების ან ბილიკების, გადასახვევებისა და მიმართულებების აღნიშვნა, თვით ძეგლებზე სათანადო წარწერიანი დაფების მიმაგრება, ზოგიერთი ობიექტის შემოღობვა და ა.შ.

„საქართველოს წითელი წიგნის“ ეს ნაწილი შეადგინეს ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. ამ ამოცანის გადასაჭრელად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ძეგლთა აღწერა-გაზომვისა და ფოტოგრაფირების მიზნით, გაიგზავნა სპეციალური საველე ექსპედიციები, ხსენებულ ინსტიტუტშივე დაიხაზა რუკა ობიექტების ადგილმდებარეობის მისანიშნებლად და სხვა გრაფიკული დანართები; შედგა და ლიტერატურულად გაფორმდა ძეგლთა დახასიათების ტექსტები. მასალა ძეგლების შესახებ მოგვაწოდეს აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტის, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და „საქნავთობის“ წარმომადგენლებმა.

ს ი ა

ახაოჰგანული ბუნების ძეგლებისა, ჰომლებიც შეტანილია "საქართველოს წითელ წიგნში"

გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური ძეგლები

მღვიმეები

აბრსკილის მღვიმე
ახალი ათონის მღვიმე
ახიბოხის „ფანჯარა“
გარახის მღვიმე
თეკენთერის ჭა
თოვლიანი უფსკრული
კორცხელის მღვიმე
კუდაროს მღვიმოვანი
ნაზოდელავოს მღვიმე
სავეკუოს მღვიმე
სათაფლია
სამსრის ქარიანი ხვრელი
სხვავის საყინულე
ურთის მღვიმოვანი
ყალიჩონის მღვიმე
ცუცხვათის მღვიმოვანი
წონის მღვიმე
ხორხები
ჯრუჭულის მღვიმე

გადაადგილებული და მოქანავე ლოდები

გლოლის ლოდები
დურუჯის ლოდი
ზემო ერმანის ლოდი
ლაჰილაჭალის ლოდი
მგლისსარბიელის ლოდი (დათუსელა)
როშკის ლოდები
საკენის ლოდი
ფერხულისქვა
ქუაქანცალია
ჩეგოლის ლოდები
წებელდის ლოდები
ჯონოულის ლოდები

კლდის სვეტები და კოშკები

ბეთლემისბერი
ბოდორნის სვეტი
კაცხის სვეტი
საირმის ეროზიული მოწმე
საირმის მეწყერი
უდაბნოს სვეტი
ქვაკაცა

კანიონები და ხეობები

ახაცხის კლუზი
ოკაცე
დაშბაშის კანიონი
ხდის ხეობა

ვულკანური ფორმები

ბედენის „ბუმბერაზთა ქვაფენილი“
ილმაზლოს ლავური მოწმე
ტყარშეთი
ჩხიკვთის სამება
ღამურა
ხორისარის ლავური ღვარი

ბუნებრივი ხიდები

სემის ბუნებრივი ხიდი

პერიგლაციალური ფორმები

ყელის ზეგნის პერიგლაციალური წარმონაქმნები

ტრავერტინები

ბრითათის ტრავერტინები
თრუსოს ტრავერტინები

ფსევდოკარსტი

ჭერმის კლდეები

კვარცის კრისტალები

სამშვილდის ინტრუზივი

ნამარხი ტყე და ფაუნა

ბენარის ნამარხი ფაუნა
გოდერძის ნამარხი ტყე
იაღლუჯის ნამარხი ფაუნა
ქვაბების ნამარხი ფაუნა

ობსიდიანის საბადო

ჭიქიანის მთა

არეულშრეებრიობა

მეტეხის „არეულშრეებრივი კონგლომერატები“

ტალახის ვულკანები

მეორე ახტალა (ქილაკუპრა)
ფორფოტები

კარული ველები

გელგელუქის კარული ველი

ჰიდროგრაფიული ძეგლები

ტბები

აბანოს მინერალური ტბა
ბატეთის ტბა
ერწოს ტბა
რიწის ტბა
ტაბისყურის ტბა
ყვარაშის (გორაფის) ტბა

ვოკლუზები

მჭიშთის ვოკლუზი
ოლიანგის ვოკლუზი
ქეთერისის მინერალური ვოკლუზი

ჩანჩქერები

აბაშის ჩანჩქერი
გეგის ჩანჩქერი
ერეთოს ჩანჩქერი
ოჩხომურის ჩანჩქერი
ტობის ჩანჩქერები

L I S T
of Monuments of Inorganic Nature entered in the "Red Book of the Georgian"

GEOLOGICAL AND GEOMORPDHOLOGICAL MONUMENTS

Caves

Abrskili Cave
Akhali-Athoni Cave
Akhibokhi "Window"
Garakha Cave
Thekentheri Sinkhole
Snowy Aven
Kortskheli Cave
Kudaro Caves
Nazodelavo Cave
Savekuo Cave
Sathaplia
Samsari Windy Gap
Skhvava Ice Cave
Urtha Caves
Qalichona Cave
Tsutskhvathi Caves
Tsona Cave
Khorkhebi
Jruchula Cave

Shifted and perched blocks

Glola Bolcks
Duruji Block
Zemo-Ermani Block
Lahilachala Block
Mglissarbiela Block
Roshka Blocks
Sakeni Block
Perkhuliskva
Kuakantsalia
Chegola Blocks
Tsebelda Blocks
Jonouli Blocks

Rock colums and towers

Bethlemisberi
Bodorna Column
Katskhi Column
Sairme Farewell Rock
Sairme Landslide
Udabno Column
Kvakatsa

Canyons and gorges

Akhatskha Cluse
Okatse
Dashbashi Canyon
Khde Gorge

Volcanic Forms

Bedeni "Giants" Causeway"
Ilmazlo Lava Farewell Rock
Tqarshethi
Chkhikvthis-Sameba
The Bat
Khorisari Lava Stream

Natural Bridges

Semi Natural Bridge

Periglacial Forms

Periglacial Forms ofQeli Upland

Travertines

Brithatha Travertines
Thruso Travertines

Pseudokarst

Cheremi Rocks

Quartz crystals

Samshvilde Intrusive

Fossil woods and fauna

Barena Fossil Fauna
Goderdzi Fossil Wood
Iagluja Fossil Fauna
Kvabebi Fossil Fauna

Obsidian occurences

Chikiani Mountain

Mingled stratiffications

Metekhi "Konglomerates of Mingled Stratification"

Volcanos

Meore Akhtala (Kilakupra)
Porpotebi

Clints fields

Gelgeluki Clints Field

HYDROGRAPHICAL MONUMENTS

Lakes

Abano mineral lake
Batethi Lake
Ertso Lake
Ritsa Lake
Tabisquri Lake
Qvarashi Lake

Vauclusian Springs

Mchishtha Vauclusian Spring
Oliangi Vauclusian Spring
Ketherisi Mineral Vauclusian Spring

Waterfalls

Abasha Waterfall
Gega Waterfall
Eretho Waterfall
Ochkhomuri Waterfall
Toba Waterfalls

გეოლოგიური-გეომორფოლოგიური ძეგლები
GEOLOGICAL AND GEOMORPHOLOGICAL MONUMENTS

მღვიმეები
Caves

საქართველოში უმთავრესად კარსტული ტიპის მღვიმეებია, რომლებიც კავკასიონის სამხრული ფერდობის პერიფერიაზე და მის მთისწინეთშია გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ფარგლებში. ნაკლები რაოდენობითაა ვულკანური სიღრუეები; მათი განვითარების ძირითადი არე სამხრეთ საქართველოს ზეგანია. გამოკვლეულ მღვიმეთა რაოდენობა 600-ს აღწევს. ახლო მომავალში ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. მათი უმრავლესობა სასურველია გამოცხადდეს სახელმწიფო დაცვის ობიექტებად. ჩვეულებრივ კირქვულ კარსტულ მღვიმეებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში (ოდიშ-აფხაზეთის მთისწინეთში) ფართოდაა გავრცელებული კლასტოკარსტული, ე.ი. ნგრეულ ქანებში გამომუშავებული მღვიმეებიც, რომელთა განვითარების მხრივ საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. სუბჰორიზონტულ მღვიმეებთან ერთად ძალიან ბევრია ე.წ. უფსკრულებიც, რომელთა უშესანიშნავეს ნიმუშად ამჟამად გვევლინება ბზიფის ქედზე გამოკვლეული თოვლიანი უფსკრული.

აბრსკილის მღვიმე
Abrskili Cave

მდებარეობა. აფხაზეთი, ოჩამჩირის რ-ნი, სოფელ ოტაფის მიდამოები, ფანავის ქედის სამხრული მთისწინეთი. 260 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი კარსტული მღვიმეა საქართველოში. გამომუშვებულია ზედაცარცულ კირქვებში.

სუბჰორიზონტული მღვიმე შედგება კლაკნილი, სიღრმეში ოთხად განტოტვილი ტალანისა და მთელი რიგი დარბაზებისაგან. ჯამური სიგრძე 3 კმ. ტალანიც და დარბაზებიც უხვადაა მორთული კალციტის ნაღვენთებით — სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, სვეტებით, ფარდებით, ჰელიქტიტებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი (დიამეტრი 3 მ) სვეტი „ფარდებიან დარბაზში“. აფხაზური თქმულების თანახმად, ამ სვეტზე ჯაჭვით მიაბეს ზღაპრული გმირი აბრსკილი თავისი რაშით. მღვიმეში დიდი რაოდენობითაა თიხა. მიწისქვეშა ნაკადულს, რომელიც მთავარი ტალანის ფსკერზე გაედინება, აფხაზურად „აჩხიტიზგო“ ეწოდება, რაც „ცხენის ნეხვის გამომტანს“ ნიშნავს. მისი ხარჯი წამში 30 ლიტრია, წყლის ტემპერატურაა 12,5˚C. მღვიმურ ნაფენებში ნაპოვნია პალეონტოლოგიური და არქეოლოგიური ნაშთები.





აბრსკილის მღვიმის დათვალიერება წყალში მსვლელობასთანაა დაკავშირებული და ამიტომ იგი ჯერჯერობით ყველასთვის მისაწვდომი არ არის. განზრახულია ახლო მომავალში მღვიმის კეთილმოწყობა, რაც გააადვილებს იქ მოგზაურობას.

მისასვლელი. ქ. ოჩამჩირიდან ს. ოტაფამდე (მოქვზე, ჭლოუზე გავლით) საავტომობილო გზატკეცილია, დადის ავტობუსი. ოტაფიდან მღვიმემდე 1,5 კმ ცხენით ან ფეხით არის სავალი.

ინფორმაციის წყაროები: Сатунин, 1911-1912; Мару-ашвили, 1938; Тинтилозов, 1976.

ახალი ათონის მღვიმე
Akhali Athoni Cave

მდებარეობა. აფხაზეთი, გუდაუთის რ-ნი, დაბა ახალი ათონი, მდ. ფსირცხას ხეობა, კურორტ ახალი ათონის შემოგარენი, 40-110 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. მღვიმე გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრიან ნაპრალოვან კირქვებში და მიეკუთვნება კომბინირებულ კარსტულ სიღრუეთა ტიპს. ჯამური სიგრძე — 3285 მ. მოცულობის მიხედვით (>1,5 მლნ კუბ.მეტრი) მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მღვიმეა. ვერტიკალური შახტის სიღრმე, რომლითაც მკვლევარები თავდაპირველად მოხვდნენ ახალი ათონის მღვიმეში, უდრის 183 მ.



მღვიმე შედგება უზარმაზარი დარბაზებისგან (ქართველ სპელეოლოგთა, აფხაზეთის, თიხოვანი, მოსკოვის, სოხუმის, ივერიის, თბილისის, ჰელიქტიტების დარბაზები). არის პატარა სიფონური ტბები, თიხის ნაგროვები და ფრიად უხვი კალციტური ნაღვენთების ნაირნაირი ფორმები.

მღვიმე კეთილმოწყობილია. შიგ შედიან ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით. მოწყობილია ფეხით სასიარულო ესტაკადები, აივნები, ელექტროგანათება. საბჭოთა პერიოდში, დამთვალიერებელთა რიცხვის მიხედვით (მილიონამდე ადამიანი წელიწადში), ახალი ათონის მღვიმე პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში.

მისასვლელი. მღვიმის შესასვლელი უშუალოდ კურორტ ახალ ათონშია.

ინფორმაციის წყაროები: ტინტილოზოვი, 1975; Тинтилозов, 1976; Дублянский и др. 1977.

ახიბოხის „ფანჯარა“
Akhibokhi „Window“

მდებარეობა. აფხაზეთი, გუდაუთის და სოხუმის რ-ნების საზღვარი, აჭანდარისა და ფსხუს მიდამოები, ბზიფის ქედის შუა ნაწილის თხემზე მდ. ააფსთის სათავესთან, 2400 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. კირქვული კლდოვანი მასივი ახიბოხი (2515 მ ზღვის დონიდან), რომელსაც ადგილობრივი რუსი მოსახლეობა, მისი მოყვანილოს გამო, „თურქულ ქუდს“ უწოდებს, შესანიშნავია როგორც იშვიათი „სარკმლიანი მთების“ ტიპური წარმომადგენელი. მისი აფხაზური სახელწოდება „ახიბოხ“ მთავრის მთას ნიშნავს და მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ მწვერვალის ირგვლივ მდებარე საზაფხულო საძოვრები აფხაზთა ძველი მთავრების — შერვაშიძეების საკუთრებად ითვლებოდა. მთა აგებულია ქვედაცარცული მასივი კირქვებით.

მდ. ააფსთის (ბაკლანოვკის) ხეობიდან შორიდანვე მოჩანს ახიბოხის „ფანჯარა“ — კირქვის კლდეებში გახსნილი გამჭოლი ბუნებრივი გვირაბი ლურჯი ცის ნაგლეჯით (ღამით მასში ვარსკვლავების დანახვაც შეიძლება). ეს „ფანჯარა“ წარმოადგენს ნეოგენში გაჩენილი კარსტული მღვიმის ფრაგმენტს (ზღვის დონიდან 2400 მ სიმაღლეზე). „ფანჯრიდან“ იშლება ვრცელი სანახაობა: ერთ მხარეს — აფხაზეთის სანაპირო, შავი ზღვა, ტრაპიზონის თავზე ამართული ნაწილი პონტოს ქედისა და მეორე მხარეს — აფხაზეთის კავკასიონის მწვერვალები. მსოფლიოში „სარკმლიანი მთები“ ცნობილია არგენტინაში (სიერა დე ლა ვენტანა) და ნორვეგიის ნაპირთან (კუნძ. ტორგჰატენი).

მისასვლელი. ამჟამად ახიბოხის „ფანჯარა“ საკმაოდ ძნელი მისადგომია როგორც სამხრეთიდან (გუდაუთიდან), ასევე ჩრდილოეთიდანაც (ს. ფსხუდან). საჭიროა ცხენით მგზავრობა 2-3 დღის განმავლობაში და შემდეგ კირქვულ კლდეებზე ხოხვა.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1970.



გარახის მღვიმე
Garakha Cave

მდებარეობა. ჩხოროწყუს რ-ნი, სოფელი ახუთი, ოჩხომურის შენაკადის — ბუმეს ხეობა, ს. გარახის ტერიტორია. აბს. სიმაღლე — 250 მ. შეფარდებითი სიმაღლე — 4 მ.

დახასიათება. ყველაზე უფრო კლასტოკარსტული მღვიმეა კავკასიაში. სიგრძე 320 მ. იხსნება ფლატეებში დარბაზის სახით. დარბაზს აქვს 20 მ სიგრძე, 15 მ სიგანე, 7 მ სიმაღლე. დარბაზის ფსკერს კვეთს ანკარა ნაკადული, რომელიც ტალანიდან გამოდის. ტალანში შესული ადამიანი თავს თითქოს მეტროპოლიტენის სადგურში გრძნობს. ვრცელი დერეფნის (სიმაღლე 10 მ) ძველ ფსკერში ჩაჭრილია ეროზიული კანიონი, მის კიდეებს ბრტყელი ტერასები გასდევს. კანიონი მეტროს მატარებლის სამოძრაო „თხრილს“ შეიძლება შევადაროთ, ტერასები კი მგზავრთა სადგომ ბაქნებს.

ტალანის კლდეებში ნეოგენური კონგლომერატისა და ქვიშაქვის შრეები ზოგან დანაოჭებულია და ქმნის მორიგეობით მიკროანტიკლინებსა და მიკროსინკლინებს. სხვაგან კლდეებიდან ლავგარდანებია გამოშვერილი, ან ფსკერზე, ჩამონგრევის შედეგად, კონგლომერატის დიდი ლოდებია დახვავებული.

მთავარი ტალანის გვერდით განშტოებაში, სადაც მხოლოდ ხოხვით შეიძლება შესვლა, არის კალციტის საკმაოდ უხვი ნაღვენთებით მორთული დარბაზი.

მისასვლელი. მღვიმესთან მისვლა შეიძლება დაბა ჩხოროწყუდან ბილიკით (მანძლი 5 კმ).

ინფორმაციის წყაროები: დევდარიანი, 1950-1951; მარუაშვილი, 1963; გერგედავა, 1964,1968; Маруашвили, 1947.

თეკენთერის ჭა
Thekentheri Sinkhole

მდებარეობა. ცაგერის რ-ნი, ხვამლის კირქვული მასივი. ზღვის დონიდან 1400 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. მსოფლიო მასშტაბით უნიკალური ძეგლი — 18 მ სიღრმის მქონე კარსტული სიღრუე, რომლის შესასვლელს წარმოადგენს დიდი წიფლის ფუღურო. ჭა წიფლის ღეროს გაგრძელებაა ქვემოთკენ და წიფლის ფესვები ჭის კედლებშია გადგმული. ჭის შესასვლელი მდებარეობს ხვამლის სამხრულ (ქვედაცარცულ) კუესტაზე. მღვიმე გამომუშავებულია ურგონულ კირქვებში.

ჭის ფსკერზე გამდინარე ცივ ანკარა წყალს ადგი-

ლობრივი მოსახლეობა (ხის მჭრელები, მწყემსები) იყენებს სასმელად. მასში ჩარჩენილი ძველი თუნგები და სათლები მოწმობს, რომ ჭით დიდი ხანია სარგებლობენ. ჭის ფსკერზე მყოფ ადამიანს მისი სუბჰორიზონტალური გაგრძელებიდან (ტალანიდან) ჩანჩქერის გრიალი ესმის. წყლის სიღრმე ჭაში 2 მეტრამდეა.

თეკენთერის ფენომენის წარმოშობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: თავდაპირველად აქ უნდა ყოფილიყო ე.წ. „ორღანის მილი“ — ზედა ბოლოში დახშული ვერტიკალური სიღრუე, რომლის თავზე წიფელი ამოვიდა. ხის ფესვებმა ჩაანგრია სიღრუის თხელი თაღი. ჰაერში დაკიდულმა ფესვებმა კი შეწყვიტა ზრდა და დროთა განმავლობაში დაიშალა. წიფლის ქვედა ნაწილის შუაგულში, სადაც შეწყდა ნიადაგური საზრდოს მიწოდება, გაჩნდა ფუღურო, რომელიც შეუერთდა ჭას.

მისასვლელი. თეკენთერის ჭასთან მისვლა შეიძლება ლეჩხუმის სოფ. ნაკურალეშიდან (მანძილი 4 კმ) ცხენით და ფეხით. დასახლებულ სოფლამდე მიდის საავტომობილო გზატკეცილი ს. ალპანიდან.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1970.

თოვლიანი უფსკრული
Snowy Aven

მდებარეობა. აფხაზეთი, გუდაუთის რ-ნი, სოფელი დურიფში, ბზიფის ქედის თხემი, მ. ძიშრას მიდამოები. ზღვის დონიდან 1950 მ.

დახასიათება. მღვიმის ჩასასვლელი ბზიფის ქედის დასავლური (კირქვული) ნაწილის უტყეო ზონაშია. სიღრუე გამომუშავებული ზედაიურულ მასივსა და ბრექჩიულ, ძლიერ დანაპრალებულ კირქვებში. დაღმავალი მღვიმეა, რომელშიც ერთმანეთს მორიგეობით ცვლის ჭები, შახტები, დამრეცფსკერიანი ტალნები და დარბაზები.

ჩასასვლელიდან 360 მეტრზე იხსნება უფსკრულის უმაღლესი ვერტიკალური საფეხური (160 მ). აქვე ჩნდება მიწისქვეშა ნაკადი, რომელიც სიღრმესთან ერთად თანდათანობით იზრდება. უფსკრულის ზედა ნაწილში დიდი რაოდენობითაა დაგროვილი თოვლ-ყინული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა 200 მ სიღრმეში მდებარე „დიდი დარბაზი“. უფსკრული მდიდარია კალციტის ნაღვენთებითა და ნგრეული მასალითაც.

თოვლიანი უფსკრული ითვლებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ულრმეს კარსტულ სიღრუედ. 1981 წელს სპელეოლოგებმა მასში 1335 მეტრ სიღრმეს მიაღწიეს. უფსკრულს აქვს გაგრძელება, რომელიც ნთქავს წამში 500 ლიტრ წყალს. მოსალოდნელია, რომ აქ ჩაღწევის რეკორდი კიდევ უფრო გადიდდეს და იქნებ მსოფლიო რეკორდსაც გადააჭარბოს.

მისასვლელი. გუდაუთიდან მდ. ხიფსთას ან ააფსთას ხეობით (2-3 დღის სავალი ცხენით ან ფეხით); სოფ. ფსხუდან (1,5-2 დღის სავალი ფეხით ან ცხენით).

ინფორმაციის წყაროები: Тинтилозов, 1976; Лебедев, 1979.



კორცხელის მღვიმე
Kortskheli Cave

მდებარეობა. ზუგდიდის რ-ნი, მდ. ჯუმის ხეობა, სოფ. კორცხელის მიდამოები. ზღვის დონიდან 150 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. კორცხელის კარსტული მღვიმე გამომუშავებულია კარაგანულ (შუამიოცენურ) ქვიშაქვებში და ითვლება აღნიშნულ ქანებში წარმოქმნილ უდიდეს მღვიმედ (სიგრძე 790 მ).



გამჭოლი სუბჰორიზონტული ტალანია, თუმცა მისი ზემო ბოლო საკმაოდ ძნელი გასავლელია — ვიწრო, დაქანებული, ტალახიანი. თანაბარი სიგანითა და მეტწილად წესიერი ფორმით მოგვაგონებს ხელოვნურ გვირაბს. მღვიმის შუა მონაკვეთი თბილისის ფუნიკულიორის ლიანდაგის მსგავსად ორადაა განტოტვილი — გვირაბი ჯერ იყოფა, შემდეგ ისევ ერთდება. გვირაბის უმეტეს მონაკვეთს ჭერზე ვერტიკალური ნაპრალი გაუყვება. ნათელია ამ ნაპრალის მნიშვნელობა მღვიმის წარმოშობაში. მღვიმის კედლებში ბევრგანაა კოროზიის შერჩევითი მოქმედებით გამომუშავებული თაროები და უჯრები. კალციტის ნაღვენთი ფორმები სუსტადაა განვითარებული. მღვიმეში ბინადრობენ ღამურები.

მისასვლელი. კორცხელის მღვიმის მისადგომი ბილიკი იწყება სოფ. კორცხელიდან, ზუგდიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით რომ მდებარეობს 8 კმ დაშორებით (წალენჯიხის გზაზე). სოფლის ცენტრიდან მღვიმემდე 2 კმ მანძილია.

ინფორმაციის წყაროები: დევდარიანი, 1950-1951; მარუაშვილი, 1963; გერგედავა, 1963; Маруашвили, 1947.

კუდაროს მღვიმოვანი
Kudaro Caves

მდებარეობა. ყოფილი სამხრეთ ოსეთი, ჯავის რ-ნი, მდ. ჯეჯორის ხეობა, სოფ. ჩასავლის შემოგარენი, მ. ველუამთის კირქვულ სერზე, ზღვის დონიდან 1500-1700 მ სიმაღლეზე.



დახასიათება. კარსტულ მღვიმეთა მრავალსართულიანი სისტემა ზღვის დონიდან 1500-1700 მეტრ სიმაღლეზეა. გამომუშავებულია ზედაიურულ სქელშრიან კირქვებში, შედგება 6 სართულისაგან. ზოგი მათგანი პრეისტორიული კულტურების ნაშთებს შეიცავს და არქეოლოგიური გათხრების ადგილს წარმოადგენს.

ყველაზე საინტერესოა არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური თვალსაზრისით მღვიმეები I და III (ნომერაცია ვ. ლიუბინის მიხედვით) რომელთა ქვედა შრეებში აშელური კულტურის ნაშთებია გამოვლენილი.

კუდარო I მღვიმე (შეფარდებითი სიმაღლე ჯეჯორის ხეობის ფსკერიდან 256 მ) შედგება ცენტრალური კამერით ერთმანეთთან დაკავშირებული სამი ტალანისაგან. მის ნაფენებში, რომელთა საერთო სისქე 5 მ აღწევს, ნაპოვნია აშელური, მუსტიერული, ზედა პალეოლითურ-მეზოლითური, ენეოლით-ბრინჯაოსა და ფეოდალური ეპოქების კულტურათა ნაშთები.

კუდარო III მღვიმის (შეფარდებითი სიმაღლე 234 მ) სიღრმეში მიწისქვეშა ტბაა. აქაც გათხრილია აშელური და მუსტიერული კულტურული შრეები. ნაფენების სიმძლავრე აღემატება 5 მ.

მისასვლელი. მღვიმოვნის ძირში გადის ცხინვალონის საავტომობილო გზატკეცილი, საიდანაც შეიძლება მღვიმეებში ფეხით ასვლა (ბილიკით).

ინფორმაციის წყაროები: ტინტილოზოვი, ყიფიანი, ჯიშკარიანი, სიმონიშვილი, 1973; Любин, Левковская, 1972; Любин, 1959, 1977; Колбутов, 1961.

ნაზოდელავოს მღვიმე
Nazodelavo Cave

მდებარეობა. ჩხოროწყუს რ-ნი, სოფელი ახუთი, მდ. ზანას ხეობა, ზღვის დონიდან 230 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ოდიშის და მთლიანად კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი კლასტოკარსტული მღვიმეა. გამომუშავებულია მეოტურ კონგლომერატებში, სიგრძე — 600 მ.

სუბჰორიზონტული განტოტვილი ტალანი, რომე-

ლიც ქვემო ბოლოში იხსნება შესასვლელი დარბაზით მდ. ზანას დონიდან 35 მ სიმაღლეზე. დარბაზის ჭერიდან ჩამოშვებულია კოლხური სუროს გრძელი გირლანდები, ხოლო ბუჩქებს, რომლებიც შიგ იზრდება, ფოთლები, ჰელიოტროპიის კანონის თანახმად, ზედაპირით სინათლისაკენ აქვს მიქცეული.

მთავარი ტალანის ფსკერში ჩაჭრილი ეროზიული კანიონით გაედინება მოზრდილი, ცივი ანკარა მიწისქვეშა მდინარე. კანიონის სიღრმე ზოგან 7-8 მ აღწევს. კანიონის ორივე კიდეს გასდევს ბრტყელი ტერასები; მათზე სვლა საკმაოდ ადვილია. მღვიმეში ცხოვრობენ ღამურები, ზოგან ჯაგნებივით ერთმანეთზე ასხმულ-მობღაუჭებულნი.

მთავარ ტალანს გამოეყოფა ორი შტო, რომლებიც მასთან შედარებით უფრო მოკლეა და ვიწრო. ერთ-ერთი ტალანი გაჭოლია (ზემო ბოლოთი ადის სამზეოზე).

მისასვლელი. ჩხოროწყუდან ავტომობილით ს. ახუთამდე (11 კმ), შემდეგ ფეხით (5 კმ).

ინფორმაციის წყაროები: დევდარიანი, 1950-1951; მარუაშვილი, 1963; გერგედავა, 1968; Маруашвили, 1947.

სავეკუოს მღვიმე
Savekuo Cave

მდებარეობა. ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. სავეკუოს მიდამოები, მდ. ზანას ხეობა, ზღვის დონიდან 220 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. კლასტოკარსტული მღვიმე ნეოგენურ კონგლომერატებში. საერთო სიგრძე 0,275 კმ. წარმოადგენს სუბჰორიზონტულ ტალანს, რომელშიც ნაკადული გაედინება. ტალანი ორსართულიანია: ქვედა სართული ძლიერ კლაკნილია (მეანდრებიანი), ზედა კი თითქმის სწორხაზობრივი. ორსართულიანობა იშვიათად ვითარდება კლასტოკარსტულ მღვიმეებში.

მღვიმეს აქვს „შესასვლელი დარბაზი“, რომლის ფსკერშიც მაჩვის სოროებია დათხრილი.

მისასვლელი. ჩხოროწყუდან ახუთამდე ავტომობილით (11 კმ), შემდეგ საცალფეხო ბილიკით (3 კმ).

ინფორმაციის წყაროები: დევდარიანი, 1950-1951; მარუაშვილი, 1963; Маруашвили, 1963.

სათაფლია: მღვიმე და დინოზავრის ნაკვალევი
Sathaplia: a cave and dinosaurs footprints

მდებარეობა. წყალტუბოს რ-ნი, სამგურალის სერი, ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონიდან 300-360 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ქვედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული კარსტული მღვიმე. სიგრძე 890 მ. სუბჰორიზონტული ტალანი ნაკადულით და მცირე დარბაზებით. უხვადაა შემკული კალციტის ნაღვენთების ნაინაირი ფორმებით. კეთილმოწყობილია მისასვლელი საავტო-







მობილო გზით, ელექტროგანათებით და სხვ., ჰყავს ექსკურსიამძღოლის შტატი.

იქვე, სათაფლიას მთის ფერდობებზე, ცარცული პერიოდის შრის ზედაპირზე, აღბეჭდილია ძველი გიგანტი ქვეწარმავლების — დინოზავრების ფეხებისა და საყრდენი კუდების ნაკვალევი, განსაზღვრულია დინოზავრების 3-4 სახეობა. როგორც ჩანს, ამ ადგილებში მათ რამდენიმე ჯოგს გაუვლია.

სათაფლიას მთის ღირსშესანიშნაობები დიდი პოპულარობით სარგებლობს ქუთაის-წყალტუბოს მოსახლეობასა და ტურისტ-დამსვენებელთა შორის.

სათაფლიას მთის ბუნების ძეგლები აღმოჩენილია ქუთაისელი ენთუზიასტის პეტრე ჭაბუკიანის მიერ 1925 წელს.

მისასვლელი. ქუთაისიდან და წყალტუბოდან ავტოტრანსპორტით შეიძლება უშუალოდ მღვიმის შესასვლელთან მისვლა.

ინფორმაციის წყაროები: ჭაბუკიანი, 1960; Джанелидзе, 1940; Габуния, 1958; Девдариани, 1952.

სამსრის ქარიანი ხვრელი
Samsari Windy Gap

მდებარეობა. ახალქალაქის რ-ნი, მ. სამსრის ფერდობის ჩრდილო-დასავლურ ძირში, ბარალეთის იაილოს მიდამოებში. სიმაღლე 2200 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ნაპრალი ლავებში, რომლებიდანაც ცხელ ამინდში უბერავს ცივი ნიავი. ეს მოწმობს ლავებში ჰაერით გამოვსებული მიწისქვეშა სიღრუეების (ლავური გვირაბების) არსებობას.

ცხელი ზაფხულის დღეებში ხვრელთან გასაგრილებლად თავს იყრის ცხვარი. იქვე ახლოს მდებარეობს კახელი მეცხვარეების საზაფხულო ბინა.

მისასვლელი. ქ. ახალქალაქიდან ავტომობილით სოფ. ბარალეთამდე (20 კმ), იქიდან ცხენით ან ფეხით, მეცხვარეთა ბინაზე გავლით ადგილამდე.

ინფორმაციის წყაროები: Маруашвили, 1974.

სხვავის საყინულე
Skhvava Ice Cave

მდებარეობა. ამბროლაურის რ-ნი, რაჭის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი, სოფ. სხვავის მიდამოები, სიმაღლე 1350 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. კარსტული სიღრუე ქვედაცარცულ კირქვებში, ტყიან ადგილზე. კარსტული ძაბრი ქვევით გადადის დახრილ ტალანში. ქარის მიერ ძაბრში ჩაყრილი თოვლი ქვემოთკენაც ვრცელდება და მღვიმის დახშულ ბოლოში წარმოშობს მიწისქვეშა გლეტჩერს. ნაპრალებიდან და გვერდითი ტალანებიდან შემოსული წყალი ზამთრიდან შემორჩენილ, ჩაგუბებულ ჰაერში იყინება და წარმოშობს ყინულის სტალაქტიტებს, ფარდებს, სტალაგმიტებს, სვეტებს, გაყინულ ჩანჩქერებს.

ადგილობრივი მოსახლეობა სამედიცინო საჭიროებისათვის უხსოვარი დროიდან სარგებლობს აქაური ყინულით.

სიღრუის მთლიანი სიღრმე 80 მეტრამდეა.

მისასვლელი. დაბა ამბროლაურიდან სოფ. სხვავამდე ავტომობილით (10 კმ), იქიდან ტყის ბილიკებით 5-6 კმ საყინულემდე.

ინფორმაციის წყაროები: ვახუშტი ბაგრატიონი, 1941; ფირფილაშვილი, 1962; მარუაშვილი, 1963.

ურთის მღვიმოვანი
Urtha Caves

დახასიათება. ზუგდიდის რ-ნი, სოფელი ცაიში, ურთის კირქვული მასივი, მდ. ჯუმის ხეობა, ს. ურთის და ცაიშის მიდამოები. ზღვის დონიდან 45 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. სამ სართულად განლაგებული კარსტული სიღრუეები. გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. ქვედა სართული გამოვსებულია წყლით,



რომელიც ვოკლუზის სახით გამოდის ზედაპირზე და შეერთვის მდ. ჯუმს.

მეორე, ანუ შუა სართული, ჩვეულებრივად მშრალია, მხოლოდ წყალდიდობისას (თოვლის ინტენსიური დნობის ან ძლიერი წვიმების დროს) გამოვარდება ხოლმე იქიდან ღვარი. მასში ერთი დარბაზია, სადაც ღამურების დიდი კოლონია ბუდობს, — რამდენიმე ათასი ფრთოსანი ძუძუმწოვარი ვეებერთელა ნახევარსფეროსავით არის ჭერზე მობღაუჭებული.

მესამე სართული ყოველთვის მშრალია და აღჭურვილია მომცრო დარბაზით.

მისასვლელი. სოფ ცაიშიდან ბილიკით 2 კმ.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1963.

ყალიჩონის მღვიმე
Qalichona Cave

მდებარეობა. ჩხოროწყუს რ-ნი, სოფელი ახუთი, მდ ოჩხომურის შენაკად ბუმეს ხეობა, გარახის მღვიმის ზემოთ, 250-260 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. საქართველოს უგრძესი კლასტოკარსტული მღვიმე. სიგრძე 990 მ. გამომუშვებულია ნეოგენურ კონგლომერატებში. სუბჰორიზონტული ტალანი 18 დარბაზისებურად გაფართოებული უბნით. ტალანი გეგმაში მორკალულია, განშტოებებს თითქმის მოკლებულია. სართულიანობა სუსტად არის გამოსახული.

მღვიმე იხსნება 40 მ შეფარდებით სიმაღლეზე.

კალციტური ნაღვენთები უხვადაა მე-15 დარბაზში. მღვიმის დანარჩენ ნაწილებში ჭარბობს ნგრეული მასალა.

მღვიმე ძირითადად უწყლოა. მხოლოდ მე-18 დარბაზშია წყარო, რომელიც პატარა ნაკადულს წარმოქმნის და იქვე იკარგება ქანებში.

გვხვდება ძველი მღვიმური ნაკადის მიერ გამომუშავებული ეროზიული კანიონისებური უბნები.

მისასვლელი. დაბა ჩხოროწყუდან 8 კმ ბილიკებით.

ინფორმაციის წყაროები: Шенгелия, 1975.

ცუცხვათის მღვიმოვანი
Tsutskhvathi Caves

მდებარეობა. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცუცხვათის შემოგარენი, ყვირილის მარჯვენა შემდინარის — ჭიშურის აუზი, ზღვის დონიდან 250-400 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ცუცხვათის სამხრეთით, ოკრიბა-არგვეთის ქედში მდებარეობს კარსტულ მღვიმეთა მრავალსართულიანი სისტემა, რომელსაც ადგილობრივი ხალხი „მაღარას“ უწოდებს. გამომუშავებულია ურგონულ კირქვებში (ქვედა ცარცი).

მღვიმოვანი შედგება 11-13 სართულისაგან. ქვევი-







დან პირველი სართული ადამიანისათვის გაუვალი ვიწრო ხვრელია, რომელშიც გაედინება მუდმივი ნაკადი (მდ. შაბათაღელე). მღვიმის ქვემოთ მდინარეს ჭიშურა ეწოდება.

მეორე სართული (მთავარი ტალანი) ატარებს უზარმაზარი ბუნებრივი გვირაბის ხასიათს (სიგრძე — 200 მ, სიგანე — 10-30 მ, სიმაღლე — 10-28 მ). მასში წყალი მხოლოდ შაბათაღელის წყალდიდობისა და მოვარდნის დროს გაედინება. ტალანის განშტოებებში არის წყაროები, პაწია ტბა, კალციტის ნაწვეთი ფორმები. ჭერთან შენახულია ადამიანის მიერ დამაგრებული ძელები — ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი.

მეოთხე სართულიდან დაწყებული და უფრო ზევით მღვიმეები უწყლოა. მათში ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლები შუა პალეოლითიდან (მუსტიეს ეპოქიდან) ბრინჯაოს ხანამდე და ისტორიულ ეპოქამდე, ცხოველთა ორმოცამდე სახეობის ძვლები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: 1. ბრინჯაოს მღვიმე (V სართული), რომლის ნაფენთა საერთო სიმძლავრე 12-13 მეტრს აღწევს; მათში აღბეჭდილია უკანასკნელი 140.000 წლის განმავლობაში მომხდარი კლიმატური ცვლილებანი; 2. ზედა მღვიმე (XI სართული), სადაც აღმოჩენილ იქნა პირველყოფილი საკულტო საგნები: საგანგებოდ დალაგებული მღვიმური დათვის თავის ქალები, ბარძაყის ძვლები და კბილები, მსხვერპლად შეწირული სხვა ცხოველთა ძვლები; 3. ქარაფში გახსნილი სამი მღვიმე (მოაჯირიანი, ღამურებისა და დათვის — VII-IX სართულები), რომლებიც ატარებენ ფეოდალიზმის ხანაში სიმაგრეებად გამოყენების ნიშნებს, — შენახულია ქვითკირის კედლები, გამოჭრილი საფეხურები, ქვევრების ნატეხები. აქვეა ღამურების დიდი კოლონია.

მისასვლელი. ცუცხვათის მღვიმოვანთან მისვლა შეიძლება ქუთაისიდან და ტყიბულიდან ავტოტრანსპორტით ძეგლის მისადგომამდე და შემდეგ ფეხით (საჭიროა სამთო ფეხსაცმელი ფერდობზე სასიარულოდ). მღვიმოვნის სრულად დათვალიერებას 1,5-2 საათი სჭირდება.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1973; Изучение пещер Колхиды, 1978; Маруашвили, 1963.

წონის მღვიმე
Tsona Cave

მდებარეობა. ყოფილი სამხრეთ ოსეთი, ჯავის რ-ნი, სოფ. წონის მიდამოები, მდ. ყვირილის სათავეების რეგიონი, მთა ბუბის (ვალხოხის) სამხრულ ფერდობებზე, 2100 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ზედაიურულ კირქვებში გამომუშავებული სუბჰორიზონტული ტალანი სამი დარბაზით და კალციტური ნაღვენთებით. ქვემო ბოლო იხსნება საკმაოდ ციცაბო ფერდობში, მთის ძირიდან 250 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 90 მ-ია.

წონის მღვიმეში გათხრილი კულტურული შრეები მიეკუთვნება შუა აშელს, გვიან მუსტიეს, მეზოლითს, ენეოლითს და ადრეულ ბრინჯაოს. ლითოლოგიური ნიშნების მიხედვით განირჩევა 20 შრე. აბსოლუტური სიმაღლით ეს მღვიმე პალეოლითურ ნადგომებს შორის პირველ ადგილზე იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში.

მისასვლელი. წონის მღვიმის მიდამოებში ავტომობილით მისვლა შეიძლება ცხინვალ-ონის გზატკეცილიდან (7-8 კმ) იმ შარაგზით, რომლის გადასახვევი ერწოს ტბასთანაა. ძირიდან ადის საცალფეხო ბილიკი.

ინფორმაციის წყაროები: ტინტილოზოვი, ყიფიანი, ჯიშკარიანი, სიმონიშვილი, 1973; Каландадзе, 1965; Любин, 1977.

ხორხები: საყინულე და მეგალითური ნაგებობა
Khorkhebi: an ice cave and megaliths

მდებარეობა. თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ. პატარა კლდეისის მიდამოები, მდ. კლდეისისწყლის აუზის ზემო ნაწილი ზღვის დონიდან 1400 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. სოფელ პატარა კლდეისის ადგილზე XVIII საუკუნეში მდებარეობდა სოფელი ხორხები, რომელიც მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში და აღნიშნულია რუკებში. ადგილი აგებულია ზედაპლიოცენური დოლერიტული ლავებით.

სახელოვანი ქართველი მეცნიერი აღწერს ამ მიდამოებში მდებარე ყინულოვან მღვიმეს: „ხორხებს არს ქვაბი კლდისა, რომელი არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და გაზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის".

ხორხების ყინულოვანი მღვიმე დღესაც არსებობს. იგი მდებარეობს ბედენის პლატოს სამხრულ შვერილზე, მდ. კლდეისისწყლის ორ მდგენელს შორის. ლავური

ღვარის ქვიან ზედაპირში იხსნება ხვრელები, რომლებშიც ადამიანს შეუძლია ჩაძრომა. ხვრელები ლავაში გაჩენილა ტექტონიკური ან გრავიტაციული პროცესების შედეგად. ერთ-ერთი მათგანი 12 მ სიღრმის მქონე საფეხურებიანი შახტია, რომლის ფსკერზეც ზაფხულობით შეიძლება ბროლივით გამჭვირვალე ყინულის ნახვა. ყინული სხვა ხვრელებშიც ჩნდება. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ყინული განსაკუთრებით უხვად წარმოიშობა ცხელ ზაფხულში. ვახუშტის ეპოქასთან შედარებით, ამჟამად ყინული აქ ნაკლები რაოდენობით არის.

იქვე შემონახულია დიდრონი ქვებით ტლანქად ნაგები გვირაბისებური სიღრუე, რომელიც, ალბათ, საიდუმლო სალოცავს წარმოადგენდა მტრის შემოსევების დროს.

მისასვლელი. თეთრიწყარო-ხრამჰესის გზიდან ხორხებამდე მანძილი უდრის 7 კმ. ავტომობილი მიდის სოფ. პატარა კლდეისის მისადგომებამდე.

ინფორმაციის წყაროები: ვახუშტი ბაგრატიონი, 1971; Маруашвили, 1974.

ჯრუჭულის მღვიმე
Jruchula Cave

მდებარეობა. ჭიათურის რ-ნი, სოფელი ზოდი, რაჭის ქედის სამხრული ფერდობი, მდ. ჯრუჭულის ხეობა, სოფ. ზოდის სანახები. დაახლ. 600 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ზედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული მღვიმე. იხსნება მდ. ჯრუჭულის კანიონის მარჯვენა გვერდში, 30-35 მ შეფარდებით სიმაღლეზე. მღვიმეს სიგრძე აქვს 17 მ, სიგანე შესასვლელსა და ბოლოში — 8,8 მ, ხოლო შუა ნაწილში — 12,2 მ.

მღვიმური ნაფენების საერთო სისქე — 4,7 მ-ია. ისინი ლითოლოგიური ნიშნების მიხედვით 17 ფენად იყოფა. შეიცავენ შუა და გვიანი მუსტიეს კულტურის ფრიად უხვ ნაშთებს.

მღვიმურ ნაფენებში, 3,35 მ სიღრმეზე, კერის ნარჩენებთან ერთად აღმოჩნდა ნეანდერტალელი ადამიანის ზედა საძირე კბილი.

მისასვლელი. ჯრუჭულასთან მისასვლელი გზა იწყება ქ. ჭიათურიდან. მანძილი — 7-8 კმ. ავტომობილით შეიძლება მღვიმის მისადგომებთან მისვლა.



ჯრუჭულის კირქვულ კანიონშივე იხსნება სხვა კარსტული მღვიმეებიც, რომლებშიც გათხრილია პალეოლითელი ადამიანის ნადგომები — სამგლეკლდე, ძუძუანა და სხვ.

ინფორმაციის წყაროები: ტინტილოზოვი, 1959; თუშაბრამიშვილი, 1963; Любин, 1977.

გადაადგილებული და მოქანავე ლოდები
Shifted and perched blocks

საქართველოში ბევრგან არის დიდი ზომის ლოდები, რომლებიც გადაუადგილებია ძველ მყინვარებსა და ღვარცოფებს. მათი ადგილსამყოფლები ცნობილია კავკასიონზე, აგრეთვე ანტიკავკასიონზეც. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ეს ერატიული ლოდები აბუდელაურისა (ხევსურეთი) და ჯონოულის (ლეჩხუმი) ხეობებში, წებელდის მიდამოებში (აფხაზეთი) და სხვ. ამგვარი მასობრივი დაჯგუფების შემთხვევაში დაცვის ობიექტებად მიზანშეწონილია აღიარებულ იქნეს მხოლოდ ზოგიერთი, ყველაზე დიდი და ყველაზე მეტად გადაადგილებული ლოდი. რაც შეეხება მოქანავე ლოდებს, ჯერჯერობით მათი ერთადერთი ცნობილი წარმომადგენელი საქართველოში ყვირას მთაზე მდებარე „ქუაქანცალიაა“.

გლოლის ლოდები
Glola blocks

მდებარეობა. ონის რ-ნი (ზემო რაჭა), სოფ. გლოლა, მდ. ჭანჭახის ხეობა, სოფ. გლოლის შემოგარენი, მდ. ბოყოსწყლის შესართავთან. 1300-1400 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. მყინვარის მიერ გამყინვარების ხანაში მთავარი ქედიდან ჩამოზიდული გრანიტული ლოდები. მათი გადაადგილების დრო უკავშირდება უკანასკნელ ან უკანასკნელის წინა დიდ გამყინვარებას.

ორი უდიდესი მათგანის განზომილებებია: 11x13 x12 და 18 x10 x12 მეტრი. პირველი მათგანი მოსახლის ეზოშია. ლოდები ჩამოტანილია ბოყოს ხეობის ძველი მყინვარის მიერ. ნაკლები სიდიდის ერატიული ლოდები მდ. ჭანჭახის ხეობაში გლოლის ზემოთ და ქვემოთაც არის.

მისასვლელი. ლოდები ახლოსაა სამხედრო გზატკეცილიდან (საგლოლოს ხიდსა და კურორტ შოვს შორის).

ინფორმაციის წყაროები: Кузнецов, 1931.



დურუჯის ლოდი
Duruji Block

მდებარეობა. ყვარლის რ-ნი, ყვარელი, მდ. დურუჯის რიყეზე, ქალაქ ყვარლის თავში. ზღვის დონიდან 430 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ღვარცოფის მიერ 1899 წელს ჩამოტანილი, გაფიქლებული ქვიშაქვის ლოდი, რომლის სიდიდეა 5,8 x 4,2 x 4 მ. რამდენადაც ცნობილია, კახეთის ფარგლებში არსებულ გადაადგილებულ ლოდებს შორის უდიდესია. გადაადგილებულია 6-8 კმ მანძილზე. წონა დაახლ. 224 ტონა.

ღვარცოფი, რომელმაც კავკასიონიდან ჩამოიტანა ეს ლოდი, კატასტროფულ ხასიათს ატარებდა (წაილეკა ყვარელი, დაიღუპა 6 ადამიანი).

ლოდის მახლობლად გადის ღვარცოფსაწინააღმდეგო ჯებირი, რომელიც 1907 წელს იქნა აგებული ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

მისასვლელი. ყვარლის ცენტრიდან 2,5 კმ საავტომობილო გზით.

ინფორმაციის წყაროები: Раунер, 1903.



ზემო ერმანის ლოდი
Zemo-Ermani Block

მდებარეობა. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, ჯავის რ-ნი, სოფელი ედისი, დიდი ლიახვის აუზი, მდ. ერმანისწყლის ხეობა, ნასოფლარი ზემო ერმანი. ზღვის დონიდან 2300 მ სიმაღლეზე.



დახასიათება. ძველი მყინვარის მიერ ყელის ვულკანური ზეგნის კიდიდან, ხარულის ქედზე გადმოვლით, ჩამოტანილი ლოდი. განზომილებები 9 x 6 x 4,5 მ. შედგება ეფუზიური ქანისაგან, რომელსაც მუქი მოწითალო ფერი აქვს. მოწმობს ყელის ზეგნის პლეისტოცენური მყინვარის მიერ ხარულის ქედის გადალახვას.

მისასვლელი. ცხინვალ-ედის-ერმანის საავტომობილო გზით სოფ. შუა ერმანში, შემდეგ ბილიკით ზემო ერმანის ნასოფლარამდე.

ლაჰილაჭალის ლოდი
Lahilachala Block

მდებარეობა. მესტიის რ-ნი, სვანეთის ქედის ჩრდ. ფერდობი, მდ. ლაჰილაჭალის ხეობა, ზღვის დონიდან 1500 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ძველი მყინვარის მიერ სვანეთის ქედის უმაღლესი ნაწილიდან ჩამოტანილი ლოდი. სიგრძე-სიმაღლე 9-11 მ. მდებარეობს ტყიან სარტყელში, ლატალის თემის სოფლებიდან 3-4 კმ მანძილზე.

მისასვლელი. ლატალის თემიდან, სოფ. ლაჰილთან არსებული ხიდით ლაჰილაჭალის ხეობაში (ცხენით ან ფეხით). მანძილი ლატალის ცენტრიდან 7 კმ.

ინფორმაციის წყაროები: ინაშვილი, ზეპირი ინფორმაცია.



მგლისსარბიელის (დათუსელას) ლოდი

Mglissarbiela Block

მდებარეობა. ამბროლაურის რ-ნი, სოფელი სადმელი, ლეჩხუმის ქედის სამხრული ფერდობი, მ. ჭუთხაროს შემოგარენი, მდ. რიცეულის აუზი. ზღვის დონიდან 1800 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. პორფირიტის ერატიული ლოდი ე.წ. ცხენისყბის სერზე, მდ. ჟრინავის ზემო დინებასთან, ლოდი ჩამოტანილია მყინვარის მიერ ჭუთხაროს მასივიდან და მდებარეობს ალპური სარტყლის ქვედა საზღვარზე, ჟრინავის ხეობის ფსკერიდან 250-300 მ სიმაღლეზე. ლოდი და მისი შესაბამისი მორენა გადაფარებულია ქვედაიურული ტერიგენული ფლიშით აგებულ საფუძველზე.

ლოდის ზომებია 20 x 12 x 10 მ, რაც მას მსოფლიოს უდიდესი მყინვარული ლოდების ჯგუფში აქცევს. ადგილობრივი მოსახლეობა მას „დათუსელას“ უწოდებს.

მისასვლელი. სამხედრო გზატკეცილთან მდებარე სოფ. სადმელიდან რიცეულის ხეობის აღმა ავტომობი-



ლით, ადგ. წესურის გავლით, ჟრინავის შესართავამდე; შემდეგ ჟრინავის აღმა, ლეკნარის გავლით სადმელის საზაფხულო ფერმებამდე და ფეხით ასვლა გამყოფზე ჟრინავსა და ხეორს შორის.

ინფორმაციის წყაროები: ნემანიშვილი, 1959.

როშკის ლოდები
Roshka Blocks

მდებარეობა. დუშეთის რ-ნი, სოფელი ბარისახო, პირაქეთი ხევსურეთი, მდ. ხევსურეთის არაგვის შემდინარის — აბუდელაურის ხეობა, სოფ. როშკა და მისი მიდამოები. ზღვის დონიდან 1850-1900 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ხევსურთა სოფელ როშკაში არსებული ორი უზარმაზარი ლოდი მიეკუთვნება მსოფლიოს უდიდესი ერატიული („მოხეტიალე“) ლოდების რიცხვს. მათი განზომილებებია 19 x 5 x 7 და 22 x 13 x 10 (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე). ლოდები შედგება მაგმური ქანისაგან — დიაბაზისაგან. მათთან შედარებით ხევსურთა სახლები სათამაშო ხუხულებივით გამოიყურება. სოფლის ზემოთ უფრო დიდი ლოდებიცაა: 22 x 20 x 8 და „გახლეჩილი ლოდი“ 25 x 10 x 11 მ.

შედარებით ნაკლები სიდიდის, მაგრამ შთამბეჭდავი ერატიული ლოდები დიდი რაოდენობითაა მიმოფანტული აბუდელაურის ხეობის უფრო მაღალ ნაწილებში და აგრეთვე როშკის ქვემოთაც — მდ. ხევსურეთის არაგვის ხეობაში. მათი გავრცელების ქვემო (სამხრული) ზღვარი თითქმის აღწევს მდ. ოხერხევის შესართავს. მსხვილი ლოდოვანი მასალა სოფლების — ღელისვაკისა და ღულის მიდამოებშიც არის, ხეობის ფსკერიდან 200-250 მეტრ სიმაღლეზე.

ყველა ეს ლოდი ჩამოტანილია ჭაუხის მასივიდან — ხევსურების, მთიულებისა და მოხევეების ზეპირსიტყვიერებაში ხშირად ხსენებული კლდოვანი მთიდან, რომელიც ერთ-ერთი თავისი ბუნებრივი კოშკით ზღვის დონიდან 3940 მეტრ სიმაღლეზეა აღმართული. ლოდები ჩამოზიდა ჭაუხის უდიდესმა პლეისტოცენურმა მყინვარმა. ამ მყინვარის ბოლო სოფელ ღელისვაკესთან მდებარეობდა ზღვის დონიდან 1450 მ სიმაღლეზე (ამჟამად ეს ადგილი აზევებულია 1650 მ სიმაღლემდე).

მისასვლელი. როშკაში ასვლა შეიძლება 5 კმ სიგრძის ბილიკით, რომელიც გამოეყოფა ჟინვალ-შატილის საავტომობილო გზას ბარისახოს ზემოთ 7-8 კმ მანძილზე. გადასახვევი ხიდთანაა, გუდანისწყლის შესართავის ახლოს. საავტომობილო გზიდან როშკამდე აღმართია (დასაძლევია დაახლოებით 400 მ სიმაღლე).

ინფორმაციის წყაროები: Левинсон-Лесстнг, 1896; Дзоценидзе, Крестников, 1941; Маруашвили, 1978.

საკენის ლოდი
Sakeni Block

მდებარეობა. აფხაზეთი, გულრიფშის რ-ნი, სოფ. აჟარა, მდ. საკენის მარჯვენა სანაპირო, სოფ. საკენის ქვემოთ 1,5 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 920 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ძველი საკენის მყინვარის მიერ ჩამოტანილი ლოდი. შედგება დიაბაზისაგან. განზომილებები: 9x8x15 მ. ლოდი ნაწილობრივ ჩაფლულია ფერდობის დელუვიონში. მის ზედაპირზე შეინიშნება ეკზარაციული ნაფხაჭნები. ლოდის ქვედა ნაწილი წყლის ზემოქმედების ნიშნებს ატარებს; როგორც ჩანს, იგი მყინვარის უკუდახევის შემდეგ ერთხანს მდინარის კალაპოტში ეგდო, სანამ მდ. საკენი გაიღრმავებდა ხეობას.

მისასვლელი. საკენის ლოდი მდებარეობს უშუალოდ იმ საავტომობილო გზასთან, რომელიც აერთებს სოფ. საკენს სოხუმ-ქლუხორის უღელტეხილის გზატკეცილთან, სოფ. გენწვიშს ზემოთ, მდ. საკენზე გადასასვლელ ხიდთან (სოხუმიდან 133 კმ მანძილზე).





ფერხულის ქვა: ლოდი
Perkhuliskva: a block



მდებარეობა. მესტიის რ-ნი, სოფ. ლალხორი, მდ. ხალდეშჭალის ხეობა სოფ. ხალდეს ზემოთ და ხალდეს მყინვარის ქვემოთ.

დახასიათება. ერატიული ლოდი, ჩამოტანილი ხალდეს მყინვარის ძველი გაგრძელების მიერ პლეისტოცენის გამყინვარების ეპოქაში. ლოდის განზომილებებია: 20x20x18 მ. იგი დახრილად ძევს ალპურ მდელოზე. ერთერთი უდიდესი ერატიული ლოდია მსოფლიოში. მისი ჩამოტანა მყინვარის მიერ უნდა მომხდარიყო „მცირე გამყინვარების ეპოქაში“ (XVII-XIX სს.).

მისასვლელი. მესტიიდან სოფ. ხალდემდე მიდის საავტომობილო გზა, რომლის იქითაც შეიძლება მხოლოდ ცხენით და ფეხით მგზავრობა.

ქუაქანცალია: მოქანავე ლოდი
Kuakantsalia: aperched block

მდებარეობა. წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჩქვალერი, მდ. ყვირა, მდ. ინწრას სათავეები. 1800 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. მთა ყვირას უტყეო თხემურ ზონაში, ამაღლებულ კვარცხლბეკზე „ზის“ კირქვული ლოდი წვიმებისაგან დახრული ზედაპირით. მას აქვს 1,75-1,45 მ სიმაღლე, სიგანე ერთი მხრივ 1,68 და 2,10 მ, მეორე მხრივ 1,60 მ. ლოდი დაახლოებით 10-12 ტონას უნდა იწონიდეს. ყვირას თხემური ზონა, სადაც ლოდი ძევს, ქვედაცარცული სქელშრიანი კირქვებით არის აგებული.

ქუაქანცალიას ლოდი, მის გარკვეულ წიბოზე თუნდაც სუსტი დაწოლით (მაგალითად, თითის მიბჯენით) ქანაობს და კაკუნის ხმას გამოსცემს. მას ოთხი საყრდენი წერტილი აქვს, მაგრამ ერთი მათგანი ყოველთვის უქმადაა. ყოველ მომენტში ლოდი კვარცხლბეკს სამგან ეყრდნობა. ერთი საყრდენი მდებარეობას იცვლის.

მოქანავე ლოდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაშია ცნობილი და უმთავრესად მაგმური ქანებისაგან (გრანიტებისაგან, ანდეზიტებისაგან და სხვ.) შედგება. ოდიშის მოქანავე ლოდის — ქუაქანცალიას თავისებურებას განსაზღვრავს მისი შემადგენლობა (კირქვა) და ისიც, რომ იგი დაკარსტულ მასივზე მდებარეობს.

მისასვლელი. ქუაქანცალიასთან მისვლა შეიძლება წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჩქვალერიდან ჯერ ავტომობილით, შემდეგ კი (უკანასკნელ 3 კმ-ზე) ცხენით ან ფეხით. გზა ძირითადად წიფლნარ და სოჭნარ ტყეში გადის.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1963; Геоморфология Грузии, 1971.



ჩეგოლის ლოდები
Chegola Blocks

მდებარეობა. ჩხოროწყუს რ-ნი, მდინარე მუხური, მდ. ხობის ზემო დინების მარცხენა შემდინარის — ჩეგოლის ხეობა, ოდიშის ქედის სამხრულ ფერდობზე. სიმაღლე 1900-1950 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ნეოკომური კირქვების იზოლირებული შთენილი მასივიდან — მ. ჩეგოლიდან (2811 მ) ჩამოგორებული და ჩეგოლის ძველი მყინვარის მიერ გადაადგილებული კირქვის ლოდები ხეობის ფსკერზე. დიდი (რამდენიმე მეტრი სიგრძის მქონე) ლოდები აქ დახლოებით ათეულამდეა. ყოფილი გამყინვარების უტყუარი საბუთია. ერატიულ ლოდებზე ფლორა განსხვავებულ ხასიათს ატარებს და შეიცავს სამხრეთი კოლხეთისათვის დამახასიათებელ სახეობებს.

მისასვლელი. ჩხოროწყუდან ხობის ხეობის აღმა სვლით ჩეგოლამდე მიღწევა თითქმის შეუძლებელია. ჩეგოლის ხეობაში მისასვლელად საჭიროა მოვლა ტეხურის ხეობაზე (ლებარდეს საავტომობილო გზით), საცხენე ბილიკით ჩეგოლის უღელტეხილის გადალახვა და ჩეგოლის ხეობაში ზემოდან ჩასვლა. ლებარდედან გადასვლას ერთი დღე სჭირდება.

ინფორმაციის წყაროები: Маруашвили, 1959: Сохадзе, Сохадзе, 1959.

წებელდის ლოდები
Tsebelda Blocks

მდებარეობა. აფხაზეთი, გულრიფშის რ-ნი, სოფლების: ხევის, ამტყელის, ჩინის და სხვათა მიდამოები, მდ. ამტყელ-ჯამფალის ქვემო დინების ხეობა. ზღვის დონიდან 350-450 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. დიდი რაოდენობით გაფანტული ლო-



დები, რომელთა შორის უდიდესებს რამდენიმე მეტრი სიგრძე აქვთ. მათი წარმოშობა (გადამტანი ფაქტორების რაობა) დღემდე სადავოდ ითვლება. მკვლევართა ნაწილი ამ ლოდებს ძველი მყინვარის მიერ მოტანილად თვლის. ეს მყინვარი, მათი ვარაუდით, იწყებოდა მთავარ ქედზე (უღელტეხილების — მარუხისა და ადანგეს მიდამოებში), ამტყელის უღელტეხილის უნაგირათი გადმოდიოდა ჩხალთის ქედის სამხრულ ფერდობებზე და მდ. ამტყელის ხეობით აღწევდა წებელდის პლატოს რეგიონამდე. სხვა მკვლევარები უარყოფენ ლოდების მყინვარულ წარმოშობას. მათი შეხედულებით, ლოდები მოტანილია მძლავრი ღვარცოფების მიერ, რომელთა გაჩენა დაკავშირებული იყო გაცილებით უფრო მაღლა მდებარე მყინვართა ბოლოების კატასტროფულ დნობასთან. გეომორფოლოგიური ფაქტების საფუძველზე, ეს ეპიზოდი თარიღდება ადრეული ან შუა პლეისტოცენით.

მისასვლელი. ლოდები სოხუმ-აჟარის გზატკეცილთან და მის ახლოს მდებარეობს, სოხუმიდან 35 კმ-ზე.

ინფორმაციის წყაროები: Рейнгард, 1941; Маруашвили,1955; Великовская,Кожевников, Фомин, 1960; Гептнер, Федоров, 1962; Маруашвили, Чангашвили 1964; Березняков, 1965; Церетели, 1966; Соловьев, 1965.

ჯონოულის ლოდები
Jonouli Blocks

მდებარეობა. ცაგერის რ-ნი (ლეჩხუმი), სოფ. წიფერჩი, ცხენისწყლის მარჯვენა შემდინარის — ჯონოულის ხეობა სოფ. ქულბაქს ზემოთ (700-1000 მ ზღვის დონიდან).

დახასიათება. გიგანტური კირქვული ლოდები (სიგრძე 10-12 მეტრამდე) მიმოფანტული ხეობის ბრტყელ ფსკერზე და ქმნის მყინვარული წარმოშობის ერატიული ლოდნარის შთაბეჭდილებას. სინამდვილეში ლოდები ჩამოზიდულია ღვარცოფული ნაკადის მიერ, უხსოვარ ხანაში, ასხის კარსტული მასივის ჩრდილო-აღმოსავლური კუთხიდან.



ეს ღვარცოფი უნდა გამოეწვია ხეობის გადაღობვას დიდი მეწყერით, ტბის გაჩენას და შემდეგ წყლის მიერ საგუბარის გარღვევას. ამგვარად, ჯონოულის ღვარცოფი დაკავშირებული იყო არა კლიმატურ, არამედ გეომორფოლოგიურ ფაქტებთან. ლოდები რომ მყინვარს ჩამოეტანა, მათ შორის იქნებოდა ოდიშის ქედის ამგები შუაიურული პორფირიტების ბლოკებიც (ამ ქედის მწვერვალ ცეკურის სამხრულ ფერდობზე პლეისტოცენური მყინვარების მოქმედების მკაფიო კვლებია შემორჩენილი).

მისასვლელი. ჯონოულის ლოდებთან მისვლა შეიძლება დაბა ცაგერიდან საავტომობილო გზატკეცილით, რომელიც ჯერ მდ. ცხენისწყლის ხეობას დაუყვება სარეწკელას კლდეკარამდე, ხოლო იქიდან აუყვება მდ. ჯონოულის მარჯვენა სანაპიროს (მთლიანი მანძილი 15 კმ).

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1959.

კლდის სვეტები და კოშკები
Rock columns and towers

დენუდაციის შედეგად წარმოქმნილი სვეტისებური ფორმები საქართველოში რამდენიმე ადგილასაა ცნობილი. მოსალოდნელია მომავალში „ახალი“ ამგვარი ობიექტების აღმოჩენაც. ზოგიერთ სვეტს შეიძლება მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ანთროპოგენული წარმოშობა ჰქონდეს. ადამიანის მონაწილეობა სვეტების შექმნაში ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო რელიგიური მოსაზრებით (იხ. ბოდორნის სვეტი).

ბეთლემისებრი: სვეტი
Betlemisebri: a column

მდებარეობა. ყაზბეგის რ-ნი, დაბა სტეფანწმინდა, მყინვარწყვერის აღმოსავლური ფერდობი, მდ. ჩხერის აუზი. 3100 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ვულკანოგენური ნგრეული ქანის შთენილი ლიჯეში, მდ. ჩხერისა და მისი მარცხენა შენაკადის — ბლოტას შუამდინარეთში.

ვაკეზე, რომელზეც ზაფხულობით საძოვრებად გაშვებულია მოხევეთა ცხენები, აღმართულია სვეტისებური დენუდაციური მოწმე, რომელიც დასავლეთის მხრიდან ბერის ფიგურასავით გამოიყურება (ისახება კუზიანი ზურგი, წვერი, ცხვირი, თავზე დახურული კუნკული), სვეტის სიმაღლე 12 მეტრია. აგებულია ტუფბრექჩიით.

მისასვლელი. სვეტთან მისვლა შეიძლება ფეხით, ორწვერის, ანუ გერგეტის მყინვარის ქვემო ბოლოს მხრიდან, ლოდნარ-ღორღნალებზე და ალპურ მდელოებზე სვლით. მარჯვე ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ სოფ. ყაზბეგიდან ერთ დღეში ძეგლთან ასვლა-ჩამოსვლა.

ინფორმაციის წყაროები: Геоморфология Грузии, 1971.



ბოდორნის სვეტი

Bodorna column

მდებარეობა. დუშეთის რ-ნი, ბაზალეთისა და ჭონქაძის მიდამოები, არაგვის ხეობის მარჯვენა მხარე, ნასოფლარ ბოდორნის სამხრეთით, სოფ. ნაგლიანთ კარის აღმოსავლეთით 2 კმ. ზღვის დონიდან 750 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ნეოგენური კონგლომერატის მრგვალკვეთიანი მოწმე. სიმაღლე 15 მ, ქვედა ნაწილის დიამეტრი — 4 მ. თხემზე ამოსულია ბუჩქები. სვეტის ქვეშ ოროთახიანი გამოქვაბულია კედელში გამოჭრილი თახჩით. სვეტი კარგად მოჩანს ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის ტერასიდან და ეზოდან. მისი დანახვა შეიძლება არაგვის ხეობის ფსკერიდანაც (საქართველოს სამხედრო გზატკეცილიდან თანამედროვე სოფ. ბოდორნის სამხრეთით). გამოქვაბულს შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს და არ მოჩანს არც არაგვის ხეობის, არც ბაზალეთის პლატოს მხრიდან.

სვეტის წარმოშობა დანამდვილებით არ არის დადგენილი. შეიძლება იგი ხელოვნურად არის გამოკვეთილი საკულტო მიზნით (მესვეტის საცხოვრებლად) და დაკავშირებულია ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიასთან (XVII საუკ.), რომელიც უფრო ძველი საყდრის ადგილზეა აგებული. სვეტის გამოკვეთა უნდა განხორციელებულიყო ადრინდელი ქრისტიანობის ხანაში (V—VI საუკ.), მრავალი ადამიანის გაერთიანებული შრომის შედეგად. არც ის არის გამორიცხული, რომ სვეტის გასაფორმებლად გამოყენებულია ბუნებრივი (დენუდაციური) შთენილი.

მისასვლელი. სვეტი საკმაოდ ძნელმისადგომ ადგილზეა. მასთან მიახლოება შეიძლება ბაზალეთის პლატოდან, საავტომობილო გზით (სოფ. ნაგლიანთკარიდან მეფრინველეობის ფერმაზე გავლით). უშუალოდ მის ძირში მისვლა, დათვალიერება და ფოტოგრაფირება მოითხოვს საკმაოდ ციცაბო, ტყიან ფერდობზე ჩასვლას. გზის გასაგნებად შეიძლება მიმართონ ბოდორნის ტაძრის მცველს, რომელიც სოფ. ბოდორნაში ცხოვრობს.

სვეტისა და ზემოხსენებული ტაძრის მიდამოებში ბევრია ხელოვნური გამოქვაბულები, გამოკვეთილი ხევებში და ბაზალეთის პლატოს კიდურ ფლატეებში. ეს გამოქვაბულები იხსენიება ისტორიულ წყაროებში თემურლენგის შემოსევებთან დაკავშირებით (თემურლენგის მეომრები თოკებით ეშვებოდნენ მათთან და გამოქვაბულში შეხიზნულ ხალხს ისრებითა და ცეცხლწამკიდი ნივთიერებებით ჟლეტდნენ).

სვეტის შესანარჩუნებლად საჭიროა მისი ძირის (გამოქვაბულის კედლების) გამაგრება.

ინფორმაციის წყაროები: ითხვისელი, 1903; Бакрадзе, 1875; Хаханов, 1898;Геоморфология Грузии, 1971.







კაცხის სვეტი
Katskhi Column

მდებარეობა. ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ყვირილის მარჯვენა შემდინარის — კაცხურას აუზი, სოფ. კაცხის სანახები. სიმაღლე ზღვის დონიდან 650 მ.

დახასიათება. მდ. კაცხურას ხეობა გამომუშავებული აზედაცარცულ კირქვებში. ვერტიკალური ნაპრალების განვითარების შედეგად, კაცხურას კანიონში ბლომადაა ბუნებრივი კოშკისებური ფორმები. ერთ-ერთი მათგანია ისტორიული კაცხის სვეტი, რომელიც V-VI საუკუნეებში რელიგიური პროპაგანდის მიზნით ათვისებულ იქნა მესვეტის საცხოვრებლად. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა ქ. ანტიოქიის (თანამედროვე ანტაკიეს) მოდამოებში (თურქეთი), საბერძნეთში და სხვაგანაც.

კაცხის სვეტის სიმაღლეა 40 მ. იგი ზევითკენ მსხვილდება და ბოლოვდება დახრილი მოედნით, რომ-



ლის ზომებია 10x16 მ. ამ მოედანზე 1944 წ. აღმოჩენილ იქნა ორი პატარა ეკლესია, განდეგილი ბერის საკანი და ჩაფლული ქვევრები. ამრიგად, კაცხის სვეტი ერთდროულად ისტორიული ძეგლიც არის და ბუნებისაც.

სვეტის თავზე ასვლა მოითხოვს ალპინისტურ ტექნიკას და ჩვევებს. კაცხის სვეტზე პირველი ავიდა ალ. ჯაფარიძის ჯგუფი 1944 წელს.

მისასვლელი. კაცხის სვეტთან მისვლა შეიძლება საავტომობილო გზატკეცილით ქ. ზესტაფონიდან (ა. ზოვრეთზე, საზანოზე, თუზზე და ქვაციხეზე გავლით; ბ. საქარაზე, დილიკაურზე, ბელლევზე და კაცხზე გავლით) და ჭიათურიდან (კაცხზე გავლით). მანძილი ზესტაფონიდან 32-35 კმ, ჭიათურიდან — 11 კმ.

ინფორმაციის წყაროები: ვახუშტი ბაგრატიონი, 1941; ნერეთელი, 1895; ჯაფარიძე, 1949; ცინცაძე, 1946.

საირმის ეროზიული მოწმე
Sairme Farewell Rock

მდებარეობა. ბაღდათის რ-ნი, სოფ. ნეგერთი; მდ. წაბლარისწყლის ხეობა, 3 კმ კურორტ საირმემდე და ქალაქ ბაღდათიდან 19 კმ მანძილზე. სიმაღლე 800 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. გზატკეცილის პირას ამართულია 30 მ სმაღლის მქონე კლდის სვეტი, რომელიც შედგება მასიური კვარცხლბეკის. მასზე ფენა-ფენა დალაგებული 5 ლოდისა და მეექვსე, დამაგვირგვინებელი, უფრო ფართო ლოდისაგან, რომელზეც ნაძვია ამოსული. კვარცხლბეკის ზომებია 12x10 მ, სიმაღლე — 20 მ. ზედა ლოდი ქუდივით ახურავს სვეტისებურ ნაწილს. ლოდების სისქე 1-3 მეტრია. ფორმა გამომუშავებულია ეოცენის ვულკანოგენურ წყებაში.



მისასვლელი. ქალაქ ბაღდათიდან ავტომობილით (19 კმ).

ინფორმაციის წყაროები: დავითაია, ზეპირი ინფორმაცია.

საირმის მეწყერი: სვეტისებრი კლდეები
Sairme Landslide: rocky columns

მდებარეობა. ცაგერის რ-ნი, რიონის ხეობის მარჯვენა მხარე სოფლებს — ალპანასა და ჭრებალოს შორის. 900 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთიდან (ლაბეჭინას ანტიკლინის სამხრეთი ფრთიდან) სამხრეთისაკენ ჩამოცურებული ეოცენური კირქვის ბლოკი გრავიტაციული და გამოფიტვის პროცესების შედეგად დაშლილა და ქმნის კლდეთა ჯგუფს. მერგელოვანი კირქვებით აგებული ეს მიდამო ხალხში ცნობილია „უდაბნოს“ სახელწოდებით.

კირქვის ცალკეული ნაწილები აჩენენ კოშკისებურსა და რქისებურ ფორმებს, რომლებიც ადამიანს ხიბლავს თავისი სიდიადითა და სილამაზით. კლდეები კარგად მოჩანს სამხედრო გზიდან. გამოდგება საექსკურსიო ობიექტად და კლდეზე ცოცვაში სავარჯიშო ადგილად. ალ. ჯანელიძის სიტყვით, საირმის „ნანგრევისებური კლდეები“ მნახველს საქსონური შვეიცარიის პეიზაჟს მოაგონებს.

მისასვლელი. სამხედრო გზატკეცილიდან ფეხით (რამდენიმე კმ).

ინფორმაციის წყაროები: Джанелидзе, 1940.



უდაბნოს სვეტი
Udabno Column

მდებარეობა. საგარეჯოს რ-ნი, ივრის ზეგნის დასავლურ ნაწილში, მ. დისჟიეს აღმოსავლურ ძირთან. სიმაღლე 500-600 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. დენუდაციური შთენილი, აგებული მკვრივი ნეოგენური ქვიშაქვებით. მდებარეობს დენუდაციურ პედიმენტზე (მოსწორებულ ზედაპირზე). სიმაღლე 5,2 მ, სიგრძე — 2 მ, სიგანე — 1,2 მ.



მისასვლელი. თბილისიდან სართიჭალაზე გავლით სოფ. სათაფლემდე მარშრუტი მიჰყვება გზატკეცილს (ავტობუსების მიმოსვლა). მანძილი 50 კმ. სათაფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უდაბნოს მეურნეობამდე, ტბებთან გავლით ყამირის საავტომობილო გზა (20 კმ). უდაბნოდან მ. დისჟიეს გვერდშემოვლით მოუწყობელი შარაგზით 9-10 კმ.

ინფორმაციის წყაროები: მუსეიბოვი, ზეპირი ინფორმაცია; Геоморфология Грузии, 1971.

ქვაკაცა: სვეტი
Kvakatsa: a column

მდებარეობა. აჭარა, შუახევის რ-ნი, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრულ ტოტზე, ზღვის დონიდან 2350 მ სიმაღლეზე. გეოგრაფიულ რუკებზე აღნიშნულია როგორც „ქვაკაცისშთენილი“.

დახასიათება. დენუდაციური სვეტისებური მოწმე, აგებული შუაეოცენური ტუფბრექჩიებით. მთა ხინოდან სამხრეთისაკენ გამოწვდილ ქედზე, მდ. ჩვანისწყლის მარჯვენა შემდინარის — ხევასღელის სათავეში ამართულია სხვადასხვა განზომილების სამი შთენილი, რომლებიც გამწკრივებულია ერთ ხაზზე. უდიდესი



მათგანის შეფარდებითი სიმაღლე 7 მეტრია, დიამეტრი — 4,5-5 მ. იგი რამდენადმე მოგვაგონებს ადამიანის ქანდაკებას, საიდანაც წარმოსდგა მისი სახელწოდება „ქვაკაცა“ და აჭარლებს შორის გავრცელებული ამავე სახელწოდების თქმულება. მეორე შთენილის სიმაღლეა 5 მ, სიგანე — 2 მ. მესამე უფორმო ლოდს წარმოადგენს.

მისასვლელი. შუახევიდან მთის ბილიკებით აღმართში, ან აჭარა-იმერეთის ქედის გადმოლახვით გურიიდან (ბახმაროდან ან ვაკიჯვარიდან). მისვლა შეიძლება მხოლოდ ფეხით ან ცხენით.

ინფორმაციის წყაროები: მაისურაძე, ზეპირი ინფორმაცია.

კანიონები და ხეობები
Canyons and gorges

კანიონები დამახასიათებელია უმთავრესად კირქვებით ან ლავებით აგებული რეგიონებისათვის. საქართველოში რელიეფის ასეთი ფორმები ასობით დაითვლება. „წითელი წიგნის“ ამ გამოცემაში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე ეფექტური სადღეისოდ აღწერილ კანიონთა შორის. მომავალში მოსალოდნელია კიდევ სხვა შესანიშნავი კანიონების გამოვლენა და დასაცავი ობიექტების სიაში შეტანა.

ახაცხის კლუზი (კლდეკარი)
Akhatskha Cluse

მდებარეობა. აფხაზეთი, გუდაუთის რ-ნი, მდ. ბზიფის ხეობაში, სოფ. ფსხუს ქვემოთ, 350-400 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

დახასიათება. დიდებული კლდეკარი ბზიფის ხეობის კირქვული მონაკვეთის უვიწროეს უბანში, გამომუშავებულია ზედაიურული და ქვედაცარცული წყებების

საზღვარზე. კლუზის სიგრძეა — 0,7 კმ, სიღრმე — 200 მ, სიგანე ზედა ნაწილში — 7-8 მ (ზოგან ნაკლებიც). ზედ გადებულია პრიმიტიული ხიდი. კლუზის კიდეები ალაგ-ალაგ თითქმის ერთიმეორეს ეხება, ხოლო ერთგან გაჩხირული ლოდი ზედ ამოსული ხეებით ბუნებრივ ხიდს ქმნის (მდ. ფშიცას შესართავთან). სახელი „ახაცხა“ მთავრის ხიდს ნიშნავს და მიუთითებს შერვაშიძეების სამფლობელოზე (აქ ოდესღაც აფხაზეთის მთავართა დიდი ბაღი იყო).

მისასვლელი. ძეგლს ძლიერ უხერხული მისადგომები აქვს. ამ ადგილებში მოხვედრა შეიძლება სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში საჭიროა სიძნელეთა გადალახვა. ბზიფის ხეობა კანიონს ზემოთ (სოფ. ფსხუსაკენ) და ქვემოთ (გეგას შესართავთან) სრულიად უგზოა, ხოლო ბილიკი, რომელიც ხიდისაკენ ბზიფის ქედიდან ჩამოდიოდა (უღ. ძინადან) და მდ. ფშიცას ხეობით რიხვას მასივზე ადიოდა (ამ გზით 1890 წელს იმოგზაურა სახელგანთქმულმა რუსმა ბოტანიკოსმა ნ. მ. ალბოვმა), სადღეისოდ თითქმის წაშლილია და თანაც მოითხოვს საკმაოდ მაღალი უღელტეხილების გადალახვას. სამაგიეროდ, ამ ძნელი მარშრუტების დამძლევნი დატკბებიან ახაცხის კანიონის გრანდიოზული სანახაობით.

ინფორმაციის წყაროები: Альбов, 1893; Геоморфология Грузии, 1971.

ოკაცე: კანიონი და გორდის პლეისტოცენური ტბიური ნალექები

Okatse: a canyon and pleistocene lake sediments





მდებარეობა. ხონის რ-ნი, სოფ. გორდი, ასხის კირქვული მასივის სამხრეთ-აღმოსავლური სექტორი, სოფ. გორდის მიდამოები. ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. გორდის აღმოსავლეთით, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის — ოკაცის აუზის ქვემო ნაწილში მდებარეობს რთული, კომპლექსური პალეოგეოგრაფიული ძეგლი, რომლის შემადგენლობაში შედის ნეოტექტონიკური სტრუქტურები, ტბიური ნალექები, თვალწარმტაცი კლიუზ-კანიონი. მათი კომპლექსური კვლევის შედეგები საიმედო საყრდენს უქმნის კლიმატური ცვლილებებისა და გამყინვარებების ურთიერთკავშირის ტექტონიკურ თეორიას.

იშვიათი სანახაობაა ოკაცეს კანიონი. მას მხოლოდ მაშინ ამჩნევთ, როდესაც შედგებით „ბოგაზე“ — ხის ტოტებისგან მოწნულ ხიდზე, კანიონის თავზე რომ არის გადებული. ფეხქვეშ იხსნება ჯურღმული, მის ფსკერზე გამდინარე ნაკადით. კანიონის სიღრმე ამ ადგილას 28 მეტრია, სიგანე — 4 მ. უფრო სამხრეთით სიღრმე იზრდება 45-50 მეტრამდე. ზოგიერთ ადგილას კანიონის კიდეები თითქმის უერთდება ერთიმეორეს. კანიონი გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში.

შუა მეოთხეულში ოკაცეს ხეობა გადაიკეტა ტექტონიკური ნასხლეტით და მასში გაჩნდა ტბა, რომელშიც თიხა-ქვიშა ილექებოდა. ტბიური ნალექების წყების სისქემ 27 მეტრს გადააჭარბა. მას შემდეგ რამდენიმე ათეულმა ათასმა წელმა განვლო. წყალმა იპოვა გასას-

ვლელი კირქვის ნაპრალებში, გააფართოვა ისინი და დაცალა ტბა. დაიწყო ტბიური ნალექების გადარეცხვა და კანიონის გამომუშავება. ამჟამად ტბიური ნალექები შემორჩენილია ცალკეულ ფრაგმენტებად.

გორდის პლეისტოცენურ ტბიურ ნალექებში ნათლადაა გამოსახული სეზონური შრეებრიობა. შრეთა ყოველი წყვილი შეესაბამება ერთ წელს. ტბიური წყების პალინოლოგიური შესწავლით (ნამარხი მცენარეული მტვრისა და სპორების მიკროსკოპული კვლევით) გაირკვა, რომ წყების ქვედა ნაწილში დაცულია ფლორის არქაული, სადღეისოდ გამქრალი სახეობების ნაშთები (ჭაობის კვიპაროზი ანუ ტაქსოდიუმი, ენგელჰარდტია, კარია, ტსუგა, კედარი ანუ ცედრუსი და სხვ.). გორდის ტბიური წყების უფრო მაღლა მდებარე შრეებში ეს მცენარეები აღარ არის, რაც არეკლავს ოროგენეზის მიერ გამოწვეულ კლიმატის აცივებას. უკანასკნელი რამდენიმე ასეულ წელს გრძელდებოდა.

მისასვლელი. ქ. ხონიდან სოფ. გორდამდე საავტომობილო გზატკეცილი (მანძილი 21 კმ). გორდის ზემო ნაწილიდან კანიონამდე ბილიკი დაღმართებში მიდის (მანძილი 1,5 კმ).

ინფორმაციის წყაროები: ჯანელიძე, 1941; Маруашвили,Мамацашвили, Хазарадзе, 1975; Маруашвили, 1978.

დაშბაშის კანიონი
Dashbashi Canyon

მდებარეობა. წალკის რ-ნი, სოფ. თრიალეთი, მდ. ქციის (ხრამის) ხეობის მონაკვეთი რაიონულ ცენტრს ქვემოთ, ს. დაშბაშის მიდამოები. სიმაღლე ზღვის დონიდან 1230-1550 მ-მდე.



დახასიათება. ლავებში ჩაჭრილი კანიონი, რომლის გვერდებშიც დიდძალი უხვდებიტიანი წყაროები გამოდის. ეს წყაროები დაკავშირებულია ხრამჰესის წყალსაცავიდან წყლის გაჟონვასთან. წყაროები ბროლის ჩანჩქერებად ცვივა კლდეებიდან. წყაროებთან ჩამოყალიბებულია ტიპიური ჰიგროფილური მცენარეულობა.

სოფ. დაშბაშთან, რომელსაც ძველად ახალქალაქი ერქვა, კანიონის მარჯვენა ქარაფოვან გვერდში გამოქვაბულთა ჯგუფია. ეს გამოქვაბულები ძირითადად ადამიანის მიერ არის გამოკვეთილი, მაგრამ ზოგიერთ მათგანს აშკარად ემჩნევა, რომ ბუნებრივი სიღრუისაგან გაჩნდა (არის ლავური ნაღვენთები; ერთ გამოქვაბულში ნაღვენთი ქმნის თაროდის მსგავს ფორმებს).

ვახუშტი ბაგრატიონი აღწერს დაშბაშის კანიონში მდებარე მორევს, რომელიც იმ ეპოქაში თევზით მდიდარი ყოფილა: „ეძანს ქვევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზემოთ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი... ჟდ (მე-94) მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა, და იპყრეს ორაგული, თვინიერ კალმახისა და სხვა თევზთა, მას ერთს დღესა შ (900).

თავისთავად ცხადია, ამჟამად მდგომარეობა აქ არსებითად შეცვლილია (ორაგულის ხსენებაც არ არის).

მისასვლელი. წალკის რაიონული ცენტრიდან ან I ხრამჰესის საგენერატორო სადგურიდან. გავლა შეიძლება მხოლოდ ფეხით.

ინფორმაციის წყაროები: ვახუშტი ბაგრატიონი, 1941; Маруашвили, 1974.

ხდის ხეობა
Khde Gorge

მდებარეობა. ყაზბეგის რ-ნი, დაბა სტეფნაწმინდის მიდამოები, მდ. ხდისწყლის ხეობა (Кистинка), ზღვის დონიდან 1200-3400 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. დაუსახლებელი ხეობა ხევის ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში, სადაც გაედინება თერგის მარჯვენა შემდინარე ხდისწყალი (შეერთვის თერგს დარიალის კლდეკარში; აქ მასზე ჰიდროელექტროსადგურია აგებული). ხეობა მთლიანად ქვედაიურულ ფიქლებსა და ქვიშაქვებშია გამომუშავებული. ხეობას აღმოსავლეთიდან ზღუდავს შავანას (შანის) ქედი, დასავლეთიდან კი ყუროს ქედი. ხეობის ქვემო ნაწილი შემოსილია ფოთლოვანი ტყით, ზედა ნაწილი კი ალპური მდელოებით და ღორღნალებით არის დაფარული. ხდის ირგვლივ ამართული ფიქალოვანი მწვერვალები (შავანა, ქიჩ-ჩოჩ-ქორთი, ყურო, შინო და ბევრი სხვა) ქართველის მთამსვლელების ასვლათა პოპულარული ობიექტია.

ხდის მყუდრო ხეობა ზამთარში ჯიხვებისა და არჩვების თავშესაფარია, ხოლო ზაფხულობით აღსანიშნავია პეპლების სიმრავლე და მრავალსახოვნება (უქარობის მეოხებით). თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ ბროლივით წმინდა მდინარის ჩანჩქერებს და მარწყვით სავსე მინდვრებს, აშკარა გახდება ჩვენი ქვეყნის ამ განმარტოებული კუთხის ბუნების დაცვის მნიშვნელობა.

მისასვლელი. ხდის ხეობის საუკეთესო მისადგომი დარიალიდან არის. შეიძლება გადმოსვლა მდ. სნოსწყლის აუზიდანაც კიბის უღელტეხილით.

ინფორმაციის წყაროები: Духовский, 1915; Преображенская, 1903.

ვულკანური ფორმები
Volcanic forms

საქართველოში ახალგაზრდა ვულკანიზმის გავრცელების ძირითადი რეგიონებია სამხრეთ საქართველოს ზეგანი, ხევ-მთიულეთისა და ბორჯომის რეგიონები. მისთვის დამახასიათებელი რელიეფის ფორმები (ლავური კონუსები და ღვარები, ლავის განწევრების ნაირსახეობანი და სხვ.) საკმაოდ მრავლადაა. ამ რიგის იმ ძეგლების გარდა, რომლებიც „წითელი წიგნის“ პირველ გამოცემაშია შეტანილი, მომავალში, საფიქრებელია, სხვა ობიექტებიც იქნება სახელწიფო დაცვაზე აყვანილი. განსაკუთრებით ეს ეხება სვეტებად განწევრებული ლავის გაშიშვლებებს და მის მიერ ზედაპირზე წარმოქმნილ „ბუმბერაზთა ქვაფენილს“.

ბედენის „ბუმბერაზთა ქვაფენილი“
Bedeni “Giants Causeway”

მდებარეობა. თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ ირაგის მიდამოები, ბედენის პლატო, მდინარეების — კლდეისისწყლისა და ჭივჭავის სათავეთა შორის. 1600-1700 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ბუმბერაზთა ქვაფენილები ხატოვნად ეწოდება ლავების ისეთ ზედაპირებს, რომლებიც გაციების ნაპრალთა სისტემით მრავალკუთხედებად არის დანაწევრებული (ეს მრავალკუთხედები წარმოადგენს სვეტისებური ლავური ბლოკების თავებს). დისლოცირებულ ლავებზე (მაგალითად, მურაკვალის ანტიკლინურ სერზე ჯავახეთში) ქვაფენილებს მნიშვნელოვნად დახრილი ზედაპირი აქვთ.

ბუმბერაზთა ქვაფენილები საქართველოს ვულკანურ რეგიონებში ფართოდაა გავრცელებული. ერთერთი რეგიონი, სადაც ეს ფორმები კარგადაა ჩამოყალიბებული და შემონახული, ქვემო ქართლში ბედენის პლატოა, რომელიც აგებულია ზედაპლიოცენური ფუძე ლავებით (დოლერიტებით).

მრავალკუთხედების დიამეტრი აქ ზოგან 2-3 მ აღწევს. უმეტესობა ექვსგვერდიანია.

მისასვლელი. ძეგლთან მისვლა შეიძლება თეთრიწყაროდან ორი მარშრუტით: ა) დიდ და პატარა კლდეისზე გავლით და ბ) სოფ. ივანოვკაზე გავლით. პირველი მარშრუტით ავტომობილი მიდის დიდ კლდეისამდე (გაჭირვებით — პატარა კლდეისის მისადგომამდე), მეორეთი — თითქმის ბოლომდე. მეორე გზა მოკლეცაა.

ინფორმაციის წყაროები: Геоморфология Грузии, 1971; Маруашвили, 1957.

ილმაზლოს ლავური მოწმე
Ilmazlo Lava Farewell rock

მდებარეობა. მარნეულის რ-ნი, სოფ. ილმაზლო, მდ. ალგეთის ქვემო დინების ჩრდილოეთით 6 კმ მანძილზე. სიმაღლე 300 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. დოლერიტული ლავის განმარტოებული, უკიდურესი აღმოსავლური გამოსავლები ქვემო ქართლში. მათი ამონთხევის ცენტრი ადგილზე არ არ-



სებობს. დადგენილია, რომ ილმაზლოს ლავა არის ბოლო უზარმაზარი ზედაპლიოცენური ლავური ღვარისა, რომელიც ჯავახეთის ქედიდან ან ბედენის მასივიდან ჩამოვიდა მტკვრამდე, ე. ი. ქვემო ქართლის პლატოს დოლერიტული ლავის გაგრძელებაა.

ილმაზლოს მიდამოებსა და მარნეულს შორის, ზემოაღნიშნული ლავური ღვარის შუალედური მონაკვეთი დამარხულია მარნეულის ვაკის პლეისტოცენური ალუვიონის ქვეშ, ზედაპირიდან 40-136 მ სიღრმეში, რაც ჭაბურღილებით არის აღმოჩენილი. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ქვემო ქართლის უგრძესმა ლავურმა ღვარმა ამონთხევისა და გაცივების შემდეგ განიცადა დიფერენციალური ვერტიკალური გადაადგილებანი, კერძოდ, მარნეულის ვაკის ქვეშ მდებარე მონაკვეთი დაიძირა თეთრიწყაროს პლატოსა და ილმაზლოს რეგიონთან შედარებით.

ილმაზლოს დოლერიტს ადგილობრივი მოსახლეობა საშენ მასალად იყენებდა, ამიტომ აქ დარჩენილა დოლერიტის კარიერები. თუ ზომები არ იქნა მიღებული, დოლერიტის გამოსავლები შეიძლება განადგურდეს და მოისპოს გეოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი ძეგლი. ამ მიზნით უნდა აიკრძალოს დოლერიტის შინამრეწველურად გამოყენება და გატარდეს ღონისძიებები მისი ხელოვნური ჭრილის გაკეთების, კეთილმოწყობისა და დაცვისათვის.

მისასვლელი. ილმაზლო ერთი კილომეტრითაა დაშორებული გზატკეცილს, თბილისიდან წითელი ხიდისაკენ რომ მიდის. მისი გადასახვევი მდებარეობს იაღლუჯის მაღლობის სამხრეთით, სოფ. ქეშალოდან სამხრეთისაკენ 2 კმ მანძილზე.

ინფორმაციის წყაროები: წერეთელი, 1957; Церетели, 1966.

ტყარშეთი: ლავური ღვარი და ნამარხი ტყე

Tqarshethi: a lava stream and fossil wood

მდებარეობა. ყაზბეგის რ-ნი, სოფლების — ტყარშეთის, ვარდისუბნისა და გორისციხის მიდამოები, თერგის ორივე სანაპირო. 1750-1800 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. მყინვარწვერის ვულკანური კერის ერთ-ერთი უახლესი ამონთხევით გაჩენილა ტყარშეთის ლავური ღვარი, რომელიც ამოიღვარა ერთ-ერთი გვერდითი ერუპტიული ცენტრიდან (ტყარშეთის მთა, 3425 მ ზღვის დონიდან), ჩამოჰყვა თერგის მარცხენა შენაკადის ძველ ხეობას და შეაგუბა თერგი. ლავა ანდეზიტური შედგენილობისაა.

ტყარშეთის ლავურ ღვარს კარგად შენახული, ოღროჩოღრო ზედაპირი აქვს. მისი ბოლო გახერხილია თერგის ეროზიული კანიონით. თვით ღვარს ორი მხრიდან „ტყუპ მდინარეთა“ ვიწრო, თითქმის გაუვალი კანიონები ფარგლავს.

ღვარის ბოლოს პირისპირ, თერგის მარჯვენა სანაპიროს ტერასის ფლატეებში გაშიშვლებულია ტბიური ნაფენების წყება, რომელიც ზემოხსენებული ლავით თერგის შეგუბების შედეგად დაგროვილა. ამ წყებაში განამარხებულა ტყე. ვერტიკალურად მდგომი ხეების ღეროები მოწმობს ტბიური ნალექების დაგროვების სწრაფ ტემპს. ღეროები ეკუთვნის ვერხვს, არყს, ღვიას და სხვა მაღალმთის მცენარეებს. ნამარხი ტყე გამოჩნდა 1968 წელს, თერგის კატასტროფული წყალდიდობის დროს, როდესაც წყალმა მოარღვია ტერასის კიდე. ადგილობრივი მოსახლეობა გამორეცხილ ხეებს შეშად იყენებდა.

ხის მერქნის რადიონახშირბადულმა ანალიზმა მისი ასაკი 5950±60 წლით განსაზღვრა, რაც საშუალებას იძლევა მყინვარწვერის ვულკანური კერის აქტივობის ერთ-ერთი უახლესი გამოვლინება (ტყარშეთის ლავური ღვარის ამონთხევა) დაახლობით 6000 წლით დათარიღდეს.

ზემოაღნიშნული ტერასის ნაფენების ტბიურ ჰორიზონტში კიდევ დარჩენილია ნამარხი ტყის ნაშთები, რომლებიც მკაცრად უნდა იქნეს დაცული დიდი სამეცნიერო ღირებულების გამო. მათი ხელოვნურად გაშიშვლება დასაშვებია მხოლოდ უმნიშვნელოვანესი მასობრივი მეცნიერული ექსკურსიების დროს (სადემონსტრაციოდ) და ძეგლის შემდგომი გაღრმავებული კვლევების მიზნით.

მისასვლელი. დაბა ყაზბეგიდან გზატკეცილით 10 კმ, შემდეგ ბილიკით 0,5 კმ.

ინფორმაციის წყაროები: ჯანელიძე, ბურჭულაძე, ტოგონიძე, 1973.

ჩხიკვთის სამება: ვულკანურ-ეროზიული მოწმე

Chkhikvthis Sameba: volcanic-erosive ourtlier

მდებარეობა. თეთრიწყაროს რ-ნი, მდ. ალგეთის ხეობის მარჯვენა მხარე, სოფ. ჩხიკვთის თავზე და თბილის-თეთრიწყაროს გზატკეცილთან. სიმაღლე 1196 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. სამება, ანუ გმირთ-ნაკვეთი კონუსისებური ბორცვია, რომლის თხემზე დგას სამების საყდარი. ადგილი ძირითადად აგებულია ცარცისა და პალეოგენის წყებით, მაგრამ ბორცვის თავზე ყურადღებას იპყრობს დოლერიტული ლავის უზარმაზარი, ვერტიკალურად დაყენებული ლოდები, რომლებითაც აღნიშნული ეკლესია შემოზღუდულია ორი მხრიდან. აქაური დოლერიტი არ განსხვავდება სამხრეთ საქართველოს პლატოების ამგებელი სხვა ანალოგიური ლავებისაგან. ჰერმან აბიხი სამების ბორცვს ექსტრუზიად თვლიდა, მაგრამ ეს შეხედულება ამჟამად უარყოფილია. მკვლევართა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს ლოდები არ არის სხვა ადგილებიდან ამოტანილი, არამედ ნაპოვნია ბორცვის თხემზევე. ამ შემთხვევაში დოლერიტის ფრაგმენტი სამების მთის მწვერვალზე უნდა გავიგოთ, როგორც ქვემო ქართლის დოლერიტული პლატოს ნაწილი, რომელიც ეროზიის შედეგად მოსწყდა ძირითად ნაწილს და კიდევაც ტექტონიკურად გადაადგილდა (აზევდა).

ბორცვის მწვერვალიდან ვრცელი გარემოხედია გადაშლილი (ალგეთის ხეობა, ბირთვისი, თრიალეთის ქედი და ა.შ.).

მისასვლელი. თბილის-თეთრიწყაროს გზატკეცილი უშუალოდ სამების მთის კალთაზე გადის (გადასახვევის დაშორება თბილისიდან დაახლ. 60 კმ, თეთრიწყაროდან 3 კმ). ბილიკი ტყეში გადის, აღმართია. კარგ ამინდში შეიძლება ასვლა ორდფერიანი ავტომობილით.

ინფორმაციის წყაროები: ვახუშტი ბაგრატიონი, 1941; მელიქსეთ-ბეგი, 1938; Такайшвили, 1904; Геоморфология Грузии, 1971.

ღამურა: გამოქვაბული „ლავური ორღანის“ ქვეშ

The Bat: a cave under “the lava organ”

მდებარეობა. ყაზბეგის რ-ნი, დარიალის ხეობის ზემო ნაწილის მარცხენა მხარე. 1150 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ტურისტებს შორის ძველთაგანვე პოპულარული „ღამურას გამოქვაბული“ მდებარეობს დაბა ყაზბეგის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, საქართველოს სამხედრო გზატკეცილიდან ასიოდე მეტრის დაშორებით. მას „ღამურა“ იმიტომ ეწოდება, რომ ადამიანს თავისი მოყვანილობით შორიდან ფრთებგაშლილ ღამურას მოაგონებს.

გამოქვაბულის ჭერი წარმოქმნილია მეოთხეული ანდეზიტ-ბაზალტური ლავით, რომელიც გაციების პროცესში ექვსწახნაგოვან პრიზმებად, ანუ სვეტებად დამსკდარა. ლავის „სვეტისებური განწევრება“ ბევრგან არის ცნობილი. ღამურას გამოქვაბულის თავზე განვითარებული „ლავური ორღანის“ თავისებურება მდგომარეობს სვეტების მარაოსებურ განლაგებაში, რაც მას ორიგინალურობას და სილამაზეს ანიჭებს.

გამოქვაბული შექმნილია ლავის ქვეშ მდებარე ფხვიერ დელუვიონში (ღორღში) გამოფიტვის შედეგად და ადამიანის დახმარებით (წინათ აქ ცხვრის ფარებს აჩერებდნენ ღამის გასათევად).

მისასვლელი. დაბა ყაზბეგიდან ღამურას გამოქვაბულში მისვლას, დათვალიერებას და უკან დაბრუნებას 2 საათი სჭირდება.

ინფორმაციის წყაროები: Титов, 1938.



ხორისარის ლავური ღვარი

Khorisari Lava Stream

მდებარეობა. ყაზბეგი რ-ნი, თრუსოს ხეობის მარჯვენა (სამხრული) მხარე, ზღვის დონიდან 2100-2300 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ლავური ღვარის კლასიკური ნიმუშია. ღვარი ამონთხეულია ვულკან მცირე ხორისარის კრატერიდან, ჩრდილოეთისაკენ ჩასულა და მიბჯენია მდ. თერგს. მდინარის მიერ ამ ღვარის ბოლოში გაითხარა კასრისხევის კლდეკარი. ღვარი შედგება ანდეზიტური ლავისაგან.

გასწვრივ პროფილში ღვარი კიბისებურად ეშვება, ციცაბო საფეხურებისა და ჭაობიანი ვაკეების მონაცვლეობით. განივ პროფილში ყურადღებას იპყრობს ღვარის ზემო ნაწილის ორივე მხარეზე ამართული ბუნებრივი „ჯებირები“, რომელთა შეფარდებითი სიმაღლე 90 მეტრია. ასეთი ლავური ჯებირები იმის შედეგად ჩნდება, რომ ღვარის კიდეები უფრო მალე ცივდება, მაგრდება და წყვეტს მოძრაობს, ვიდრე მისი ღერძული შუა ნაწილი. ეს უკანასკნელი განაგრძობს დინებას და გაცივების მომენტისათვის კიდეებთან შედარებით დაბალია.

მისასვლელი. ხორისარის ღვარზე ასვლა შეიძლება თრუსოს ხეობიდან (სოფ. ოქროყანიდან ან კასრისხევის ზემო ბოლოსთან მდებარე ადგილიდან). ღვარის მთლიანი ფოტოსურათის გადაღება შეიძლება თურსოს მარცხენა მხარეზე ამართული ძექეთე-რახის ქედის შტოქედის უსახელო მწვერვალებიდან, რომელთა აბსოლიტური სიმაღლეებია 2880 და 3119 მ.

ინფორმაციის წყაროები: Левинсон-Леессинг, 1914; Ренгартен, 1932.



ბუნებრივი ხიდები
Natural bridges

ბუნებრივი ხიდები ყველაზე ხშირად კარსტულ რეგიონებში (კირქვებში) წარმოიქმნება. საქართველოში ამგვარი ფორმები რამდენიმე ადგილასაა ნაპოვნი. მოსალოდნელია მათი აღმოჩენა სხვა ადგილებშიც.

სემის ბუნებრივი ხიდი
Semi Natural Bridge

მდებარეობა. წყალტუბოს რ-ნი, სოფ. ცხუნკურის მიდამოები, მდ. გუბისწყლის ზემო დინების (სემის) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან 235 მ.

დახასიათება. ხიდი აგებულია ცარცული პერიოდის კირქვების ბრექჩიებით. მისი სიგრძეა 3,5 მ, სიმაღლე მდინარის დონიდან — 2 მ, სისქე — 1,5 მ. ბუნებრივი ხიდის შესახებ იხ. აგრეთვე ახაცხა.

მისასვლელი. კურ. წყალტუბოდან ავტომობილით სოფ. ცხუნკურამდე (10 კმ), იქიდან ფეხით (1 კმ).

ინფორმაციის წყაროები: ჩაგანაშვილი, 1963.





პერიგლაციალური ფორმები
Periglacial Forms

ყინვიანი კლიმატის პირობებში ვითარდება ყინვითა და ნიადაგის მზრალობით წარმოქმნილი მიკრორელიეფური ფორმები — ტუფურები (მზრალობითი ბორცვაკები), მრავალკუთხედები და სხვ. მათი გაჩენის ერთერთი პირობა მოვაკებული ან დამრეცი ზედაპირის არსებობაა. საქართველოში ამ ფორმების განვითარების კლიმატური პირობები არსებობს ზღვის დონიდან 2000 მეტრზე უფრო მაღლა, მაგრამ კავკასიონისა და ანტიკავკასიონის ციცაბო რელიეფი ხელს უშლის პერიგლაციალური რელიეფის ტიპობრივად გამოხატვას. მხოლოდ ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ყელის ვულკანური ზეგანი, ჯავახეთის ქედი და ზოგიერთი სხვა, რელიეფის ეს ტიპი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

ყელის ზეგნის პერიგლაციალური წარმონაქმნები
Qeli Periglacial Forms

მდებარეობა. ახალგორის, ჯავის, ყაზბეგისა და დუშეთის რ-ნების მოსაზღვრე რეგიონი; ედისის, ბალაანის, კობისა და ქვეშეთის მიმდებარე ტერიტორიები, ყელის ვულკანური ზეგანი. ზღვის დონიდან 2600-3400 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ყელის ზეგანი თანამედროვე პერიგლაციალური (ყინვითი და მზრალობითი) რელიეფის ფორმების ერთ-ერთი უდიდესი მთლიანი არეალია კავკასიაში, რასაც ხელს უწყობს ვულკანიზმით შექმნილი მისი მოვაკებული ზედაპრიი და დიდი აბსოლუტური სიმაღლით (2600-3400 მ) შეპირობებული ცივი ჰავა.

პერიგლაციალური ფორმები აქ უამრავი და მრავალგვარია, მაგრამ მათგან დაცვას იმსახურებს შემდეგი წარმონაქმნები:

1. პოლიგონების განვითარების ადგილი ხარულის ქედის იმ აღმოსავლური ტოტის თხემზე, რომელიც ჰყოფს ყელის ლავური პლატოს ჩრდილო და სამხრულ ნაწილებს და აგებულია ზედაიურული კარბონატული ფიქლებით (სიმაღლე ზღვის დონიდან 3200-3300 მ). მრავალკუთხედების დიამეტრი აღწევს 1,5-3 მ.



2. ზეგნის აღმოსავლურ ნაწილში, არაგვისთავის სახელით ცნობილ ადგილში არსებული თერმოკარსტული ტბები, რომლებშიც, მათ ნაპირებზე ცხენის გავლისას, პატარა შადრევნები (გრიფონები) ჩნდება იმის გამო, რომ ტორფიანი ნიადაგი დამატებითი დატვირთვისას წნევას ახდენს მიწისქვეშა წყალზე. სიმაღლე — 2800-2900 მ.

3. „დაყოფილი პოლიგონები“ ხარულის ქედის დასავლეთით, მაღრან-დვალეთის ლავური პლატოს აღმოსავლურ ნაწილში (დიდ მრავალკუთხედებში „ჩახაზულია“ მიკროპოლიგონები).

მისასვლელი. ყელის ზეგანზე ასვლა შეიძლება მხოლოდ ფეხით და ცხენით. უადვილესი მისადგომებია სოფ. ერმანიდან და სოფ. მლეთიდან, ორივე შემთხვევაში დასაძლევია მნიშვნელოვანი აღმართი.

ინფორმაციის წყაროები: Маруашвили, 1960, 1971; Геоморфология Грузии, 1971;

ტრავერტინები
Travertines

წყაროების მიერ დალექილი კიროვანი ნივთიერება, ანუ ტრავერტინი საქართველოში ბევრგან გვხვდება. ხშირად გვხვდება მისი დანაგროვები ყაზბეგის, ჯავის, დუშეთისა და სხვა რაიონებში. ბევრ მათგანში აღმოჩენილია მცენარეთა ანაბეჭდები, რაც წარმოადგენას იძლევა მცენარეულობის ისტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ტრავეტინები გვხვდება არა მარტო კირქვებით აგებულ რეგიონებში, არამედ სხვა, უხსნადი ქანების გავრცელების არეებშიც (დართლო-თუშეთში, ჯუთა-ხევში). ეს მოწმობს გრუნტის წყლის მიერ კიროვანი ქანების გახსნას დედამიწის ღრმა ფენებში და ნაპრალებით ზედაპირზე ამოტანას, აგრეთვე იმასაც, რომ ზედაპირული უხსნადი წყებების ქვეშ ჩამოწოლილია ხსნადი ქანების ფორმაციები.

ბრითათის ტრავერტინები
Brithatha Travertines

მდებარეობა. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, ჯავის რ-ნი, დიდი ლიახვის აუზი, მდ. ბრითათი-დონის ხეობის ქვემო ნაწილი, სოფ. ბრითათასთან. ზღვის დონიდან 1900 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. სოფ. ბრითათის მიდამოებში და ნაწილობრივ თვით სოფლის ქვეშ კიროვანი ტრავერტინის დანაგროვებია. ზოგი მათგანი დღესაც განაგრძობს ზრდას, ზოგს კი შეუწყვეტია განვითარება. ტრავერტინები შეიცავს მცენარეთა ფოთლებისა და ღეროების ანაბეჭდებს. დანაგროვების სიმძლავრე რამდენიმე მეტრს აღწევს. ქვემო ბრითათასთან არის მინერალური ტბა (დიამეტრი 16-18 მ), რომელიც აირის გამოყოფისაგან თითქოს დუღს.

ბრითათა ტრავერტინების განვითარების ერთ-ერთი უპირველესი რეგიონია საქართველოში. ბრითათის ტრავერტინების წარმოშობა დაკავშირებულია ზედაიურულ კარბონატულ ფლიშთან.



მისასვლელი. სოფ. ქვემო ერმანიდან, რომელიც საავტომობილო გზით უკავშირდება ჯავას, ბრითათის ტრავერტინებამდე 5 კმ არის ცხენით ან ფეხით სასიარულო.

ინფორმაციის წყაროები: Устиев, Молева, 1933; Чихелидзе, 1961.

თრუსოს ტრავერტინები
Thruso Travertines

მდებარეობა. ყაზბეგის რ-ნი, თრუსოს ხეობა მდ. თერგის ზემო დინებაზე, ზღვის დონიდან 2100-2400 მ სიმაღლეზე.



დახასიათება. თრუსოს ხეობაში — კავკასიონის ჩრდილო ფერდობის გასწვრივ ტექტონიკურ-ეროზიულ ქვაბულში — ბევრგან არის წყაროების მიერ დალექილი კიროვანი ტრავერტინის დანაგროვები. ისინი მეტწილად დაკავშირებულია ზედაიურულ კარბონატულ წყებასთან.

ტრავერტინების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და თვალწარმტაცი ადგილსამყოფელი კასრისხევის ვიწრობის ზემოთაა, თერგის მარჯვენა სანაპიროზე. აქ ბლომადაა ინტენსიური განვითარების პროცესში მყოფი, წყლის მიერ მოდელირებული ტრავერტინული „მინდვრები“, თითქოს მოქარგული ზედაპირით. გამჭვირვალე წყალი თხელ ფენად ეფინება ამ თვალისმომჭრელ თეთრ ზედაპირს და აჩენს უამრავ მოკამკამე პაწია გუბეს. მიდიხართ ტრავერტინებზე და ფეხი თითქმის არ გისველდებათ, რადგან ფეხსაცმლის ლანჩები კიროვანი ტიხრების თხემებს ებჯინება. ეს ადგილი ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლეზეა. იგი დაშორებულია სოფ. კობს 9 კმ-ით (საავტომობილო გზით).

ტრავერტინის დანაგროვები თრუსოში კასრისხევის ქვემოთაცაა, სოფ. ოქროყანასთან (2050 მ ზღვის დონიდან). აქ ნაპოვნია მცენარეთა ანაბეჭდები, რომლებიც მოწმობს ამ რეგიონიში წინათ უფრო თბილი ჰავისა და ტყის არსებობას. მდ. ესიქომის ხეობაში, რომელიც თრუსოს ხეობას სოფ. აბანოს პირისპირ უერთდება (2350 მ ზღვის დონიდან), ზრდაშეწყვეტილი ძველი ტრავერტინები დაკარსტულია — მათში, დალექვის შემდეგ, ატმოსფერული წყლების მიერ გამომუშავებულია პატარა ძაბრები. ტრავერტინის დანაგროვები არის მდ. სუათისიდონის ხეობაშიც, ხოხის ქედის სამხრეთ ფერდობზე.

მისასვლელი. საავტომობილო გზატკეცილით სოფ. კობიდან.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1964, 1970; Виленкин, Ковалев, 1957, 1961.

ფსევდოკარსტი
Pseudokarst

ფსევდო კარსტი, ანუ ცრუ კარსტი საქართველოში ბევრგან გვხვდება და დაკავშირებულია სხვადასხვა არაკარბონატულ ქანთან, — თიხებთან, პიროკლასტოლითებთან, ქვიშაქვებთან. ფსევდოკარსტული რელიეფის ფორმები მხოლოდ გარეგნულად მოგვაგონებს კარსტულ ფორმებს.

ჭერმის კლდეები
Cheremi Rocks

მდებარეობა. მცხეთის რ-ნი, საქართველოს სამხედრო გზა, თბილისიდან მე-17 კილომეტრზე, სოფლებს: მუხათგვერდსა და დიღომს შორის, ზღვის დონიდან 550-600 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. მტკვრის ხეობის მარჯვენა ფერდობის კლდეებზე, რომლებიც აგებულია ოლიგოცენ-მიოცენის („მაიკოპის წყების“) არკოზული ქვიშაქვებით, ატმოსფერული ფაქტორების (წვიმების, ქარის) მოქმე-





დების შედეგად წარმოქმნილა — თავისებური ფსევდოკარსტული ფორმები. სახელწოდება „ჭერმის კლდეები“ მიგვითითებს ძველ სოფელ ჭერემზე, რომელიც, დიღმელი მოხუცების ცნობით, არსებობდა წინათ ამ ადგილზე.

ყურადღებას იპყრობს ბუნებრივი კამარა (სიგანე — 3,2 მ, სიმაღლე — 2,6 მ, თაღის სისქე — 0,7-1 მ), რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში „ჩაკიდულის“ სახელითაა ცნობილი. იქვეა რამდენიმე ათეული ქვაბისებური ფორმის ჩაღრმავება, რომელთა დიამეტრი 0,5 -1,5 მ უდრის. ცოტა მოშორებით, მშრალ ხევში შენახულია 3 მ სიგრძის ბუნებრივი ხიდი. არის სხვა უცნაური წარმონაქმნებიც. ყველა ეს ფორმა გამომუშავებულია წვიმის წყლისა და ქარის მიერ ერკოზული ქვიშაქვების დაშლით და მარცვლების გატანით.

ჭერმის კლდეების ორიგინალური ფორმების სახით ჩვენ ვხედავთ ცრუ კარსტის, ანუ ფსევდოკარსტის კარგ მაგალითს.

მისასვლელი. თბილისიდან 17 კმ-ის დაშორებით საქართველოს სამხედრო გზიდან დამრეცად ადის ბილიკი. როდესაც ხელმარცხნივ ბუნებრივი კამარა გამოჩნდება, უნდა გადავუხვიოთ მისკენ.

ინფორმაციის წყაროები: Маруашвили, Накашидзе, Гонгадзе, Бондырев, 1977.

კვარცის კრისტალები
Quartz crystals

კრისტალები დედამიწის არაორგანული ბუნების საოცარი ქმნილებებია. გავიხსენოთ თუნდაც მთის ბროლის მშვენიერი კრისტალები, რომელთაც ხშირად პოულობენ კავკასიონის ფიქლოვან რეგიონებში კვარცის ძარღვებთან. კვარცის საინტერესო კრისტალები დამახასიათებელია მაგმური ქანებისათვისაც. მათი საუცხოო მაგალითი საქართველოშიც არის.

სამშვილდის ინტრუზივი
Samshvilde Intrusion

მდებარეობა. თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ. სამშვილდესთან. სიმაღლე 1000 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. სამშვილდის მოდამოებში გაშიშვლებულიკვარცპორფირის ინტრუზივი (დედამიწის წიაღიდან ქერქში შემოჭრილი მაგმური სხეული) დიდი რაოდენობით შეიცავს ჩაწინწკლული მაგმური კვარცის ჰექსაგონალურ ბიპირამიდულ კრისტალებს.

ეს საოცრად ერთნაირი დაკუთხული კენჭები XVIII ს. დასაწყისში შენიშნა და აღწერა დიდმა ქართველმა მეცნიერმა, საქართველოს გეოგრაფიის ფუძემდებელმა ვახუშტი ბაგრატიონმა. იგი წერს: „აქ ჭივჭივასა ზედა არს კლდე სპეტაკი, და მისგან სცვივა ბროლი გათლილი კუთხედ, მწვეტი ორკერძოვე“.

კრისტალები იმდენად მრავალია, რომ მინერალოგიის მოყვარულს ან კოლექციონერს შეუძლია ნახევარი საათის განმავლობაში ასობით შეაგროვოს. კრისტალებისგან სამკაულებისა და სუვენირების დამზადება შეიძლება. გამორიცხული არ არის მათი გამოყენება ტექნიკაშიც.

ინტრუზივთან ახლოს სამშვილდის ისტორიული ნაქალაქარია.

მისასვლელი. ავტომობილით სოფ. სამშვილდის სანახებამდე.

ინფორმაციის წყაროები: ვახუშტი ბაგრატიონი, 1941; Лемлейн, 1930; Lemblein, 1929.



ნამარხი ტყე და ფაუნა
Fossil woods and fauna

ტყეების განამარხება მეტწილად გამოწვეულია ვულკანური ამოფრქვევებით და მათთან დაკავშირებული კონტინენტური ნაფენების სწრაფი დაგროვებით. საქართველოში ასეთი ძეგლები ჯერჯერობით რამდენიმე ადგილას არის ცნობილი. უფრო მეტი რაოდენობითაა გამოვლენილი ნამარხი ხერხემლიანების ფაუნის ადგილსამყოფლები.

ბენარის ნამარხი ფაუნა
Benara Fossil Fauna

მდებარეობა. ადიგენის რ-ნი, ახალციხის ქვაბულის სოფ. ბენარის მიდამოებში (სოფლიდან სამასიოდე მეტრის მანძილზე, გზის ჩრდილოეთით). აბს. სიმაღლე 1100 მ.

დახასიათება. ზედაოლიგოცენურ ხერხემლიანთა ნაშთები ქვიშაქვებში, რომლებიც მიეკუთვნება გოდერძის წყების ქვეშ და ლიგნიტიანი წყების თავზე განლაგებულ „ზედა ფერად წყებას“. ნამარხი ფაუნის შემადგენლობაშია ჰიენოდონი (მტაცებელთა გამქრალი რიგის — კრეოდონტების წარმომადგენელი), მარტორქათა მრავალი სახეობა, მათ შორის ბუმბერაზი ურქო მარტორქა (ხმელეთის ყველა დროის უდიდესი ძუძუმწოვარი), მესხოთერიუმი, ბრონთოთერიუმი, სქიზოთერიუმი, კოლოდონი (ტაპირების შორეული წინაპარი), პარაენტოლოდონი (შუალედური ფორმა ღორსა და მტაცებელს შორის), ანთრაკოთერიუმი და სხვ.



მისასვლელი. ქ. ახალციხიდან ადიგენ-აბასთუმნისაკენ მიმავალი საავტომობილო გზატკეცილით სოფ. ბენარამდე (მანძილი 15 კმ).

ინფორმაციის წყაროები: გაბუნია, 1962; Габуния, 1951; Габуния, Чихелидзе, 1960.

გოდერძის ნამარხი ტყე
Goderdzi Fossil Wood

მდებარეობა. ადიგენისა (მლაში) და ხულოს რაიონები (რიყეთი), მდინარეების — ქობლიანისა და აჭარისწყლის ზემო შემდინარეთა აუზები. ზღვის დონიდან 1600-2100 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. მდ. ძინძეს ხეობაში, გოდერძის უღელტეხილის შემოგარენში და არსიანის ქედის გადაღმა — აჭარაში ეროზიას გაუშიშვლებია გოდერძის ნეოგენური ვულკანოგენური წყება. ეს უკანასკნელი დიდძალ მცენარეულ ნაშთებს შეიცავს, რაც მოწმობს ვულკანური ამოფრქვევის დროს ამ ადგილას ტყის არსებობას.

„გოდერძის ფლორა“ შედგენილია ტროპიკული და ზომიერი ჰავისათვის დამახასიათებელი მცენარეების ნარევით (მარადმწვანე და ფოთოლცვენადი სახეობებით). აქ ნაპოვნია პალმები, მაგნოლიები, დაფნები, მირიკასებურნი, საპინდუსისებურნი, მირტისებურნი, — ერთი მხრივ, და ტირიფისებურნი, არყი, რცხილა, წიფლისებრნი — მეორე მხრივ. გოდერძის ფლორის ასაკს ქვედაპლიოცენურად განსაზღვრავენ. მცენარეული ნაშთები გამოსახულია ხეების გაქვავებული და ნახევრად გაქვავებული ღეროებით და ფოთლების ანაბეჭდებით, რომლებიც მოქცეულია ნაცრისფერ ვულკანურ ტუფში. ზოგიერთი ხე ვერტიკალურ მდგომარეობაშია დამარხული, ზოგი წაქცეულია.

გოდერძის ნამარხი ტყე მკაცრ დაცვას მოითხოვს მეცნიერული მნიშვნელობის გამო, მით უმეტეს, რომ არ ერიდებიან მის ხელყოფას, რადგან ხელნაკეთობისათვის გამოსადეგი მასალაა.



ნამარხი ტყის შესახებ იხ. აგრეთვე ტყარშეთი.

მისასვლელი. საავტომობილო გზატკეცილიდან, ადიგენიდან (10 კმ) ან ხულოდან (30 კმ).

ინფორმაციის წყაროები: უზნაძე, 1949; Виноградов-Никитин, 1912; Палибин, 1913-1914, 1937.

იაღლუჯის ნამარხი ფაუნა
Iagluja Fossil Fauna

მდებარეობა. გარდაბნის რ-ნი, იაღლუჯის მაღლობის აღმ. ნაწილში, ქ. რუსთავის პირისპირ (მტკვარგაღმა) ეროზიულ ხევში.

დახასიათება. ხევში გაშიშვლებული ნეოგენური (მეოტის — პონტური) ნალექები შეიცავს ნამარხ ძუძუმწოვართა ფაუნას. სადღეისოდ ამ ფაუნის შემადგენლობაში აღმოჩენილია ხმალკბილა ვეფხვის, მასტოდონტის, სამთითა ცხენის — ჰიპარიონის, მარტორქის, ჟირაფის, გრეხილრქიანი ანტილოპებისა და ფრინველების ნაშთები.



იაღლუჯის ფაუნის ადგილსაპოვებელს დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვს. ამგვარი პალეოზოოლოგიური ძეგლები მსოფლიოში რამდენიმეა, ყველა დიდი მნიშვნელობისაა.

მისასვლელი. თბილის-კიროვაბადის გზატკეცილის 26-ე კილომეტრზე ფეხით ჩადიან მტკვრისაკენ მიმართულ ეროზიულ ხევში.

ინფორმაციის წყაროები: Бурчак-Абрамович, Меладзе, 1972.

ქვაბების ნამარხი ფაუნა
Kvabebi Fossil Fauna

მდებარეობა. სიღნაღის რ-ნი, ივრის ზეგანი, ქვაბების მთის სერზე, სოფ. მაღაროდან 30 კმ.

დახასიათება. პლიოცენური (აღჩაგილური) ძუძუმწოვრების უნიკალური ადგილსაპოვებელი.

აქედან აღწერილი ფაუნა, რომელიც 3-4 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა, მიემსგავსება აფრიკის თანამედროვე ფაუნას. მის შემადგენლობაშია: სირაქლემა, ხმელეთის კუ, მაჩვზღარბი, ხმალკბილა ვეფხვი, მასტოდონტი, ჰიპარიონი, ურქო ძროხა, ხვეულრქიანი ანტილოპა, გიგანტური დამანი და სხვ.



მისასვლელი. სოფ. მაღარომდე მგზავრობა შეიძლება ავტომობილით. მას იქით კეთილმოუწყობელი გზაა.

ინფორმაციის წყაროები: გაბუნია, ვეკუა, 1978; Габуния, Векуа, 1968; Векуа, 1972.

ობსიდიანის საბადო
Obsidian occurences

პირველყოფილი ადამიანი საწარმოო იარაღების დასამზადებლად სარგებლობდა უმთავრესად კაჟით, როგორც ადვილად დასამუშავებელი და ადამიანისათვის სასურველი ფორმების მიმღები მასალით. მაგრამ იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივად არსებობდა ვულკანური მინის — ობსიდიანის მარაგი, ჩვენი წინაპრები ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ უპირატესობას. ამგვარი რეგიონების რიცხვს ეკუთვნის აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი და სხვ.

ჭიქიანის მთა
Chikiani Mountain

მდებარეობა. წალკისა და ბოგდანოვკის რ-ნების საზღვარი, ჯავახეთის ქედი, უღელტეხილ თიქმათაშის სამხრეთით, ზღვის დონიდან 2100-2415 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ჭიქიანის, ანუ ყოიუნ-დაღის მთა 2415 მეტრს აღწევს ზღვის დონიდან. ჩამქრალი ვულკანია, აგებული ნეოგენური ლიპარიტ-დაციტური ლავებით. ლავები გამსჭვალულია ობსიდიანის, ანუ ვულკანური მინის ძარღვებით. მზიან ამინდში ობსიდიანის გამოსავლები არეკლავენ მზის სხივებს და აელვარებენ მთას. მთის სახელი „ჭიქიანი“ დამოწმებულია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. „ჭიქა“ძველი ქართულით მინას ნიშნავს. მდ. ვერეს ხეობის ტერასებზე გაფანტულ ობსიდიანის ნატეხებს „ჭიქებს“ უწოდებენ.

ობსიდიანი აქ ნაირ-ნაირი ფერისაა — მოშავო, ნაცრისფერი, ყავისფერი და წითელი (ჭარბობს მოშავო, ნახევრადგამჭვირვალე სახესხვაობა).

ისტორიამდელ ხანაში ადამიანი ობსიდიანს საწარმოო იარაღების დასამზადებლად ხმარობდა. მთა ჭიქიანის ობსიდიანის ნაკეთობებს პოულობენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის გარეთ (აფშერონის ნახევარკუნძულამდე და ჩრდილოეთ კავკასიამდე). ჭიქიანის კალთებზე და განსაკუთრებით მის სამხრეთით მდებარე მთა საძროხეზე („ინიაკდაღ“) შემორჩენილია ობსიდიანის მოპოვებისა და მისგან იარაღის დასამზადებელი „სახელოსნოების“ კვალი. აქ წარმოდგენილი ნაკეთობების არქეოლოგიური ასაკი ცვალებადობს შუააშელურიდან ნეოლითურამდე.

მისასვლელი. დაბა წალკიდან უღ. თიქმათაშამდე მიდის საავტომობილო გზატკეცილი, შემდეგ ადიან მთაზე ფეხით და ცხენით.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, 1964; ქიქოძე, ქორიზე, 1978.



არეულშრეებრიობა
Mingled Stratifications

მეტეხის „არეულშრეებრივი კონგლომერატები“
Metekhi “Konglomerates of Mingled Stratification”

მდებარეობა. ქ. თბილისი და მისი შემოგარენი (მეტეხის ხიდიდან ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურამდე, მტკვრის მარცხენა ქარაფოვან ნაპირზე).

დახასიათება. ლოდბრექჩიები, რომლებითაც აგებულია მამადავითის ანტიკლინის თაღური ნაწილი და რომლებიც მიეკუთვნება შუა ეოცენის ზედა ჰორიზონტებს, გამოირჩევა ფრიად თავისებური სტრუქტურით. ჰერმან აბიხმა მათ „არეულშრეებრივი კონგლომერატები“ უწოდა. მეტეხის ტაძრის ქვეში, შვეულ გაშიშვლებაში მათი სიმძლავრე 40 მეტრია. ისინი აგებულია ქაოტურად განლაგებული ლოდებით, რომელთა სიგრძე 10-20 მ და ზოგან მეტიც არის, ხოლო სიგანე 1-2 მ-ს არ აღემატება. გვხვდება მცირე განზომილების ლოდებიც. ლოდებში ერთიმეორეს მორიგეობით ენაცვლება არგილიტების, ტუფების, ტუფოგენური ქვიშაქვებისა და მერგელების შრეები. ამავე ქანებითაა აგებული ლოდბრექჩიების აუშლელი შრეებრივი საგები, რომელიც მტკვრის წყალმცირობისას გამოჩნდება ხოლმე წყლის



დონის ზევით. ქანები ლოდბრექჩიებთან კონტაქტში ხშირად აგლეჯილია შრეებრიობის ზედაპირზე. შრე ზოგჯერ ცალი მხრიდანაა აგლეჯილი, ზოგან კი ორივე მხრიდან.

„არეულშრეებრივი კონგლომერატების“ წარმოშობის შესახებ რამდენიმე განსხვავებული შეხედულება არსებობს. გ. ძოწენიძის აზრით, ამ ქანების წარმოქმნა ხდებოდა ისეთ ზღვიურ აუზში, სადაც მიმდინარეობდა ინტენსიური ვულკანური მოქმედება, მძლავრი მიწისძვრები, ცუნამის ტიპის ტალღების გაჩენა, წყალქვეშა მეწყრები და სხვა დინამიკური პროცესები.

მისასვლელი. „არეულშრეებრივი კონგლომერატების“ დათვალიერება ადვილად შეიძლება მდ. მტკვრის მოპირდაპირე (მარჯვენა) ნაპირიდან.

ინფორმაციის წყაროები: ჯანელიძე, სხირტლაძე, რუბინშტეინი, 1955; Абих, 1870; Дзоценидзе, 1969.

ტალახის ვულკანები
Mud volcanoes

ტალახის ვულკანები — სხვაგვარად ფსევდო ანუ ეგზოვულკანები (სალზები) გვხვდება საქართველოს მხოლოდ უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში (კახეთში), ივრის ზეგანზე, გომბორის ქედის მიდამოებში და ოცზე მეტია. სიდიდით კახეთის ტალახის ვულკანები ვერ შეედრება აზერბაიჯანისას; მიუხედავად ამისა მას გარკვეული მეცნიერული და სამკურნალო ღირებულება გააჩნია.

მეორე ახტალის (ქილაკუპრის) ტალახის ვულკანი
Meore Akhtala (Kilakupra): mud volcano

მდებარეობა. დედოფლისწყაროს რ-ნი, ივრის ზეგანზე, ქვაბების სერის ჩრდილოეთ ფერდობებთან. სიმაღლე ზღვის დონიდან 450 მ.

დახასიათება. მოგრძო, ბრტყელთხემიანი მოთეთრო ბორცვი (შეფარდებითი სიმაღლე 15-20 მ); ფერდობები დანაწევრებულია ვიწრო და ღრმა ხრამებით, რომლებიც, ერთი შეხედვით, ნამდვილი ვულკანის ბარანკოსებს მოგვაგონებს. ვულკანის თხემურ სიბრტყეზე, რომლის ფართობი 2-3 ჰექტარს უდრის, განლაგებულია თერთმეტამდე მოქმედი სასულე, მათგან გამუდმებით ამოედინება ტალახი და გაზი. უდიდესი სასულის დიამეტრი 2-2,5 მ აღწევს.



ვულკანს გარს უვლის მშრალი ხევი, რომელშიც ზოგჯერ ერთ ნაკადად თავს იყრის ზემოხსენებული სასულეებიდან ჩამონადენი ტალახი.

ბორცვი და მისი მიდამოები აგებულია აღჩაგილური ნაცრისფერი და ღია მურა თიხებით, რომლებთანაც მორიგეობს კონგლომერატები, ფხვიერი ქვიშაქვები და ნაცრისფერი ქვიშიანი თიხები.

მეორე ახტალის ტალახს სამკურნალოდ იყენებენ ადგილობრივი მცხოვრებლები.

მისასვლელი. რაიონულ ცენტრ დედოფლისწყაროდან სოფ. გამარჯვებაში (9 კმ) და იქიდან შარაგზით ვულკანამდე (10 კმ) შეიძლება ავტომობილით მისვლა. თბილისიდან გამარჯვებამდე მგზავრობა შეიძლება რკინიგზითაც.

ინფორმაციის წყაროები: უკლება, 1954; Гижимкрели и др., 1933; Эбралидзе, 1967.

ფორფოტები — ტალახის ვულკანი
Porpotebi: mud volcano

მდებარეობა. სიღნაღის რ-ნი, სოფ. ბოდბესთან, ჩათმის ველი, ივრის მარჯვენა სანაპიროზე, ყაჯირის ტბის ჩრდილოეთით. სიმაღლე 450 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ვაკეზე ამართული 20 მ სიმაღლისა და 400 მ დიამეტრის მქონე ბორცვი. ზედ განლაგებული 2-3 მოზრდილი წრიული ტალახის „კრატერი“. კრატერები მუდმივად მოქმედებს. არის უფრო მცირე სასულეებიც, რომლებიდანაც ნავთობი და აირი გამოდის. ადგილი აგებულია სარმატული ქვიშაქვითა და თიხით. სახელწოდება წარმოდგება „ფორფოტისაგან“, რაც ქართლკახურ კილოკავში ფუსფუსს ნიშნავს.

მისასვლელი. სოფ. ბოდბიდან მანქანით 35 კმ სამხრეთისაკენ. მდ. ივრის გადასალახავად სარგებლობენ ფონით.

ინფორმაციის წყაროები: Гижимкрели и др., 1933; Эбралидзе, 1967; Кудрявцев, 1932.

კარული ველები
Clints fields

კარსტისათვის დამახასიათებელი ზედაპირული მიკროფორმებია. საქართველოში ისინი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ცალკეულ რეგიონებში (არაბიკას, ბზიფის ქედის და სხვა კირქვულ მასივებზე) გავრცელებული კირქვული ველები.

თავისი სუბსტრატის (კირქვების) ხასიათის, გეოლოგიური ასაკისა და სხვა ფაქტორების გავლენით კარები ანუ შრატები მორფოგრაფიულად დიდმრავალგვაროვნებას იჩენენ და მთელ რიგ ტიპებს ქმნიან.

გელგელუქის კარული ველი
Gelgeluki Clints Field

მდებარეობა. გაგრის რ-ნი, არაბიკას კირქვული მასივი გელგელუქის ბინების ზემოთ, „შრატული ველის ხეობაში“. სიმაღლე 2000-2100 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ქვედაცარცული მასივი კირქვის 10-15 მ სისქის შრის 20°-ით დახრილი შიშველი ბრტყელი ზედაპირი 6 ჰექტარ ფართობზე დაღარულია შრატებით, ე.ი. კოროზიული წარმოშობის ღარებით. საოცარი სანახაობაა ეს ზედაპირი! შრატები ზოგან ზედაპირის დახრილობის მიმართულებით ურთიერთპარალელურადაა გაჭიმული, ზოგან კი ლაბირინთივით იტოტება და გაყოფილია კირქვის ვიწრო ტიხრებით. მათი სიღრმე მეტწილად 1-1,5 მ უდრის, მაგრამ ალაგ-ალაგ მათ ფსკერზე იხსნება 8-10 მ და მეტი სიღრმის ჭები. შრატები გამომუშავებულა უკანასკნელი გამყინვარების მაქსიმუმის შემდეგ. შრატული ზედაპირების კლასიკური ნიმუშია. აქვე ახლოსაა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. კარსტული თოვლყინულიანი უფსკრული.

მისასვლელი. გაგრიდან სოფ. ბაღნარამდე, რომელიც მდებარეობს მდ. ხაშუფსეს ხეობაში, დადის ავტობუსი. აქედან ხე-ტყის საზიდი საავტომობილო გზა ადის საზაფხულო ფერმებამდე. ამის შემდეგ გელგელუქისაკენ და იქიდან კარული ველისაკენ მგზავრობა შეიძლება ცხენით ან ფეხით. საბანაკო ადგილად გამოდგება გელგელუქის მიდამო, სადაც მძლავრი წყარო და ბალახოვანი ვაკეა.

ინფორმაციის წყაროები: მარუაშვილი, ტინტილოზოვი, ჩანგაშვილი, 1961; ტინტილოზოვი, ჩანგაშვილი, ოქროჯანაშვილი, 1965.



ჰიდროგრაფიული ძეგლები
HYDROGRAPHIC MONUMENTS

ტბები
LAKES

საქართველოში ტბების სიუხვით გამოირჩევა მხოლოდ ჯავახეთისა და ყელის ზეგნები, ნაწილობრივ — კოლხეთის დაბლობი. იშვიათია მინერალური წყლის შემცველი ტბები. ორი მათგანი (იხ. აბანოს მინერალური ტბა და ბრითათის ტრავერტინები) შეტანილია „წითელ წიგნში“.

აბანოს მინერალური ტბა
Abano Mineral Lake

მდებარეობა. ყაზბეგის რ-ნი, თრუსოს ხეობა, თერგის მარცხენა ნაპირზე ს. აბანოს აღმოსავლეთით, 2300 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

დახასიათება. ნახშირორჟანგიანი აღმავალი წყარო ზედაიურული კარბონატული ქანებიდან დედამიწის ზედაპირზე ამოსვლის ადგილას ქმნის პაწია ტბას, რომელიც შფოთიანად, ხმაურით „დუღს“ ნახშირორჟანგა აირის ბუშტებისაგან. წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიან ტიპს. აირის წნევის ძალით წყალი აიტყორცნება 10-15 სმ სიმაღლეზე. ტბის ზედაპირს საამური ლაჟვარდი ფერი აქვს (კარგად მოჩანს თერგის გაღმიდანაც). წყაროს დებიტია 2,5 მლნ. ლიტრი დღე-ღამეში.



აირის გამოყოფა უქარო ამინდში ჰაერის ქვედა ფენებში ნახშირორჟანგის დაგროვებას იწვევს. პატარა ცხოველები ტბასთან მიახლოვებისას იგუდებიან და ამიტომ აქ ყოველთვის შეიძლება ნახოთ დაღუპული თაგვების, ხვლიკების, ბაყაყებისა და ჩიტების გვამები.

მინერალური ტბის შესახებ იხ. აგრეთვე ბრითათა.

მისასვლელი. ს. აბანომდე ზაფხულობით შეიძლება ავტომობილით მისვლა სოფ. კობიდან (12 კმ). სოფლიდან მინერალურ ტბამდე 2 კმ თერგის რიყეზეა სავალი.

ინფორმაციის წყაროები: Цулукидзе, 1873; Ренгартен, 1932; Чихелидзе, 1931.

ბატეთის ტბა
Batethi Lake

მდებარეობა. ქარელის რ-ნი, მდ. ძამას აუზი, სოფ. ბატეთის მიდამოებში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1313 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. კლასიკური მეწყრული ტბა. სარკის ფართობი 0,02 კვ. კმ, მაქსიმალური სიღრმე — 12 მ, სიგრძე — 190 მ, სიგანე — 150 მ. გარშემორტყმულია წიწვნარ-წიფლნარი ტყით შემოსილი მთის ფერდობებით. წყალი გამჭვირვალეა და მტკნარი. ტბიდან გამოდის ნაკადული. მეწყერი, რომელმაც ტბა წარმოშვა, სამხრეთიდანაა ჩამოსული, გამოირჩევა ოღროჩოღრო ზედაპირით და დაფარულია მაღალი ტყით. ტბა დეკემბრიდან მარტამდე ყინულითაა დაფარული. ტბაში ცხოვრობს კალმახი.

მისასვლელი. რაიონულ ცენტრ ქარელიდან საავტომობილო გზატკეცილით ბატეთამდე (25 კმ). შემდეგ ხვეული აღმართია, სადაც ყველა ტიპის მანქანა ვერ ადის (საჭიროა ორდიფერიანი ავტომანქანა). ბატეთიდან ტბამდე 1,4 კილომეტრია.

ინფორმაციის წყაროები: Апхазава, 1975.



ერწოს ტბა
Ertso Lake

მდებარეობა. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, ჯავის რ-ნი, მდ. ყვირილის სათავე, რაჭისა და ლიხის ქედების შესაყართან, სოფ. ერწოსთან. ზღვის დონიდან 1170 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ტექტონიკურ-კარსტული წარმოშობის ტბაა ზედაიურულ კირქვებში. სარკის ფართობი — 0,31 კვ. კმ, წყლის მოცულობა — 650.000 კუბ. მ, უდიდესი სიღრმე — 19 მ, საშუალო სიღრმე — 2,1 მ, წყალშემკრები აუზის ფართობი — 5,85 კვ. კმ.

ტბა მოთავსებულია ტექტონიკურ ქვაბულში, რომლის ფსკერი ინტენსიურად დაკარსტულია. კარსტული ძაბრებით დაცხრილულია როგორც ტბის სანაპიროები, ისევე მისი ფსკერიც. ტბის წყლით გამოვსებულია 4 კარსტული ძაბრი, მათი შემჩნევა მახლობელი მთებიდანაც შეიძლება (მაგალითად, ცხინვალ-ონის საავტომობილი გზიდან). 5-19 მ სიღრმის მქონე ძაბრები ტბის ფსკერს უსწორმასწოროს ხდიან. ძაბრებს შორის მდებარე წყალქვეშა სერის თავზე ტბის სიღრმე არ აღემატება 1-1,5 მ, ხოლო დაბალი დონის დროს ეს სერები თითქმის მთლიანად შიშვლდება. ერწოს ტბა საზრდოობს ძირითადად ლანქერი და წვიმის წყლებით. მიწისქვეშა წყლების როლი ტბის მომარაგებაში შედარებით მცირეა. წყალი ტბიდან გაედინება მიწისქვეშა გზით იმ დაბალი კირქვული სერის ნაპრალებში, რომლებიც გამოყოფს ტბას ერწოს ქვაბულის უფრო სამხრეთული ნაწილისაგან. ტბის წყლით საზრდოობს ყვირილის მარცხენა შენაკადი მდ. ერწოსწყალი. მიწისქვეშა განადენის არსებობა იწვევს ტბის დონის მნიშვნელოვან რხევას, რომლის წლიური ამპლიტუდა 2-2,5 მ აღწევს.

ტბის წყალი სუსტად მინერალიზებულია. ზამთრობით ერწოს ტბა თითქმის 5 თვის განმავლობაში ყინულით არის დაფარული.

მისასვლელი. ტბის სიახლოვეს გადის ცხინვალ-ონის საავტომობილო გზატკეცილი.

ინფორმაციის წყაროები: Апхазава, 1975.

რიწის ტბა
Ritsa Lake

მდებარეობა. გუდაუთის რ-ნი, მდ. ბზიფის აუზი, მდინარეების — ლაშიფსე-იუშარას ხეობა. 884 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. კლდეზვავით შეგუბებული ტბა, გა-





ჩენილი მ. ფშეგიშხის ჩამონგრევით. ტბის სარკის ფართობი 1,49 კვ. კმ, წყლის მოცულობა — 94 მლნ კუბ. მ, უდიდესი სიღრმე — 101 მ, საშუალო სიღრმე — 63,1 მ. წყალშემკრები აუზის ფართობი — 154 კვ. კმ. ამიერკავკასიის უღრმესი ტბა. ტბას ერთვის მდ. ლაშიფსე. ზედაპირული განადენი რიწას არ გააჩნია. წყალი იჟონება ბუნებრივ საგუბარში და წარმოქმნის მდ. იუფშარას. ამასთან დაკავშირებით ტბას ახასიათებს დონის რხევის მნიშვნელოვანი ამპლიტუდა (საშუალოდ 1,66 მ, მაქსიმალურად 2,34 მ).

ტბის წყლის უმცირესი თვიური ტემპერატურა (იანვარში) 3,2°-ია, უთბილესი კი (აგვისტოში) 17,6°. ზედაპირული ფენის ტემპერატურა 28,8° აღწევს. წყალი ძალიან მტკნარია (66 მგ/ლ) და მიეკუთვნება ჰიდროკარბონატული კლასის კალციუმიან ჯგუფს. ტბა მდიდარია ფიტოპლანქტონით. თევზებიდან მხოლოდ კალმახია.

ტბის სანაპიროები გარშემორტყმულია მთის ფერდობებით, რომლებიც დაფარულია წიწვიანი და შერეული ტყეებით, მათ თავზე კი ალპური მდელოებია, რის გამოც რიწა ერთ-ერთ ულამაზეს ტბად ითვლება კავკასიაში.

მისასვლელი. რიწის ტბა საავტომობილო გზით დაკავშირებულია, ერთი მხრივ — შავი ზღვის სანაპიროსთან (სოფ. ბზიფთან, გაგრასა და გუდაუთას შორის) და მეორე მხრივ — კურორტ აუადხარასთან.

ინფორმაციის წყაროები: აფხაზავა, 1971; Морозова-Попова, 1914; Апхазава, 1975; Рейнгард, 1914.

ტაბისყურის ტბა
Tabisquri Lake

მდებარეობა. ბორჯომისა და ახალქალაქის რ-ნების საზღვარზე, სოფელ ტაბაწყურისა და კოჭიოს ტერიტორიები, ჯავახეთის ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლური ნაწილი. 1190 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ტექტონიკურ-ვულკანოგენური წარმოშობის წყალსატევი მიწისქვეშა განადენით. წყალი მტკნარია. ფართობი 14,42 კვ. კმ, უდიდესი სიღრმე 40 მ. იყინება ნოემბერ-დეკემბერში, ყინულისაგან თავისუფლდება აპრილ-მაისში. ტბის სათავსი და ნაპირები აგებულია ნეოგენ-ანთროპოგენის ვულკანური ქანებით. ტბა მდიდარია ფლორითა და ფაუნით. ტაბისყურის კალმახთან ერთად ტბაში ბინადრობს ხელოვნურად შემოყვანილი თევზები (ჭაპალა, სევანის იშხანი). ნეოლითურ ხანაში ტბაზე არსებობდა პირველყოფილი ადამიანის ხიმინჯებიანი სამოსახლო, რასაც მოწმობს კუნძულისა და მასთან მისასვლელი წყალქვეშა ბილიკის ნაშთების არსებობა ტბის ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში.

მისასვლელი. საავტომობილო გზატკეცილი ბაკურიანიდან (25 კმ სოფ. ტაბაწყურამდე). შეიძლება გადასვლა წალკიდან და ახალქალაქიდანაც.

ინფორმაციის წყაროები: Каврайский, 1901; Апхазава, 1975.



ყვარაშის ტბა
Qvarashi Lake

მდებარეობა. აფხაზეთი, გულრიფშის რ-ნი, ჩხალთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლური ფერდობი, მდ. ჩხალთის მარჯვენა შენაკადის — ყვარაშის სათავე, ზღვის დონიდან 2164 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ტბა მოთავსებულია ძველმყინვარულ ცირკში, რომელიც აგებულია ბაიოსური ვულკანოგენური წყებით და ჩაკეტილია დიდი „ვერძის შუბლით“. ტბის ფართობია 0,08 კვ. კმ, მოცულობა 560.000 კუბმეტრი, უდიდესი სიღრმე — 15,6 მ, საშუალო სიღრმე — 7,7 მ. წყალშემკრები აუზის ფართობი — 2,8 კვ. კმ.

ტბას ორი შენაკადი აქვს. ტბიდან გაედინება მდ. ყვარაში. ტბის წყალი მტკნარი, წმინდა და გამჭვირვალეა (გამჭვირვალობა 9 მ-მდე). ფერი — მოლურჯო.

წყალი ტბაში ზაფხულობით ზედაპირზე 15-16°-მდე თბება; ფსკერთან ტემპერატურა დაახლოებით 4° უდრის. ნოემბრიდან მაისამდე ტბა ყინულის სქელი ფენითაა დაფარული.

ტბაში ბევრი კალმახია. ყვარაში ყველაზე მაღლა მდებარე თევზიანი ტბაა საქართველოში. მისი შემოგარენი ულამაზესია. აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალთა და მყინვართა თვალწარმტაცი პანორამა იშლება.

მისასვლელი. სოფ. ჩხალთადან, რომელიც სოხუმ-აჟარის საავტომობილო გზატკეცილზე მდებარეობს, შეიძლება ავტომობილით მისვლა კურორტ აძგარამდე, საიდანაც ყვარაშის ტბამდე საცალფეხო ბილიკით სავალი 12 კმ რჩება.

ინფორმაციის წყაროები: Апхазава, 1975.



ვოკლუზები
Vauclusian Springs

ვოკლუზები ეწოდება მძლავრ წყაროებს, რომლებიც დამახასიათებელია ვულკანოგენური, კარსტვადი და ალუვიური წყებებისათვის. საქართველოში ასეთი დიდდებიტიანი წყაროები ასობითაა. კირქვული ვოკლუზები გვხვდება კავკასიონზე და მის მთისწინეთში (უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში), ხოლო ლავებთან დაკავშირებული ვოკლუზები ძირითადად სამხრეთ საქართველოშია გავრცელებული (ჯავახეთი, ქვემო ქართლი).

მჭიშთის ვოკლუზი
Mchishtha Vauclusian Spring

მდებარეობა. აფხაზეთი, გუდაუთის რ-ნი, სოფ. ოთხარას ტერიტორია, ზღვის დონიდან 70 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. კარსტული ვოკლუზი, რომელიც ასაზრდოებს მდ. მჭიშთას, ანუ შავწყალას, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს მიწისქვეშა მდინარედ ითვლება. მისი საშუალო წლიური ხარჯი, ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე, უდრის 9,12 კუბ. მ/წმ, ხოლო მაქსიმალური ხარჯი (დაახლოებით 100 წელიწადში ერთხელ) აღემატება 300 კუბ. მ/წმ. იგი უნდა იკვებებოდეს ბზიფის ქედის ქვეშ არსებული ვრცელი და რთულად დატოტვილი მღვიმური სისტემის წყლებით.

მჭიშთა გამოჰქუხს ბარემული (ქვედაცარცული) კირქვების მაღალი ქარაფის ძირში. ეს ადგილი ჭეშმარიტად იშვიათ სანახაობას წარმოადგენს. ქარაფში მოჩანს რამდენიმე სართულად განლაგებული, კედელამოშენებული ფარდულები, რომლებიც შუა საუკუნეებში ბერებით ყოფილა დასახლებული (ე.წ. მჭიშთის მღვიმური მონასტერი).

მისასვლელი. მჭიშთის სათავე სოხუმ-სოჭის გზატკეცილიდან 3 კმ-თ არის დაშორებული. საავტომობილო გზიდან 200-300 მ მანძილი რჩება ფეხით სასიარულო (ბილიკი).

ინფორმაციის წყაროები: Владимиров, 1962; Пачулия, 1965.

ოლიანგის ვოკლუზი
Oliangi Vauclusian Spring

მდებარეობა. წალკის რ-ნი, ზემო წალკა, სოფ. ბერთა. ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. ძველი ეკლესიის ქვეშ ვულკანური წყებიდან გამომდინარე დიდდებიტიანი ანკარა წყაროა, რომელზეც უხსოვარი დროიდან მოწყობილია ქვის აუზი. ამ აუზში ძველთაგანვე ბინადრობს კალმახები. დიდი, მსუქანი, ზურგდახავსებული კალმახები თავისი ჯიშისათვის უჩვეულო სიზანტით დაცურავენ აუზში. თევზებს თავისუფლად შეუძლიათ მიატოვონ აუზი და გამდინარე ნაკადულით გავიდნენ მდ. ქციაში, მაგრამ არ ტოვებენ აუზს. ეს უნდა აიხსნებოდეს კალმახების





ადამიანთან შეგუებით. ადგილობრივი მოსახლეობა აუზს თევზებითურთ საკულტო ობიექტებად თვლის, მკაცრად იცავს თევზებს საშიშროებისაგან და საკვებით ამარაგებს. მათზე ყოველთვის გაპიროვნებულია სპეციალური მეთვალყურე-მომვლელი.

ადგილობრივი ბერძენი მოსახლეობის გადმოცემით, ოლიანგის აუზი კალმახებიანად უკვე არსებობდა 1829 წლამდე (პასკევიჩის მიერ თურქეთიდან ბეძნების გადმოსახლებამდე). ვახუშტი ბაგრატიონის რუკის თანახმად, ოლიანგის ადგილას XVIII ს. პირველ ნახევარში არსებობდა ქართული სოფელი მაჩვთა („მაჩუთა“). შესაძლებელია, რომ აუზი კალმახებიანად თავდაპირველად ადგილობრივი ფეოდალისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო კულტის საგნად უფრო მოგვიანებით გადაიქცა.

მისასვლელი. ოლიანგში მიდის საავტომობილო გზატკეცილი წალკიდან (მანძილი 20 კმ).

ინფორმაციის წყაროები: ჩიქოვანი, 1976; ხარაძე, 1972; Маруашвили, 1978.

ქეთერისის მინერალური ვოკლუზი

Ketherisi Mineral Vauclusian Spring

მდებარეობა. ყაზბეგის რ-ნი, თრუსოს ხეობა, სოფ. ქეთერისი (კეტერსი, კეტრისი), ზღვის დონიდან 2300 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. კავკასიონის მთავარი ქედის ძირში, ლავური ლოდნარის ქვეშ, ზედაიურული კარბონატული ფლიშიდან გამოედინება მძლავრი წყაროების ჯგუფი, რომელსაც მკვლევარებმა „ნარზან-ვოკლუზი“ უწოდოს. ეს ადგილი მდებარეობს სოფ. ქეთერისის სამხრეთ-დასავლეთით, 0,5 კმ მანძილზე. წყარო დღე-ღამეში იძლევა 25-30 მილიონ ლიტრ ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან წყალს, რაც შეესაბამება 300-350 ლ/წმ. მისგან სათავეს იღებს მდინარე, რომელიც გაედინება სოფ. ქეთერისზე, სადაც მინერალურ წყალზე წისქვილთა კასკადია გამართული.

მისასვლელი. სოფ. ქეთერისში მისვლა შეიძლება ავტომობილით კობიდან (მანძილი 9 კმ). აქედან ფეხით 0,5 კმ წყაროებამდე.

ინფორმაციის წყაროები: Ренгартен, 1932; Чихелидзе, 1961.



ჩანჩქერები

Waterfalls

საქართველოში მთის მდინარეები ბევრგან აჩენს ჩანჩქერებს. განსაკუთრებით ხშირია ჩანჩქერები კირქვული კარსტის, ახალგაზრდა ვულკანიზმისა და ძველი გამყინვარების რეგიონებში, რაც გამოწვეულია ამ ფაქტორების მიერ მდინარეთა ტალვეგების წონასწორობის პროფილების დარღვევით. „წითელ წიგნში“ შეტანილი ჩანჩქერების გარდა, დაცვა-კეთილმოწყობას იმსახურებს მრავალი სხვა ჩანჩქერიც (მაგალითად, ლაგოდეხის ნაკრძალში, ყაზბეგის რაიონში, აფხაზეთში და ა.შ.).

აბაშის ჩანჩქერი

Abasha Waterfall

მდებარეობა. მარტვილის რ-ნი, ასხის კირქვული მასივი, მდ. აბაშის სათავეები, 760 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. მდ. აბაშის ზემო დინების მარცხენა შენაკადი კირქვის ქარაფში გამოდის მღვიმიდან და იქვე ეცემა 30 მ სიმაღლიდან. მოგუგუნე წყალვარდნილს ძირში გაუჩენია ორმო, რომლის დიამეტრი 12 მეტრია. წყალი ორმოში მდუღარესავით ბობოქრობს. ჩანჩქერის შხეფებში ხშირად ცისარტყელა წარმოიშობა.

მთავარი ჩანჩქერის მარჯვნივ არის კიდევ ორი სხვა მომცრო ჩანჩქერი. ჩანჩქერებს დაჰყურებს 200 მ სიმაღლის კირქვული ქარაფი.

ჩანჩქერის მიდამოები აგებულია ზედაცარცული კირქვებით და ხშირი ტყითაა შემოსილი. ყურადღებას იპყრობს ბზის სქელი ტევრები, რომლებშიც საკმაოდ ძნელია გავლა.



იმავე სანახებში მდებარეობს ადგილი რაჩხა კარსტული წყლების უხვი გამოსავლებით, ტყეში მოჩუხჩუხებს ანკარა ნაკადულები.

მარტვილის რაიონის ტერიტორია ჩანჩქერების სიუხვით პირველ ადგილზეა მთელ საქართველოში.

მისასვლელი. სოფ. ბალდიდან ადგ. რაჩხამდე მიდის 7 კმ სიგრძის საავტომობილო გზა. აქედან 1,5 კმ რჩება აბაშის ჩანჩქერამდე, რომელთანაც მხოლოდ ქვეით მგზავრს შეუძლია მისვლა.

ინფორმაციის წყაროები: ჩანგაშვილი, 1963.

გეგის ჩანჩქერი
Gega Waterfall

მდებარეობა. აფხაზეთი, გაგრის რ-ნი, არაბიკას კარსტული მასივის სამხრეთ-აღმოსავლური სექტორი, მდ. გეგას აუზი. 650 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. 50 მ სიმაღლის ჩანჩქერი მდ. გეგის შესართავიდან 6 კმ მანძილზე, რიწის ტბის გზატკეცილიდან 4 კმ დაშორებით.

წყალი გამოდის ზედაიურული კირქვის ჰორიზონტალური ნაპრალიდან სამ ნაკადად, რომელთა ერთობლივი დებიტი მერყეობს 0,5-დან 2,5 კუბ. მ/წმ ფარგლებში.

ჩანჩქერი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ზაფხულობით დიდძალი ხალხი მიდის მის სანახავად და მის ძირში დასასვენებლად. მიდამო შემოსილია კოლხური ტყით. ჩანჩქერის ძირში არის მოხერხებული მოედანი ავტომანქანის გასაჩერებლად.

მისასვლელი. ჩანჩქერთან მისვლა შეიძლება რიწის გზიდან ავტომობილით.

ინფორმაციის წყაროები: ტინტილოზოვი, 1969.



ერეთოს ჩანჩქერი
Eretho Waterfall

მდებარეობა. დუშეთის რ-ნი, სოფ. ქვეშეთთან, ყელის ვულკანური ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლურ კიდესთან, თეთრი არაგვის შენაკადზე — ერეთოს წყალზე, სიმაღლე 2550 მ ზღვის დონიდან.

დახასიათება. ლავის ქარაფიდან გადმომქუხარე ჩანჩქერი. სიმაღლე — 20 მ. მაღალი თეთრი სვეტის სახით მოჩანს საქართველოს სამხედრო გზატკეცილის მონაკვეთიდან სოფ. გუდაურსა და ჯვრის უღელტეხილს შორის (ზვავამრიდ დერეფნებთან მდებარე პუნქტებიდან).

მდ. ერეთოსწყალი სათავეს იღებს ყელის ზეგნის იმ ნაწილში, რომელსაც არაგვისთავი ეწოდება. მდინარე ჯერ წყნარად გაედინება ლავური პლატოს ზედაპირზე და შემდეგ ჩანჩქერად ეცემა ღრმა ხეობაში.

მისასვლელი. სოფ. მლეთიდან არაგვის ხეობის აღმა, სოფლების — განისისა და მექეთის გავლით, საცხენე ბილიკით, არაგვისთავის მიმართულებით (მანძილი





13 კმ, სიმაღლეთა სხვაობა 1200 მ). მარშრუტი მეტწილად გადის ალპურ მდელოებზე (სოფ. განისას, შემდეგ იწყება აღმართი). გზის გაუმჯობესებასთან ერთად, საჭირო იქნება ჩანჩქერებთან მისადგომი კიბეებისა და გადასახედი მოედნების მოწყობა.

ოჩხომურის ჩანჩქერი
Ochkhomuri Waterfall

მდებარეობა. მარტვილის რ-ნი, სოფელ კურზუსთან, მიგარიას კირქვული მასივი, მდ. ოჩხომურის სათავე. ზღვის დონიდან 800 მ სიმაღლეზე.

დახასიათება. მიგარიას მთა ოდიშის ჩრდილოეთ ნაწილში მრავალმხრივ არის ღირშესანიშნავი. მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ოჩხომურის ზემო დინებაზე არსებული ჩანჩქერი. გარდა ამისა, მიგარიაზე იშვიათი რელიქტური მცენარეების (მაგალითად, მეგრული არყის, სოხაძის როდოდენდრონისა და სხვ.) ადგილსამყოფლებია. აქვეა არჩვების იზოლირებული თავშესაფარი მდ. ხიფაღალის სათავის კლდეებში და ა.შ.

ჩანჩქერის ერთობლივი სიმაღლე 100-120 მეტრია. იგი შედგება სამი საფეხურისაგან, მაგრამ შორიდან შეხედვისას ერთ მთლიან ბროლის სვეტად გამოიყურება. საფეხურების ძირში პატარა ტბებია, რომლებშიც ანკარა წყალი მდუღარესავით ბობოქრობს. ჩანჩქერი ხშირი კოლხური ტყით მოსილ ადგილშია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის სილამაზეს.

მისასვლელი. ოჩხომურის ჩანჩქერთან მისვლა შეიძლება მარტვილის რაიონის სოფ. კურზუდან მდ. ოჩხომურის ხეობის აღმა მიმავალი ბილიკით (მანძილი 3 კმ). კურზუ საავტომობილო გზებით დაკავშირებულია მარტვილთან, წალენჯიხასა და ჩხოროწყუსთან.

ინფორმაციის წყაროები:Маруашвили, 1975.

ტობის ჩანჩქერები
Toba Waterfalls

მდებარეობა. მარტვილის რ-ნი, სოფ. გაჭედილთან, ასხის კირქვული მასივის სამხრეთ-დასავლეთის სექტორი, მდ. აბაშის მარცხენა შენაკადის — ტობას სათავის მიდამოები. აბს. სიმაღლე 600-800 მ.

დახასიათება. ტობას სათავეში ამართული ზედაცარცული კირქვის ქარაფი მდიდარია კარსტული მღვიმეებიდან გამომავალი მდინარეების ჩანჩქერებით. არსენ ოქროჯანაშვილის სახ. მღვიმიდან (სიგრძე — 1300 მ, არის რამდენიმე მოზრდილი დარბაზი) გამომავალი კარსტული მდინარე (ხონის რ-ში მდებარე თურჩუს ტაფობის ნაკადულის ერთ-ერთი გაგრძელება) 234 მ სიმაღლის ჩანჩქერს აჩენს. მღვიმე ტობა I-ის ნაკადიც წარმოშობს ეფექტურ ჩანჩქერს. თვით ამ მღვიმის შიგნით წყალი ერთგან 21 მ სიმაღლიდან ვარდება; ამავე მღვიმეში ოთხი ტბაა. აქაური ჩანჩქერები და მღვიმეები ქმნიან ფრიად საინტერესო და პერსპექტიულ ტურისტულ კომპლექსს.

მისასვლელი. დაბა მარტვილიდან 14 კმ საავტომობილო გზატკეცილით სოფ. მეორე ბალდამდე, შემდეგ ფეხით 4 კმ ტობის სათავის ქარაფის ძირამდე.



ინფორმაციის წყაროები: ოქროჯანაშვილი, 1965; ჯიშკარიანი, 1971.



ლიტერატურა

აფხაზავა ილ., რიწის ტბა (ლიმნოლოგიური დახასიათება). კრ. „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევები“, თბილისი, 1969.

გაბუნია ლ., ბენარის ნამარხი ხერხემლიანები. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოც., თბილისი, 1962.

გაბუნია ლ., ვეკუა ა., ქვაბების გიგანტური დამანი. თბილისი, 1978.

გერგედავა ბ., ცენტრალური ოდიშის დასავლეთი ნაწილის მღვიმეების სპელეოლოგიური დახასიათებისათვის. კრ. „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, ტ. 2. თბილისი, 1963.

გერგედავა ბ., გარახის მღვიმის (ოდიში) სპელეოლოგიური დახასიათება. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 34, №1, 1964.

გერგედავა ბ., ოდიშის მღვიმეთა ბუნებრივი პირობების კომპლექსური დახასიათება. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1968.

დევდარიანი გ., მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეომორფოლოგიისათვის. „ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, ტ. 10. 1950-51.

ვახუშტი ბაგრატიონი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941.

თუშაბრამიშვილი დ., ჯრუჭულის ხეობის გამოქვაბულები. კრ. „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, ტ. I, თბილისი.

ითხვისელი., ბოდორნა (ისტორიული ნაშთი). „ივერია“, 1903 №176.

მარუაშვილი ლ., ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება. „ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. 12, 1959.

მარუაშვილი ლ., ტინტილოზოვი ზ., ჩანგაშვილი გ., არაბიკას კირქვულ მასივზე 1960 წელს ჩატარებული სპელეოლოგიური კვლევის შედეგები. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 26, №5, 1961.

მარუაშვილი ლ., შუქი ბნელეთში. თბილისი, 1963.

მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. პირველი გამოცემა, თბილისი, 1964, მეორე - 1969-70.

მარუაშვილი ლ., წიფლის ფუღუროდან კარსტულ მღვიმეში. თეკეთერის ჭა ხვამლის მთაზე. გაზეთი „თბილისი“, 1970, 23 მაისი.

მარუაშვილი ლ., ცა მღვიმის ალყაში. გაზეთი „თბილისი“, 1970, 17 ივნისი.

მარუაშვილი ლ., მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები. თბილისის უნივერსიტეტის გამოც., 1973.

მელიქსეთბეგი ლ., მეგალითური კულტურა საქარ-

თველოში. „ფედერაცია“, თბილისი, 1938.

ნემანიშვილი ს., ქვემო რაჭის ჩრდილო ნაწილის გეომორფოლიგიისათვის. „ვახუშტს სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. 12, 1959.

ოქროჯანაშვილი არს., მდ. აბაშის აუზის კირქვული ზოლის სპელეოლოგიური დახასიათებისათვის. კრ. „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, №3, თბილისი, 1965.

ტინტილოზოვი ზ., ზემო იმერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის კარსტული მღვიმეები (გეომორფოლოგიური ნარკვევები). „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ.59, 1959.

ტინტილოზოვი ზ., ჩანგაშვილი გ., ოქროჯანაშვილი არს., არაბიკას კირქვული მასივის კარსტულ-სპელეოლოგიური თავისებურებანი. კრ. „საქართველოს გეოგრაფიის პრობლემები“. თბილისი, 1965.

ტინტილოზოვი ზ., სპელეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებები არაბიკას კირქვული მასივის პერიფერიულ ნაწილებში. კრ. „საქართველოს ფიზიკური-გეოგრაფიული ნარკვევები“, თბილისი, „მეცნიერება“, 1969.

ტინტილოზოვი ზ., ყიფიანი შ., ჯიშკარიანი ვ., სიმონიშვილი დ., სამხრეთ ოსეთს სპელეოლოგიური დახასიათების ცდა. კრ. „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევები“. თბილისი, „მეცნიერება“, 1973.

ტინტილოზოვი ზ., ახალი ათონის მღვიმე. თბილისი, 1975.

უზნაძე მ., გოდერძის ფლორის აღწერილობა. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, გეოლოგიური სერია, ტ. V (X), თბილისი, 1949.

უკლებად დ., „მეორე ახტალის“ ტალახის ვულკანის შესახებ. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 15, №1, 1954.

ფირფილაშვილი პ., სოფელ სხვავის ბუნებრივი საყინულე. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 29, №6, 1962.

ქიქოძე ზ., ქორიძე ი., ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წ. ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, VI, გამ-ბა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.

ჩანგაშვილი გ., იმერეთ-სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტორიის გეომორფოლოგიური ნარკვევი. „ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. 18, 1963.

ჩიქოვანი თ., თრიალეთი. თბილისი, 1976.

ცინცაძე ვ., კაცხის „სვეტი“. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 7, №8, 1946.

წერეთელი გ., კაცხის სვეტი. „კვალი“, 1895, №40.

წერეთელი დ., ქვემო ქართლის ბარის რელიეფი და მეოთხეული ნალექები. „ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“, VIII, 1957.

ჭაბუკიანი პ., სათაფლია. თბილისი, 1960.

ხაზარაძე რ., სვანეთის ქედის ჩრდილო ფერდობის თანადროული ყინვარები და ძველი გამყინვარების ნიშნები. კრ. „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევები“. თბილისი, 1973.

ხარაძე კ., თრიალეთის ძველი ქართული ტოპონიმები. „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, 1972.

ჯანელიძე ალ., ასხის მთის გეოლოგიური კომპლექსი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 2, №1-2, 1941.

ჯანელიძე ა., სხირტლაძე ნ., რუბინშტეინი მ., თბილისის ეოცენის არეულშრეებრივი კონგლომერატების შესახებ. „გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები“, გეოლოგ. სერია, ტ. VIII (XIII), 1955.

ჯაფარიძე ალ., რჩეული ნაწერები. თბილისი, 1949.

ჯიშკარიანი ვ., ასხის კირქვული მასივის ზოგიერთი სპელეოლოგიური თავისებურებანი. „საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, 64, №1, 1971.

Абих Г., Отчет комисии, назначенной для исследования Тифлисских источников. Тифлис, 1870.

Альбов Н. М., Отчет о Ботанических исследованиях Абхазии за 1890 г – „записки кавквзского отдела Русского Географического обшества“, кн. XV, 1893.

Апхазава И. С., Озера Грузии. 1975.

Бакрадзе Д. З., Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875.

Березняков А. И., Петрографическая характеристика проблематичных обломочных отложений в окрестностях с. Хеви. – Сб, „Материалы Кавказской экспедиции (по программе МП)“, т. 5, Харьков, 1965.

Бурчак-Абрамович Н. И., Меладзе Г. К., Rustaviornis georgicus… „Acta Zoologica“. Gracow, 1972, №16.

Векуа А. К., Квабебская фауна акчагыльких позвочных Москва, 1972.

Великовская Е. М., Кожевников А. В., Фомин В. И., Еще раз о „морене“у Цебельды. - „Вестник московского университета. Геология“, сер. IV, №4, 1960.

Виленкин В. А., Ковалев П. В., «Оазис» ископаемой флоры в Трусовском ущулье. – „Известия Кавказского отдела Русского Географич. Об-ва“, т. 21, 1912.

Владимиров Л. А., О карстовых водах Абхазии. – „Труды Ин-та географии им. Вахушти“, т. XVII, Тбилиси, 1962.

Габуния л. К., Об остатках млекопитающих из третичных отложений Ахалцихского лигнитоностого района. – „Сообщения АН Грузинской ССР“, т. 12, №3, 1951.

Габуния Л. К., Следы динозавров (по материялам Годы Сатаплиа и данным литературы). Изд. АН СССР. Москва, 1958.

Габуния Л., Чхиквадзе В., Гигантская сухопутная Черепаха из олигоцена Бенары (Южная Грузия). – „Сообщения АН Грузинской ССР“, т. 24, №2, 1960.

Габуния Л. К., Векуа А. К., Квабебская фауна акчагыльких млекопитающих. Международный Геолоческий конгресс, 23-я сессия. Доклады совестких геологов. – Сб. „Граница третичного периодов“, изд. „Наука“, Москва, 1968.

Геоморфология Грузии. Рельеф Грузиской ССР в аспектах пластики, происхождения, динамики и истории. Тбилиси, 1971.

Гептнер А. Р., Федеров П. В., Ледниковые образования Цебелды и их соотношения с террасами Кодори и морскими слоями Чернрмоского побережья. – „Бюллетень Московекого общества испытателей природы. Отдел геологии“, №6, 1962.

Гижимкрели, А., Чрелашвили А., Зимберт Г., Нефть. – В сб. „Минеральные ресурсы ССР Грузии“. Изд. „Теника да шрома“, Тифлис, 1933.

Девдариани Г. С., Пещера Сатаплия. – „Природа“ 1952, №7.

Джавнелидзе А. И., Геологические наблюдения в Окрибе и смежных частях Рачи и Лечхума. Тбилиси, 1940.

Джавнелидзе Ч. П., Бурчуладзе А. А., Тогонидзе Г. И., А бсолютный возраст Ткаршенского лавового иотока.- „Сообщения АН Грузинской ССР“, т. 72, №2, 1973.

Дзойенидзе Г. С., Крестников В. Н., Геолого-петрографический очерк южного склона Главново Кавказского хребта в пределах Хевсуретии. – Сб. „Материалы по петрографии Грузинской ССР“. Тбилиси, 1941.

Дзойенидзе Г. С. Роль вулканизма в образовании осадочных пород и руд. Изд-во „Недра“, Москва, 1969.

Дублянский В. Н., Тинтилозов З. К., Еремин В. И., Шутов Ю. И., Гидрогеологические особенности и происхождение Новоафонской пещеры. – Сб. „Природа и хозяйство Грузии“. Изд. „Мейниереба“, Тбилиси, 1977.

Духовской А., Рецензия на статью Ф. С. Красильникова „Через бусарчильский перевал и ледник Кибе-ша“. – „Известя Кавказского отдела Русского Географического общества“, т. 23, №1, 1915.

Изучение пешер колхиды. Цуцхватская многоярусная карстовая пещерная система. „Мецниереба“, Тбилиси, 1978.

Каврайский Ф. Ф., Отчет о командировке для изучения р. Куры и озер Тифлисской губернии и Карсской области. – „Вестник Рыбопромышленности“, 1901, №9.

Каландадзе А., Цонская пещера и ее культура. – Сб. „Пешеры Грузии“, т. 3, Тбилиси, 1965.

Ковалев П. В., О древнем оледении в бассейне р. Терек. МГГ. – Сб. „Материалы Кавказской экспедиции“, том. III, Харьков, 1961.

Колбутов А. Д., Геологические и геоморфологические условия местонахрождений юго-осетнских палеолитических стоянок. – „Труды Комиссии по изучению четвертого периода“, №18, 1961.

Кудрявцев Н. А., Геологические исследования в междуречьи Алазани и Куры. – „Труды Нефтяного геологоразведочного института“, серия Б, вып. 32, 1932.

Кузнецов И. Г., Геологические строение района курорта Шамшови (бассей Чанчахи) в Центральном кавказе. - «Труды Всесоюзного геологоразведочного объединения». Вып. 151, 1931.

Лебедев Л., Загадки пещеры Снежной – газ. „Правда“ 9. X. 1979.

Левинсон-Лессинг Ф. Ю., Исследования по теоретической петрографии в связи с изучением изиерженных пород Центрального Кавказа. – „Труды Санкт-Петербургского обшества естествоиспытателей“ т. 26, №5, 1896.

Левинсон-Лессинг Ф. Ю., Вулканическая область Центрального Кавказа между перевалами Рокским и Архотским. – В. Нк.: „Геологические исследования в области перевальной железной дороги через Кавказский хребе“, 1914.

Лемлейн Г. Г.,О закономерных страстаниях вкрапленников кварца из Самшвильде. – „доклады Академии наук“ №26, 1930.

Любин В. П., Высокогорная пещерная стоянка I (Юго-Осетия). – „Известия Всесоюзн. Географич. Об-ва“, 1959. №2.

Любин В. П., Левковская Г. М., Пещера Кударо III (Юго-Осетия). – В. Нк.: „Палеолит и неолит СССР“, т, 7, Ленинград, 1972.

Любин В. П., Мустьерские культуры Кавказа. Ленинград, 1977.

Маруашвили Л. И., Пещера Абласкира – замечательное карстовое образование в Абхазии. – „Природа“, 1938, №10.

Маруашвили Л. И., Карст обломочных пород, его геоморфологическая чарактеристика в свете общего карстоведения, на примере Центральной Мегрелии. Диссертация, на примере Центральной Мегрелии. Дисертация на соискание ученой степеной каидидата географических наук. МГУ, 17 июня 1947 г.

Маруашвили Л. И., Псевдоморена у Цебельды. – „Труды Ин-та географии им. Вахушти“, т. 6, 1955.

Маруашвили Л. И., Геоморфология и палеогеография части Нижней Картли (бассейны рр. Храми выше с. Арухло и Алгети выше с. Марнеули. - „Труды Ин-та географии им. Вахушти“, т. 8, 1957.

Маруашвили Л. И., Древнее оледенение южных склонов Мегрельского хребта. АН Грузинской ССР. Геологический институт. – „Сборник трудов. Академику Александру Илларионовичу Джанелидзе“. Тбилиси, 1959.

Маруашвили Л. И., Периглацяльная морфология Кавказа. „Периглацяльные явления на территории СССР“, изд. Московского университета, 1960.

Маруашвили Л. И., В краю вулканов, озер и мороза. – Сб. „Советкие экспедиции 1959 года“. Географгиз, Москва, 1962.

Маруашвили Л. И., Чангашвили Г. З., Новые Данные о предполагаемых следах ледниковой деятельности в районе Цебельды... - „Сообщения АН ГССР“, т. 33, №1, 1964.

Маруашвили Л. И., Морфолоческий анализ карстовых пещер. – Сб. „Очерки по физической географии Грузии“. Тбилиси, 1969.

Маруашвили Л. И., Вулканические пещуры Грузии. Сб. „Пещуры“, вып. 14-15, Пермь, 1974.

Маруашвили Л. И., Музей на горе Мигариа, - Газ. „Молодежь Грузии“, 27 сентября 1975.

Маруашвили Л. И., Мамацашвили Н. С., Хазарадзе Р. Д., Гордское плейстоценовое озеро (палеогеографичуские и геохронологические результаты изучения отложений). – „Сообщения АН ГССР“, т. 79, №3, 1975.

Маруашвили Л. И., Накаидзе Э. К., Гонгадзе М. А., Бондырев И. В., Псевдокарст в аркозовых песчаниках Мухаегверди (окрестности г. Тбилиси) – В. Сб. „Природа и хозяйство Грузии“ . „Мецниереба“, Тбилиси, 1977.

Маруашвили Л. И., Загадка олянской форели – „Заря Востока“, 1978, 18 июня.

Маруашвили Л. И., Климатические изменения в поздном антропогене в свете новых по Грузии. – В кн.: „Изучение пещер Колхиды. Цуцхватская многоярусная карстовая пещерная система“. „Мецниереба“, Тбилиси, 1978.

Маруашвили Л. И., Тинтилозов З. К., Кластокарстовые пешеры Грузии. – Сб. „Природные ресурсы Грузии и методы их исследования“, „Мецниереба“, Тбилиси, 1979.

Морозова-Попава Е. М., Озеро рица на Кавказе. – „Землеведение“, кн. III, 1914.

Полибин И. В., Предварительный отчет об исследовании ископаемой флоры Годерзского перевала. – „Известия кавказского отдела Русского Географического общества“, т. 22, №3, 1913-1914.

Полибин И. В., Ископаемая флора Годерзского перевала. – Сб. „Флора и систематика высших растений“, 1937, вып. 4.

Пачулия В. П., Из Сочи в Сохуми. Путеводитель. Профиздат, 1965.

Преображенская М. П., Кистинское ущелье. – „Ежегодник Русского Географического общества“, 3, 1903.

Раунер С. Ю., Селевые потоки Закавказья и способы их регулирования. – „Лесной журнал“, 1903, №1-2.

Рейнгард А. Л., Несколько слов по поводу статьи Е. Морозовой „Озеро рица на Кавказе“. - Рейнгард А. Л., Несколько слов о древней морене у Цебельды на Кавказе. – „Труды Советской секции Международной ассоциации по изучению четвертичного периода“, вып. 5, 1941.

Ренгартен В. П., Геологический очерк района Военно-Грузинской дороги. - „Труды Всесоюзного геологоразведочного объедтнения“, вып. 148, 1932.

Ренгартен В. П., Минеральные источники района Вщенно-Грузинской дороги. - „Труды Всесоюзн. Геологораз. объедтнения“, вып. 156, 1932.

Сатунин К. А., Экскурсия в пещеры Сухумского округа. Пещера великана Абласкира и Адзаба - „Известия Кавказского отдела Русск. Географич. Об-ва“, т. 21, №1, 1911-12.

Соловьев Б. Л., Следы древнений района Цебельды в Абхазии. - „Бюллетень Московского общества испытателей природы“б Отд. Геологии, 1965, №4.

Сохадзе Е. В., Сохадзе М. Е., О некоторых ботанико-географических особенносеях лесной зоны горной части Мегрелии. - „Сообщения АН ГССР“, т. 22, №5, 1959.

Такаишвили Ею, Грузинские памятники окрестностей Белого Ключаю - „Известия Кавказского отделения Московского археологического общества“, вып. I, Тифлис, 1904.

Тинтилозов З. К., Карстовые пещеры Грузии. „Мецниереба“, Тбилиси, 1976.

Титов А., Казбек Изд. „Физкултура и Спорт“. Москва, 1938.

Устиев Е. К., Молева В.А., Минералбные источники Юго-Осетии. – „Труды СОПС АН СССР“, серия закаказская, вып. 9, 1933.

Хаханов А., Экспедиции на Кавказ 1892, 1893 и 1895. – „Материалы по археологии Кавказа“, VII, Москва, 1898.

Цулукидзе Г. Г., Геологическое описание Гудушаурского ущелья и ближайщих его окрестностей. – „Записки Кавказского отдела Русского технического общества“. 1873/74, VI.

Церетели Д. В., Плейстоценовые отложения Грузии. „Мецниереба“, Тбилиси, 1966.

Чихладзе С. С., Минеральные воды (Грузии). - . „Природные ресурсы Грузинской ССР“, т. III, изд. АН СССР, Москва, 1961.

Шенгелия В., Кластокарстовая пешера Каличона... Тбилисский госуд. Университе. XXXVII студенческая научная конференция 6-7 мая 1975 г. Тбилиси, 1975.

Эбралидзе Т. П., Грязевые вулканы Восточной Грузии и их связ с нефтегазоносностью. Автореферат Диссертайии. Баку, 1967 (из. Ин-та геологии им. И. М. Губкина АН АзССР).

Lemlein G. G., Sekundäie Flüssigkeitseinschlüsse in Mineralien. „Zeit. F. Krist“, B. 71, H. 3, 1929.



საძიებელი



ცხოველები

ა
არწივი ბეგობის 30
არწივი ველის 36
არწივი თეთრკუდა (ფსოვი) 29
არწივი მთის 35
ასპუჭაკა წითური 52
აფთარი ზოლებიანი 12

ბ
ბარი (გავაზი) 41
ბატკანძერი (კრავიჭამია) 29
ბიგა რადესი 21
ბოლოცეცხლა წითელმუცელა 49

გ
გედი მყივანი (ყვითელნისკარტა) 46
გედი სისინა (წითელნისკარტა) 46
გველგესლა კავკასიური 56
გველგესლა ცხვირრქოსანი 57
გნოლი 38

დ
დურაჯი 31

ზ
ზაზუნა ამიერკავკასიური 20
ზუთხი ატლანტური 63

ი
ირემი კავკასიური 19
იშხვარი (ყარყატი) 28

კ
კბილთეთრა მცირე 22
კოდალა სირიული, ანუ ხეკოდა სირიული 47
კოჭობა დიდი 48
კოჭობურა წითელფრთიანი 49
კუ ხმელთაშუა ზღვის 57

მ
მაჩქათელა 26
მახრჩობელა დასავლური 54
მგლინავა მოკლეთითა 51
მეღამურა გიგანტური 25
მეღამურა მცირე 26
მღამიობი სამფეროვანი 24
მღამიობი გრძელყურა 23
მყივარი სირიული 59
მცურავი გრძელი 55

ნ
ნარჩიტა წითელთავა 33
ნიამორი 11

ო
ორბი 43
ოყარი დიდი (დიდი თეთრი ყანჩა) 44
ოყარი პატარა (პატარა თეთრი ყანჩა) 45

რ
როჭო კავკასიური 42

ს
სავათი 39
სალამანდრა კავკასიური 61
სარსარაკი 40
სელაპი თეთრმუცელა 15
სვავი 43
სცინკი გრძელფეხა 54

ტ
ტრიტონი მცირეაზიური 60

ფ
ფოცხვერი კავკასიური 17
ფულუ 21

ქ
ქათამი ხონთქარის (პორფირიონი) 32
ქურციკი (ჯეირანი) 12

ღ
ღამურა გრძელფრთიანი 24
ღაჟო წითელი 50

შ
შავარდენი 34
შაკი 36
შურთხი კასპიური 32

ც
ცხვირნალა მეჰელის 23

ძ
ძერაბოტი (გველიჭამია არწივი) 37

წ
წავი 16
წაულა კავკასიური 17
წერო რუხი 39
წინწკანა ულვაშა 52

ჭ
ჭრელტყავა 14

ჯ
ჯვრიანა კავკასიური 60
ჯიქი 13

A
Acipenser sturio 63
Aegypius monachus 43
Aquila Chrysaëtus 35
Aquila heliaca 30
Aquila nipalensis 36

B
Barbastella barbastellus 26

C
Capra aegagrus 11
Carpodacus rubicilla 48
Cercotrichas (Erythropygia) galactotes 51
Certhia brachydactyla 51
Cervus elaphus maral 19
Ciconia nigra 28
Circaëtus gallicus 37
Crocidura suaveolens 22
Cygnus cygnus 46
Cygnus olor 46

D
Dendrocopos syriacus 47

E
Egretta alba 44
Egretta garzetta 45
Elaphe longissima 55
Eryx jaculus 54
Eumeces schneideri 54

F
Falco cherrug 41
Falco peregrinus 34
Felis Lynx orientalis 17
Francolinus francolinus 31

G
Gazella subgutturosa 12
Grus grus 39
Gypaëtus barbatus 29
Gyps fulvus 43

H
Haliaeetus albicilla 29
Hyaena hyaena 12

L
Lanius senator 50
Lutra lutra 16
Lutreola lutreola turovi 17

M
Mesocricetus Brandti 20
Miniopterus Schreibersi 24
Monachus monachus 15
Myotis emarginatus 24
Myotis bechsteini 23

N
Nyctalus lasiopterus 25
Nyctalus leisleri 26

O
Otis tarda 39
Otis tetrax 40

P
Panurus biarmicus 52
Pelobates syriacus 59
Pelodytes caucasicus 60
Perdix perdix 38
Phoenicurus erythrogaster 49
Porphyrio porphyrio 32

R
Regulus ignicapillus 33
Rhodopechys sanguinea 49
Rhynolophus mehelyi 23

S
Sorex raddei 21
Suncus etruscus 21

T
Triturus vittatus 60
Testudo graeca 57
Tetraogallus caspius 32

V
Vipera ammodytes 57
Vipera Kaznakovi 56
Vormela peregusna 14

მცენარეები

ა
აკინფიევის ხარეზია 87
ალპანის ყაზახა 161
ამფორიკარპოსი 91
ანოგრამა 69
ანხონიუმი 100
არაფის ლიგუსტიკუმი 144
არმაზის მაჩიტა 81
არმაზის შინდანწლა 97
აფხაზეთის კურდღლისცოცხა 123
აღმოსავლეთის ბიოტა 71
აღმოსავლეთის ბრტყელტოტა 71
აღმოსავლური მუხა 110
აღმოსავლეთის ტუია 71
აჭარის ანგელოზა 142
აჭარის კურდღლისცოცხა 123

ბ
ბეწვყვავილა გლობულარია 112
ბზა 81
ბზიფის ქონდარი 117
ბიბერშტეინის ტიტა 161
ბიჭვინთის ფიჭვი 73
ბროწეული 132

გ
განსაკუთრებული მაჩიტა 85
გარეჯული სალბი 117
გვაწა-ზანდური 154
გვაწამახა 153
გლერძი 118
გრიგორაშვილის პოდოსპერმუმი 93
გრძელყუნწიანი მუხა 110

დ
დიკა 150
დიმიტრის ბერყენა 135
დოლის პური 150

ე
ეიხლერის ტიტა 162
ელდარის ფიჭვი 72
ელიფსური თელადუმა 138
ენგურის მაჩიტა 83
ეპიგეა 105
ერდელის ბუჩქისძირა 112

ვ
ვინოგრადოვის ზამბახი 157
ვიტმანის იორდასალამი 129

ზ
ზღვის შროშანი 147

თ
თავდახრილი სიმფიანდრა 86
თავთუხი 152
თეთრი დუმფარა 126
თეთრობის კრაზანა 115
თელადუმა 138,139,140
თურანულა 136

ი
იმერული მუხა 109
ინგლისური დროზერა 101
იულიას ფურისულა 131

კ
კავკასიის აკაკი 90
კავკასიის ასტრაგალი 118
კავკასიის დიოსკორეა 147
კავკასიის კაბაჭრელა 159
კაკალი 113,114,115,174
კაკლის ხე 115
კევის ხე 75
კეთილშობილი დაფნა 118
კეცხოველის მიხაკი 88
კეცხოველის ფამფარულა 95
კოზლოვსკის ფამფარულა 95
კოლხეთის არახნე 107
კოლხეთის ლეპტოპუსი 107
კოლხური ბზა 80
კოლხური თხილი 98
კოლხური ყოჩივარდა 130
კოლხური ჯონჯოლი 136
კოლხური წყლის კაკალი 113
კორპის თელა 140
კრიკინა 145
კუზნეცოვის მიხაკი 88
კუპრიანოვის ჭვავი 149

ლ
ლაგოდეხის იორდასალამი 127
ლაფანი 116

მ
მაგარი ხორბალი 152
მაიკოს იორდასალამი 128
მალეევის წყლის კაკალი 114
მამალი ღვია 71
მარკოვიჩის ქოთანა 89
მასაგეტოვის თავყვითელა 96
მაღალმთის მუხა 110
მახვილქერქლიანი ღვია 71
მედვედევის არყი 78
მესხეთის ფამფარა 97
მინდვრის ყვითელი ზამბახი 157
მლაშობის ჩინგილი 124
მლოკოსევიჩის იორდასალამი 129
მრგვალი წამალი 78
მრგვალფოთოლა დროზერა 102
მტკვრის ასტრაგალი 119
მუხუდო 121
მყრალი ღვია 71

ნ
ნამგალა პური 151
ნამდვილი ასლი 152
ნახევრადეკლიანი ევერსმანია 122
ნიგვზის ხე 115

ო
ოლღას ფოლიო 101
ოქროსფერი ბონგარდია 77
ოქროწვერა 148

პ
პანიუტინის პოლილოფიუმი 144
პასტუხოვის სურო 76
პატარა თელადუმა 140
პონტოს მუხა 111
პონტური პირთეთრა 86

რ
რადეს არყი 80
რბილი ხორბალი 150
რიშავის ქვაპურა 142

ს
საკმლის ხე 75
მეგრული არყი 79
სამეფო გვიმრა 70
სამკურნალო ტუხტი 124
საოცარი მაჩიტა 84
სახოკიას ბერყენა 135
საღსაღაჯი 75
სვანეთის მაჩიტა 85
სმირნოვის შქერი 105
სომიეს ასტრაგალი 120
სომიეს დიყი 143
სპეტაკი კლადოხეტა 92

ტ
ტანას ასტრაგალი 121
ტილჭირფოთოლა დიყი 143
ტურანგი 136
ტუხტი 124
ტყის ვაზი 145

უ
უთხოვარი 74
უნგერნის შქერი 106
ურთხელი 74
უსურვაზი 145
უხრავი 99

ფ
ფრთიანნაყოფა ლაფანი 116
ფრთისებრფოთოლა ჯონჯოლი 137
ფურისულა 132

ქ
ქართლის იორდასალამი 127
ქართლის ხორბალი 150
ქართული ზამბახი 157
ქართული თელა 138
ქართული თხილი 99
ქართული კოწახური 77
ქართული მთის შროშანი 160
ქართული ნეკერჩხალი 75
ქართული ნუში 133
ქაცვი 104
ქონდარა ქოთანა 90
ქონდარა პური 151

ყ
ყამბრო 134
ყვითელი დუმფარა 125
ყირიმის ასფოდელო 158

შ
შავი არყი 80
შავი ღვია 71
შიშველი აკაკი 91
შიშველი თელადუმა 139
შიშკინის ასტრაგალი 120
შობერის ნიტრარია 146
შუალედური დროზერა 102

ჩ
ჩაგვერა პური 151
ჩელტა-ზანდური 154
ჩელტა-ზანდური 156
ჩვეულებრივი ხურმა 103
ჩვეულებრივი ჯონჯოლი 137

ც
ცრუაღმოსავლური ყაყაჩო 130

ძ
ძაკუს მაჩიტა 82
ძელქვა 141
ძველი კოლხური ასლი 155
ძიშრას მაჩიტა 83

წ
წაბლი 107
წვრილფოთოლა ნფსევდოპოდოსპერმუმი 93
წითელი ტიტა 162
წითელი ქვებლანდისა 133
წყავმაზა 126

ჭ
ჭალის მუხა 110
ჭოროხის მუხა 108

ხ
ხარისშუბლა 96
ხემარწყვა 104
ხეშიშველი 104
ხუჭუჭა მაჩიტა 82

ჯ
ჯავახეთის ფამფარულა 94
ჯავახეთის ხმალა 156

ჰ
ჰართვისის მუხა 108
ჰიმენოფილუმი 69
ჰირკანული წყლის კაკალი 114

A
Acer ibericum Bieb. 75
Alboviodoxa elegans (Albov) Woronow 91
Althaea officinalis L. 124
Amphoricarpos elegans Albov 91
Amygdalus georgica Desf. 133
Anchonium elichrysifolium (DC) Boiss. 100
Angelica adzharica Pimen. 142
Anogramma leptophylla (L.) Link 69
Arachne colchica (Fisch. Et mey.) Pojark. 107
Arbutus andrachne L. 104
Asphodeline taurica (Pall.) Kunth 158
Astragalus caucasicus Pall. 118
Astragalus Cyri Fom. 119
Astragalus Schischkinii Grossh. 120
Astragalus Sommieri Freyn 120
Astragalus Tannae Sosn. 121

B
Berberis iberica Stev. Et Fisch. 77
Betula Medwedewii Regel 78
Betula megrelica Sosn. 79
Betula Raddeana Trautv. 80
Biota orientalis (L.) Endl. 71
Bongardia chrysogonum (L.) Boiss. 77
Bupleurum rischavii Albov 142
Buxus colchica Pojark. 80

C
Campanula armasica Char. 81
Campanula crispa Lam. 82
Campanula Dzaaku Albov. 82
Campanula dzyschrica Kolak. 83
Campanula engurensis Charadze 83
Campanula mirabilis Albov 84
Campanula paradoxa Kolak. 85
Campanula svanetica Rupr. 85
Castanea sativa Mill. 107
Celtis caucasica Willd. 91
Celtis glabrata Stev. 91
Cerastium ponticum Albov 86
Charesia Akinfievii (Schmalh.) E. Busch 87
Chrysopogon gryllus (L.) Trin. 148
Cicer arietinum L. 121
Cladochaeta candidissima (Bieb.) DC. 92
Corydalis Erdelii Zucc. 112
Corylus colchica Albov 98
Corylus iberica Wittm. 99
Crataegus pontica C. Koch 134
Cyclamen colchicum Albov 130

D
Dianthus Ketzkhovelii makaschvili 88
Dianthus Kusnetzovii Marcow. 88
Dioscorea caucasica Lipsky 147
Diospyros lotus L. 103
Drosera anglica Huds. 101
Drosera intermedia Hayne 102
Drosera rotundifolia L. 102

E
Epigaea gautherioides (Boiss. Et Bal.) Takht. 105
Erythronium caucasicum Woronow 159
Ewersmannia subspinosa (Fisch.) B. Fedtsch. 122

G
Genista abchasica Sachok. 123
Genista adzharica M. Pop. 123
Gladiolus dzhavakheticus Eristavi 156
Globularia trichosantha Fisch. et Mey. 112
Gymnospermium Smirnowii (Trautv.) Takht. 78

H
Halimodendron Halodendron (Pall.) Voss. 124

Hedera Pastuchovii Woronow 76
Heracleum aconitifolium Woronow 143
Heracleum Sommieri Manden. 143
Hippophaë rhamnoides L. 104
Hymenophyllum tunbridgense (L.) Smith 69
Hypericum Thethrobicum Kem.-Nath. 115

I
Iridodictyum Winogradowii (Fomin) Rodionenko 157
Iris Winogradowii Fomin 157
Iris iberica Hoffm. 157

J
Juglans regia L. 115
Juniperus foetidissima Willd. 71

L
Laurus nobilis L. 118
Leontice Smirnowii Trautv. 78
Leptopus colchicus (Fisch. Et Mey) Pojark. 107
Ligusticum Arafoe Albov 144
Lilium caucasicum (Miscz.) Grossh. 159
Lilium georgicum Manden. 160

M
Muscari alpanicum Schchian 161
Molinia litoralis Host 149
N
Nitraria Schoberi L. 146
Nuphar luteum (L.) Smith 125
Nymphaea colchica (Woronow) Kem.-Nath. 126

O
Osmunda regalis L. 70
Ostrya carpinifolia Scop. 99

P
Paeonia carthalinica Ketzch. 127
Paeonia lagodechiana Kem.-Nath. 127
Paeonia Majko Ketzch. 128
Paeonia Mlokosewitschii Lomak. 129
Paeonia Wittmanniana Hartwiss et Lindl. 129
Pancratium maritimum L. 147
Papaver pseudo-orientale (Fedde) Medw. 130
Phillyrea Wilmoriniana Boiss. et Bal. 126
Pinus eldarica Medw. 72
Pinus pithyusa Stev. 73
Pistacia mutica Fisch. Et Mey. 75
Platycladus orientalis (L.) Franco 71
Podospermum Grigoraschvilii Sosn. 93
Polylophium Panjutinii Manden. et Schischk. 144
Populus euphratica Oliv. 136
Populus transcaucasica A. Jarm. 136
Primula Juliae Kusn. 131
Primula megaseifolia Boiss. Et bal. ex Boiss. 132
Pseudopodospermum leptophyllum (DC) Kuthath. 93
Pterocarya pterocarpa (Michx.) Kunth 116
Punica granatum L. 132
Pyrus Demetrii Kuthath. 135
Pyrus Sachokiana Kuthath 135

Q
Quercus dschorochensis C. Koch 108
Quercus Hartwissiana Stev. 108
Quercus imeretina Stev. ex maleev 109
Quercus Longipes Stev. 171
Quercus macranthera Fisch. et Mey. 110
Quercus pedunculiflora C. Koch 110

R
Rhododendron Smirnowii Trautv. 105
Rhododendron Ungernii Trautv. 106

S
Salvia Garedji Troitzk. 117
Satureja bzibica Woronow 117
Scabiosa Olgae Albov 101
Scorzonera dzhavakhetica Sosn. 94
Scorzonera Ketzkhovelii Sosn. 95
Scorzonera Kozlowskyi Sosn. 95
Scorzonera leptophylla DC. 93
Secale Kuprijanovii Grossh. 149
Senecio Massagetovii Schischk. 96
Senecio rhombifolius (Willd.) Sch. Bip. 96
Silene Marcowiczii Schischk. 89
Silene pygmaea Adam 90
Staphylea colchica Stev. 136
Staphylea pinnata L. 137
Symphyandra pendula (Bieb.) DC. 86

T
Taxus Baccata L. 74
Thelycrania armasica Sanadze 97
Thuja orientalis L. 71
Tragopogon meskheticus Kuthath. 97
Trapa colchica Albov 113
Trapa hyrcana Woronow 114
Trapa maleevii Vassil. 114
Triticum aestivum L. 150
Triticum carthlicum Nevski 150
Triticum compactum Host 151
Triticum dicoccum Schübl. 152
Triticum durum Desf. 152
Triticum macha Dek. et Men. 153
Triticum monococcum var. Hornemanii Clem. 154
Triticum paleo-colchicum Men. 155
Triticum Timopheevii (Zhuk.) 154
Triticum Zhukowskyi Men. et Eritz. 156
Tulipa Biebersteiniana Roem. Et shult. 161
Tulipa Eichlerii Regel 162

U
Ulmus elliptica C. Koch. 138
Ulmus georgica Schchian 138
Ulmus glabra Huds. 139
Ulmus minor Mill. 140
Ulmus suberosa Moench 140

V
Vitis silvestris Gmel. 145

Z
Zelkova carpinifolia (Pall.) C. Koch 141

ცოცხალი გუნებების ძეგლები

ვ
ვერხვი 170
ჭალის, ხვალო 170

თ
თუთა, ჩვეულებრივი 172

კ
კაკალი, ჩვეულებრივი 174

მ
მანდარინი უნშიუ 173
მუხა, ქართული 171
მუხა, ჭალის 110

ო
ოფი 170

რ
რცხილა, კავკასიური 170

ს
სოჭი, კავკასიური 170

უ
უთხოვარი 170

ფ
ფორთოხალი 174

ც
ცაცხვი, კავკასიური 174

ძ
ძელქვა, რცხილისებრი 172

წ
წაბლი, ჩვეულებრივი 171

ჭ
ჭადარი, აღმოსავლეთის 172

ხ
ხვალო 170

A
Abies Hill.
-nordmanniana (Stev.) Spach. 170

C
Carpinus L.
-caucasica A. Grossh. 170

Castanea Mill.
-sativa Mill. 171

Cirtus
-sinensis (L.) Osbeck. 174
-unshiu Marc. 173

J
Junglans. L.
-regia L. 174

M
Morus L.
-alba L. 172

P
Platanus L.
-orientalis L. 172
Populus L.
-hybrida M.B. 170
-Nigra L. 170

Q
Quercus L.
-iberica Stev. 171
-longipes Stev. 171

T
Taxus L.
-baccata L. 170
Tilia L.
-caucasica Rupr. 174

Z
Zelkowa Spach.
-carpinifolia (Pall.) Dipp. 172

არაორგანული ბუნების ძეგლები

ა
აბანოს მინერალური ტბა 217
აბაშის ჩანჩქერი 222
აბრსკილის მღვიმე 182
არეულშრეებრიობა 214
ახალი ათონის მღვიმე 183
ახაცხის კლუზი 202
ახიბოხის „ფანჯარა“ 183

ბ
ბატეთის ტბა 217
ბედენის „ბუმბერაზთა ქვაფენილი“ 205
ბეთლემისებრი სვეტი 198
ბენარის ნამარხი ფაუნა 212
ბოდორნის სვეტი 199
ბრითათის ტრავერტინები 209
ბუნებრივი ხიდები 208

გ
გადაადგილებული და მოქანაველოდები 192
გარახის მღვიმე 184
გეგის ჩანჩქერი 223
გელგელუქის კარული ველი 216
გლოლის ლოდები 192
გოდერძის ნამარხი ტყე 212
გორდის ტბიური წყება 203

დ
დაშბაშის კანიონი 204
დურუჯის ლოდი 193

ე
ერეთოს ჩანჩქერი 223
ერწოს ტბა 218

ვ
ვოკლუზები 221
ვულკანური ფორმები 205

ზ
ზემო ერმანის ლოდი 193

თ
თეკენთერის ჭა 184
თოვლიანი უფსკრული 185
თრუსოს ტრავერტინები 209

ი
იაღლუჯის ნამარხი ფაუნა 213
ილმაზლოს ლავური მოწმე 205

კ
კანიონები და ხეობები 202
კარული ველები 215
კაცხის სვეტი 200
კვარცის კრისტალები 211
კლდის სვეტები და კოშკები 198
კორცხელის მღვიმე 186
კუდაროს მღვიმოვანი 186

ლ
ლაჰილაჭალის ლოდი 193

მ
მგლისსარბიელის ლოდი 194
მეტეხის „არეულშრეებრივი კონგლომერატები“ 214
მღვიმეები 182
მჭიშთის ვოკლუზი 221

ნ
ნაზოდელავოს მღვიმე 186
ნამარხი ტყე და ფაუნა 212

ო
ობსიდიანის საბადო 213
ოკაცე: კანიონი 203
ოლიანგის ვოკლუზი 221
ოჩხომურის ჩანჩქერი 224

პ
პერიგლაციალური ფორმები 208

რ
რიწის ტბა 218
როშკის ლოდები 195

ს
სავეკუოს მღვიმე 187
სათაფლია 187
საირმის ეროზიული მოწმე 201
საირმის მეწყერი 201
საკენის ლოდი 195
სამსრის ქარიანი ხვრელი 188
სამშვილდის ინტრუზივი 211
სემის ბუნებრივი ხიდი 208
სხვავის საყინულე 188

ტ
ტაბისყურის ტბა 219
ტალახის ვულკანები 215
ტბები 217
ტობის ჩანჩქერები 224
ტრავერტინები 209
ტყარშეთი 206

უ
უდაბნოს სვეტი 202
ურთის მღვიმოვანი 188

ფ
ფერხულის ქვა 196
ფორფოტები 215
ფსევდოკარსტი 210

ქ
ქეთერისის მინერალური ვოკლუზი 222
ქვაბების ნამარხი ფაუნა 213
ქვაკაცა: სვეტი 202
ქუაქანცალია: მოქანავე ლოდი 197

ღ
ღამურა 207

ყ
ყალიჩონის მღვიმე 189
ყელის ზეგნის პერიგლაციალური წარმონაქმნები 208
ყვარაშის ტბა 220

ჩ
ჩანჩქერები 222
ჩეგოლის ლოდები 197
ჩხიკვთის სამება 206

ც
ცუცხვათის მღვიმოვანი 189

წ
წებელდის ლოდები 197
წონის მღვიმე 190

ჭ
ჭერმის კლდეები 210
ჭიქიანის მთა 214

ხ
ხდის ხეობა 204
ხორისარის ლავური ღვარი 207
ხორხები 190

ჯ
ჯონოულის ლოდები 198
ჯრუჭულის მღვიმე 191

A
Abano Mineral Lake 217
Abasha Waterfall 222
Abrskili Cave 182
Akhalii-Athoni Cave 183
Akhatskha Cluse 202
Akhibokhi “Window” 183

B
The Bat 207
Batethi Lake 217
Bedeni “Giant’s Causeway” 205
Benara Fossil Fauna 212
Betlemisebri: a column 198
Brithatha Travertines 209
Bodorna Column 199

C
Canyons and gorges 202
Caves 182
Chegola Blocks 197
Cheremi Rocks 210
Chikiani Mountain 214
Chkhikvthis Sameba 206
Clints fields 215

D
Dashbashi Canyon 204
Duruji Block 193

E
Eretho Waterfall 223
Ertso Lake 218

F
Fossil woods and fauna 212

G
Garakha Cave 184
Gega Waterfall 223
Gelgeluki Clints Field 216
Glola Blocks 192
Goderdzi Fossil Wood 212

I
Iagluja Fossil Fauna 213
Ilmazlo Lava Farewell Rock 205
Jonouli Blocks 198
Jruchula Cave 191

K
Katskhi Column 200
Ketherisi Mineral Vauclusian Spring 222
Khde Gorge 204
Khorisari Lava Stream 207
Khorkhebi 190
Kortskheli Cave 186
Kudaro Caves 186
Kvabebi Fossil Fauna 213
Kuakantsalia 197
Kvakatsa 202

L
Lahilachala Block 193
Lakes 217

M
Mchishtha Vauclusian Spring 221
Meore akhtala (Kilakupra) 215
Metekhi “Konglomerates of Mingled Stratication” 215
Mglissarbiela Block 194
Mud volcanoes 215

N
Natural bridges 208
Nazodelavo Cave 186

O
Obsidian occurences 213
Ochkhomuri Waterfall 224
Okatse 203
Oliangi Vauclusian Spring 221

P
Periglacial Forms 208
Perkhuliskva 196
Porpotebi 215
Pseudokarst 210

Q
Qalichona Cave 189
Qeli Periglacial Forms 208
Quartz Crystals 211
Qvarashi Lake 220

R
Ritsa Lake 218
Rock columns and towers 198
Roshka Blocks 195

S
Sairme Farewell Rock 201
Sairme Landslide 201
Sakeni Block 195
Samsari Windy Gap 188
Sathaplia 187
Samshvilde Intrusion 211
Savekuo Cave 187
Semi Natural Bridge 208
Shifted and perched blocks 192
Skhvava Ice Cave 188
Snowy Aven 185

T
Tabisquri Lake 219
Thekentheri Sinkhole 184
Thruso Travertines 209
Tqarshethi 206
Toba Waterfalls 224
Travertines 209
Tsebelda Blocks 197
Tsona Cave 190
Tsutskhvathi Caves 189

U
Udabno Column 202
Urtha Caves 188

V
Vauclusian springs 221
Volcanic forms 205

W
Waterfalls 222

Z
Zemo-Ermani Block 193